საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარიამ კაპანაძე

განათლება და პედაგოგიკური აზროვნება დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში

(1900 – 1917 წლები)

03.01-განათლების თეორია და ისტორია

დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი გიორგი ბერძულიშვილი

ქუთაისი

2017

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....3

I თავი

განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში

§1. საგანმანათლებლო კერები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში.....10
1.1. საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები და ქალთა სკოლები.....10
1.2. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები.....27
1.3. გიმნაზიები, რეალური და ვაჟთა სასწავლებლები.....30
1.4. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები.....43
1.5. სამასწავლებლო სასწავლებლები.....47
§2. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ....50
§3. ქართული პედაგოგიური აზრი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში..... 55
§4. ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი როლი ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაში.....75
§5. ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური იდეები XIX საუკუნის 90-იანი წლების დასავლეთ საქართველოში..... 84
I თავის დასკვნები..... 100

თავი II

საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი მდგომარეობა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში

§1. დაწყებითი განათლება.....110
§2. საშუალო განათლება.....116
§3. პედაგოგიური და პროფესიული განათლება.....128
§4. სწრაფვა უმაღლესი განათლებისაკენ..... 138
ზოგადი დასკვნები 147
გამოყენებული ლიტერატურა.....154
დანართი 161

შესავალი

სახელმწიფოს წარმატებული განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა ისტორიულ კონტექსტში. ამასთან აუცილებლად მიგვაჩნია შესწავლა მოხდეს არა მარტო კონკრეტული პერიოდების - დროის ინტერვალების გათვალისწინებით, არამედ შესწავლის ობიექტი უნდა იქნეს კონკრეტულ პერიოდში როგორ ვითარდებოდა ქვეყნის ესა თუ ის რეგიონი, რაც ქვეყანაში განათლების განვითარების მთლიანი სურათის უკეთ და მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა დღის წესრიგში უპირობოდ აყენებს განათლების ხარისხის ამაღლებას. მიგვაჩნია, რომ განათლებაში ხარისხის ამაღლება უნდა პასუხობდეს მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს, გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიო პრაქტიკა და ის მიღწევები, რომლებმაც დარგი პრიორიტეტული გახადა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, მაგრამ ამავე დროს განათლების ხარისხის ამაღლება ადაპტირებული უნდა იყოს ქვეყნის ისტორიულ წარსულთან, მის ტრადიციებთან და სხვა უამრავ ფაქტორებთან რომლების ერთიან მთლიანობაში წარმოადგენს განათლების განვითარების უწყვეტ სისტემას. ვთვლით, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს წინსვლა უპირობოდ დაკავშირებულია განათლების ევროპული სისტემის რაც შეიძლება დაახლოებასთან, მის სრულყოფასა და შემდგომ განვითარებასთან.

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებმა განათლების ისტორიის სპეციალისტების წინაშე დააყენა საკითხი, რომ ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, კომუნისტური მმართველობის პერიოდისაგან განსხვავებული პარტიული ინტერესების გარეშე, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი და განზოგადებული განათლების დაფუძნების და განვითარების ისტორია საქართველოში, რაც პირველ რიგში დაადგენს ისტორიულ სიმართლეს განათლების დარგის განვითარებაში და საფუძველს შექმნის სრულყოფილად იქნეს გაანალიზებული და გაზიარებული სასკოლო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე და დასახული იქნეს პრობლემის გადაჭრის მეცნიერული გზები.

ქართული საგანმანათლებლო სისტემის მიერთება ბოლონიის პროცესთან, ქართველი ერის შეუქცევად სწრაფვას ევროპისაკენ, თან უნდა სდევდეს ქვეყანაში მაღალგანვითარებული ევროპული სისტემის შექმნა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს წარსულში მიღებული გამოცდილებების გაანალიზებასა და გათვალისწინებაზე, სადაც ბუნებრივია თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებამაც, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული იდეოლოგიის ერთ-ერთ მყარ და ფუნდამენტურ საფუძველს.

ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქვეყნის ყველა რეგიონის სასწავლო დაწესებულებებს. ცხადია, ეს წვლილი თავისი შინაარსობრივი და ფუნქციური გამოხატულებებით სხვადასხვა რეგიონისათვის სხვადასხვაა, მაგრამ

ერთიან მთლიანობაში ყველა რეგიონმა თავისებური და განუმეორებელი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს რეგიონებს შორის განათლების კერების და სასწავლო დაწესებულებების სახეების სიმრავლით განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთ საქართველო, რომელმაც ქართულად სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით, განათლების, სწავლების მეთოდების სიმრავლით განსსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოში განათლების იმდროინდელი სისტემის ჩამოყალიბებას, ფორმირებასა და შემდგომ განვითარებაში, რაშიც ღირსეული წვლილი შეიტანეს იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა განმანათლებლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, სასწავლებლებმა და ამ სასწავლებლებში მოღვაწე სახალხო მასწავლებლებმა.

ამ თვალსაზრისით ქართულ პედაგოგიკაში რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოსცეს ს.სიგუამ, ლ.ბოცვაძემ, ტ.სარიშვილმა, ტ.ხუნდაძემ, ზ.კიკნაძემ, ი.ჭკუასელმა, ნ.ბერულავამ, გ.მჭედლიძემ, ა.გობრონიძემ, ი.გენძეხაძემ, ლ.თავდგირიძემ, მ.ახვლედიანმა, ი.ბასილაძემ, ნ.სოხაძემ, მ.მაღრაძემ, ო.ნიშნიანიძემ, ს.ფანჩულიძემ, დ.ჭუმბურიძემ, ლ.გაბუნიამ და სხვ. მათში განხილული საკითხები არის საქართველოს მასშტაბით, რაც გვაძლევს ერთიანი ხედვის საშუალებას საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით შესწავლილი და გაანალიზებული იქნას ცალკეული საკითხები. მიუხედავად ამისა, ვთვლით, რომ ჯერ დღემდე მთლიანობაში ცალკე გამოკვლევის საგნად არ გამხდარა დასავლეთ საქართველოში პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორია.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ სადისერტაციოდ შერჩეული თემა: „განათლება და პედაგოგიკური აზროვნება დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში (1900–1917 წლები)“, აქტუალურია განათლების თეორიისა და ისტორიისათვის და მისი გამოკვლევა დაეხმარება საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას.

კვლევის მიზანს შეადგენს მეოცე საუკუნის დასაწყისში განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების კვლევა დასავლეთ საქართველოში.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანაა დასავლეთ საქართველოში განათლებასა და პედაგოგიურ აზროვნებასთან დაკავშირებული სკითხების წინა პლანზე წამოწევა და პრობლემატური საკითხების კვლევა-ძიება, რათა აღნიშნულ საკითხებზე დადგინდეს სრული ობიექტური რეალობა, კერძოდ:

1. გამოკვლეულ იქნეს დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებული ყველა ტიპის და სახეობის სასწავლებლების სასწავლო პროცესი, სწავლების მეთოდები. ფორმები, სასწავლო სახელმძღვანელოები, მათი შინაარსი, სასწავლებელში მოღვაწე მასწავლებლები, სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ. რაც უშუალო კავშირშია სასწავლო პროცესთან და მის ორგანიზაციასთან;

2. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით დადგინდეს რა როლი შეასრულა, მეოცე საუკუნის დასაწყიში დასავლეთ საქართველოში არსებულმა სასწავლებლებმა და

ამ სასწავლებლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა ქართული განათლების სისტემის ფორმირებაში;

3. ანალიზი გაუკეთდეს დასავლეთ საქართველოში განათლების მდგომარეობას, განვითარების ტენდენციებს, მის რაოდენობრივ და თვისობრივ ზრდას, სწავლების პროცესის ორგანიზაციას და მის შინაარსს;

4. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოაჩინოს ქართველ განმანათლებელთა, საზოგადო მოღვაწეთა და სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივების როლი, რაც მათ შეასრულეს მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოში არსებული განათლების ქსელის გაფართოებაში, სწავლების ახალი მიდგომების დანერგვაში, სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნასა და გამოცემაში, იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი ეწეოდნენ განათლების ეროვნული სისტემის შექმნისათვის.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს XX საუკუნის დასაწყისის:

- დასავლეთ საქართველოში არსებული დაწყებითი, საშუალო, პედაგოგიური და პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებები და განათლების კერები: საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები, ქალთა სკოლები, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები, სამასწავლებლო სასწავლებლები.
- რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, ქართული პედაგოგიური აზრი, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლი ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაში,

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური დებულებები პიროვნების ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გახსნისა და განვითარების შესახებ.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა გამოხატულია მეცნიერულ კონცეფციაში განათლება და პედაგოგიკური აზროვნება დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოხატულია ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული შედეგების პედაგოგიური სპეციალობის სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვით.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში თავმოყრილი და შესწავლილია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში არსებული ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება და განათლების კერა და განხილულია ამ პერიოდის პედაგოგიური აზროვნების საკითხები. დისერტაცია წარმოადგენს ამ საკითხების ერთ სისტემაში მოყვანისა და მონოგრაფიულად შესწავლის ცდას და გარკვეულად ავსებს არსებულ ხარვეზს.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ სადისერტაციო ნაშრომს გარკვეული წვლილი შეაქვს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის კვლევაში. კვლევის პროცესში მიღებული შედეგების შემოქმედებითად მიდგომისას გამოადგება ყველა ტიპის ამჟამად არსებულ სასწავლებლებს. მიღებული

შედეგების გამოყენება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტებში განათლების ისტორიის სპეცკურსებზე. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება მომზადდეს დასავლეთ საქართველოს განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის სალექციო კურსი, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტის პედაგოგიური განხრის სტუდენტებს, მასწავლებლებს და განათლების ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს მასში, რომ თუ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი განათლების წარსულის მემკვიდრეობა, თუ ობიექტური შეფასება და ანალიზი გაუკეთდება ადრე არსებული სასწავლებლების განვითარებას, სწავლა-განათლების შინაარსს, გამოვლინდება დადებითი და უარყოფითი მხარეები, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება წარსული მემკვიდრეობის კულტურულ ათვისებაში და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ერის კულტურული განვითარებისათვის, ხოლო სწავლებაში იმ პერიოდში არსებული დადებითი მომენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დღევანდელ პირობებში, საქართველოში განათლების ქსელის სულ უფრო მეტად განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია. დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვდიოდით საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებზე ვაქვეყნებდი სამეცნიერო სტატიების სახით. გამოკვლევის შედეგები სისტემატურად ეცნობოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტთან არსებულ სამეცნიერო სემინარს, ხოლო დასრულებული ნაშრომი რეცენზირებული და შეფასებული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის მიერ.

კვლევის მეთოდოლოგია. დისერტაციაში გამოვიყენებთ კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიას, კერძოდ ვისარგებლებთ ისტორიული, შედარებითი, აღწერილობითი, შეფასებითი კვლევებით და სხვ.

ისტორიულ კვლევას გამოვიყენებთ მაშინ, როცა საჭიროა დადგინდეს წარსულში განხილული საკითხები და გაკეთდეს დასკვნები. მაგალითად, როცა განვახორციელებთ სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონტინგენტის, სწავლის გადასახადის და სხვა საკითხების დადგენა-დაზუსტებას, მაშინ გამოყენებული იქნება წარსულში განხორციელებული მიდგომები, ასევე, როცა მოხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო სახელმძღვანელოების აგების მეცნიერული პრინციპების დადგენა, შედარებითი ანალიზი სხვა სახელმძღვანელოებთან და მისთ.

შედარებითი კვლევით შესაძლებელია მაშინაც ვისარგებლოთ, როცა ვსარგებლობთ ისტორიული კვლევით, რათა მოხდეს სხვადასხვა საკვლევი მასალის ურთიერთშედარება და დადგინდეს განხორციელებული კვლევის მეთოდის უპირატესობა.

ზოგიერთ შემთხვევაში დაგვჭირდება განსახილველ პერიოდში სასწავლო დაწესებულების დირექტორების და ინსპექტორების მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად გაკეთებული შეფასებების ანალიზის საფუძველზე საჭირო ინფორმაციის მოპოვება, რათა მოხდეს ჩვენთვის საინტერესო სხვადასხვა სიტუაციების

და განსაკუთრებული შემთხვევების გამოკვლევა. ასეთ შემთხვევაში დავეყრდნობით და კრიტიკულად გავაანალიზებთ არსებულ ინფორმაციებს. ასეთ შემთხვევებში უპირატესობას მივანიჭებთ აღწერილობით კვლევას.

შეფასებითი კვლევას ძირითადად გამოვიყენებთ როცა შევაფასებთ სწავლებაში გამოყენებულ მეთოდებს და მიღებულ შედეგებს. შეფასებითი კვლევებით დადასტურ-დება გამოსაკვლევ კონკრეტულ პერიოდში გამოყენებული მიდგომის უპირატესობა თუ ნაკლი.

ასევე, დისერტაციაში გამოვიყენებთ სისტემური ანალიზით კვლევას, რომელსაც განვახორციელებთ ეტაპებად:

საკვლევ მასალას დავყოფთ ნაწილებად;

- მოვახდენთ თითოეული ნაწილის შეფასებას;
- გამოვიყვანთ საბოლოო შედეგს.

მოყვანილი მეთოდოლოგია სრულიად საკმარისია რომ, დისერტაციის მსვლელობის დროს კვლევები ჩატარდეს მაღალ მეცნიერულ დონეზე და მიღებული შედეგები იყოს სანდო და ვალიდური.

კვლევის ეტაპები:

- პედაგოგიკური ხასიათის ლიტერატურის პირველადი დამუშავება, ბიბლიოგრა-ფიის შედგენა, კვლევის ამოცანის და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება;
- საარქივო, სამუზეუმო და პრესის მასალების გაცნობა და დამუშავება;
- მეცნიერული ლიტერატურის, საარქივო მასალების ანალიზური დამუშავება;
- კვლევის მეთოდების რეალიზაცია;
- კვლევის შედეგად დაგროვილი მასალის პედაგოგიკურ–დიდაქტიკური ანალიზი;
- დისერტაციის გაფორმება.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები და დასკვნები:

- დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არსებული ყველა ტიპის საერო და სასულიერო სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროცესის პედაგოგიური ანალიზი;
- დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არსებული ყველა ტიპის საერო და სასულიერო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტინგენტის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სწავლის გადასახადის, სასწავლო სახელმძღვანელოების ანალიზი;
- დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ქართველ განმანათლებელთა და საზოგადო მოღვაწეთა ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისათვის, ქართული ენის შენარჩუნებისა და ქართულ ენაზე სწავლისათვის;
- დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებული როლი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში განათლების იმდროინდელი სისტემის ჩამოყალიბება-ფორმირებასა და შემდგომ განვითარებაში (ქართულ ენაზე გამოცემული სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემების რაოდენობით და მრავალფეროვნებით, სწავლების მეთოდების სიმრავლით, საქართველოს

რეგიონებს შორის განათლების კერების და სასწავლო დაწესებულებების სახეების სიმრავლით, სასწავლო დაწესებულებებში მოღვაწე პედაგოგებით და სხვ.) .

თეორიული კვლევის პროცესში მიღებული იქნა ასეთი სახის შედეგები:

- კვლევების საფუძველზე ჩატარდა სასწავლო პროცესის პედაგოგიური ანალიზი დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არსებული ყველა ტიპის საერო და სასულიერო სასწავლო დაწესებულებე-ბისათვის, გაკეთდა შესაბამისი დასკვნები;
- ჩვენს მიერ მოძიებული, აქამდე უცნობი საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დაზუსტდა არაერთი საკითხი, რომელზეც განსხვავებული შეხედულებები იყო პედაგოგიკის სხვადასხვა მკვლევართა შორის (სასწავლებლის გახსნის თარიღის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტინგენტის, სწავლების ხანგრძლივობის, სასწავლო დისციპლინათა დასახელების და სხვ.);
- ყოველმხრივ გაანალიზებული და წარმოჩენილია ის დიდი ღვაწლი, რომელიც დასდეს დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ქართველმა განმანათლებლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისათვის ბრძოლას, რაც დაკავშირებული იყო ქართული ენის შენარჩუნების, ყველა ტიპის სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლისათვის, საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის და სხვ.;
- პედაგოგიურად გაანალიზებული და გამოკვლეულია ის მეთოდური მიდგომები, რომლებიც სწავლებაში დასავლეთ საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში იქნა გამოყენებული, რომლებმაც შემდგომში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი მსიფლიოს მასშტაბითაც მიიღეს აღიარება.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო შრომებში:

1. განათლების კერები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში. (I ნაწილი). საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“. 2015 წელი №3(53). გვ. 31-34.

2. ქართული პედაგოგიური აზრი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“. 2015 წელი №2(52). გვ. 39-41.

3. ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური იდეები XIX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასავლეთ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, №2(52), თბილისი, 2015 წელი, გვ. 36–38.

4. დაწყებითი განათლება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითა-

რების ფონდის პერიოდული საერთაშორისო სამეცნიეროჟურნალი „ინტელექტი“, №1(51), თბილისი, 2015 წელი, გვ. 37-40.

5. ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული საერთაშორისო სამეცნიეროჟურნალი „ინტელექტი“, №1(51), თბილისი, 2015 წელი, გვ. 33–36.

6. XX საუკუნის დასაწყისის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური იდეები და თანამედროვეობა. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული საერთაშორისო სამეცნიეროჟურნალი „ინტელექტი“, №2(55), თბილისი, 2016 წელი, გვ. 30–33.

7. განათლების კერები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის წლების დასავლეთ საქართველოში. (II ნაწილი). საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული საერთაშორისო სამეცნიეროჟურნალი „ინტელექტი“, №2(55), თბილისი, 2016 წელი, გვ. 26–29.

თავი I

განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში

§1. საგანმანათლებლო კერები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში

1.1 საეკლესიო სამრევლო სკოლები და ქალთა სასწავლებლები

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ყველაზე მასობრივი სასწავლებლები საეკლესიო-სამრევლო სკოლები იყო. თავიდან ისინი საქალაქო ტიპის დასახლებების სკოლებთან იქმნებოდა. მსგავსმა სკოლებმა განვითარების ორი ეტაპი განვლო. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ორწლიანი სწავლება იყო და მათ უფრო ხშირად „საშინაო სკოლებად“ მოიხსენიებდნენ. მსგავსი ტიპის სკოლებში ასწავლიდნენ მღვდლები ან დიაკვნები, მაგრამ მათ ანაზღაურება არ ეძლეოდათ, ამიტომ მათგან მოსწავლეთათვის უფასოდ სწავლების სურვილი ძლიერ მცირე იყო რის გამოც ასეთი სკოლები თავდაპირველად აქა-იქ იხსნებოდა. ჯგუფში 15 მოსწავლეზე მეტი არ იყო. მასში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ და ქართულ წერა-კითხვას, სუფთა წერას და არითმეტიკას, მხოლოდ ოთხი მოქმედების ფარგლებში, ცხრილის გარეშე და საეკლესიო გალობას. ფაქტია, რომ საღვთო სჯულს აქ დიდი ადგილი ჰქონდა, მარტო სწავლების პირველ წელს ბავშვებს ზეპირად უნდა ესწავლათ 17 ლოცვა.

1884 წლიდან დაიწყო საეკლესიო-სამრევლო სკოლების აღორძინების ეტაპი, რომელიც უკვე ახალ, მტკიცე ორგანიზებულ საფუძველს დაემყარა. აღსანიშნავია 1891 წლის 4 მაისს დამტკიცებული წესდება, რომლის მიხედვითაც „წერა-კითხვის საეკლესიო სკოლა არსებითად წარმოადგენდა შუა საუკუნეებში არსებული დაბალი საეკლესიო სკოლების ცოცხალ არქეოლოგიურ ნაშთს. მათში ზნეობრივ-რელიგიური აღზრდა საეკლესიო სლავურ ენაზე შედგენილი ჟამნისა და ფსალმუნის მეშვეობით წარმოებდა. მასწავლებლად შეიძლება ყოფილიყვნენ დიაკვნები, დემობილიზებული სალდათები, შინაბერა დედაკაცები, მნათეები, რომელთაც ასე თუ ისე იცოდნენ ძველი ენა და ჟამნიდან და ფსალმუნიდან ლოცვების მოყოლა შეეძლოთ“ [77, გვ.54].

აღსანიშნავია, რომ 1893 წლისათვის საეკლესიო უწყების სკოლების რიცხვი გაუტოლდა განათლების სამინისტროს დაწყებითი სასწავლებლების რიცხვს. „1901 წლისათვის საქართველოში 546 საეკლესიო უწყების სკოლა იყო, 1914 წელს მათი რიცხვი გადიდდა 692-მდე, მოსწავლეთა რიცხვი კი ერთიორად იქნა გაზრდილი. 1901 წელს ამ სკოლებში სულ სწავლობდა 24 419 მოსწავლე, 1914 წლისათვის კი მათი რიცხვი შეადგენდა 46 025.“ [77, გვ.54].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საეკლესიო-სამრევლო სკოლები, მოსწავლეთა რაოდენობისა და სწავლების ფორმების მიხედვითაც, საშინაო სკოლებს წარმოადგენდნენ. ისინი მუშაობდნენ ქაოტურად, მტკიცე სასწავლო გეგმის გარეშე, მაგრამ, თუ შედეგს გავითვალისწინებთ, ეს მუშაობაც საკმაოდ შედეგიანი იყო. მას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის ჩვენში მაშინდელი სახალხო განათლების განვითარების და ამაღლების საქმეში, ვიდრე სხვა სახის სასწავლებლებს. ეს სკოლები ჯერ კიდევ არ

იყვნენ ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილნი. აქ სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა.

მთავრობა დაწყებითი განათლების საქმისათვის მცირე სახსრებს იღებდა. „დაწყებით სკოლებზე უფრო მეტ თანხას, მთელი ხარჯის თითქმის ¼, საქართველოში ერობა ხარჯავდა. ამაზე ცოტა ნაკლებს, დაახლოებით 1/5 -ს-ხაზინა, ხოლო დანარჩენს-ქალაქისა და სოფლის საზოგადოებანი. პირველდაწყებით განათლებაზე სახელმწიფო ხაზინა მთელი თავისი ხარჯების ყოველ 100 მანეთზე მხოლოდ 40 კაპიკს ხარჯავდა. აქედან ცხადია, თუ როგორი „ყურადღებით“ ექცეოდა მეფის მთავრობა სახალხო განათლების საქმეს საქართველოში“. [138, გვ. 16] მაგრამ საეკლესიო-სამრევლო სკოლებზე მთავრობა გაცილებით მეტს ხარჯავდა, რაგდანაც მსგავსი სკოლების საშუალებით მთავრობა „მეფისა და ღვთის ერთგულ მსახურებს“ ზრდიდა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი საქართველოში და, შესაბამისად, ქუთაისშიც ყოველწლიურად იზრდებოდა. მათ უმრავლესობაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. პირველდაწყებითი სასწავლებლების რაოდენობამ ქუთაისის გუბერნიაში 1901-1902 წლისათვის 223-ს მიაღწია. მაგრამ ამავდროულად სასკოლო ასაკის ბავშვთა ორ მესამედზე მეტი მაინც სკოლისგარეშე რჩებოდა.

1901 წლის გაზეთ „კვალი“-ს 35-ე ნომერში გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება, რომ, დაწყებითი სკოლის უმეტეს ნაწილს ქუთაისში საეკლესიო-სამრევლო სკოლები შეადგენდნენ, რომელთაც უწმინდესი სინოდი და საეკლესიო უწყება განაგებდა. [96, გვ. 783].

ლია გაბუნიას ნაშრომით „ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი“ დასტურდება, რომ: „1917 წელს რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალეს საეკლესიო დაწყებითი განათლების მთელი სისტემა. მოხდა სწავლების ნაციონალიზაცია. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შემოღებულ იქნა სწავლება ქართულ ენაზე. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საეკლესიო-სამრევლო სკოლების ხელმძღვანელობა განათლების სამინისტროს გადასცა.“ [12, გვ. 129].

აღსანიშნავია, რომ ბავშვები პირველდაწყებით განათლებას ასევე ღებულობდნენ მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, გრიგორიუნულ ეკლესიებსა და ებრაელთა სინაგოგებთან არსებულ სკოლებში, სწავლების სამწლიანი კურსით. „ქუთაისში 1882 წელს კათოლიკურ ეკლესიასთან ორი სკოლა აღირიცხებოდა 74 მოსწავლით, სომხურ ეკლესიასთანაც 2 სკოლა იყო და აქაც 74 ქალ-ვაჟი სწავლობდა, ხოლო ებრაელთა სინაგოგასთან 3 სკოლაში 105 ვაჟი ირიცხებოდა“. [155, ფურც. 39-40]. ათი წლის შემდეგ კი ასეთი სურათი გვაქვს: „კათოლიკურ ტაძართან არსებულ ერთ სკოლაში ორივე სქესის 68 მოსწავლე არის, გრიგორიანულთან კვლავ ორი სკოლა მოქმედებს და მათში 72 ქალ-ვაჟია. სინაგოგასთან კი ორი სკოლა ფუნქციონირებს, რომელშიც 110 მოსწავლე სწავლობს, სუყველა ვაჟები.“[156, ფურც. 54]. აქ ისინი „იწვრთნებოდნენ“ ლოცვებისა და რელიგიური დოგმატების დაზეპირებაში, საეკლესიო გალობაში, ხუცურის კითხვაში, მაგრამ ცხოვრებაში საჭირო მეცნიერებათა საფუძვლები მათ ძალზე შეზღუდულად მიეწოდებოდათ.

1913 წელს ქუთაისში, ფერმის ქუჩაზე დაარსდა ბერძენთა ორკლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლა „ათინა“. სკოლაში ყოველწლიურად საშუალოდ 40-60 მოსწავლე ირიცხებოდა. სწავლება მიმდინარეობდა ბერძნულ, რუსულ და ქართულ ენაზე. 1917 წლისათვის ეს სკოლა გადაკეთებულა ოთხკლასიან სასწავლებლად. „მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდის გამო, მათ შენობაც კი შეუცვლიათ და გაბრიელის ქუჩაზე,

კვიცარიძის ნაქირავებ სახლში დაუბინავებიათ. ამ სკოლას მზრუნველობდნენ, როგორც ბერძნები, ასევე ქართველებიც. საეპარქიო საბჭოს მასწავლებელთა წლიურ ხელფასად 600 მანეთი დაუნიშნავს.“ [12, გვ. 130].

დასავლეთ საქართველო რელიგიური სკოლების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში აღსანიშნავია, რომ ქუთაისში არსებობდა კათოლიკური სკოლები. კათოლიკები ცდილობდნენ მრავლად გაეხსნათ სკოლები, მაგრამ მათი მიზანი იმდენად განათლების მიღება არ იყო, რამდენადაც კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება.

ყველა კათოლიკურ ეკლესიასთან, სხვადასხვა დროს, გახსნილი იყო კათოლიკური სამრევლო სკოლები. ასეთ სკოლებში ბავშვებს ღებულობდნენ 6 წლის ასაკიდან, მაგრამ მათ უნდა სცოდნოდათ ასოების ცნობა და რამდენიმე აუცილებელი ლოცვა. მათ უნდა ჩაეცვათ სპეციალური სასკოლო სამოსი, კერძოდ, ყავისფერი ფორმა და წინსაფარი, კათოლიკური დამახასიათებელი თავსაბურავით. სწავლა ფასიანი იყო. გადასახადს კი იხდიდნენ შესაძლებლობების მიხედვით, ვის რამდენის გადახდა შეეძლო ამას ზედამხედველი წყვეტდა, შეძლებულებს 12 მანეთს ახდევინებდნენ, ხოლო გაჭირვებულებს 6 მანეთს. როგორც ირკვევა: „სკოლაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: არითმეტიკა, საქრისტიანო და საღმრთო ისტორია, რუსული ენა, ისტორია, გეოგრაფია, ლათინური ენა და სხვა სასულიერო საგნები“. [12, გვ.133].

1912 წელს აქ 31 მოსწავლე სწავლობდა. კლასი სხვადასხვა განყოფილებებად ნაწილდებოდა. მაგალითად: ქართული განყოფილება, საღვთო სჯულის განყოფილება, ლათინურ ენაზე გალობის განყოფილება და ა.შ. სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდა მასწავლებელთა ზნეობრივ სისპეტაკეს. მოსწავლეს სკოლაში შესვლისას უნდა სცოდნოდა ქართული წერა-კითხვა და რუსული ენაც. მომზადება უფასოდ ხდებოდა, ასე რომ ეს დამაინტერესებელი ფაქტორი იყო ღარიბ-ღატაკი მრევლისათვის. ასევე კარგად მოფიქრებული მეთოდი იყო მრევლის მოზიდვისა და მათთვის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდისა და გაკათოლიკებისათვის.

1888 წლის გაზეთ „ივერიის“ N149 ნომრიდან დასტურდება, რომ „1886 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში სამი სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო-სამრევლო სკოლა არსებობდა. მათ შორის ორი ქუთაისში-ქალთა და ვაჟთა ორკლასიანი სამრევლო სკოლები.“ [16, გვ. 2]. აღნიშნულ სკოლებში ისწავლებოდა რუსული ენა, მსოფლიო ისტორია და გეოგრაფია-რუსულ ენაზე, ხოლო საღვთო სჯული, სომხური ენა, არითმეტიკა, გალობა, სიმღერა, ხატვა და შრომა-სომხურ ენაზე. ეს სკოლები მესამე კატეგორიის იყო და ექვემდებარებოდა კავკასიის სასწავლო ოლქს. „1903 წლისათვის ქუთაისის სომხურ-გრიგორიანულ ვაჟთა სკოლაში 34 მოსწავლე იყო.“ [12, გვ.135]

XIX საუკუნის ბოლოსათვის სწავლა-განათლების მიღების ინტერესი ნელ-ნელა ქართველ ებრაელთა შორისაც იღვიძებდა. ებრაულ სინაგოგასთან ქუთაისში სამი სამრევლო სკოლა არსებობდა. ეს სკოლები ჩვეულებრივი დაწყებითი სკოლების პროგრამით მუშაობდნენ, მხოლოდ საღვთო სჯულის ნაცვლად იუდაიზმი ისწავლებოდა. მათში მოსწავლეთა რაოდენობა ძალზედ მცირე იყო. თითოეულ სკოლაში 3-4 მოსწავლე სწავლობდა.

საქართველოს მოსახლეობის დაბალ ფენებში სამრევლო სკოლებს ოდითგან უპირატესობა ენიჭებოდათ, რადგან ისინი სახელმწიფო სკოლებთან შედარებით იაფი და მოკლევადიანი იყო და რაც ყველაზე მთავარია, აქ საგნებსაც, თავდაპირველად, მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ.

„XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა ქართულ სამრევლო სკოლებსაც შეეხო, რადგანაც ანტიქართული პოლიტიკის მიხედვით, სახელმწიფო სკოლებში დიდი ხნის გაუქმებული იყო ქართულ ენაზე სწავლება და ჯერი ამჟამად საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებზე უნდა მიმდგარიყო. აღნიშნული პოლიტიკის გამავრცელებლად საქართველოს მოევლინა წმინდა სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი, მან 1884 წლის 13 ივნისს შეიმუშავა ახალი წესდება, რომლითაც მკაცრად იკრძალებოდა ქართული ენის გამოყენება საეკლესიო სასწავლებლებში.“ [182, გვ. 60]

ქართული ენის დევნა საეკლესიო სამრევლო სკოლებში უფრო დიდი მაშტაბით მიმდინარეობდა. ეს ფაქტი აშკარა იქნება თუ ჩვენ დავაკვირდებით ქართული ენისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობის შეფარდებას რუსული ენის საათებთან. მაგალითისათვის: „1879-82 წლებში, როდესაც რუსიფიკაციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული სათანადო მაშტაბები სამრევლო სკოლების ყოველ კლასში მშობლიურ ენას ეთმობოდა ორი კვირეული საათი, მაშინ როდესაც რუსული ენისათვის ექვსი, ხოლო მართლწერისათვის ოთხი საათი იყო გამოყოფილი“. [157, ფურც. 2]

ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება საგრძნობ დახმარებას უწევდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რამდენადაც 1885 წლის დებულებით ამ სკოლებში მშობლიური ენა არათუ ისწავლებოდა, არამედ პირველი ორი წლის განმავლობაში საგნების სწავლებაც ამ ენაზე მიმდინარეობდა. „1897 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურის თედო ჟორდანიას მომართვა 37 სამრევლო სკოლისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: სამეგრელოს სამრევლო სკოლებს გაეგზავნოს 150 მან-ის „დედა ენა“ და აგრეთვე გაითვალისწინონ ხეთისა და ახუთის სკოლების საჭიროება. 1898 წელს თ. ჟორდანიას თხოვნით სამეგრელოს სამრეწველო სკოლებს გაეგზავნა 100 მანეთის წიგნები და რვეულები. ამავე წელს აფხაზეთში სოფ. ნიკოლაევსკოეს სამრევლო სკოლას აქვსენტი სახოკიას თხოვნით გაეგზავნა 30 ც. „დედა ენა“, 30 ც. „რუსკოე სლოვო“ და სხვა სასწავლო ნივთები.“ [180, გვ.49]

ესტატე შუშანიას თბილისის სემინარია ჰქონდა დასრულებული. 1893 წლიდან მან თავის სოფ. ხეთაში მოაწყო კერძო სამრევლო სკოლა, რომელმაც მალე მთელ სამეგრელოში მოიხვეჭა სახელი და უშორესი სოფლებიდანაც კი მოჰყავდათ მშობლებს ბავშვები „ესტატეს“ სკოლაში. ,,ესტატეს სკოლაში“ სწავლება მაღალ დონეზე მიმდინარეობდა. გაზეთ ,,კვალის“ რედაქტორის, ანასტასია თუმანიშვილის სიტყვებით: ,,ეს სკოლა ყოველმხრივ სასურველ წარმატებაში შევიდა. აქ სათანადოდ არის დაყენებული ქართული და რუსული ენის სწავლება, რაც დაამტკიცა შეგირდთა წლიურმა გამოცდამ. ეს სკოლა ღირსია ჩვენი საზოგადოების დახმარებისა და თანაგრძნობისა. მასწავლებელი ე.შუშანია დაუღალავად ზრუნავს იმაზე, რომ ახალგაზრდობას შეასწავლოს დედა ენა. მან გახსნა აგრეთვე საკვირაო სკოლა და დასვენების დღეს მოზრდილთა სწავლას ანდომებს.“ [51]

აქ შესანიშნავად იყო დაყენებული ყველა საგნის სწავლება, მათ შორის ქართული და რუსული ენების, როგორც ეს აღნიშნულია ოფიციალურ საბუთებში და კერძო პირების მიერ. პირველი დახმარება ამ სკოლას წ.-კ. საზოგადოებამ 1893 წელს აღმოუჩინა. 1895 წლის 26 სექტემბერს გამგეობას დაუდგენია: „სამსონ ყიფიანის მოხსენების თანახმად, (რომელსაც დავალებული ჰქონდა ხეთის სამრევლო სკოლის შესწავლა), დაენიშნოს მის გამგეს ესტატე შუშანიას წლიურად 120 მან. და გაუწიოს სასწავლო ნივთებით დახმარება.“ [180, გვ. 50]. ესტატე შუშანიას სამრევლო სკოლა

,,ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გეგმით ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმინაობას.

საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების ცოტა თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმით აიხსნებოდა, რომ ამ ტიპის სკოლები უშუალოდ ეპარქიის ხელმძღვანელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა, რომელიც სკოლას შერჩეული საეპარქიო საბჭოს წევრებისა და სკოლათა მეთვალყურის მეშვეობით მართავდა. ყველა ამათი ინტერესი კი მოითხოვდა ქართული ენის დაცვას სამრევლო-საეკლესიო სკოლებში.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელიც 1902 წელს მოხდა. ცნობილი დეკანოზ ვოსტორგოვის ხელმძღვანელობით საერო და სასულიერო სამოსწავლო უწყებაში შეთანხმდნენ და საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის შეიმუშავეს ახალი პროგრამა, რომლითაც აღნიშნული სკოლებიდან თითქმის სავსებით იდევნებოდა ქართული ენა სამინისტროს სკოლების მსგავსად, ხოლო სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან, როგორც ვითომდა არაქართული რაიონიდან, უნდა განდევნილიყო ქართული ენა და მისი ადგილი დაეკავებია მეგრულ ენას. ეს იყო ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის ერთ-ერთი გეგმა-მიზანი, მაგრამ ქართველი ხალხის ნაციონალური ინტერესების შეგნების დონემ და მოახლოებულმა რევოლუციამ, ცარიზმის ეს განზრახვა საბოლოოდ ჩაახშო. სამეგრელოს მთელმა მოსახლეობამ პროტესტი განაცხადა მთავრობის განზრახვის წინააღმდეგ-განდევნილი ყოფილიყო სამეგრელოს სკოლებიდან მისი მშობლიური ქართული ენა. ამგვარად სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენა დარჩა რეაქციის წლებშიც და ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება შეძლების მიხედვით ხელს უწყობდა ამ სკოლებში ქართული ენის განმტკიცებას.

აღსანიშნავია, რომ სასულიერო განათლების ერთ-ერთ უდიდეს კერას საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში შეადგენდა სასულიერო სასწავლებლები. ამ მხრივ აღსანიშნავია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც თავის არსებობას 1821 წლის თებერვლიდან ითვლის. ამ სასწავლებლის არსებობის წლები არ ყოფილა მარტივი, მან ბევრი არაკეთილგანმწყობილი ზედამხედველი გამოიცვალა. მაგალითად, „1853 წელს სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა გიორგი ხელიძე, რომლის დროსაც სასწავლებელში განსაკუთრებით გავრცელდა უდისციპლინობა და მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა. ის სუსტი ხელმძღვანელი აღმოჩნდა და ცდილობდა, მოსწავლეთა ფიზიკური დასჯით დაეფარა საკუთარი ნაკლი.“ [133, ფურც. 2-15], ღირსეული ზედამხედველებიც ჰყავდა სასწავლებელს, მაგრამ უფრო ხშირად მის სათავეობას ხელში მექრთამეები და მძარცველები იგდებდნენ.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კარგა ხანს იყო არასასურველი ატმოსფერო, მაგრამ მას შემდეგ რაც ეპარქიას სათავეში ჩაუდგა გაბრიელ ეპისკოპოსი, მდგომარეობა სასულიერო სასწავლებელში გამოკეთდა. მისი მხარდაჭერით და თაოსნობით 1863 წელს თანამდებობიდან განთავისუფლებული იქნა გიორგი ხელიძე და მის ადგილას დაინიშნა გერასიმე კალანდარიშვილი, რომელიც იყო კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული. რომელიც ნამდვილად ცდილობდა, რომ სასწავლებლისათვის ბევრი კარგი გაეკეთებინა. ამ პერიოდში ყურადღება მიექცა ქართული ენის მაღალ დონეზე შესწავლას და მთავარ მოთხოვნად რუსული მასწავლებლებისათვის ქართული ენის აუცილებელი დონის ცოდნა იყო.

სასულიერო სასწავლებელი ემორჩილებოდა საქართველოს ეგზარქატს და მისი მეშვეობით უწმინდეს სინოდს. იგი ოთხკლასიანი სასწავლო დაწესებულება იყო,

სწავლების ოთხწლიანი კურსით. აღსანიშნავია, რომ „ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან არსებობდა ერთწლიანი მოსამზადებელი განყოფილება, რომელიც 1868-69 წლებში დაარსდა. 1872 წლისათვის მოსამზადებელი განყოფილება ორწლიანი გახდა, ხოლო 1873 წლისათვის სამწლიანად გადაკეთდა. ფაქტია, რომ მოსამზადებელი განყოფილება ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო ვიდრე კლასები, წლების განმავლობაში მრავალ მოსწავლეს ეთქვა უარი მიღებაზე უადგილობის გამო.“ [4, გვ.173].

გაბრიელ ეპისკოპოსთან დაკავშირებულია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში 1891 წელს „წმინდა დავით აღმაშენებლის ძმობის“ შექმნა. ის ძირითადად მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო-საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა. თავად დიდი მეფის სახელი მოსწავლეებს ეროვნული ტრადიციებისადმი მიდრეკილს ხდიდა, ქართველობას შეახსენებდა და მომავლისადმი იმედიანად განაწყობდა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საგაკვეთილო საგნებს შეადგენდა: „საღმრთო ისტორია ძველი აღთქმისა, საღმრთო ისტორია ახალი აღთქმისა, ვრცელი კატეხიზმო, ღვთისმსახურებისა და საეკლესიო წესდების შესწავლა, რუსული ენა, ბერძნული ენა, ლათინური ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ქართული ენა, საეკლესიო გალობა, რუსული და ქართული მართლწერა.“ [134, ფურც. 16]. სასწავლებელი განსაკუთრებით განიცდიდა მასწავლებელთა სიმცირეს ძველ ენებში. ამას თან ერთვოდა მრავალმოწაფიანობა, სიღარიბე და მოსწავლეთა საცოდავი მდგომარეობა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი მოსწავლეთა მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი სასწავლებელი იყო სასულიერო სასწავლებელთა შორის საქართველოში. „1892 წელს აქ სწავლობდა 551 მოსწავლე, 1893 წელს 596, 1894 წელს-623, 1895 წელს 619, 1896 წელს- 617, 1897 წელს - 634, 1898 წელს-619, 1900 წელს-557, 1901 წელს- 550, 1903 წელს-575, 1905 წელს -207, 1907 წელს- 274, 1908 წელს-209, 1909 წელს 220, 1911 წელს-262, 1912 წელს- 262, 1913 წელს კი-288 მოსწავლე.“ [72, გვ. 544, ცხრ. 2-3].

1893-94 სასწავლო წლისათვის სასწავლებელში კვირეული დატვირთვა ცალკეული საგნების მიხედვით ასე გამოიყურებოდა: „საღვთო სჯულს მოსამზადებელ კლასებში დათმობილი ჰქონდა კვირაში 6 გაკვეთილი, რუსულ ენას უმცროს და უფროს მოსამზადებელ განყოფილებაში-20, რუსულს და საეკლესიო სლავურს პირველ კლასში -16, ლათინურ ენას მეორე კლასში-12, მესამე-მეოთხე კლასებში-18, ქართულ ენას უმცროს და უფროს განყოფილებაში დათმობილი ჰქონდა 16 გაკვეთილი, პირველ კლასში-12, მესამე-მეოთხე და მეორე კლასებში-12 გაკვეთილი კვირაში, გეოგრაფიას-7 გაკვეთილი, ქართულ საეკლესიო გალობას-ყველა კლასში 12 გაკვეთილი.“ [4, გვ. 180-181].

XX საუკუნის დასაწყისში ეროვნულ-გამათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის დაწყებამ თავისი წვლილი შეიტანა სასწავლებლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში. განსაკუთრებით გაძლიერდა მოსწავლეთა საგაფიცვო გამოსვლები რუსული მმართველობის წინააღმდეგ. „1905 წლის 25-27 იანვარს მოსწავლეთა დიდ გამოსვლას ჰქონდა ადგილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში“ [158, ფურც. 44]. ამის გამო მოსწავლეთა დიდი ნაწილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან დაითხოვეს, ხოლო გარიცხეს 22 მოსწავლე, რომელთაც გამოსვლების ხელმძღვანელობა ბრალდებოდათ.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა მრავალრიცხოვანი კადრი გაუზარდა საქართველოს. მათ შორის იყვნენ: გიორგი იოსელიანი (წყალტუბოელი), ლუარსაბ

ბოცვაძე, სამსონ ყიფიანი, გალაქტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე და მრავალი სხვა. ისინი შემდეგ ასწავლიდნენ ახალგაზრდებს, არა მარტო როგორც სასულიერო პირები, არამედ როგორც პედაგოგებიც და მათი განათლების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენის სასწავლო სისტემაში დაბრუნებისა და მტკიცედ დანერგვაში. აქ, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების გაძლიერების მიზნით, პირველად, რუსი ეროვნების მასწავლებლებს მოეთხოვათ შეესწალათ ქართული ენა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა ხელი შეუწყო თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდობას და ის მათთვის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად იქცა საქართველში.

XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ წარუდგინა ეგზარქოსი ოანეს შუამდგომლობა ქუთაისში სასემინარო (რიტორიკის) კლასების გახსნის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას ათწლეულები დასჭირდა ამ საქმის აღსასრულებლად.

იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1872 წელს წმინდა სინოდის წინაშე აღძრა საკითხი ქუთაისის სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე. ეს თხოვნა შემდეგნაირად იყო დასაბუთებული: დასავლეთ საქართველოს სამეპარქიას, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმისას ვერ აკმაყოფილებდა თბილისის სასულიერო სემინარია. 1894 წლის 24 მარტს საქართველოს ეგზარქოსმა კიდევ ერთხელ შეახსენა უწმინდეს სინოდს გაბრიელ ეპისკოპოსის განცხადების შესახებ, და სწორედ ამიტომ „სინოდის 1894 წლის 19 ივნისის ბრძანებულებით განწესდა: 1. გაიხსნას ქუთაისში სასულიერო სემინარია; 2. სემინარიის ოლქი განისაზღვროს დასავლეთ საქართველოს სამი სასულიერო სასწავლებელი (ქუთაისის, სამეგრელოსა და ოზურგეთის სასწავლებლებით); 3. სემინარია გაიხსნას 1894-1895 სასწავლო წელს, დაკომპლექტდეს მისი პირველი კლასი ქუთაისის, სამეგრელოსა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულებისაგან, საკონკურსო გამოცდების წესით; 4. თითოეული კლასის მოსწავლეთა რიცხი არ უნდა ჭარბობდეს 40-ს, რომელთაგან 20 სარგებლობს სტიპენდიით, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს საეკლესიო ხაზინიდან; 5. სასწავლო საგნების კურსში შეტანილ იქნას ცვლილებები: შემოღებულ იქნას საქართველოს ეკლესიის ისტორია, როგორც განსაკუთრებული საგანი, ლათინური ენის ნაცვლად იქნას ბერძნული ენა; 6. მიეცეს სემინარიის ყველა თანამშრომელს უფლება-უპირატესობა, რომელიც დამტკიცებულია 1884 წლის 22 აგვისტოს სასულიერო სემინარიის წესდებით; 7. საქართველოს ეგზარქოსის მიერ მიღებულ იქნას საჭირო ზომები სემინარიის შენახვისა და მისთვის საკუთარი შენობის ასაგებად, რომელსაც ექნება საერთო საცხოვრებელი, დაახლოებით 240 მოსწავლისათვის; 8. დაევალოს სინოდის სამეურნეო სამმართველოს გადასცეს საქართველოს ეგზარქატის სამეურნეო განყოფილებას 1000 მანეთი სემინარიის პირველი კლასისა და რექტორის ბინის დასაქირავებლად, 500 მანეთი - საკლასო, საბიბლიოთეკო მოწყობილობისა და ავეჯისათვის და 500 მანეთი- სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების შესაძენად. სულ 2000 მანეთი“ [129, ფურც. 1-2]. 1894 წლის 18 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ინიციატივითა და თაოსნობით გაიხსნა ქუთაისში სასულიერო სემინარია.

როგორც ავღნიშნეთ სემინარიის მოსწავლეთა კონტიგენტი უნდა შეედგინა ქუთაისის, ოზურგეთისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. მათი ჩარიცხვა ხდებოდა საკონკურსო გამოცდების გზით. პირველ წელს პირველ კლასში ჩაირიცხა 50 მოსწავლე. სემინარიაში პირველ კლასში მისაღები ასაკი მოსწავლეებისათვის მკაცრად იყო განსაზღვრული. ის აუცილებლად 13

წლის უნდა ყოფილიყო. თუ რამდენიმე თვით იქნებოდა უფროსი, მაშინ სინოდს უნდა გადაეწყვიტა მისი მიღება-არმიღების საკითხი.

სწავლის ხანგრძლივობა 6 წლიანი იყო. აქედან ოთხი კლასი საშუალო განათლებას აძლევდა მოსწავლეებს. „მე-5 და მე-6 კლასებში კი საღვთისმეტყველო სპეციალურ განათლებას ღებულობდნენ" [2, გვ.7]. მეხუთე კლასი გაიხსნა 1899 წლის 1 სექტემბერს, სადაც სასწავლო გეგმის მიხედვით დაიწყო პედაგოგიკის სწავლება. საჭირო გახდა ასევე სანიმუშო სკოლის გახსნაც. აღსანიშნავია, რომ 1900 წლისათვის სემინარიას უკვე დასრულებული ექვსკლასიანი სახე ჰქონდა.

1899 წლიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიასთან გაიხსნა ე.წ. სანიმუშო სკოლა. სკოლაში პრაქტიკას გადიოდნენ IV, V და VI კლასის მოსწავლეები. მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო საგნობრივი გამოცდის ჩაბარება და სამი საცდელი გაკვეთილის ჩატარებაც.

სემინარიაში ყოველი მეოთხედის ბოლოს დაწესებულ გამოცდებს საგნის მასწავლებლები იბარებდნენ. წლის ბოლოს კი წლიური გამოცდა ტარდებოდა, რომელსაც საგამოცდო კომისია იბარებდა. სასულიერო სემინარიაში, წლიური გამოცდების შედეგების მიხედვით, მოსწავლეს ენიჭებოდა თანრიგები. სულ სამი სახის თანრიგი იყო და ყველა თანრიგს შეფასების თავისებური კრიტერიუმები ჰქონდა. სემინარიას ვინც პირველი თანრიგით დაამთავრებდა მას ენიჭებოდა „სტუდენტის" სახელწოდება და ისინი ღებულობდნენ „ატესტატს", ხოლო მეორე თანრიგით დასრულებულს კი „მოწმობას" აძლევდნენ. მაგრამ ყოფილა შემთხვევა როდესაც სემინარიის გამოშვების დროს მოსწავლეებს დაესრულებინოთ მეორე თანრიგით, მაგრამ ეთხოვოთ გამოცდების გადაბარება. ასეთი რამ მომხდარა სემინარიის პირველი გამოშვების დროს 1900 წელს. როდესაც „სემინარიის 29 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 4-მა მიიღო მეორე თანრიგი, მაგრამ მათაც თხოვნით მიმართეს საქართველოს ეგზარქოსს განმეორებით დაეშვათ გამოცდებზე, რათა მიეღოთ პირველი თანრიგი, ე.ი. „ატესტატი". ნებართვის შემდეგ ჩატარდა გამოცდები და ეს ოთხი მოსწავლეც პირველი თანრიგის მფლობელები გახდნენ". [132, ფურც. 7].

თავდაპირველად სასულიერო სემინარიაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღვთო წერილი, რუსული სიტყვიერება, ლათინური ენა, სამოქალაქო ისტორია, მათემატიკა, ქართული ენა, სლავური გალობა, ქართული გალობა, კვირაში სულ 58 საათი.

ამ საგნებიდან ყველაზე დაჩაგრული ქართული ენა იყო, საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ „ქართულ ენას სემინარიის პირველ კლასში კვირაში დათმობილი ჰქონდა მხოლოდ 2 საათი (ოთხშაბათს და პარასკევს), რუსულ ენას კი კვირაში 5 საათი ქონდა დათმობილი და ის ყოველ დღეს ისწავლებოდა." [131, ფურც. 9]. ხოლო „მეორე კლასში რუსულ ენას დათმობილი ჰქონდა კვირაში 6 საათი, ქართულს კვირაში - 2 საათი, ლათინური კი ჯერ არ ისწავლებოდა, რაც შეეხება მესამე კლასს, აქაც ქართულისა და რუსულის საათობრივი დატვირთვა იგივეა, უბრალდ ემატება ლათინური ენა კვირაში 5 საათით. მეოთხე კლასშიდაც იგივეა ქართულისა და რუსულის საათობრივი ბადე, განსხვავებით ლათინურისა, რომელსაც ხუთი საათის მაგივრად ოთხი საათი აქვს კვირაში." [130, ფურც. 12].

თავისი არსებობის ათი წლის განმავლობაში სასულიერო სემინარიაში მრავალი პედაგოგი მოღვაწეობდა. აღსანიშნავია, რომ სემინარიის პირველი რექტორი და მასწავლებელი იყო დიმიტრი სპეროვსკი. სასულიერო სემინარიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს პედაგოგიური კადრების მომზადება წარმოადგენდა.

XX საუკუნის დასაწყისში სემინარიაში ფართო გაქანება მიიღო რევოლუციურმა მოძრაობამ, რომელსაც არც ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები არ ჩამორჩენილან. მაგრამ როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, სემინარიის მოსწავლეებს აჰყვა ავანტიურისტი ადამიანებიც და ზოგჯერ მათი ქმედება უკონტროლო ხდებოდა და ხშირი იყო სამარცხვინო შედეგები. მაგალითისათვის, სემინარიიდან გარიცხეს მოსწავლე ვარლამ ბაქრაძე, რომელმაც შეურაცხყო სემინარიის ეკლესია, ეკლესიის ტრაპეზი და ხატები. სწორედ ეს ფაქტი გახდა საბოლოოდ საბაბი ქუთაისის სასულიერო სემინარიის დახურვისა, თუმცა მას წინ უძღოდა სხვა მრავალი ხელისშემწყობი ფაქტორიც. „მაგრამ თითქმის 12 წლის „შესვენების“ შემდეგ, 1916 წელს, ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტმა პიტირიმმა ქუთაისის სასულიერო სემინარიის განახლება სცადა.“ [72, გვ. 470]. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ქუთაისში სასულიერო სემინარიის არსებობას დიდი დღე მაინც არ ეწერა. ერთ წელიწადში, 1917 წელს, სასულიერო სემინარიამ თავისი არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა, მაგრამ XX საუკუნის მიწურულს 1995 წ. უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით გაიხსნა სასულიერო სემინარია (ბრძანება № 137), რომელიც მისი დამაარსებლის-გაბრიელ ეპისკოპოსის, სახელს ატარებს. მისი პირველი რექტორი გახსნის დღიდან 2010 წლამდე იყო მაღალყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), მისი მეორე რექტორი იყო დეკანოზი მიქაელ გალდავა (ფილოლოგი) 2010-2014 წლები და 2014 წლიდან დღემდე- დეკანოზი ირაკლი აბაშიძე (ეკონომისტი). [190].

წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი ქალთა პირველი სკოლა იყო ქუთაისში. მისი დაფუძნება უკავშირდება თბილისში 1846 წელს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების (რომელიც წმინდა ნინოს სახელს ატარებდა) შექმნას. ამ საზოგადოებამ ჯერ თბილისში და შემდეგ ქუთაისში წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი დააარსა.

1847 წლის 14 მაისს, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ძალისხმევით, რომლის თავმჯდომარედ იმ პერიოდში ელისაბედ ვორონცოვა იყო და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის უშუალო ნებართვით, ქუთაისში დაარსდა რიგით პირველი ქალთა სასწავლებელი. მისი მიზანი იყო ქალის, როგორც კარგი ცოლის და კარგი ოჯახის დედის აღზრდა. ქალთა სასწავლებელი თავდაპირველად გაიხსნა ორგანყოფილებიანი-ერთი კლასით, კერძო შემოწირულებების ხარჯზე. მისი კონტინგენტი 15-ს არ აღემატებოდა.“ ელემენტარულ კურსზე ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული და ქართული ენები, კალიგრაფია და სუფთა წერა. შემდეგ წლებში დაემატა ისტორია და გეოგრაფია“ [138, ფურც. 1-2]. სასწავ-ლებლის პირველი წესდება დროებით, ორი წლის ვადით, მიღებული და დამტკიცე-ბული იქნა 1846 წელს. საზოგადოების მთავარი მიზანი იყო, დაეარსებინა სასწავლებე-ლი ღარიბ მშობელთა ქალიშვილების აღსაზრდელად და აუცილებელი ცოდნის მისაღე-ბად. მაგრამ 1860 წელს დამტკიცდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ახალი წესდება, რომელიც განსხვავებით 1846 წლის წესდებიდან პრივილეგიებს ანიჭებდა ადგილობრივ თავადაზნაურთა შვილებს. აი რა ეწერა წესდებაში: „წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება თბილისში მიზნად ისახავს, ამიერკავკასიის ქალაქებში დააარსოს სასწავლებლები, საშუალებათა და არსებული მოთხოვნილებების შესაბამისად, ღარიბ მშობელთა ქალიშვილების

აღსაზრდელად და აუცილებელი ცოდნის მისაღებად უპირატესად ადგილობრივ თავადაზნაურთაგან“ . [4, გვ. 190].

დაარსების პირველ წლებში მოსწავლეთა კონტინგენტი ძლიერ მცირე იყო, ხუთი წლის თავზე მხოლოდ 32 მოსწავლე ირიცხებოდა. „სასწავლებელი ძირითადად შემოწირულობებით ფინანსდებოდა. ამდენად თავიდან სწავლება უფასო იყო. იგი ფასიანი (50-60 მანეთი წლიურად) გახდა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთების შემდეგ. ეს კი 1878 წელს განხორციელდა.“ [155, ფურც. 39].

წმინდა ნინოს სასწავლებელთა სასწავლო გეგმებში პირველ ხანებში შედიოდა: საღვთო სჯული, არითმეტიკა, რუსული ენა გრამატიკით, ქართული და სომხური ენები (მსურველთათვის), გეოგრაფია, ისტორია (საყოველთაო და რუსული), სუფთა წერა, გალობა, ცეკვები. მაგრამ მას შემდეგ რაც სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა მას თან მოჰყვა სავალდებულო საგნების ნუსხაც, რომელიც ასე გამოიყურებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, არითმეტიკა, კალიგრაფია, გეოგრაფია, ისტორია, ფიზიკა, პედაგოგიკა, ბუნების მეტყველება, კანონმცოდნეობა, გერმანული და ფრანგული ენები, ტანვარჯიში, გალობა, ცეკვა (გალობა და ცეკვა სავალდებულო საგნად ითვლებოდა), ხელგარჯილობა, ჭრა-კერვა, ქარგვა, ხაზვა და ხატვა.

სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც ხელისშემშლელი ფაქტორი იყო სასწავლო პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი საზოგადოება არ იყო კმაყოფილი წმინდა ნინოს სასწავლებლის საქმიანობით, მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგი სასწავლო-მატერიალური ბაზა ჰქონდათ. ამ ტიპის სასწავლებელთა უნაყოფობის მიზეზი ის იყო, რომ სწავლა-აღზრდა არ იყო დაფუძნებული ეროვნულ საწყისებზე და მათ რუსული მიმართულება ჰქონდათ. რუსულ ენას სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი.

აღსანიშნავია, რომ „1871 წლისათვის სასწავლებელი უკვე ოთხკლასიანი იყო, 1878-1881 წლებში კი სასწავლებელს დაემატა ახალი კლასები-მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, ხოლო 1881 წლისათვის კი მერვე კლასიც გაიხსნა. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა 1913-1914 წლებში ისწავლებოდა რუსული ენის მეთოდიკა, კერძოდ კომენსკის „დიდაქტიკა“, „ემილი“, „ლინერდი და გერტრუდა“ და ა.შ.როგორც ვიცით მოსწავლეები პედაგოგიკის კურსსაც გადიოდნენ „ [137, ფურც.63-65].

„ქალთა გიმნაზიების დებულების“ მიხედვით, არსებობდა ორი უწყების ქალთა გიმნაზიები: სამინისტროს და დედოფალ მარიამის სახელობის. სასწავლო გეგმებით და პროგრამებით ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ქალთა გიმნაზიებს ჰქონდათ შვიდწლიანი ძირითადი კურსი და მერვე დამატებითი (პედაგოგიური) კლასი. კურსდამთავრებულებს საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ ჰქონდათ. „1881 წლის სექტემბრიდან როგორც ავღნიშნეთ გაიხსნა პედაგოგიური კლასი ორი სპეციალობით: რუსული ენა და მათემატიკა. რომელთაგან მოსწავლეს ერთ-ერთი უნდა აერჩია და ამასთანავე მე-7 კლასში არჩეულ საგანში არ უნდა ჰქონოდა ნიშანი „4“-ზე ნაკლები. კურსდამთავრებულებს კი ენიჭებოდათ შინადამრიგებლის ან შინამასწავლებლის წოდება.“ [4, გვ. 195].

როგორც ავღნიშნეთ „1889 წლის 27 მარტიდან გიმნაზიას წმინდა ნინოს სახელი მიაკუთვნეს. სწავლება 12 წლიანი კურსით, ოთხი დაწყებითი განყოფილებით და რვა ძირითადი კლასით. გიმნაზიას ჰქონდა საანბანო განყოფილება, უმცროსი მოსამზადე-ბელი კლასი, ძირითადი მოსამზადებლი კლასი და ძირითადი და პარალელური

(მეორე) კლასები-პირველიდან მერვე კლასების ჩათვლით“. [139, ფურც. 1-40]. რაც შეეხება გამოცდებს, როგორც ლ. გაბუნიას ნაშრომიდან ირკვევა: „სასწავლებელში სწავლის დასაწყებად საჭირო იყო მოსწავლეებს ჩაებარებინათ მისაღები გამოცდები, რომელიც ყოველთვის აგვისტოში ტარდებოდა. გამოცდები სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ტარდებოდა-დეკემბერში და ივნისში და მას კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები ეწოდებოდა, რომლის ჩატარების შემდეგ მოსწავლეებს ეძლეობათ მოწმობა.“ [12, გვ. 85] გამოცდების რაოდენობა კი კლასების რაოდენობასთან ერთად იზრდებოდა, მაგალითად თუ მე-4 კლასში მოსწავლეებს ჩასაბარებელი ჰქონდათ 6-8 გამოცდა, მე-8 კლასში კი 10 გამოცდა იყო ჩასაბარებელი.

მოსწავლეების დასაჯილდოვებლად კი იყენებდნენ პირველი და მეორე ხარისხის ჯილდოს, ოქროსა და ვერცხლის კვერს. ხოლო მასწავლებლებს კი აჯილდოვებდნენ ვერცხლის მედლითა და ალექსანდრეს ლენტით.

რაც შეეხება სასწავლებლის ფორმას, ის მკაცრად იყო განსაზღვრული, „ეს იყო ლურჯი კაბა კლასიკური თეთრი საყელოთი და სამაჯეებით, შავი წინსაფრითა და ასევე შავი ბაბთით“ [28, გვ. 22]. აღსანიშნავია ის, რომ გიმნაზიაში ყოველდღიურად ტარდებოდა დილის და საღამოს ლოცვები. კვირაში ორჯერ კი უტარდებოდათ საღვთო სჯულის გაკვეთილი, რომელიც სავალდებული საგნად ითვლებოდა.

სასწავლებელი თავიდანვე დაკომპლექტებული იყო რუსი ეროვნების განათლებული პროფესიონალებით, მაგრამ მათ შორის იყვნენ უკიდურესად ქართველთმოძულე ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ეროვნული სულის ჩასახშობად. როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს: „მათ უნდა აღეზარდათ გონიერი დედანი, მოქმედნი პირნი საზოგადო ასპარეზზედ, მაგრამ ყველა ეს მოლოდინი ფუჭი დარჩა .... ეს სასწავლებელი ზრდიდნენ და ზრდიან არა ნამდვილ გონიერ ქართველ დედებსა, არამედ დამახინჯებულ რუსინკებსა, რომელთაც არც ქართული იციან ხეირიანად და არც რუსული“ [32, გვ. 269].

ყურადღება მისაქცევია ჟურნალ „განათლების“ 1912 წლის შინაური მიმოხილვაში მოყვანილი ამბავი: ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლიდან დაუთხოვიათ მრავალი ქართველი აღმზრდელი და მასწავლებელი, მათ შორის ყოფილა თეოდოსია კორძაიას ასულიც, რომელზეც იწერებოდა, რომ „... განსაკუთრებით თეოდია კორძაიას ასულს მოექცნენ უსამართლოდ. ოცდაშვიდი წელიწადია ეს ადამიანი თავს დასტრიალებს ამ სასწავლებელს. აქ შეისწავლა ანბანი და იმავე დღიდან აღარ მოშორებია მას... იგი სასწავლებლის უფროს ქალის თანაშემწედ ითვლებოდა.... ოცდაშვიდი წელიწადია თეოდოსია კორძაიას ასული ძიძა იყო ამ სასწავლებლისა, მისი პატრონი, ერთგული, სამართლიანი, ბეჯითი აღმზრდელი ქალებისა, მათი დედა...“- წერს ავტორი შინაურ მიმოხილვაში. [85, გვ. 306-307]. როგორც სტატიიდან ირკვევა ეს დევნის ფაქტი ქართველი მასწავლებლების მიმართ პირველი არ ყოფილა, მხოლოდ ყველა ქართველი მასწავლებლის ერთბაშად დათხოვნას ვერ ახერხებდნენ, რადგან ამას უსათუოდ უნდა ჰქონოდა სერიოზული მიზეზი. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში კი მიზეზად დაიდეს ერთ-ერთი პედაგოგის კ. ღოღობერიძის (სამოცდაათი წლის მოხუცის) თვითმკვლე-ლობის ფაქტი.

აღნიშნული სასწავლებელი დაარსებიდან (1847 წლიდან) ქალთა სასწავლებლად იწოდებოდა, 1878 წლიდან - ქალთა გიმნაზიად, 1889 წლიდან- წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიად, ხოლო 1921 წლიდან- მესამე ჰუმანიტარულ ტექნიკუმად, 1924 წლიდან- ცენტრალურ საჩვენებელ სკოლად, 1995 წლიდან

სასწავლებელი ისევ წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიად იწოდებოდა, დღესდღეობით კი ის ქუთაისის N3 საჯარო სკოლაა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, კერძოდ იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მოკლებულნი იყვნენ რიგიან საერო და სასულიერო განათლებას, რომელიც ეროვნულ პრინციპებზე იქნებოდა დამყარებული. მიუხედვად სასკოლო ქსელის სიმცირისა, ქალთა განათლებისა და სრულყოფილად აღზრდის საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. ამ კუთხით აღსანიშნავია გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში მემამულე სტრუიცკის ბალახვანში ჰქონდა კარგა მოზრდილი მიწის ნაკვეთი, ორსართულიანი სახლითა და ეკლესიით. თავისი ქონება მან „1888 წელს უანდერძა სასულიერო უწყებას“. [127, ფურც. 1] გაბრიელ ეპისკოპოსმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ეცადა, რომ მის ბაზაზე გაეხსნა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი. 1889 წელს სინოდმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა, რადგანაც ამ სასწავლებლის მიზანს შეადგენდა „მტკიცე მართმადიდებელ ქრისტიან ქალთა აღზრდა, რომლებიც მართლმორწმუნეობით უნდა ემსახურონ ეკლესიას და ოჯახს“ [50, გვ. 405]. შესაბამისად ასეთი მაგალითი ხელისშემწყობი პირობა აღმოჩნდა იმისა რომ ნებართვა მიეღო.

გაბრიელ ეპისკოპოსმა სასწავლებლის შენობის შეკეთებას, გაფართოვებასა და მასში სამეცადინო ოთახების მოწყობას შესწირა 10 000 მანეთი.

აღსანიშნავია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი ქალთა მიერ სასულიერო განათლების მიღებით დიდად იყო დაინტერესებული. იგი ქადაგებებში არა ერთხელ შეხებია ამ საკითხს. კერძოდ, ის ერთ-ერთ ქადაგებაში ამბობდა: „ეს აუცილებელია, რათა ღმერთმან ინებოს და ქალთა ჩვენთა არასოდეს დაჰკარგოს ზოგიერთი ფრიად საქებარნი და საყვარელნი თვისებანი ... შეაერთონ ისინი ახალსა განათლებასა და სწავლებასთანა“ [71, გვ. 127-128].

1889 წელს შეიქმნა ეპარქიული სასწავლებლის გახსნის კომიტეტი, გაბრიელ ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ მცხეთის დედათა სასწავლებლის მსგავსად არ იყო საშუალება თავიდანვე სრული სასწავლებელი გაეხსნათ [50, გვ. 406], ამიტომ კომიტეტი შეუდგა მზადებას უფრო მცირე, სამკლასიანი სასწავლებლის გასახსნელად, ერთი მოსამზადებელი კლასით. ეს პროცესი თითქმის ორ წელიწადს (1890-1892) გაგრძელდა. „საფუძვლიანი მზადების შემდეგ ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი სამწლიანი სასწავლო პროგრამით გაიხსნა 1892 წელს. პირველ სასწავლო წელს ფუნქციონირებდა მხოლოდ მოსამზადებელი განყოფილება. 1892-1893 სასწავლო წლისათვის უკვე მზად იყო 7 საკლასო ოთახი, საგამოცდო კომისია და ადმინისტრაცია. გამოცდების ჩატარების შემდეგ მაღალ მოსამზადებელ კლასში 13 გოგონა ჩაირიცხა, დაბალ მოსამზადებელ კლასში კი-20. სულ სასწავლებელში მიიღეს 42 მოსწავლე გოგონა. მათ შორის ძირითადი ნაწილი სასულიერო უწყებიდან იყო-სულ 38, დანარჩენი 4 მოსწავლე მოსამსახურეთა შვილები იყვნენ.“[128, ფურც. 3-5], ხოლო „1896-1897 წლებში სასწავლო წელს სულ სასწალებელში ირიცხებოდა 136 გოგონა.“ [6, გვ. 150]. „მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად დაინიშნა ი. ასათიანი; კლასის ზედამხედველად და ბიბლიოთეკის გამგედ ქ. ჩიქოვანი; სასწავლებლის ექიმად ს. ლორთქიფანიძე მიიწვიეს, გალობის მასწავლებლად კი დანიშნეს კ. მაღრაძე.“ [128, ფურც. 3-5].

როგორც ცნობილია, სასულიერო სასწავლებლები ძირითადად იხსნებოდა სასულიერო პირთა შვილებისათვის რათა მოემზადებინათ საოჯახო მასწავლებლად, ხოლო 1907 წლისათვის სამრევლო სკოლის მასწავლებლის მომზადებაც დაიწყეს. რაც შეეხება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის დამოკიდებულება საოცრად თბილი ყოფილა. „ეპარქიული სასწავლებლის არსებობის მანძილზე (1892-1921) სასწავლებელში სწავლობდა 1260-ზე მეტი გოგონა. კურსი კი დაამთავრა მხოლოდ 728 მოსწავლემ. სწავლას აძნელებდა რუსული ენის უცოდინარობა. ორსაფეხურიანი მოსამზადებელი განყოფილება ვერ იძლეოდა სათანადო ცოდნას რუსულ ენაში. ამიტომ მოწაფეებს შემდგომ კლასებში უძნელდებოდათ ყველა საგნის დაუფლება რუსულ ენაზე.” [4, გვ. 220]

სასწავლო გეგმა საგნების მხრივ მეტად მრავალფეროვანი იყო. აქ ისწავლებოდა: „საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა (რომელსაც მხოლოდ ორი საათი ჰქონდა დათმობილი კვირაში), არითმეტიკა მეთოდიკით, გეოგრაფია, ფრანგული ენა, დიდაქტიკა, ფიზიკა, გეომეტრია, სლავური და ქართული გალობა, ფსიქოლოგია, ალგებრა, ისტორია, რუსული ენის მეთოდიკა, ბუნებისმეტყველება, ხატვა, ხელსაქმე, უცხოეთის ლიტერატურა და პედაგოგიკის ისტორია. ზემოთ დასახელებული საგნებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს სასწავლებელში დიდაქტიკის და მეთოდიკის სწავლების საკითხები. დიდაქტიკას კვირაში ორი საათი ჰქონდა დათმობილი. ეს გარემოება მეტად საგულისხმოა, როგორც ჩანს, მოსწავლეთა დაოსტატებას მომავალ მასწავლებლებად განსკუთრებული ყურადღება ექცეოდა.“ [4, გვ. 211].

სასწავლო პროგრამებმა ცვლილებები განიცადა 1899 წელს. სასწავლო პროგრამებს საგნის მასწავლებლები ადგენდნენ. „1890 წელს სამკლასიანი სასწავლებლები ექვსკლასიანად გადაკეთდა. 1903 წლისათვის ექვსივე კლასი დაკომპლექტებული იყო. სასწავლებელთან გაიხსნა საბაზო დაწყებითი სკოლა, 24 მოსწავლე-გოგონათი. ამ სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ სასწავლებლის პირველი კლასის მოსწავლეები. ისინი აკვირდებოდნენ საბაზო სკოლის ცხოვრებას, მორიგეობდნენ სანიმუშო სკოლაში. თითოეული მათგანი თითო გაკვეთილის გადაცემდა პარასკეობით. საცდელ გაკვეთილებს ესწრებოდნენ სასწავლებლის უფროსი, ინსპექტორი, დიდაქტიკის მასწავლებელი და სხვა. გადაცემული გაკვეთილების გარჩევა ხდებოდა კვირაში ერთ დღეს“. [12, გვ. 118-119]. სკოლას უნდა მოემზადებინა სამრევლო სკოლის მასწავლებლები, ამიტომ აუცილებელი იყო პედაგოგიური პრაქტიკისათვის ერთი წელი მაინც დაეთმოთ. 1907 წლისათვის ამ მიზნით უკვე გაიხსნა მე-7 კლასი, რომელიც პედაგოგიურ კლასად იწოდებოდა და იგი კურსდამთავრებულს აძლევდა სამრევლო სკოლის მასწავლებლობის უფლებით.

XX საუკუნე რევოლუციური ქარტეხილებით დაიწყო. ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. „1905 წლის იანვარში მოსწავლეთა დიდი გამოსვლები იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და სასულიერო სემინარიაში. მათ არ ჩამორჩნენ გაბრიელის სახელობის ეპარქიალური სასწავლებლის გოგონები. განსაკუთრებით დიდ გამოსვლებს ჰქონდათ ადგილი თებერვალსა და მარტში. ჯერ კიდევ 3 თებერვალს მოწაფეთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ გამოცხადდა სასწავლებელში, სულ აკლდა 43 მოსწავლე. მოგვიანებით სასკოლო საბჭომ ეს მოსწავლეები დამნაშავეებად სცნეს და სამ ჯგუფად დაჰყვეს. პირველ ჯგუფს მიაკუთვნეს ის მოსწავლეები ვინც უფრო მეტად იყვნენ დამნაშავეები, სულ 13

მოსწავლე იყო ასეთი და ისინი დასაჯეს იმით, რომ ყოფაქცევაში დაუწერეს „3“ და გარიცხეს სასწავლებლიდან გადასაყვან გამოცდებამდე, ე.ი. სასწავლო წლის ბოლომდე. მეორე ჯგუფის დამნაშავეებს კი ყოფაქცევაში დაუწერეს „4“ და თითოეული დასაჯეს კლასში 2 საათის პატიმრობით. მესამე ჯგუფის მოსწავლეები კი დაუსჯელი დატოვეს.“ [4 გვ. 215-216].

ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში დაისვა საკითხი მისი გიმნაზიად გადაკეთების შესახებ. სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთების პროექტი შეადგინეს კორნელი კეკელიძემ და მელიტონ ჩოგოვაძემ. მისი განხილვა მოეწყო სასწავლებლის საბჭოს 1905 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე. სადაც აღინიშნა, რომ სასწავლებლის არსებობა მდგომარეობს იმაში, რომ გაუადვილოს სწავლის პროცესი და საშუალება საშუალო შემოსავლის ქრისტიანული სარწმუნოების პირთა შვილებს და იგი მიზნად არ ისახავს სპეციალიზაციას ღვთისმეტყველებაში. პროექტის ავტორები თვლიდნენ, რადგან სასწავლებელი არ აძლევდა ზოგად განათლებას აუცილებელი იყო სასწავლო-აღმზრდელობითი ხარისხის ამაღლება და რიგი ცვლილებების გატარება. პროექტის მთლიანად განხორციელება არ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, საკითხის ასე დასმას, ცარიზმის კოლონიური უღლის პირობებში მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში გაბრიელის სახელობის იმერეთის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელს გაბრიელის სახელობის გიმნაზია ეწოდა, მაგრამ სასწავლებლის შინაარსი ამით არ შეცვლილა. დარჩა იგივე პროგრამა, იგივე მასწავლებლები და იგივე ატმოსფერო. "დროდადრო ქუთაისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში ტარდებოდა საღამოები. აქაური მოსწავლეები მაყურებლებს განაცდევინებდნენ ისეთ წუთებს, დღიურ ჭირ-ვარამს რომ ავიწყებდა მათ.” [76, გვ. 117].

1921 წლიდან ამ სკოლას ბევრჯერ შეეცვალა სახელი. 1921 წელს მისთვის უწოდებიათ IX შრომის სკოლა. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ქალთა ეპარქიული სასწავლებელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. ასე, რომ შრომას, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქუთაისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე დაიხარჯა, გარჯასა და მცდელობას პედაგოგებისა, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ, უსარგებლოდ არ ჩაუვლია, სკოლამ თავისი როლი პირნათლად შეასრულა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის ქუთაისში საკმაო რაოდენობით იყო ოფიციალური სასწავლებლები, მაგრამ მოსახლეობის ღარიბთა ფენას მთავრობის მიერ გახსნილი გიმნაზიები და სასულიერო სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებდა. მარიამ ყაუხჩიშვილმა გადაწყვიტა გაეხსნა ქუთაისში ქალთა კერძო სასწავლებელი და ამით დახმარება გაეწია ღარიბი ახალგაზრდობისათვის. ამ მიზნით მან 1903 წელს გახსნა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია პროფესიონალური განყოფილებით, რომელიც უუფლებო სასწავლებლად ითვლებოდა. მარიამ ყაუხჩიშვილის საზრუნავ საგნად წლების მანძილზე ამ სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთება იქცა. დიდი ენერგიის, ნებისყოფისა და სულიერი სიძლიერის გამომჟღავნებას მოითხოვდა დასახელებული მიზნისათვის ბრძოლა. მარიამ ყაუხჩიშვილის პროგიმნაზია მრავლად იზიდავდა ღარიბი მოსახლეობის შვილებს, სასწავლებელში სწავლა-აღზრდის საქმე სანიმუშოდ იყო დაყენებული. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს უფლება ეძლეოდა გაეგრძელებინა სწავლა მთავრობის გიმნაზიაში. თავისი უნარიანი და ხარისხიანი მუშაობით მარიამ ყაუხჩიშვილმა სასწავლებელს სახელი გაუთქვა. მან

შეძლო 1908 წელს სასწავლებელში მეხუთე კლასი გაეხსნა, შემდეგ თანდათანობით თითო კლასი ემატებოდა და როდესაც სრული გიმნაზიის კლასები დაკომპლექტდა, მარიამმა შუამდგომლობით მიმართა მთავრობას გიმნაზიის გახსნის ნებართვისათვის. [191]. მთავრობის კომისიამ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნოდა ის დაამტკიცა ქალთა კერძო გიმნაზიად და მიანიჭა მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი.

მარიამ ყაუხჩიშვილი თავისი გიმნაზიის დიდი ენთუზიასტი იყო. რის შედეგადაც სწავლა-აღზრდის საკითხი სასწავლებელში მაღალ დონეზე იდგა. ამას მოწმობს მოსწავლეთა საკმაო დიდი კონტინგენტი, რომელიც ჰყავდა ამ სკოლას.

„1902-1903 სასწავლო წელს - 339 მოსწავლე, 1903-1904 სასწავლო წელს - 331 მოსწავლე, 1904-1905 სასწავლო წელს - 296, 1906-1907 სასწავლო წელს - 291, 1910-1911 სასწავლო წელს - 404, 1912-1913 სასწავლო წელს - 402, 1913-1914 სასწავლო წელს - 510 მოსწავლე და ა.შ.” [12 გვ. 146].

მარიამ ყაუხჩიშვილის გიმნაზია, როგორც ვიცით, ქალთა სასწავლებელი იყო, მაგრამ იგი ამ სასწავლებელში სწავლით დაინტერესებულ ღარიბთა ვაჟიშვილებსაც ღებულობდა და აძლევდა განათლებას, ბევრმა გზააბნეულმა ახალგაზრდამ შეაფარა თავი „ყაუხჩიშვილის გიმნაზიას” და შემდეგში საზოგადოების ღირსეულ წევრად იქცა.

მან თავისი გიმნაზიისათვის შეარჩია ღირსეული პედაგოგები, ასე მაგალითად: ალექსანდრე ჯანელიძე (შემდეგში აკადემიკოსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი) მათემატიკას ასწავლიდა, ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკია-გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებას, ტრიფონ ჯაფარიძე – ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას – ქრისტინე შარაშიძე, აგრაფინა იოსელიანი და შემდეგ ფატი ხუნდაძე, ჰიგიენას–ვასილ წერეთელი. ამ სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა იმ დროს, როდესაც ოფიციალურ სასწავლებელში ქართული ენა და ლიტერატურა იდევნებოდა. მაგრამ „ყაუხჩიშვილის გიმნაზიაში” ამ საგანს წამყვანი როლი ჰქონდა. იგი ერთ-ერთი სკოლა იყო სადაც საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ, სწორედ ამიტომ ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია დიდად აფასებდა მას. მარიამმა გერმანიიდან გამოიწერა სასწავლებლისათვის ფიზიკისა და ბიოლოგიის სრული კაბინეტი, „რევოლუციამდელ ქუთაისში მ.ყაუხჩიშვილის სასწავლებელი ერთადერთი იყო, რომელსაც ფიზიკის სწავლებისათვის საჭირო ყველა ხელსაწყო გააჩნდა, აგრეთვე ბუნებისმეტყველებისათვის მრავალი მცენარე სპეციალურ ქოთნებში, თევზები აკვარიუმებში და ცხოველთა ჩოხები“. [12, გვ. 149]. მან სასწავლებელს ასევე შეუქმნა ქართული და რუსული გამოცემებით მდიდარი ბიბლიოთეკა. აქ რუს, ევროპელ და ქართველ კლასიკოსთა ჩინებულ გამოცემებს გვერდით უმშვენებდა საბავშვო ლიტერატურის იშვიათი ფონდი.

მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებასთან ერთად, მარიამ ყაუხჩიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა მოსწავლეთა შრომით აღზრდას. მას სასწავლებელში მოწყობილი ჰქონდა ჭრა-კერვის სახელოსნო. ამ სახელოსნოში მოსწავლე გოგონები თავად იკერავდნენ სკოლაში სატარებელ ტანსაცმელს. (გოგონები იცვამდნენ უჯრედოვანი ქსოვილის კაბებს, ზედ ყავისფერ წინსაფრებს იკეთებდნენ [12 გვ.147]) ამას მოითხოვდა იმ დროისათვის მოსახლეობის რეალური პირობები, უმთავრესად კი სოფლის მცხოვრებლებისა (სოფლის გოგონებით ივსებოდა ამ გიმნაზიის კონტინგენტი), სოფლებიდან დადიოდნენ სასწავლებელში ყოველდღიურად მოსწავლეები. დილით ადრე ღია იყო მათთვის მარიამის ოთახის კარები (იგი სასწავლებელში ცხოვრობდა), იქ თბებოდნენ, საუზმობდნენ და ამზადებდნენ გაკვეთილებს. მარიამი მოსწავლეთა მშობლებთან ახლო ურთიერთობაში იყო. იგი

ყველა მოსწავლის ოჯახურ პირობებს იცნობდა, თვითონ დადიოდა სოფლებში ფეხით. [191].

„ყაუხჩიშვილის გიმნაზიაში” სწავლის გადასახადი მეფის მთავრობის სხვა სასწავლებ-ლებთან შედარებით ნაკლები იყო: 20, 15, 5, 3 და 2 მანეთიც კი, ვისაც რისი შესაძლებლობა ჰქონდა. გარდა ამისა, მოწაფეთა საერთო რიცხვიდან 25% სწავლის გადასახადისაგან თავისუფლდებოდა, მ. ყაუხჩიშვილის გიმნაზია უფრო მეტად დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს ემსახურებოდა. ობლები და ძლიერ ღარიბები უფასოდ სწავლობდნენ. „1912 წელს მან 368 მოსწავლიდან 78 ღარიბი ბავშვი გაანთავისუფლა სწავლის ქირისაგან. ამ თანხის რაოდენობა 1790 მანეთს შეადგენდა“. [12, გვ.147-148]. მარიამ ყაუხჩიშვილს სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთათვის სტიპენდიები ჰქონდა დაარსებული – ამისათვის ის იყენებდა სხვადასხვა საშუალებას. მის პირად არქივში შემონახულია სტამბური წესით დაბეჭდილი შემდეგი შინაარსის განცხადება: „ქუთაისის საზოგადოების საკრებულო დარბაზში, კვირას, 23 მარტს 1918 წელს მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო“. გარდა ასეთი შემოსავლებისა, მარიამი ღარიბ მოსწავლებს სისტემატურად ეხმარებოდა საკვებით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით. [191].

მარიამ ყაუხჩიშვილი დიდი პედაგოგიური ტაქტით იყო შეიარაღებული, იგი ბუნებრივად, ყოველგვარი სიმკაცრის გარეშე ახერხებდა მოსწავლეთა ყურადღების მიზიდვას. მას გააჩნდა უდიდესი ძალა სიტყვისა. მისი შენიშვნები ყოველთვის სამართლიანი იყო და მიზანსაც აღწევდა. თვით ურჩი მოსწავლეებიც გრძნობდნენ მარიამის საქმისადმი ერთგვარ ფანატიზმამდე მისულ დამოკიდებულებას და სამართლიან მოთხოვნებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

მარიამ ყაუხჩიშვილს არც ერთი შრომა არ დაუწერია ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე, მაგრამ მას სკოლაში დანერგილი ჰქონდა სწავლებისა და აღზრდის შესანიშნავი სისტემა, რაც თაობიდან თაობაზე გადადიოდა მისი აღზრდილების საშუალებით. მის სკოლაში აღზრდის ორიგინალური მეთოდი იყო. აქ ბავშვებს კი არ სცემდნენ, არამედ ზრდიდნენ დარწმუნებით, პირადი მაგალითით, შთაგონებით. ამ სკოლიდან არც ერთი მოსწავლე არ გარიცხულა, რადგანაც სასწავლებლიდან გარიცხვას ქალბატონი მარიამი პედსაბჭოს სისუსტედ თვლიდა. „კარგი სწავლისა და დისციპლინისათვის ბავშვებს აჯილდოვებდნენ წიგნებით, მიჰყავდათ თეატრში. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ დამყარებული მოსწავლეთა მშობლებთან. უფროსი კლასის მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე კითხულობდნენ რეფერატებს, მართავდნენ დისკუსიებს, აწყობდნენ ექვსკურსიებს, უშვებდნენ ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალს, რომელშიც ათავსებდნენ საკუთარ ლექსებს, მოთხრობებს, სკოლის ცხოვრების ამსახველ წერილებს და ა.შ.“ [12, გვ. 149].

მარიამ ყაუხჩიშვილის გიმნაზიაში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმე მაღალ დონეზე იყო დაყენებული. სასწავლო წელი 1 სექტემბერს იწყებოდა და მთავრდებოდა 31 მაისს. ტარდებოდა მისაღები და ჯგუფიდან ჯგუფში გადასაყვანი გამოცდები. ეს სასწავლებელი იძლეოდა ოფიციალური გიმნაზიის კურსის სრულ ცოდნას, მაგრამ, რადგანაც სასწავლებელი კერძო იყო, უფლება არ ჰქონდათ გამოსაშვები გამოცდები ადგილზე ჩაებარებინათ. გამოცდები დანიშნული იყო კლასიკურ გიმნაზიში ოფიციალური პროგრამით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ გამოყოფილი იყო საგამოცდო კომისია. მარიამ „ყაუხჩიშვილის გიმნაზიის” მოსწავლეების სერიოზულ მომზადებასა და აკადეიურ წარმატებას საგამოცდო კომისიის წევრები სიამოვნებით აღნიშნავდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მარიამი გულმხურვალედ შეხვდა. მისი კერძო სასწავლების ბაზაზე დაარსდა არასრული საშუალო სკოლა. მარიამი შრომის სკოლის ვითარებისათვის სავსებით მომზადებული აღმოჩნდა, მისი ენთუზიასტური განწყობილება და დაუღალავი ენერგია ერთი-ორად გაძლიერდა. ამ სასწავლებელს მარიამი სანიმუშოდ და მეტად კეთილსინდისიერად ხელმძღვანელობდა და მთავრობამ მრავალჯერ დააჯილდოვა კარგი მუშაობისათვის.

მარიამ ყაუხჩიშვილი ახალგაზრდა მასწავლებლებს უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა–ესწრებოდა მათ გაკვეთილებს, აძლევდა საჭირო შენიშვნბს, რჩევა-დარიგებებს, გამოცდილების გასაზიარებლად ასწრებდა გამოცდილი მასწავლებლის გაკვეთილებზე. მარიამის გულისხმიერი დამოკიდებულება საქმისადმი აიძულებდა მისი სკოლის ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს, რომ ისინიც მთელი თავისი შეგნებითა და შესაძლებლობით ჩაბმულიყვნენ სკოლის კეთილდღეობისთვიის ბრძოლის საქმეში [191]. მისი სკოლა სხვადასხვა დროს მრავალმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ დაამ-თავრა, მათ შორის იყვნენ: „აკადემიკოსი გ. ჭოღოშვილი, პროფესორები: კ.ლილუ-აშვილი (რომელსაც არაჩვეულებრივი შრომა აქვს დაწერილი მარიამ ყაუხჩიშვილზე), ო. ეზიკაშვილი და მრავალი სხვ.“ [12, გვ.147].

ნახევარი საუკუნე ემსახურა მარიამ ყაუხჩიშვილი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს–სკოლას, საზოგადოებას, იგი ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში ღებულობდა მონაწილეობას. ეს დაუღალავი პედაგოგი უფასოდ ასწავლიდა საკვირაო სკოლაში წლების მანძილზე. აქტიური წევრი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და ქუთაისის ქალთა საზოგადოებისა.

1903 წლიდან 1921 წლამდე მარიამ ყაუხჩუშვილი დირექტორად მუშაობდა ქუთაისის ქალთა კერძო გიმნაზიაში, რომელიც სამართლიანად ატარებდა მის სახელს. მას საკუთარი ოჯახი არ ჰყოლია. ის მოწოდებით ნამდვილად ჭეშმარიტი პედაგოგი იყო. მარიამ ყაუხჩიშვილი გარდაიცვალა საკუთარი სკოლის კედლებში 1939 წლის მარტში. ის დაკრძალეს ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, ხოლო ქუჩას, სადაც მისი სკოლა მდებარეობდა, მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი ეწოდა.

ქუთაისი ქალთა სასწავლებლების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდა. სხვა მრავალ სასწავლებლებთან ერთად ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქუთაისში არსებობდა ქალთა ერთწლიანი უფასო სკოლა. თუმცა ამ სკოლის შესახებ ბევრი მასალა არ არის დაცული ქუთაისის ცენტრალურ არქივში, მასზე მწირი მაგრამ საყურადღებო ინფორმაცია აქვს ასევე მოძიებული გ. მჭედლიძეს [71, გვ. 123]. პირველად ამ სკოლის ხსენება აღინიშნება „ქალაქის გამგეობის 1876 წლის 31 დეკემბრის სხდომის დადგენილებაში, იმ კუთხით რომ მისი შენახვისათვის გამგეობას გამოუყვია 1200 მანეთი“ [147, ფურც. 6]. შვიდი წლის შემდეგაც, კერძოდ „1883 წელსაც იმდენივე თანხაა გამოყოფილი ამ ორგანიზაციიდან სასწავლებლისთვის“ [150, ფურც.1]. საარქივო მასალებში ასევე დაცულია ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობაზეც, კერძოდ „1882 წლიდან ქალთა უფასო სკოლაში სწავლობდა 121 გოგონა“ [155, ფურც. 39]. ხოლო ათი წლის შემდეგ კი „მოსწავლეთა რაოდენოდა არის-91“. [156, ფურც. 53]. მაგრამ 1892 წლიდან ქუთაისის სასწავლებელთა შორის ერთწლიანი ქალთა სასწავლებლის სახელი აღარსად აღარ ფიგურირებს. როგორც ირკვევა, ეს სასწავლებელი ყოველთვის უჩიოდა საარსებო სახსრების უქონლობას, მაგალითად, „1892 წელს ქალთა უფასო სკოლის ზედამხედველი მარიამ ტიმჩენკო ქალაქის გამგეობას მიმართავდა სკოლის საჭიროებისათვის გამოეყო 100 მანეთი, მაგრამ როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ამ სასწავლებლისათვის ეს მცირე თანხაც კი არ გამოუყვიათ“ [152 ფურც. 2] და

სწორედ უსახსრობა იყო იმის მიზეზი, რომ 1892 წელს ამ სასწავლებელმა არსებობა საერთოდ შეწყვიტა.

როდესაც ქალთა განათლებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი აუაროთ ქალთა საქველმოქმედო სკოლას, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში დაარსდა ქუთაისში და რომლის გახსნასაც მხურვალედ გამოეხმაურა აკაკი წერეთელი. ის 1872 წელს წერდა: „მთელს ქუთაისის გუბერნიაში ამ ჟამად მხოლოდ ერთი სასწავლებელია, სადაც ღარიბების შვილები უფასოდ იზრდებიან: ეს არის ქალების სკოლა. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ის ან საზოგადოების და ან ქართველი კერძო პირის წყალობით იყოს? ის ეკუთვნის ისეთ პირს, რომელიც სრულიადაც არ არის ვალდებული, რომ ამისთანა საქმე იკისროს, თუ არა თავისის კეთილმოყვარეობა. ეს შკოლა დააფუძნა კნეინა მირსკაიმ და ხელს უწყობს, ყოვლის ღონისძიების ხმარებით. გრაფინა ლევაშოვისა, დარწმუნებული ვართ, რომ გრაფინია არ იყოს, უმისოდ ის შკოლაც დაიხურებოდა“. [161, გვ. 118-119]. სამწუხაროდ საარქივო მასალები ისე როგორც ქალთა ერთწლიან უფასო სკოლაზე, ამ სკოლასთან დაკავშირებითაც ძალზედ მცირეა.

1.2 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები

სწავლა-განათლებისა და ცოდნის გავრცელების პროპაგანდას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის დასასრულს საქართველოში. ამ პერიოდის პრესაში აქტიურია ხალხურობისა და ბუნების შესაბამისობის იდეა. ხალხურობის პრინციპის განხორციელების გზად ქართულ პედაგოგიურ აზრს საქართველოს სკოლებში ყველა სასწავლო დისციპლინის ეროვნული მასალის საფუძველზე სწავლების მოწყობა მიაჩნდა. ეს სავალდებულოდაა მიჩნეული ყველა სკოლისათვის, მაგრამ განსაკუთრებით სოფლის სკოლისა და სამეურნეო სასწავლებლისათვის. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში ნასწავლი ახალგაზრდები ვერ იღებდნენ ისეთ ცოდნას, რომელთა გამოყენებას ისინი მომავალში შეძლებდნენ. სწორედ ამიტომ სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის აუცილებლობა დადგა დასავლეთ საქართველოში. 1883 წელს სოფ. წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაარსდა, მალევე დასავლეთ საქართველოშიც ალაპარაკდნენ ასეთი სკოლის გახსნაზეც, კერძოდ ქუთაისში. თუმცა სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას წინ უძღვა მრავალი ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი ფაქტი, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან ხდებოდა, მაგრამ ამ საკითხს დაწვრილებით აქ არ განვიხილავთ, რადგანაც ამ საკითხის დეტალური ანალიზი მოცემული გვაქვს მეორე თავის მეოთხე პარაგრაფში.

ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში იდგა. ამ მხრივ ყველაზე უფრო აქტიურობდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. ამ ორგანიზაციამ „1887 წელს აღძრა საკითხი „საზოგადოების“ წინაშე, რომ ქუთაისში დაარსებულიყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, 1888 წლის 1 მარტს კი დადგინდა ქუთაისში დაარსებულიყო მსგავსი ტიპის სასწავლებელი. ეს გადაწყვეტილება 1891 წლის ივნისში განიხილა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტმა და დაადგინა, ქუთაისში გახსნილიყო დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. 1893 წლის დეკემბერში იგი წესისამებრ აკურთხეს და მუშაობას შეუდგა 1894 წლის 11 იანვარს.“ [71, გვ.123].

სასწავლებლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, მიეცა ახალგაზრდებისათვის დაბალი სასოფლო-სამეურნეო განათლება მევენახეობაში, მებოსტნეობაში, მეაბრეშუმეობაში, მეფუტკრეობასა და სხვა დარგებში. სასწავლებელში მიიღებოდა 16-17 წლის ახალგაზრდები. სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

გ. მჭედლიძის მიხედვით „სასწავლებელი იყო 5 წლიანი და შედგებოდა ორი მოსამზადებელი და სამი სპეციალური კლასისაგან“ [71, გვ.123]. ი. ბასილაძის მიხედვით კი „სასწავლებელი 4 წლიანი იყო და შედგებოდა ერთი მოსამზადებელი და სამი სპეციალური კლასისაგან“ [4 გვ. 269]. საარქივო მასალების გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ „სასწავლებელი მართლაც ოთხწლიანი იყო, ერთი მოსამზადებელი და სამი ძირითადი კლასით“ [145, ფურც.1].

სკოლაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: „საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, გეომეტრია, ბოტანიკა, ფიზიკა, ზოოლოგია, ქიმია, მინეროლოგია, მეტეოროლოგია, მებოსტნეობა, მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეღვინეობა, მებაღეობა, მეთამბაქოობა, მესაქონლეობა, ხეხილის გაშენება, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, კანონმდებლობა, მიწათმზომელობა, ანატომია.“ [146, ფურც. 59-60]

აღსანიშნავია, რომ „ჭომაში არსებული ფერმა, რომელიც ქალაქის თვითმართველობას ეკუთვნოდა იმ დროისათვის, გადაეცა სკოლას. 36 დესეტინაზე გადაშლილი მიწის ფართობიდან მხოლოდ 5 იყო დამუშავებული და მასზე იყო გაშენებული ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი და სანერგე. სკოლას გააჩნდა ღვინის სარდაფი, ორი საფუტკრე-აქედან ერთი სკოლის მეურნეობაში და მეორე რაჭაში. სტეფანე ხოჯაშვილის (რომელიც სკოლის პირველი მზრუნველი იყო) თაოსნობით სკოლასთან მოეწყო სასოფლო სამეურნეო იარაღე-ბის საწყობი, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან გამოეწერათ სასურველი სამეურნეო იარაღი“. [4, გვ. 271].

ნაშრომიდან „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი“ ირკვევა, რომ: „სკოლასთან არსებობდა კარგად მოწყობილი მეტეოროლოგიური სადგური, სადაც მოწაფეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ საერთო და ფენოლოგიურ დაკვირვებებს, ასე მაგალითად: სიმინდზე, ხეხილის ნერგებზე, ვენახზე. ამ დაკვირვებათა შედეგები ეგზავნებოდა სათანადო ორგანიზაციებს“. [176, გვ. 32].

სასოფლო-სამეურნეო სკოლაში ძირითადად პრაქტიკული მეცადინეობები იყო. საკლასო მეცადინეობა ძირითადად წარმოებდა ზამთრის პერიოდში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა და მუშაობა კი წლის დანარჩენ დროს. რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, ნიშნები იწერებოდა შესრულებული სამუშაოს შედეგის მიხედვით. ისინი გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას ამოწმებდნენ სკოლის მეურნეობაში პრაქტიკულად მუშაობის დროს. მაგალითისათვის „ხეხილის სანერგე დაყოფილი იყო კვლებად და თითოეულ კვალში იყო 100-100 ნერგი, თუ მოსწავლე ამ ნერგებიდან 55-70 გაახარებდა მიიღებდა შეფასება „3“-ს, თუ 70-80 მდე ნაყენს გაახარებდა მისი შეფასება იქნებოდა „4“, ხოლო 85-100 ნამყენამდე ისინი ღებულობდნენ „5“-ს. ასეთივე ხერხით ხდებოდა მოსწავლეთა შეფასება სხვა პრაქტიკულ სამუშაოებშიც“. [4, გვ. 272].

სასწავლებელში „1893 წელს-36, ხოლო 1913 წელს 99 მოსწავლე ირიცხებოდა“ [72, გვ. 543 ცხრ: 2 და 3]. თუმცა, ყველა კურსის დასრულებას ვერ ახერხებდა. სკოლის პირველი გამოშვება მოხდა 1897 წელს. სრული კურსი დაამთავრა 26-მა მოსწავლემ. აქედან სამსახურში სპეციალობის მიხედვით მოეწყო 10, საკუთარ მამულში მუშაობა დაიწყო 8-მ, შემდგომ სწავლა გააგრძელა 7-მა, აქედან 2 საფრანგეთში წავიდა. რადგან გამოსაშ-

ვები გამოცდების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულებს უნდა გაევლოთ პრაქტიკა, რომელიმე მამულში. მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ ისინი ატესტატს. პრაქტიკის გავლა ძირითადად ხდებოდა აჯამეთში. პრაქტიკის დასასრულს კურსდამთავრებულს ვრცელი ანგარიში უნდა წარედგინა პედაგოგებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ისეთი ღირსეული და კვალიფიციური პედაგოგები. მაგალითად, ა. შარაშენიძემ თავის გარშემო შემოიკრიბა მასწავლებელთა საუკეთესო ძალები, კერძოდ: ვ. კანდელაკი რომელიც იყო სასოფლო-სამეურნეო სკოლის პირველი დირექტორი, ე. თოფურიძე, ე. ჯიქია, ლ. ქიქოძე და მრავალი სხვა. სკოლაში ასევე მოღვაწეობდნენ ს. ხოჯავა, დ. ბაქრაძე, ჟ. მკურნალი, ა. შარაბიძე და სხვები.

დიდია გამოჩენილი შოტლანდიელი აგრონომის, მებაღის და მრეწველის იაკობ მარის (ისტორიკოსი ნიკო მარის მამა) ღვაწლი სასოფლო-სამეურნეო სკოლის განვითარების საქმეში. იაკობ მარის ინიციატივით, ქუთაისის ახლოს სოფელ ჭომაში კარგი მეურნეობა მოეწყო. მეურნეობას შემდეგში „ფერმა“ ეწოდა. ძვირფასი მცენარეების გარდა, მარმა ხელი მოჰკიდა მესაქონლეობას, ჯიშიანი საქონლისა და ფრინველის მოვლა-მოშენებას. მისივე ინიციატივით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა საცდელი ნაკვეთითა და სანერგეებით. მართან ჩამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლები სოფლის მეურნეობის შესასწავლად. მარს ხშირად იწვევდნენ საკონსულტაციოდ საუფლისწულო მამულებსა და სხვადასხვა მეურნეობებში.

„ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელმა საქართველოში პირველად შემოიტანა რამის, აბუსალათინის კულტურა და მრავალი წიწვოვანი მარადმწვანე მცენარეები. ასე, რომ ფერმის ბაღი, გარდა სასწავლო პრაქტიკისა, ერთგვარ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა“. [176, გვ. 32]. იაკობ მარის ხელმძღვანელობით მოეწყო ქუთაისის ბულვარის ბაღი. მთავარმართებელ ვორონცოვის თხოვნით, მარმა ოზურგეთში, სოხუმში, ფოთსა და ზუგდიდში ბაღ-ვენახები გააშენა, რისთვისაც წელიწადში ექვსასი მანეთი ჰქონდა დანიშნული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იაკობ მარის მუშაობაში იმ ცდებს, რომლებსაც ის სუბტროპიკული კულტურების განვითარებისა და გავრცელების საქმეში აწარმოებდა. ამ კულტურებს იგი იწერდა საზღვარგარეთიდან. იაკობ მარი იყო საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების პიონერი და ინიციატორი. ამ საქმეში მისი ღვაწლი განუზომელია.

იაკობ მარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა გლეხობასთან: ასწავლიდა მათ მიწის კულტუ-რულად დამუშავებას; ზრუნავდა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და წერდა მოხსენებით ბარათებს მაშინდელ ხელისუფალთა მისამართით. ამ მოხსენებებში მარი ასაბუთებდა, რომ გურული გლეხი განიცდის მიწის ნაკლებობას, არ იცის მიწის გაპოხიერება და ამიტომ იძულებულია მიატოვოს გამოფიტული მიწა და სამუშაო სხვაგან ეძიოს. მარი მოითხოვდა, რომ მთავრობას გამოენახა რაიმე ღონისძიება გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იაკობ მარი საზღვარგარეთიდან მიღებულ სამეურნეო მანქანა–იარაღებს, სუბტროპიკულ და სხვა მცენარეთა თესლეულს აწვდიდა მოსახლეობას, აწყობდა სანერგეებს, გამოყვანილ ჯიშებს ავრცელებდა გლეხობაში. თვითონვე ასწავლიდა და კონსულტაციას უწევდა გლეხობას. იაკობმა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიაღებინა იმერელ და გურულ გლეხთა შვილები, რომლებიც შემდეგში ცნობილი მეურნენი გახდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ა.შარაშიძემ და პ. წულუკიძემ ქუთაისში დააარსეს ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი, რომელსაც ეწოდებოდა „სასოფლო გაზეთი“, ის გამოდიოდა 1912-18 წლებში და შემოქმედებით წყაროს ძირითადად

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლიდან ღებულობდა. ჟურნალში იბეჭ-დებოდა როგორც თეორიული ხასიათის შრომები, ისე პრაქტიკული აგრონომიული რჩევა-დარიგებანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგიდან. სასწავლებელი ხშირადმონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში, სადაც მოწაფეთა მიერ შესრულებული ნამუშევარი საერთო მოწონებასაც იმსახურებდა.“ [4, გვ. 276-277].

ქუთაისის დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში 1920 წლამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, დარჩა სამწლიანი სასწავლებლად, ორი მოსამზადებელი კლასით. 1917-1918 წლებიდან სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. 1920 წელს ეს სასწავლებელი სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლად გადაკეთდა ორი განყოფილებით: მემინდვრეობა და მებოსტნეობა. 1921-22 წლებში მას უწოდებდნენ მეექვსე ტექნიკუმს, 1922 წლის მარტიდან-ქუთაისის სამეურნეო ტექნიკუმს, 1924 წელს-ქუთაისის აგროტექნიკუმს, 1925 წლიდან - ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. ამ სასწავლებელმა თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია საქართველოს სოფლის მეურნეობას, ასეულობით კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებითა და აგრონომიული ცოდნის გავრცელების ძლიერ საჭირო საქმეში. ფაქტია, რომ 2000-მდე ახალგაზრდიდან, რომელიც აქ დაეუფლა ცოდნა, ბევრი მეცნიერი გახდა და მათ მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარეს სოფლის მეურნეობის სფეროში და დიდი ღვაწლი შეიტანეს სოფლის მეურნეობის სხვადასხდა ღვაწლის გაუმჯობესებაში.

1.3 გიმნაზიები, რეალური და ვაჟთა სასწავლებლები

„ქუთაისის სათავაზნაურო გიმნაზია თავდაპირველად ორი განყოფილებით გაიხსნა, ხოლო 1881-1882 წლებში მესამე და მეოთხე განყოფილებაც დაემატა. კონტინგენტის ზრდასთან დაკავშირებით პარალელური განყოფილებებიც გაიხსნა. 1884 წლამდე სკოლას თანმიმდევრობით ემატებოდა პროგიმნაზიული კლასები, ხოლო 1885 წელს მან სრული პროგიმნაზიის სახე მიიღო. კურსი რვა წლის სწავლებას ითვალისწინებდა. აქედან ოთხი მოსამზადებელ განყოფილებას ეჭირა და ოთხი წელი პროგიმნაზიულ კლასს ეკუთვნოდა“ [12 გვ.56].

ახლად გახსნილ გიმნაზიას ოფიციალურად ეწოდა ქუთაისის სათავაზნაურო ქართული გიმნაზია. „ეს სასწავლებელი ქართული იყო იმდენად, რამდენადაც მასში ქართული ენისა და ისტორიის სწავლება სავალდებულო იყო ფართო პროგრამით. ... ქართველი იყო იქ თითქმის ყველა მოსწავლე და მასწავლებელი. საგნებიც, გარდა ქართულისა და საქართველოს ისტორიისა, რუსულ ენაზე ისწავლებოდა.“ [181, გვ.53]

1890 წლიდან სააზნაურო სკოლაში გაძლიერდა რუსული ენის სწავლება იმ მიზნით, რომ აქ კურსდამთავრებულ ახალგაზრდობას საშუალება მისცემოდა, გაუჭირვებლად ესწავლა მთავრობის სასწავლებლებში. პირველ სამ განყოფილებაში რუსული არ ისწავლებოდა, მეოთხე განყოფილებაშიკი მას კვირაში 33 საათი ჰქონდა დათმობილი, მაშინ როცა ქართულს მხოლოდ 21 საათი რჩებოდა. მაგრამ ამ ნაბიჯსაც აქვს თავისი გამართლება, ეს შეიძლება ჩაითვალოს ხელმძღვანელობის მხრიდან სიფრთხილის გამოჩენისა, რომელიც ზრუნავდა სკოლის დახურვის გადარჩენაზე. იმის გამო, რომ სააზნაურო სკოლა ქართული იყო, ხელისუფლება ზედმეტ ყურადღებას იჩენდა მეთვალყურეობის მხრივ, ამიტომ საჭირო იყო მათი ყურადღების მოდუნება. ასე, რომ ერთი პატარა დათმობით ორი საქმე კეთდებოდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართული ენის სწავლება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რასაც მოწმობს ქუთაისის ცენტრალურ

არქივში დაცული მასალები. მაგალითისათვის წარმოგიდგენთ ქართული ენის პროგრამებს პირველ, მესამე და მეოთხე პროგიმნაზიულ კლასებში.

ქართული ენის პროგრამა, რომელიც შედგენილი იყო ს.თ. ხუნდაძის მიერ 1890 წლის 23 მაისს, 1889-1890 სასწავლო წლისათვის პირველ პროგიმნაზიულ კლასში შედგებოდა ოთხო ნაწილისაგან. „ I ნაწილში ლექსები საზეპიროდ: 1. ზაფხული (რ. ერისთავი), 2. მყინვარი (ი. ჭავჭავაძე), 3. ჯვარი ვაზისა- დასაწყისი (ვ. ორბელიანის), 4. ისწავლეთ შენა (ვ. ორბელიანის), 5. ქართლი (რ. ერისთავი), 6. ყინვა და პატარა მოწაფე, 7. ჩანგური (აკაკისი), 8. მამული (გრ. ორბელიანი), 9. სუმბული და მწირი (ნ. ბარათაშვილი), 10. იარალისადმი (გრ. ორბელიანი), 11. ლოცვა (ი. ჭავჭავაძე). II ნაწილში სტატიები შინაარსით მოსაყოლი: 1. ზამთარი, 2. გაზაფხული, 3. ზაფხული, 4. სამნი ძმანი, 5. ალი, 6. ყაყიჭას ქურდი, 7. ღვდლის საუბარი სწავლის საჭიროებაზედ. III ნაწილში გრამატიკა: სიტყვის ნაწილები და მათი დანაწილება და ცვალება ზმნების მიმართ; მიმღეობანი; წინადადებანი: მთავარი და დამოკიდებული (დამატება, განსაზღვრა, გამემოებითნი), სრული და ნაკლული, პირნი და უპირო, კანონიერი და უკანონო ხარისხის. IV ნაწილი: კვირაში ერთხელ კლასში ამბობდნენ ხალხურ ზღაპრებს; ორ კვირაში ერთხელ სთარგმნიდნენ სხვადასხვა სტატიებს რუსულიდან ქართულად; ორ კვირაში ერთხელ სწერდნენ კლასში წაკითხულის მოკლე სტატიების თუ ლექსების შინაარსს, აგრეთვე თავის ცნობილი საგნების აღწერას.“ [135, ფურც. 1].

„ქართული ენის პროგრამა მესამე პროგიმნაზიულ კლასში 1889-1890 სასწავლო წელს შედგებოდა ხუთი ნაწილისაგან. I ნაწილი ლექსები საზეპიროდ: 1. არაგვი (ი. ჭავჭავაძე), 2. გუთნის დედა (მისივე), 3. ფიქრი მტკვრის პირას (ნ. ბარათაშვილი), 4. ჩემს მერანს (მისივე), 5. შოშა (მ. გურიელს). II ნაწილი: დავითიანი, ნაწილი პირველი; კითხვით და შინაარსის მოყოლით თავები: თ, ი, ია, იბ, იგ, იდ, იე, ივ, იზ, იᲗ. ზეპირად: 1. „მომხსენებელი არ მრჩების“ ... (სამი ხანა, გვ. 3-4), 2. სწავლული და უსწავლელი (გვ.4-5), 3. დავით გურამიშვილის ათი სწავლა-მცნება (7-9), 4. უძღობისათვის დ.გ-შვილის წუხილი (300-302), 5. დ. გურამიშვილის ანდერძი (302). III ნაწილი ისტორია: 1. საქართველო ფარნავაზის დრომდის, 2. ფარნავაზის მეფობა, 3. რომაელთა შემოსევა, 4. ქრისტიანობა საქართველოში, 5. ვახტანგ გორგასალი, 6. მირი და არჩილი, 7. ბაგრატ III, 8. ბაგრატ IV, 9. დავით III აღმაშენებელი ძველ საქართველოს (ფარნავაზის დროს) საზღვრები გეოგრაფიული მიმოხილვა, IV ნაწილი გრამატიკა: საწარმოო სუფიქსები (ჩასართები), ბრუნვების ხმარება - წინა კლასების კურსის გამეორება, V ნაწილი: ხანდახან რუსულიდან ქართულად სთარგმნიდნენ; ორ კვირაში ერთხელ სწერდნენ თხზულებას (ლექსების შინაარსს, სხვადასხვა საგნების შედარებით-აღწერას). პროგრამა მასწავლებელი ს.თ. ხუნდაძის მიერ შედგენილი 1890 წლის 23 მაისი“. [135, ფურც. 7]

„ქართული ენის მეოთხე განყოფილების პროგრამა 1905-1906 წლებში შემდეგნაირი იყო. ლექსები: 1. მაიმუნი და სარკე (რ. ერისთავის), 2. გველი და გლეხი, 3. მგელი და წერო, 4. სამშობლო ხევსურისა (რ. ერისთავი), 5. ყინვა და პატარა მოწაფე (ლ. ბაურისა), 6. თინიას მამითადი (რ. ერისთავისა), 7. გაზაფხული (ი. ჭავჭავაძისა), 8. გაზაფხული (აკაკისა), 9. ღამურა (მისივე), 10. დაბერებული ლომი (არაკი კრილოვისა), 11. ხარაბუზა და ფუტკარი (რ. ერისთავისა), 12. ჭრიჭინა და ჭიანჭველა (მისივე), 13. ზამთარი (მისივე), 14. მეკვლე (მისივე), 15. გაზაფხული (რ. ერისთავისა); მოთხრობები: 1. მაიმუნი, 2, ფუტკარი, 3. კალა, 4. გველი, 5. ხარაგულის ცხოვრება, 6. აბრეშუმის ჭრა, 7. ჭიანჭველები, 8. ხუთი გრძნობა, 9. საოცარი სახლი, 10. დრო წლისა (ბუნების კარიდან), 11. კუ, 12. ხვითქი, 13. თევზი, 14. ვეშაპი, 15. რას ხმარობენ პურის მაგივრად ცხელ ქვეყნებში, 16. კოკას ხე.“ [136, ფურც. 1]

ასევე საინტერესოა ის ფაქტი რომ სასწავლებლის მეოთხე განყოფილებაში ასევე ისწავლებოდა საგანი-სამშობლოს აღწერა, რომელსაც ასწავლიდა მასწავლებელი თ.მთავრიშვილი. ქუთაისის ცენტრალულ არქივში ასევე დაცულია ამ საგნის სასწავლო პროგრამა 1889-90 სასწავლო წლებში: „1. ჰორიზონტი ... 2. საუბარი მდინარეზე და წყაროებზე ... 3. განმეორება იმერეთისა და უფრო ვრცლად შესწავლა მისი, იმერეთის, 4. სხვა-და-სხვა ადგილების სიმაღლე და სიდაბლე იმერეთში და ამაზედ დამოკიდებული განსხვავება სითბო-სიცივისა, მცენარეებისა და ცხოველებისა, 5. ქართლი, 6. კახეთი, 7. სამხრეთ საქართველოს საზღვრები, 8. სითბო, 9. კავკასია, 10. რუსეთი.“ [135, ფურც. 11-12]

მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, აღსანიშნავია, რომ 1905 წლის 2 თებერვალს, განათლების მინისტრის გლაზოვის ნებართვის შედეგად, სკოლა გადაკეთდა გიმნაზიად, რაც უკვე იმას ნიშნავდა რომ აქ განათლებამიღებულებს მიეცემოდათ სიმწიფის ატესტატი, უნივერსიტეტში შესვლის უფლებით, რაც ნამდვილად დიდი და მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ქართული საზოგადოებისა-თვის, რადგანაც აქამდე მხოლოდ კლასიკურ გიმნაზიადამთავრებულებს შეეძლოთ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. კლასიკურ გიმნაზიას კი წლიურად, საშუალოდ მხოლოდ 20-25 მოსწავლე ამთავრებდა, მაშინ როდესაც ქუთაისის გუბერნიაში მოსახლეობა დაახლოებით მილიონს შეადგენდა.

ქართული სათავაზნაურო გიმნაზიის ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს იოსებ ოცხელს. რომელიც 1901 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ იაკობ გოგებაშვილის მითითებით, ქუთაისის სათავაზნაურო ქართული სკოლის ხელმძღვანელად დანიშნა. მან პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები შემოიკრიბა და მათგან ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი შექმნა. მათ შორის იყვნენ: გერასიმე ცაგარეიშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ს. ოცხელი, ი. ნიკოლაიშვილი, და მრავალი სხვა. სწორედ ამ შესანიშნავ პედაგოგთა ინიციატივით ქართულ გიმნაზიაში დაარსდა საკვირაო სკოლა, რომელიც 1910 წელს სახალხო უნივერსიტეტად გადაკეთდა.

იოსებ ოცხელი გვერდით ედგა რევოლუციურად განწყობილ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. „მთავრობამ რევოლუციონერ მასწავლეებს დაუნიშნეს გამოცდები და, მიუხედავად პრწყინვალე პასუხებისა, ისინი მაინც დაითხოვეს. მათ შორის იყო იასონ ნიკოლაიშვილი, რომელსაც ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრებაც კი აუკრძალეს, მაგრამ იოსებ ოცხელმა იმდენი მოახერხა, რომ ი. ნიკოლაიშვილი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ, კვლავ დაებრუნრებინა გიმნაზიაში პედაგოგად. ... როდესაც 1914 წლის 1 ივლისს კანონი გამოვიდა, რომლითაც კერძო სასწავლებლების ხელმძღვანელებს უფლება ეძლეოდათ, საგნების სწავლება არარუსულ ენაზეც წარემართათ, თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიების პედაგოგებმა განიზრახეს, ქართულ ენაზე შეედგინათ სახელმძღვანელოები.“ [12, გვ. 62-63]. ქართულად შეიქმნა როგორც სასწავლო პროგრამები, ასევე სახელმძღვანელოები ყველა საგანში. ახალგაზრდებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება იყო ამ გიმნაზიის მთავარი მახასიათებელი. ამიტომაც ამ გიმნაზიის აღზრდილნი ყოველთვის გამოირჩეოდნენ პატრიოტიზმის განსაკუთრებით გამძაფრებული გრძნობით.

ქართული სათავაზნაურო სკოლა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის სახალხო სკოლათა დირექტორის - ლევ სემიონოვის შეფასება: „... ვესწრებოდი რა ყველა გამოცდას და მქონდა რა შესაძლებლობა მედევნებინა თვალყური ყველაფრისათვის, რაც ჩემს

გარშემო ხდებოდა, მე დავრწმუნდი იმაში, რომ სწავლისა და აღზრდის საქმე ქუთაისის კერძო სააზნაურო გიმნაზიაში დაყენებულია საჭირო სიმაღლეზე. სკოლამ საქმისადმი ბეჯითი დამოკიდებულებით შეძლო არა მარტო „ცოდნის გადაცემა“ მოწაფეებისათვის, არამედ შეუსრულებია კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა - ჩაუნერგია სიყვარული შრომისადმი, რომელიც დედამიწაზე ბედნიერების წყაროს წარმოადგენს და პატივისცემა უფროსებისადმი. მე გამოცდების მსვლელობაში არ მქონია შემთხვევა მოწმე ვყოფილიყავი მოწაფეთა მხრით რაიმე ისეთი საქციელისა, რომელიც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა უადგილო გამოსვლად: მოწაფეებს თავი სანიმუშოდ ეჭირათ“ [181, გვ. 98].

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია მასალები, როგორიცაა მაგალითად, 1911-1912 სასწავლო წლის ანგარიში სადაც ჩვენ ვხედავთ, რომ გაკვეთილების რაოდენობა თითოეულ საგანში იყო შემდეგნაირად: საღვთო სჯული-პირველ განყოფილებაში ისწავლებოდა 1 საათი, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში 2-2 საათი კვირაში; ქართული კითხვა პირველ, მესამე და მეოთხე განყოფილებაში ისწავლებოდა 5-5 საათი, ხოლო მეორე განყოფილებაში 7 საათი, ხოლო რაც შეეხება ქართულ წერას, ის პირველ განყოფილებაში ისწავლებოდა 3 საათი, მეორეში- 1 საათი, მესამეში - 2 საათი და მეოთხეში-1 საათი. ანგარიშიდან ასევე სჩანს, რომ სკოლაში არც გალობას არ ასწავლიდნენ, არც ხელობას ან სამეურნეო საქმეს, ეს ანგარიში შედგენილია საქმის მწარმოებლის ი. ეპიტავიას მიერ.

ამგვარად, სათავაზნაურო სკოლა, ყოველთვის იდგა სათანადო სიმაღლეზე, რასაც ხელს უწყობდა ის კოლექტივი და დირექცია, რომელიც ამ სკოლას ემსახურებოდა, რათა მომავალი თაობისათვის სათანადო განათლება მიეცა და მათში სამშობლოს სიყვარული და ერთგულება ჩაენერგა. ამ სკოლის კურსდამთავრებულთა შორის არიან მწერალი- აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, აკადემიკოსები-გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, დავით ლორთქიფანიძე და სხვა, პროფესორები: ალექსანდრე წერეთელი, უშანგი ობოლაძე, აკაკი ფაღავა, ტერენტი კაკუშაძე; მწერლები: აკაკი ბელიაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ლევან ასათიანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით ჩხეიძე; კრიტიკოსი: ბესარიონ ჟღენტი; სახალხო არტისტები: აკაკი ვასაძე, დიმიტრი მჭედლიძე და მრავალი სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქუთაისის ყოფილი ქართული გიმნაზია ატარებდა სოციალურ-ჰუმანიტარული ტექნიკუმის სახელწოდებას. სკოლას აკაკი წერეთლის სახელი მიენიჭა 1940 წელს. შემდეგ მან რამდენიმე სახეცვლილება განიცადა და ბოლოს, დიდი ხნის მანძილზე ის მეორე საშუალო სკოლად იწოდებოდა, დღესდღეობით კი, ის ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზიად იწოდება. თავად იოსებ ოცხელის მოღვაწეობა მრავალმხრივობით გამოირჩეოდა, ის ასწავლიდა არა მარტო სკოლაში, არამედ მან დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში 1892 წელს ქუთაისში გახსნა პირველი „ქართული საჩვენებელი ბაღი მოსამზადებელი კლასით“, რომელმაც იარსება 1903 წლამდე.

ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი საერო ხასიათის სკოლა ქუთაისში 1830 წელს დაარსებული სამაზრო სასწავლებელი იყო. ის იყო პირველი სახელმწიფო სკოლა იმერეთში. აქ დაწესებული იყო სამკლასიანი სწავლება. მიიღებოდნენ ძირითადად, მესამე წოდებიდან გამოსული ვაჟები. განათლების რეფორმამდელი სამაზრო სასწავლებლები დაწყებითი განათლების სკოლებად ითვლებოდა. „ქუთაისის გუბერნიის დაარსების (1846 წ.) შემდეგ ქუთაისის სასწავლებლის სტატუსის ამაღლების სააკითხი დადგა. 1850 წლის თებერვალში

სამაზრო სასწავლებელი, ქუთაისის გუბერნიის შექმნასთან დაკავშირებით, საგუბერნიო გიმნაზიად გადაკეთდა. 1864 წლის განათლების რეფორმით დაწესდა გიმნაზიათა ორი ტიპი-კლასიკური და რეალური. 1878-1879 სასწავლო წლიდან კლასიკური ენების-ლათინურისა და ძველბერძნულის სწავლების შემოღების გამო სასწავლებელს კლასიკური გიმნაზია ეწოდა. 1882 წლის მონაცემებით კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 582 მოსწავლე ირიცხებოდა.“ [155, ფურც. 39]. „ახლად დაარსებულ გიმნაზიას საკუთარი შენობა არ გააჩნდა, რის გამოც სასწავლებლის ადმინისტრაცია იძულებული იყო კერძო პიროვნებების საკუთარი სახლები დაექირავებინა“ [27, გვ. 1]. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თხოვნით, სამეგრელოს მთავარმა დ. დადიანმა და მ. თუმანიშვილმა, ქუთაისის გიმნაზიის შენონის ასაგებად დათმეს საკუთარი მიწის ნაკვეთი იმერეთის მეფეების ყოფილი სასახლის - „ოქროს ჩარდახის“ მიდამოებში, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე. მხოლოდ „1899 წელს,გიმნაზიის დაარსებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის პერიოდში გადაწყდა, ძველი კორპუსისათვის მიეშენებინათ ახალი ნაგებობა. მშენებლობა მიმდინარეობდა 1900-1902 წლებში.“ [12, გვ. 48].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქ შემოღებული სწავლა-აღზრდის სისტემა არა მარტო სულიერად, ხშირ შემთხვევაში ფიზიკურადაც ამახინჯებდა ახალგაზრდებს. ფაქტად უამრავი მასალაა მოცემული ცნობილ ადამიანთა მოგონებებში, მაგალითად, როგორიცაა „აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, ნიკო ნიკოლაძის „წარსულიდან“, გიორგი წერეთლის „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, გიორგი ლასხიაშვილის „მემუარები“, ნიკო მარის „ავტობიოგრაფია“, ალექსანდრე ჯანელიძის „მოგონებები“, ილია ჩიქოვანის „მოგონებები“ და ა.შ.“ [27, გვ. 9]

გიმნაზია რვა კლასისაგან შედგებოდა. მას ასევე ჰქონდა მოსამზადებელი განყოფილებაც, სადაც, მოსწავლეებს ამზადებდნენ გიმნაზიის პირველი კლასისათვის, მოსწავლეებს ხშირად რამოდენიმე წელი სჭირდებოდათ სანამ სწავლას დაიწყებდნენ კლასიკური გიმნაზიის პირველ კლასში.

მაღალი დონის მოსამზადებელი განყოფილებები ჰქონდა ბევრ სასწავლებელს, მათ შორის აგრეთვე სასულიერო სასწავლებელს, საქალაქო სასწავლებელს, სათავაზნაურო სასწავლებელს სადაც ოთხ წელიწადს უნდა მომზადებულიყო მოსწავლე.

კლასიკურ გიმნაზიას აგრეთვე ჰქონდა ერთი უფროსი განყოფილება, სადაც მხოლოდ გამოცდის ჩაბარების შემდეგ ხვდებოდა ახალგაზრდა, მაგრამ აქ რუსული ენის კარგად ცოდნა იყო საჭირო, რადგან გიმნაზიაში ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა. მიუხედავად ამისა მსურველი ბევრი იყო, ადგილი კი ცოტა, სწორედ ამიტომ თავი იჩინეს ჯერ კერძო პირებმა, რომლებიც ამზადებდნენ მისაღები გამოცდებისთვის მოსწავლეებს, შემდეგ კი ნელნელა გაჩნდა საგანგებო სკოლები, მათ შორის იყო ასეთი ერთ-ერთი იოსებ ოცხელის სკოლა, სადაც ნამდვილად კვალიფიციური კადრი ემსახურებოდა ახალგაზრდობას და მიუხედავად იმისა რომ ქართული ენა თითქმის არ იყო საჭირო, აქ მაინდ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართულ ენაზე სწავლებას.

მოსამზადებელ კლასში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: „საღვთო სჯული, რუსული და არითმეტიკა. პირველი კლასიდან იწყებოდა სხვა საგნებიც, კერძოდ ლათინური ენა. ამ საგანს ყოველდღე ერთი საათი ჰქონდა დათმობილი, რაც ბევრად მეტი იყო სხვა საგანთან შედარებით, გარდა რუსულისა, რომელიც სწავლების ენაც იყო. ძველ ბერძნულის სწავლება გიმნაზიაში იწყებოდა მესამე კლასიდან, ასევე ისწავლებოდა, გეოგრაფია, ისტორია, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, რუსული

ენა და ლიტერატურა ყველა კლასში, ფიზიკა მეექვსე კლასიდან, ბოლო კლასში კი დაუმატეს სამართალმცოდნეობაც“ [43, გვ. 166, 167, 170]. ამას ემატებოდა ახალი ენები: ფრანგული და გერმანული. ამათგან ერთი სავალდებულო იყო, მეორე-სურვილისამებრ, ხატვა და გიმნასტიკა მხოლოდ დაბალ ჯგუფებში იყო, მაგრამ რაც შეეხება ქიმიასა და ბუნებისმეტყველებას, ისინი არ ისწავლებოდა. ქართულს მხოლოდ პირველ და მეორე კლასში გაივლიდა მოსწავლე და კვირაში მხოლოდ ორი საათი ეთმობოდა, თანაც გაკვეთილების ბოლოს, მაშინ როცა მოსწავლეების აქტიურობა ძალზედ დაბალი იყო. თუ მოსწავლე სწრაფად წაიკითხავდა ქართულს მას ფრიადს უწერდნენ სხვა რამეს არც კი ითხოვდნენ ქართულ ენასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება გამოცდებს, მოსამზადებელი კლასის ბოლოს ინიშნებოდა გამოცდები რომლის მიხედვითაც ირიცხებოდნენ ბავშვები პირველ კლასში, კლასიდან კლასში გადასვლა კი ხდებოდა მთელი წლის მანძილზე დაგროვებული ქულების საფუძველზე, რაც შეეხება კლასიდან კლასში გადასასვლელ გამოცდებს ის მხოლოდ სუსტ მოსწავლეებს უტარდებოდათ.

როგორც იმ პერიოდის სხვა სკოლებში, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაშიც სდევნიდნენ ქართულ ენას გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ პედაგოგების მიერ ქართული ენის დევნამ უკუშედეგი გამოიწვია მოსწავლეებში, ისინი უფრო ესწრაფოდნენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლას, მათ უფრო გამძაფრებული ჰქონდათ ეროვნული სულისკვეთება და გრძნობები. ისინი არალეგალურად გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს რითაც ებრძოდნენ ცარიზმის გამარუსებელ პილიტიკას და ჟურნალ გაზეთებიდან ებრძოდნენ რეაქციონერ პედაგოგებს.

მოსწავლეების მიერ არალეგალურად გამოცემული ჟურნალ-გაზეთებია: „მსაჯული“ (1865), „თაიგული“ (1865-66), „ია“ (1880), „სამშობლო“ (1880), „ბედი“ (1880-81), „დროშა“ (1882), „სტვირი“ (1882), „სალამური“ (1885-86), „განთიადი“ (1888), „ოპოზიცია“ (1894-95), „სხივი“ (1895-1900), და სხვ.“ [12, გვ. 52].

კლასიკურმა გიმნაზიამ მრავალი ცნობილი პირი და საზოგადო მოღვაწე გაზარდა, მათ შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, იოსებ ოცხელი, დიმიტრი უზნაძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი ხორავა და მრავალი სხვ.

კლასიკურმა გიმნაზიამ მრავალი რადიკალური ცვლილებები განიცადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში. მას ღირსეული ადგილი ეჭირა განათლების ისტორიაში. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გიმნაზია ქალაქის პირველ საშუალო სკოლად იწოდებოდა დიდი ხნის მანძილზე, დღესდღეობით კი ის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი გიმნაზიაა.

კონსტანტინე მკურნალს დიდი ამაგი აქვს საქართველოს სწავლა აღზრდის საქმეში. მის სახელთანაა დაკავშირებული სამტრედიის დაბა კულაშში ორკლასიანი სკოლის გახსნა, რომელსაც 1895 წლიდან 1902 წლამდე თავად ხელმძღვანელობდა და სწორედ მის სახელს ატარებს დღემდე ეს სკოლა. მაგრამ არანაკლებია მისი ღვაწლი 1905-1907 წლებში რევოლუციის დამარცხების შემდეგ პერიოდში, ეს ის პერიოდი იყო როდესაც ახალგაზრდობას ძალიან უჭირდა და სჭირდებოდა ისეთი ადამიანი გვერდით, როგორიც იყო კონსტანტინე მკურნალი (კონსტანტინე კორნარი), ის იყო ადამიანი გამსჭვალული პატრიოტული სულისკვეთებით, გამჭრიახი, საზოგადო საქმისადმი თავდადებული და ენერგიული პედაგოგი, რომელმაც დაინახა ახალგაზრდობის მძიმე

მდგომარეობა და მათი უსაზღვრო სურვილი სწავლისა, სწორედ ამიტომ მან განიზრახა ქუთაისში გაეხსნა გიმნაზიის ტიპის საშუალო სასწავლებელი.

ბევრი დაბრკოლება გადაიარა კონსტანტინე მკურნალმა ნებართვის მისაღებად, მაგრამ 1908 წელს ქუთაისში (ახლანდელი თამარ მეფის ქუჩაზე) გაიხსნა ახალი კერძო სასწავლებელი, ე. წ. „მკურნალის გიმნაზია“ (კონსტანტინე მკურნალის ვაჟთა კერძო „გიმნაზია“). სასწავლებელი იმავე წელს შეივსო სკოლის გარეთ დარჩენილი ახალგაზრდობით და მეცადინეობა მიმდინარეობდა კლასიკური გიმნაზიის პროგრამით. სკოლის ფორმებიც კი სულ მცირედით განსხვავდებოდა გიმნაზიელთა ფორმებისაგან. კონსტანტინე მკურნალის სკოლაში ყველას შეეძლო სწავლა, განურჩევლად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა. „აქ ბევრ სწავლა-მოწყურებულ, სხვადასხვა სასწავლებლებიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხულ მოსწავლეებსაც იღებდნენ. ამან ბევრ მოწინავე, ნიჭიერ, დევნილ ახალგაზრდას მისცა საშუალება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა. მოსწავლეებიც, თავის მხრივ, აფასებდნენ „მკურნალის გიმნაზიას“ და ცდილობდნენ კარგად ესწავლათ.” [12, გვ. 152].

„მკურნალის გიმნაზია“ დასაწყისისათვის ხუთკლასიანი იყო, შემდეგ რვაკლასიანად გადაკეთდა. მსურველი კი ძალზედ ბევრი იყო. სკოლაში გახსნისთანავე 600 ახალგაზრდა მივიდა და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. აქ მაშინდელ პირობებში მოწინავე, პროგრესული პედაგოგიური მეთოდებით უძღვებოდნენ სწავლა-აღზრდის პროცესს და სწორედ ამიტომ, აქ აღზრდილ მოსწავლე-ახალგაზრდობას უჭირდა ქალაქის სხვა სკოლებში გამეფებულ ანტიდემოკრატიულ ატმოსფეროსთან შეგუება.

მიუხედავად კონსტანტინე მკურნალის მრავალი მცდელობისა, სკოლა მაინც ვერ გახდა გიმნაზიის ტოლფასი, რაც თავისთავად ნიშნავდა, რომ ამ სკოლადამთავრებულს არ ჰქონდა უფლება უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ აქაც იპოვა კონსტანტინე მკურნალმა გამოსავალი, ის ყველაფერს აკეთებდა მისი მოსწავლეებისათვის. ზოგ მოსწავლეს, ექსტერნის წესით, აბარებინებდა გამოცდებს ანაპისა და როსტოვის გიმნაზიებში, ხოლო ზოგს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამამთავრებელ კლასებში აგრძელებინებდა სწავლას. მან მრავალ ქართველ ახალგაზრდას შეუწყო ხელი უმაღლესი განათლების მიღებაში. „მკურნალის გიმნაზიას“ განსაკუთრებით არ სწყალობდა 1907 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დანიშნული გარუსებული გერმანელი- რუდოლფი, რომელიც ქართველთა დიდი მოძულე იყო. „მან სასწავლებლებში ანტიეროვნული, ანტისოციალური, უსულგულობის რეჟიმი გააბატონა. „მკურნალის გიმნაზიაც“ სწორედ მისი უსულგულობის მსხვერპლი გახდა.” [12, გვ. 155].

კონსტანტინე მკურნალის „გიმნაზიამ“ სამი წლის განმავლობაში ყოველგვარი ვალის გარეშე იარსება. საკუთარი ხარჯებით შეიძინა მთელი საჭირო ინვენტარი და მოწყობილობა: „მერხები 500 მოსწავლისათვის, კარადები მაგიდები, ფიზიკის პატარა კაბინეტი, მუსიკალური ინსტრუმენტები, რუკები სურათები და მრავალი სხვა“ [12, გვ. 155]. თუმცა ეს არ იყო, საკმარისი და სასწავლებელს სჭირდებოდა ხელშეწყობა მთავრობისგან. მაგრამ მთავრობის უმოქმედობის გამო, სამი წლის შემდეგ სასწავლებელში მოსწავლეთა კონტინგენტმა შემცირება დაიწყო და მოსწავლეთა რაოდენობა 250-ზე დავიდა.

სასწავლებელი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმის გამო რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობას გადაერჩინა ის დახურვისაგან მთავრობაზე შემდეგ შეთანხმებაზე წავიდა : მთელ პასუხისმგებლობას კისრულობდა, რომ მოაგვარებდა ხარჯების პრო-

ბლემას და ქალაქიდან არაფერს არ მოითხოვდა და ასევე მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტინგენტის მიღების უფლებას ქალაქს უტოვებდა. ასეთი ცუდი პირობების მიუხედავად „მკურნალის გიმნაზიამ“ 1918 წლამდე მაინც იარსება და ქვეყანას მრავალი სანაქებო მამულიშვილი აჩუქა.

კონსტანტინე მკურნალი ძალისხმევას არ იშურებდა მისი სასწავლებლის წარმატებისათვის, მან სასწავლებელში მიიწვია სამუშაოდ ისეთი მაღალკვალიფიციური პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: დიმიტრი უზნაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, გიგო ნათაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, ლეო ანთაძე და მრავალი სხვ. „მოსწავლეებთან განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ალექსანდრე თორაძე, რომელიც აწყობდა რეფერატული ხასიათის მოხსენებებს, ლიტერატურულ დილებსა და გასამართლებებს. სასწავლებელში ხშირად იწვევდნენ ცნობილ მწერლებს. მკურნალის სკოლის მოსწავლეებს სასიამოვნო მოგონებად შემორჩათ აკაკი წერეთელთან შეხვედრა. მუზეუმის განათლების ფონდში დაცულია ლექსები, რომელიც მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მიუძღვნეს დიდ მგოსანს.” [12, გვ. 154].

კონსტანტინე მკურნალის „გიმნაზიაში“ სწავლის გადასახადი მეტად მცირე და ხელმისაწვდომი იყო მოსწავლეთა უმრავლესობისათვის. ის ღარიბ მოსწავლეებს დახმარებას უწევდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელობის სტიპენდიების სახით. ზოგიერთს კი მთლიანად ანთავისუფლებდა სწავლის გადასახადისაგან.

კონსტანტინე მკურნალმა, მრავალი წლის განმავლობაში, მრავალი დევნისა და ხელის შემშლელ პირობებში მაინც მოახერხა პირნათლად ემსახურა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში. ის 1919 წელს გარდაიცვალა. ცნობილი პედაგოგის სახელის უკვდავსაყოფად კი, მისი ყოფილი მოსწავლეების თხოვნით, ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მკურნალის სახელი ეწოდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქუთაისში დაისვა საკითხი ახალი სკოლის გახსნის შესახებ. კერძოდ, 1878 წლის 7 დეკემბერს ქალაქის სათათბირომ განიხილა საკითხი ქუთაისში ვაჟთა დაწყებითი სკოლის გახსნის თაობაზე. ხოლო 1879 წლის 8 ნოემბერს გაიხსნა ვაჟთა დაწყებითი სკოლა თავად ბაგრატიონის სახლში თბილისის ქუჩაზე. სასკოლო საბჭოს გადაწყვეტილებით ქუთაისის პირველდაწყებითი ვაჟთა სკოლა უნდა ყოფილიყო ორწლიანი (ორი განყოფილებით, თითო წელი თითო განყოფილება). სკოლაში მიიღებოდა ქუთაისში მცხოვრები ყველა წოდებისა და სარწმუნოების შვილები 7 წლიდან არაუმეტეს 11 წლამდე. „სკოლა პირველად გაიხსნა 30 მოწაფისათვის. სწავლის საფასური შეადგენდა 12 მანეთს. ხოლო ღარიბთა შვილები თავისუფლდებოდნენ გადასახადისგან. 1883 წლის მონაცემებით იგი დაამთავრა 75 მოწაფემ. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება, როგორც კლასიკურ გიმნაზიაში, ისე სათავაზნაურო სკოლაში და პროგიმნაზიაში“ [149, ფურც. 29]. კომისიამ განსაზღვრა სასწავლო საგნებიც: „პირველ წელს: 1. ქართული ენა; 2. არითმეტიკა; 3. თვალსაჩინო სწავლება; 4. საღვთო სჯული; 5. გალობა; 6. სწავლება რუსული სალაპარაკო ენისა; 7. ხაზვა; 8. წერითი ვარჯიში. მეორე წლიდან: სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე და ემატებოდა სასწავლო „ბუნების კარი“ [4, გვ. 253]. სკოლას ჰყავდა სამი მასწავლებელი. ზედამხედველი დაარსებიდანვე იყო ვასილ პეტრიაშვილი, ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებული. სულ მალე სკოლამ მოიხვეჭა სახელი, მაგრამ მიუხედავად ამისა სკოლა ვერ აკმაყოფილებდა განათლებისადმი გაზრდილ მოთხოვნილებას და მას ღარიბთა სკოლას ეძახდნენ. შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა, რომ ორკლასიანი სასწავლებელი სამკლასიანად

გადაკეთებულიყო. ამიტომ „ქუთაისის მაცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის თავს 1880 წელს სკოლის სამკლასიანად გადაკეთების შესახებ. მოსახლეობის თხოვნა საბოლოოდ 1892 წელს აღსრულდა. საქალაქო სასწავლებელში საგანგებოდ შეიქმნა პედაგოგიური კლასი, რომელშიც სხვა საგნებთან ერთად სწავლობდნენ დიდაქტიკას. მას კვირაში დათმობილი ჰქონდა ორი გაკვეთილი, არითმეტიკის მეთოდიკას - ორი გაკვეთილი, წერის მეთოდიკას კი - ორი გაკვეთილი“. [4, გვ. 254]. სკოლას არ გააჩნდა საკუთარი ბინა. ყოველწლიურად ქირაობდნენ ახალს. „ქალაქის ხაზინამ სკოლას ქირისთვის გადაუხადა 2300 მანეთი“ [151, ფურც. 27]. „სკოლის მოსწავლეთათვის სასწავლო წიგნებს, საკანცელარიო ნივთებსა და გათბობის თანხასაც ქალაქის გამგეობა იხდიდა“. [148, ფურც. 5].

1915 წელს კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის თაოსნობით ქუთაისში გაიხსნა ვაჟთა რვაკლასიანი კომერციული სასწავლებელი. სასწავლებელი ეკუთვნოდა საშუალო ტიპის სასწავლებელთა კატეგორიას და მისი მიზანი იყო მოსწავლეთათვის ზოგადი და კომერციული საშუალო განათლების მიცემა. როგორც 1989 წლის გაზეთ „ქუთაისი“-ს მასალებიდან ირკვევა: „კომერციული სასწავლებელი უშუალოდ ემორჩილებოდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს და სასწავლებელში მიღების უპირატესობით სარგებლობდნენ ვაჭართა საზოგადოების წევრთა შვილები. მისაღები გამოცდების პროგრამას ადგენდა სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო, რომელსაც ამტკიცებდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო. მოსწავლეთა საერთო მიღება ხდებოდა სასწავლო წლის დასაწყისში ან დასასრულს, მაგრამ ვაკანტური ადგილის არსებოსის შემთხვევაში, მოსწავლეებს იღებდნენ სასწავლო წლის პირველ ნახევარშიდაც.“ [177].

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ნებართვით სასწავლებელთან გაიხსნა პანსიონი. „აქვე შეიქმნა ბიბლიოთეკაც. იქვე იყო ფიზიკის კაბინეტი, სანიმუშო საგნების მუზეუმი, ლაბორატორია-მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის ქიმიასა და საქონელმცოდნეობაში, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ხაზვის, ტანვარჯიშისა და სხვა სასწავლო დისციპლინების კაბინეტები. სასწავლებელში იღებდნენ მამრობითი სქესის მოსწავლეებს, განურჩევლად სარწმუნოებისა და წოდე-ბისა. ჰქონდათ ორი მოსამზადებელი კლასი, თავიანთი განყოფილებებით. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 8 წლით. თითოეული კლასი გათვალისწინებული იყო 40 მოსწავლეზე. თუ მოსწავლეთა კონტინგენტი მეტი აღმჩნდებოდა, სამინისტროს ნებართვით, პარალელური კლასების გახსნაც შეიძლებოდა“. [12, გვ. 163].

სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: „ღვთისმეტყველება, რუსული ენა და სიტყვიერება, ფრანგული და გერმანული ენები, ქართული ენა, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, ანალიზური გეომეტრია), კოსმოგრაფია, ფიზიკა, კომერციული არითმეტიკა, ბუღალტერია (თეორიული და პრაქ-ტიკული), პოლიტიკური ეკონომია, კანონმცოდნეობა (უპირატესად სავაჭრო და სამრეწველო), ქიმია, საქონელ-მცოდნეობა (ტექნოლოგიით) და ასევე პრაქტიკული მეცადინეობა ლაბორატორიაში (ქიმიისა და საქონელმცოდნეობის განხრით)“. [12, გვ. 163].

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია მასალები სადაც წარმოდგენილია სასწავლო პროგრამები სხვადასხვა საგნებში, წარმოგიდგენთ 1915-16 სასწავლო წლის პროგრამა ქართულ ენაში უმცროს მოსამზადებელ კლასში, სადაც ქართული ენის კვირეული დატვირთვა შეადგენდა 4 საათს კვირაში. პროგრამაში შედიოდა: „1. სასაუბრო სასწავლო ნივთებზე და სათამაშოებზე, 2. მკვეხარა ქოთანი, 3. ვანო და

ქვევრი, 4. მძინარე ნიბლია (ზეპირათ), 5. კოკა და ლიტრა, 6. სასაუბრო ჭურჭელზე, 7. ღორმუცელა და ბეჯითი, 8. თავისი თავის დასჯა, 9. კეთილი სანდალა, 10. სასაუბრო სასმელებზე და საჭმელებზე, 11. რწყილი და ჭიანჭველა, 12, ქურდი, 13. ირემი (ზეპირად), 14. ნაპოვნი სავარცხელი, 15. ტოროლა (ზეპირად), 16. მუქთამჭამელა, 17. სასაუბრო საცმელზე და ლოგინზე, 18. ვანო და ფრინველები, 19. ქარი და საბძელი, 20. ჩხუბი სულ არაფერზე, 21. ყოჩაღი კაცი (ზეპირათ), 22. ორი სახნისი, 23. ჩიტი და ფეტვი, 24. მენავეები, 25. სასაუბროები იარაღებზე, 26. გვრიტი, 27. კატა (ზეპირათ), 28. ცალი ხარი, 29. ხარი (ზეპირათ), 30. ალექსი და აქლემი, 32. სასაუბრო შინაურ ცხოველებზე, 33. ჩიტი და მელა, 34. ორი ირემი, 35. მჩხავანა კატა, 36. საწყალი მელა (ზეპირად), 37. თხა და გიგო, 38. ცალთვალა ირემი და მონადირე, 29. სასაუბრო ნმადირებზე, 40. დედაბერი და ქათამი, 41. კურდღლის სიზმარი (ზეპირად), 42. ქურდი და მამალი, 43. მელია და მამალი (ზეპირად), 44. სასაუბრო შინაურ ფრინველებზე, 45. კატო და კატა, 46. მერცხალი და მეცხვარე, 47. მწყერი და მწყემსი (ზეპირად), 48. მწყერი და ღამურა, 49. ქორი და წიწილა (ზეპირად), 50. გვრიტი და მტრედი, 51. სასაუბრო გარეულ ფრინველებზე, 52. მეთევზე და თევზი, 53. ლიკოკინა და ხვლიკი, 54. მოჯამაგირის ლექსი (ზეპირად), 55.თევზი, 56. მგელი და მეცხვარე (ზეპირად), 57. სასაუბრო თევზებზე და ქვეწარმავლებზე, 58. ბუზი და ეტლი, 59. პეპელა და ფუტკარი, 60. კუდა-ხარი და ბუზები, 61. ბუზი (ზეპირად), 62. ჭიანჭველა და ფუტკარი, 63. სასაუბრო მწერებზე, 64. მელია და მწყერჩიტა, 65. ძაღლი და ძროხა [141, ფურც. 11], 66. ცრუ, 67. მთის წყარო (ზეპირად), 68. უსუნო ყვავილი, 69. მოუფიქრებელი კითხვა, 70. სასაუბრო ბალახებზე და ყვავილებზე, 71. ბებერი და გოგოები, 72. ჯეჯილი (ზეპირი), 73. ცხვირს მაღლა ვინ იწევს? 74. ყანა (ზეპირად), 75. სასაუბრო ჭირნახულზე და ბოსტნეულზე, 76. ირემი და ვენახი, 77. ბალი და ჩიტები (ზეპირად), 78. ვაშლი და შაქარი (ზეპირად), 79. სასაუბრო ხეხილებზე, ხეებზე და ჩირგვებზე, 80. ლომი და თაგვი. გრამატიკიდან: სულიერი და უსულო საგნები, წინადადებაში ქვემდებარე და შემასმენელი [141, ფურც. 12].“

1915-16 სასწავლო წლის პროგრამა ქართულ ენაში უფროს მოსამზადებელ კლასში, სადაც ქართული ენის კვირეული დატვირთვა აქაც შეადგენდა 4 საათს კვირაში, შედგებოდა: „1. ირემი და ვენახი, 2. სასაუბრო ხეხილზე, ხეებზე და ჩირგვებზე, 3. ლომი და თაგვი, 4. კატა და ძეხვები, 5.მარგალიტი, 6. სასაუბრო ლითონებზე და ქვებზე, 7. ირემი, 8. გაზაფხული (ზეპირად), 9. ვირის ჭკუა, 10. მეცხვარე და მარტი, 11. სასაუბრო წელიწადის დროებზე, 12. ღარიბი გლეხი, 13. ოთხი სურვილი, 14. კოღო და ღამე, 15. სასაუბრო თვეებზე, 16. მერცხალი (ზეპირად), 17. ცრუპენტელა, 18. მეფე და მხატვარი, 19. სასაუბრო ხელოსნობაზე და მოხელეებზე, 20. მოთმინება კაი საქონელია, 21. მორიელი და კუ, 22. ჩხუბი ადამიანის არსებობისა, 23. სასაუბრო ადამიანის სხეულებზე და ნაწილებზე, 24. მაისის დილა (ზეპირად), 25. კოჭლი და ბრმა, 26. მახეში გაბმული ჩიტი (ზეპირათ), 27. ბრმა, კოჭლი და ღატაკი, 28. სასაუბრო გრძნობებზე, 29. ფუტკარი და მტრედი, 30. ყმაწვილი და პეპელა (ზეპირათ), 31. თაგვები და კატა, 32. შენანებული ვაჭარი, 33. სასაუბრო ბუნების მოვლენებზე, 34. სირცხვილის აშორება, 35. სიკეთე ბოროტისათვის, 36. თავის განწირვა მტრისათვის, 37. მიუდგომლობა, 38. საყვედური უარესია ტყვილზე, 40. სამაგიერო სიკეთე. 41. გულკეთილი ქვრივი, 42. ჭორის მსხვერპლნი, 43. მოუთმენლობის მსხვერპლი, 44. მებადურის შვილი, 45. სიკეთე სიკეთისათვის, 46. ერთობის ძალა, 47. წიგნი, 48. ვედრება პატარა გლეხისა (ზეპირათ), [141, ფურც. 12] 49. ქაღალდი, 50. კარანდაში, 51. ჯერ შრომა, მერე ხტომა (ზეპირათ), 52. მელანი, 53. ჭკვიანი ძაღლი, 54. კატა, 55. თაგვების და კატის ომი (ზეპირათ), 56. ჩვენი

სოფელი, 57. ვანო და ქალაქი, 58. საქართველო და მისი ნაწილები, 59. საყვარელი სამშობლო (ზეპირათ), 60. კახეთი, 61. ქართლი, 62. იმერეთი და რაჭა, 63. სამეგრელო და სვანეთი, 64. გურია და აჭარა, 65. სამასი თავდადებული გლეხი, 66. გლეხი ბოსტაშვილი, 68. ცხრა ძმანი ხერხეულიძენი, 69. საჩინო ბარათაშვილი, 70. ცოტნე დადიანი, 71. თავდადებული მღვდელი თევდორე. გრამატიკიდან მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, თანდებული, კავშირები, შორისდებული, დიალექტი, წინადადება და მისი ნაწილები, წინადადების გარჩევა [141, ფურც.13].“

რაც შეეხება პირველ კლასს, აქ საათების რაოდენობა კვირაში შეადგენდა 3 საათს. 1915-1916 სასწავლო წლის პროგრამა ქართულ ენაში შედგებოდა: „1. ოჯახის გამხარებელნი (ზეპირად), 2. დედა-ჩიტი, 3. დედის სიყვარული, 4. დედა-ვეფხვი, 5. ბედნიერი დღე, 6. ობოლი (ზეპირათ), 7. საახალწლო სურათები, 8. ღვთის-შვილი, 9. გლეხის შვილის ნაამბობი (ზეპირათ), 10. ოჯახიდან შვილისკენ, 11. ბეჯითი მოწაფე (ზწპირათ), 12. უპატრონო გოგუცა, 13. თავდებობა, 14. ჭეშმარიტი მოძღვარი, 15. სამაგალითო სულგრძელობა, 16. ბიძია კლაუსი და მისი ერთგული მეგობრები, 17. მგელი და წერო (ზეპირათ), 18. სამშობლო ხევსურისა (ზეპირათ), 19. განთიადი (ზეპირათ), 20. პაწია მამულიშვილი, 21. ღამურა (ზეპირათ), 22. სიზმარი (ზეპირათ), 23. რკინის-გზის დარაჯი, 24. ჰარიეტ ბიჩერ სტოუ, 25. შეტენბერგი, 26. ჯემას უატტი, 27. რობერტ ფულტინი, 29. ლუი პასტერი, 30. ხარაბუზა და ფუტკარი (ზეპირათ), 31. სწავლა მოსწავლეთა (ზეპირათ), 32. ვირი და ბულბული (ზეპირათ), 33. ბედუინი და მისი ცხენი, 34. როგორ ისწავლეს თევზების მოშენება, 35. სადილი უდაბნოში, 36. ნიადაგი, 37. ლითონების შოვნა, 38. მარილი, 39. სითბო და სიცივე, 40. მუდმივი მოგზაური. 41. ჰაერი.“ [141, ფურც.13].

1912 წლის ჟურნალი „დილა“-ს მასალებიდან ირკვევა, რომ „ვინც სასწავლებლის ექვს კლასს წარჩინებით დაასრულებდა, პირველი რანგის მოსამსახურის წოდებას მიიღებდა და ყოველგვარი გამოცდის გარეშე შეეძლო ნებისმიერ დაწესებულებაში მუშაობა ... მოსწავლე რომელიც წარმატებით დაასრულებდა სასწავლებელს, ანიჭებდნენ კომერციის კანდიდატის წოდებას და აჯილდოვებდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლით.“ [95, გვ.7-8].

სასწავლებელს ჰქონდა ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და წარწერით „ქუთაისის რვაკლასიანი კომერციული სასწავლებელი“. „სასწავლებელს უფლება ჰქონდა, საზღვარგარეთიდან უბაჟოდ გამოეწერა სამხატვრო და სასწავლო ნივთები, საქონლის ნიმუშები, მიეღო ყოველგვარი შემოწირულება ცალკეული მოქალაქისა და დაწესებულებისაგან“ [140, ფურც. 7].

მართალია, აღნიშნული სასწავლებლის გახსნას ქუთაისში კომერციული საქმიანობის გააქტიურება დიდად არ მოჰყოლია, მაგრამ მან მაინც შეასრულა თავისი დადებითი როლი. თითქოს ქუთაისმაც მაშინდელი მოწინავე მსოფლიოსათვის ფეხის აწყობა სცადა. ყოველგვარი მცდელობა კომერციული საქმიანობის გააქტიურებისა აუცილებელი იყო ქალაქისა და ქვეყნის განვითარებისათვის.

ამ პერიოდის სხვა სასწავლებლებს შორის ასევე აღსანიშნავია ქუთაისის რეალური სასწავლებელი, რომელიც აქცენტს ძირითადად შრომით აღზრდაზე აკეთებდა. საბედნიეროდ ჩვენს ქვეყანაში რეალურ განათლებას თავიდანვე ბევრი მომხრე და ენთუზიასტი ჰყავდა. ამასთან დაკავშირებით ქართულ პრესაში მრავალი წერილი დაიბეჭდა. აღსანიშნავია, რომ რეალური განათლების ინტერესებს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე იცავდნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები,

ცნობილი მწერლები, პუბლიცისტები, ავტორიტეტული პედაგოგები და მრავალი სხვ. [126, გვ. 78]. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გაზეთ „დროებას“. მის ფურცლებზე გიორგი წერეთელმა მოათავსა სტატია, რომელშიც განმარტებული იყო რეალური განათლების უპირატესობა მაშინდელი საქართველოსათვის. „ის აშკარად იცავდა რეალური განათლების პროგრესულ სისტემას. მისი წერილი მკითხველს პრაქტიკულ დახმარებას უწევდა და გზას უჩვენებდა სწორი არჩევანისაკენ“. [12, გვ. 66].

რუსეთში 1864 წელს დამტკიცებული გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდების მიხედვით აღიარებული იყო ორი ტიპის გიმნაზია: კლასიკური და რეალური, კლასიკურ გიმნაზიაში ისწალებოდა ძველი ენები (ლათინური და ბერძნული), რეალური სასწავლებელი კი ძველი ენების გარეშე იყო, წესდება კლასიკურ გიმნაზიას უშვებდა ერთი ძველი ენითაც (ლათინურით) და ასეთ გიმნაზიებს ნახევრად კლასიკურს უწოდებდნენ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საშუალო სასწავლებლის ძირითად ტიპად კლასიკური გიმნაზია იყო აღიარებული, თუმცა რეალურ გიმნაზიებსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებაში. ორივე ტიპის გიმნაზიაში სწავლების ხანგრძლივობა შვიდწლიანი იყო. მაგრამ მხოლოდ კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებულს ჰქონდა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლება, რომელიც ჩვენში 1918 წლიდან არსებობდა.

ნიკო ნიკოლაძე და იმ პერიოდის მოქინავე ქართული ინტელიგენცია პროფესიული განათლების მიღებას აუცილებლობად თვლიდა და ისინი მხარს უჭერდნენ რეალურ განათლებას. სწორედ ამიტომ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოში მკვეთრად დადგა საკითხი რეალური განათლების აუცილებლობისა. ამასთან დაკავშირებით, 1872 წელს გამოცემული წესდების ერთი მუხლი შემდეგი შინაარსისა იყო: „რეალური სასწავლებელი მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლე ახალგაზრდობას ზოგადი განათლება“... [12, გვ. 68]

ქუთაისში 70-იანი წლებიდან არსებობდა კლასიკური პროგიმნაზია, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი კონტიგენტი ჰყავდა. იგი დაწყებითი ტიპის სასწავლებელი იყო და ბავშვებს ამზადებდა გიმნაზიებში ჩასარიცხად. მისი უფრო მაღალი ტიპის სასწავლებლად გადაკეთების საკითხი არაერთხელ დასმულა. მსგავსი პროგიმნაზიები არაერთი იყო საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთში. აღსანიშნავია, რომ 1897-1898 სასწავლო წლიდან ერთ-ერთი ასეთი პროგიმნაზიის ბაზაზე, ქუთაისში არსებობას იწყებს რეალური სასწავლებელი. გაზეთი „ივერიის“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „აქაური საზოგადოება, რომლისთვისაც, რეალური სასწავლებელი გიმნაზიაზედ ნაკლებ საჭირო არ არისო - სწერს პროგიმნაზიის ინსპექტორი ბანკის მართველობას - ისარგებლებს ამ შემთხვევით და მხურვალედ მოჰკიდებს ხელს, რომ ქუთაისში რეალური სასწავლებელი დააარსოსო.“ [17, გვ.1]. პირველივე წელს გაიხსნა პირველი კლასი 32 მოსწავლით და მთელი წლის განმავლობაში სკოლა შეივსო 218 მოსწავლემდე, ხოლო მომდევნო სასწავლო წელს (1898-1899 წწ) უკვე შვიდივე კლასი დაკომპლექტდა და მოსწავლეთა რიცხვმა მიაღწია 274-ს. სასწავლებელთან იყო მოსამზადებელი კლასებიც, რომელთა ხანგრძლივობაც ადგილობრივად დგინდებოდა მოსწავლეთა ასაკისა და მომზადების შესაბამისად. მოსამზადებელ კლასში იღებდნენ 8-10 წლის ასაკის ბავშვებს, რომელთაც უნდა სცოდნოდათ პირველდაწყებითი ლოცვები, წერა-კითხვა და მარტივი ანგარიში. უშუალოდ რეალური სასწავლებლის პირველ კლასში შემსვლელებს კი მოეთხოვებოდათ მთავარი ლოცვებისა და წმინდა ისტორიის, ძველი და ახალი აღქმის ისტორიის ცოდნა, ასევე სწრაფი კითხვა და პატარა

მოთხრობის მოყოლა, კარნახით წერა და ოთხივე არითმეტიკული მოქმედების ცოდნა. „რეალურ სასწავლებლის თითოეულ კლასში დაახლოებით იყო 20-25 მოსწავლე, თუმცა როგორც ვიცით მოსწავლეთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და სწორედ ამიტომ ზოგიერთ ჯგუფში მათ რიცხვმა 60-მდე მიაღწია. ... აქ დაწესებული იყო ერთსაათიანი საგაკვეთილო პროცესი, თუმცა ხატვასა და ხაზვაში ეს დრო შეიძლება კიდევ გადიდებულიყო. ... სასწავლო გეგმით თავიდანვე 18 საგანი იყო გათვალისწინებული: საღმრთო სჯული, რუსული, გერმანული, ფრანგული და ქართული ენები, არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა, ტრიგონომეტრია, ფიზიკა, ბუნების ისტორია, გეოგრაფია, ისტორია, კოსმოგრაფია, ხაზვა, ხატვა, სუფთა წერა, გიმნასტიკა. 1910 წლიდან დაუმატეს ქიმიის საგანი, სამაგიეროდ დევნა განიცადა ქართულმა ენამ. ის კოსმოგრაფიასთან და გიმნასტიკასთან ერთად ამოიღეს პროგრამიდან. უფრო დიდი ყურადღება კი დაუთმეს ხელსაქმესა და პრაქტიკულ მეცადინეობას.“ [12, გვ. 69]. რაც შეეხება სწავლების გადასახადს, აქ სწავლების ქირის ოდენობას ადგენდა სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო და ის შეადგენდა 80 მანეთს. მშობლებს შეეძლოთ თანხის ნახევარი პირველ სემესტრში შეეტანათ, მეორე ნახევარი კი მეორე სემესტრში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თითოეულ კლასში მოსწავლეთა ორჯერ დატოვება აკრძალული იყო.

ამ პერიოდის მრავალ საგანმანალებლო კერებში სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რეალური სასწავლებელიც არ იყო გამონაკლისი. აქ სწავლება ძირითადად მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. როგორც 1892 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყ-ნებული მასალებიდან ირკვევა საგნების გამო მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი სრულ კურსს ვერ ამთავრებდა [18, გვ. 1]. ამაზე მიუთითებს თუნდაც 1909 წლის მონაცემები: სასწავლებელში 141 მოსწავლე შევიდა, კურსი კი მხოლოდ 58-მა დაასრულა. მათ სწავლა უჭირდათ ენის უცოდინარობის გამო. მსგავსი შედეგით სრულდებოდა თითქმის ყველა სასწავლო წელი.

რეალური სასწავლებლის სასწავლო გეგმაში ძირითადი ყურადღება ეთმობა საბუნე-ბისმეტყველო-მათემატიკურ საგნებს. აქ მათემატიკური საგნები მთავარ საგნებად ითვლებოდა და შესაბამისად პედაგოგიური კოლექტივიც ამ მხრიც საკმაოდ ძლიერი იყო. მინდა განსაკუთრებით ავღნიშნო ერთი პედაგოგი-ლაზარე ხმალაძე, რომლის კლასიც სასწავლებელში ერთგვარ მეთოდურ, თითქოს ცალკე დაწესებულებად გადაიქცა. აღსანიშნავია, რომ გაკვეთილის დიდაქტიკური და მეთოდური მხარეების გასაცნობად, ბატონი ლაზარეს გაკვეთილებზე თვეობით დასწრებას ავალდებუ-ლებდნენ ახალბედებს. „ლ.ხმალაძე იყო სკოლის განახლების პროექტის ერთ-ერთი ავტორი და ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლების შემოღების ინიციატორი. ამ უფლების მიღებისათვის მას ბევრი შრომა დასჭირდა. მან შეადგინა ქართულ ენაზე დაწყებითი ჯგუფის ოთხი კლასისათვის არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, რომელიც გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა და ეს წიგნები დიდი მოწონებით იქმნა მიღებული საზოგადოების მიერ. აღსანიშნავია, რომ ლ.ხმალაძემ, რეალურ სასწავლებელში, ქართული ენის მასწავლებლობასთან ერთად შეითავსა რუსული ენის მასწავლებლობაც“. [12, გვ. 71].

ქუთაისის რეალურ სასწავლებელში დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლეთა შრომით აღზრდას. განსაკუთრებით ხელით შრომას, რომლის სწავლების საკითხიც 1910 წლიდან დაისვა. 1912-1913 სასწავლო წელს დაიწყეს ძერწვაც, მაგრამ აქ მხოლოდ რეალური სასწავლებლის მოსწავლეები არ იღებდნენ მონაწილეობას, სხვა სასწავლებლიდან მოსული მოსწავლეებიც იყვნენ ჩართულები. „სასწავლებლის ხელით შრომის კლასებიც კი გაიხსნა 1912 წლის 1 სექტემბერს, ხელმძღვანელად კი დაინიშნა

იასონ გელაზანია, რომელიც იყო ქუთაისის პირველი უმაღლესი-დაწყებითი სასწავლებლის ხატვის მასწავლებელი. ძერწვისათვის მასალად კი იყენებდნენ თიხასა და თაბაშირს“. [143, ფურც. 34]. „სწავლების საფასური შეადგენდა თვეში 2 მანეთს. თითოეული ჯგუფის კვირეული დატვირთვა არ აღემატებოდა 6 საათს. მოსწავლეთა მიერ ნაკეთობები ინახებოდა სასწავლებლის მუზეუმში. სასწავლო წლის ბოლოს გამოფენის შემდეგ ისინი უბრუნდებოდნენ მოსწავლეებს, რადგანაც ისინი მოსწავლის საკუთრებას წარმოადგენდგენ.“ [142, ფურც. 4-5].

როგორც ქუთაისის ქართველ მოღვაწეთა მოგონებებიდან ირკვევა, „რეალურ სასწავლებელში სწავლა იმდენად რთული იყო, რომ აქ შემსვლელთათვის საგანგებოდ კერძო სკოლები დააარსეს.“ [43, გვ.168]. მოუმზადებელი ბავშვი უკვე აღარ შეიძლებოდა შესულიყო რეალურ სასწავლებელში. მოსწავლეთა მდგომარეობა რეალურ სასწავლებელში არ იყო მაინცადამაინც სახარბიელო, განსაკუთრებით სადამსჯელო კუთხით. სასწავლებლის დირექცია იყენებდა ისეთ დესპოტურ სასჯელსაც, კი როგორიც იყო მოსწავლეთა პატიმრობა, რომელიც, ცხადია, არ შეეფერებოდა სასწავლო დაწესებულებას. მასწავლებლებიც უმეტესწილად რუსები იყვნენ. მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ არც ქართველი ბავშვის ფსიქოლოგიაზე და არც საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. „ბავშვების ფიზიკურ განვითარებაზე არავინ ზრუნავდა. 1895 წლისათვის მხოლოდ სამხედრო წყობასა და ევროპულ ცეკვებს ასწავლიდნენ. შემდეგ, ყოველწლიურად, 14 იანვარს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში იმართებოდა საცეკვაო საღამო, სადაც მიჰყავდათ ის მოსწავლეები, რომლებიც უნტეროფიცრის ბრჭყვიალა სარტყელს დაიმსახურებდნენ.“ [12, გვ. 73].

დასაწყისისათვის რეალურ სასწავლებელში თითქმის მხოლოდ რუსი პედაგოგები ასწავლიდნენ. მათი უმრავლესობა არ იყო მტრულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდების მიმართ. „თუმცა იყვნენ შოვინისტებიც, რომლებიც მწვავედ განიცდიდნენ, რომ რუსულის ცოდნასა და სასკოლო მეცნიერებათა საფუძვლების ათვისებაშიც რუს მოსწავლეებს ქართველები ბევრად სჯობდნენ.“ [43, გვ. 247].

მოსწავლეთა რაოდენობა რეალურ სასწავლებელში ყოველწლიურად იზრდებოდა. სახელმწიფო იძულებული გახდა უკვე 1914 წლიდან ახალი სასწავლებლის დაარსებისათვის ეზრუნა. შეიქმნა პირველი პროექტიც, მაგრამ ქუთაისში მეორე რეალური სასწავლებელი აღარ გახსნილა.

„1918 წელს რეალურ სასწავლებელთან გაიხსნა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. 1921 წლიდან (ოქტომბრიდან) ქუთაისის რეალური სასწავლებელი გადაკეთდა მე-4 ტექნიკუმად.“ [144, ფურც. 26].

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეალურმა განათლებამ დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა განათლების საქმეში და გაცილებით მაღალ დონეზე დააყენა შრომითი აღზრდა.

1.4 წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები

XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი, ეს სწორედ ის პერიოდია საქართველოს ისტორიაში, როცა რუსეთის ცარიზმი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართული ენა საერთოდ გააუქმოს. იკრძალებოდა ქართულ ენაზე სწავლებაც. სწორედ ამიტომ ქართული სკოლის გახსნა ქუთაისში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით ეს მაინც მოახერხა. 1879 წლის 15 მაისს გაიმართა

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი სხდომა, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა ქართული სკოლების გახსნა, სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემა და საერთოდ ქართული სულის დაბრუნება მოზარდ ახალგაზრდობაში. საზოგადოების მუშაობას თავისი პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა და 1880 წლის 3 თებერვალს ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა სააზნაურო მოსამზადებელი სკოლა, ფინანსურად კი თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების დახმარებით.

დასავლეთ საქართველოს განათლების კერებზე საუბრისას აფხაზეთის განათლების საკითხი მეტად აქტუალურია, რადგანაც რუსეთის ცარიზმს უფრო ადვილად მიუწვდებოდა ხელი გასაგები მიზეზთა გამო, შესაბამისად სამოციან წლებში განათლების ქსელი აფხაზეთში მეტად შეზღუდული იყო.

კავკასიაში მართმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები არსებობდა: ოქუმში, დიხაზურგაში, გუდავაში, საბედიოში, საბერიოში, ლიხნში, ოჩამჩირეში, გუპში, ახალ ათონში და ჭილოვში. ამ საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების მიზნებსა და წარუმატებლობას მიუძღვნა რაჟდენ ჯაჯანაშვილმა ვრცელი სტატია, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „დროება“-ში. სტატიაში რაჟდენ ჯაჯანაშვილი ქართული პედაგოგიკის ისტორიაში პირველად დაწვრილებით შეეხო ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების მიზნებს და ამოცანებს და მოგვცა სრულყოფილი ანალიზი არა მარტო ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებისა, არამედ საქართველოში არსებული იმდროინდელი დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებისა: „თუმცა ამ უკანასკნელ ზემოთ ხსენებულ საზოგადოების სკოლებზედ ხშირად დაიწყეს წერა, მაგრამ თითქმის არავის აუწერია ისინი ისე დაწვრილებით, რომ მკითხველ საზოგადოებას შეეძლოს მათი ნამდვილად დაფასება. ოფიციალური ანგარიშები, რომელიც ყოველ წლივ სდგებიან ამ სკოლების ინსპექტორებისაგან, ვერ წარმოადგენენ ნამდვილ სურათს სკოლების მდგომარეობისას. ... ამიტომაც მე ახლა მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ზემოხსენებულ სკოლებზედ და გივენოთ, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ესენი.

რა მიზანიც აქვს ზემოთხსენებულ საზოგადოებას ეს ჩანს სახელწოდებიდან, ე.ი. აღადგინოს ქრისტიანობა განათლების შემწეობით. „საზოგადოების“ წარმატება მაშასადამე დამოკიდებულია ხალხის განათლებაზედ. თუ „საზოგადოების“ მოქმედებამ მოჰფინა ხალხში განათლების სხივები, მაშინ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ქრისტიანობის აღდგინებაც ნაყოფიერს საფუძველზედ სდგას; და წინააღმდეგ, თუ „საზოგადოების“ მოქმედება ვერ შეატანს იმ სიბნელეს, რომლითაც გარემოცულია ხალხი, მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ იმას ვერ მოაქვს ჯეროვანი სარგებლობა, რომ იგი ვერ ახწევს აღნიშნულ მიზანს, რომ იმის მეცადინეობა რჩება უნაყოფოთ და უბრალოთ აძლევს ამ საქმეს თავის ნივთიერ და ზნეობრივ ძალას.

მხოლობითი წყარო ხალხის განათლებისა-არის სკოლა“. [186]

რაჯდენ ჯაჯანაშვილი თვლის, რომ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ამის მიზეზად მას მიაჩნია: „მრავალ მიზეზების რიცხვებს შორის, რომლებიც აბრკოლებენ ქრისტ. აღმ. საზოგადოების სკოლების წარმატებას, მე მოვიყვან მხოლოდ უმთავრესთ. პირველი-ეს განთვისებული მინართულება. ყოველ მოქმედებას სკოლაში აწევს მძიმე უღელი ფორმის გამცველობისა-მიმართული განსაკუთრებთ ერთი რომელიმე პირის დაკმაყოფილე-ბისათვის. თუ რაიმე სწარმოებს სკოლაში, ეგ უნდა მივაწეროთ სასტიკ ფირმანებს და არა ჭეშმარიტ საქმის სიყვარულს, რომელიც უნდა წინ უძროდეს სკოლის ყოველ

ქმედებას. მეორე, მაგრამ უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზესზი ამ სკოლების სისუსტისა მდგომარეობს მოწაფეების დედა-ენის სრულ შეურაცყოფაში. ... წერა კითხვის სწავლა ანბანიდან უნდა იწყებოიდეს, სახლის აშენება საძირკვლიდან უნდა დაიწყოს და არა ბანიდან, რომ სახლი ხომ მაშინ არის მკვიდრი, როდესაც მკვიდრ საფუძველზედ დგას, მესამე მიზეზად სკოლების სისუსტისა უნდა ჩაითვალოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ მოწაფეები ყოველ დღე არ დაიარებიან გაკვეთილებზედ. ჩვენი ღარიბი გლეზი ვერ ახერხებს, რომ ყოველ დღე მოიშოროს თავისი შვილი, რომელიც სახლში ეხმარება, ოჯახობაში ხელს უმართავს. ... მეოთხე მიზეზად საზოგადოების სკოლების სისუსტისა ჩაითვლება ადგილობრივი მთავრობის უყურადღებობა.... მეხუთე მიზეზი რომელიც აგრეთვე აბრკოლებს სკოლების წინ მსვლელობას არის მღვდლისა და მასწავლებლის შორის უთანხმოება“ [186]. რაჟდენ ჯაჯანაშვილი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ გახსნილ ხერთვისის სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სწორედ ამიტომ ის საკმაოდ ღრმად იყო გათვითცნობიერებული ამ სკოლების მუშაობაში.

„1863 წელს სოხუმში გაიხსნა მთიელთა სკოლა 40 ბავშვისთვის, პანსიონით. პანსიონი ძირითადად მთიან აფხაზურ სოფლებში მცხოვრები ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი“ [13, გვ. 24]. „საუკეთესო სასწავლებლად სოხუმის მთიელთა სკოლა ითვლებოდა, სადაც 1874 წელს 80 ბავშვი სწავლობდა. სკოლის მზრუნველი სამხედრო განყოფილების უფროსი იყო. 1875 წელს მთიელთა სკოლას სათავეში ჩაუდგა კ. დ. მაჭავარიანი, რომელიც ცნობილი იყო ანტიქართული საქმიანობით (დაჟინებით ამტკიცებდა, სამურზაყანოელები აფსუები არიანო). სჯულის კანონს აფხაზეთის უფროსი ბლაღოჩინის დ. მაჭავარიანის თანაშემწე ი. ტიტვინიძე ასწავლიდა. დანარენი სამი მასწავლებელი რუსი იყო. სამურზაყანოელებს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ სწავლისადმი, რაც განპირობებული იყო ქუთაისის გუბერნიასთან სიახლოვით, სადაც სწავლის დონე მაღალი იყო. გაბრიელ ეპისკოპოსმა 1870 წელს აფხაზეთში მოგზაურობისას შეიტყო თურქი და ყარაჩაელი მოლების აბჟუაში (ჯგერდასა და ჭლოუში) საქმიანობის შესახებ. ისინი მოსახლეობას ქრისტიანობის წინააღმდეგ განაწყობდნენ“ [1, გვ. 149]. სამწუხაროდ ქუთაისის ცენტრალურ არქივში არ მოიძებნა მასალები სოხუმის მთიელთა სკოლის შესახებ. იმედს ვიტოვებ, რომ მალე მოხდება იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთში და იქ დაცულ მასალებსაც შევისწავლით.

მოკლედ შევეხოთ ძველი სენაკის ქართულ სკოლას, რომელიც დაამთავრა კონსტანტინე გამსახურდიამ. „ქართული ეროვნული ორგანიზმის დასასუსტებლად და მის ადვილად გადასაგვარებლად კავკასიის მთავრობამ მეგრელები არაქართველებად გამოაცხა და „მოძალადე ქართველებისაგან მათი მფარველობა იკისრა“, რაც იმით გამოიხატა, რომ სამეგრელოში სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა განდევნა და მეგრულის სწავლება შემოიღო, სეკლესიო წიგნებს მეგრულ ენაზე ათარგმნინებდა და ეკლესიაშიდაც მისი შემოღება სცადა“ [180, გვ.27]. მაგრამ სამეგრელოს მოსახლეობა აღსდგა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ.

სწორედ ასეთ დროს, რადგანაც წერა-კითხვის საზოგადსოებას ასეთ ვითარებაში სამეგრელოში ქართული სკოლის გახსნის უფლებას არავინ მისცემდა, სწორედ ამიტომ 1884 წელს წ.-კ.-ის საზოგადოებამ ძველ სენაკში გადაიტანა ქუთაისის ქართული სკოლის პარალელური განყოფილება, როგორც ქუთაისის ქართული სკოლის ფილიალი. სკოლის დაარსება 1884 წელს ზეიმით აღინიშნა და საკმაო თანხაც შეგროვდა

სკოლისათვის შენობის ასაგებად, რამაც შედეგი გამოიღო და 1885 წლის 27 ოქტომბერს სასწავლებლი უკვე ახალ შენობაში აგრძელებდა არსებობას.

1879 წლის სან სტეფანოს ზავით, ბერლინის კონგრესის მიერ მიღებული ტრაქტატით, 300 წლიანი თურქული ოკუცავიის შემდეგ აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. თუ ბათუმში ქართული კულტურა და ტრადიციები კიდევ გრძელდება დიდი დამსახურება მიუძღვის ამაში გრიგოლ ვოლსკს. ის გახლავთ წარმოშობით პოლონელი, ექიმი, ლიტერატორი, ილიას თანამებრძოლი და ახლო მეგობარი და ქ.შ.წ.-კ. გ. საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის პირველი ხელმძღვანელი. ის წ.-კ. საზოგადოებასთან ერთად იბრძოდა აჭარის მოსახლეობის კულტურული პროგრესისათვის. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ საჭიროდ სცნო აჭარაში ქართული სკოლის დაარსება. რაგდანაც ეს საუკეთესო გზა იქნებოდა აჭარის მოსახლეობის გასანათლებლად. თურქთა გავლენის აღმოსაფხვრელად და მათში დედა ენის გასამტკიცებლად.

ბათომის სკოლის მდგომარეობა პირველ წელს არ იყო მაინცადამაინც სახარბიელო. ის გახსნილა 1881 წლის 23 მარტს და მის გახსნას დასწრებია ილია ჭავჭავაძე. სკოლაში შემოსულა 11 მაჰმადიანი, 6 კათოლიკე და 11 მართმადიდებელი, სულ 28 მოსწავლე, მათ შორის იყო ერთი გოგონა, მაჰმადიანი ეროვნების ულია აბაშიძე. მაგრამ მაჰმადიანთაგან მხოლოდ 5 თუ 6 ბავშვი დადიოდა სკოლაში სისტემატურად, ზაფხულის შემდეგ კი არც ერთი მაჰმადიანი არ გამოცხადებულა სკოლაში, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „ზოგ ბეგს არ მოსწონდა, რომ მათი შვილები მდაბიო ხალხის შვილებთან ერთად ისხდნენ სკოლაში. [180, გვ. 28]“. სკოლაში დარჩა მხოლოდ 18 მოსწავლე-მართმადიდებლები და კათოლიკეები. სწორედ ამიტომ 1882 წლის 6 ივნისის წ.-კ. საზოგადოების კრებაზე დიდი კამათი გაიმართა ბათომის სკოლის დარჩენა დახურვის შესახებ, მაგრამ საბოლოოდ მრავალი არგუმენტის მოყვანის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ ბათომის სკოლას დატოვებდა.

1882 წელს ბათომის სკოლის გამგედ და მასწავლებლად დაინიშნა მოსე ნათაძე, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია სკოლას. ის იწერებოდა: „მოზარდი მაჰმადიანები მთხოვენ ვასწავლო მათ ქართული და რუსული ენა, საჭიროა ფორმალურად საკვირაო სკოლის დაარსება და მე უსასყიდლოდ ვასწავლიო.“ [180, გვ. 30].

1883 წლის იანვარში ბათომის სკოლაში უკვე 25 ქართველი მაჰმადიანი და 31 ქრისტიანი სწავლობდა. ამავე წლის 9 ივნისს, გამგეობის დავალებით, სკოლის გამოცდებს დასწრებია გ. გაბაშვილი, რომელიც აღნიშნავდა: „მაჰმადიანები სკოლას „ჩვენს სკოლას“ ეძახიან; რუსული ენა მხოლოდ მეორე განყოფილებიდან ისწავლება და ბავშვებიც მშვენივრად მღერიანო. ... ბათომის სკოლის დაარსების მიზანი ყველასთვის ცხადი და გასაგები იყო. ამ სკოლაში დაწყებითი განათლება უნდა მიეღო ქართველ მაჰმადიანებს და სკოლა უნდა გამხდარიყო ქართული კულტურის გამამტკიცებელი ქართველ მაჰმადიანთა შორის.“ [180, გვ. 29]. მაგრამ სკოლა მრავალი მიზეზის გამო ბოლომდე ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, სწორედ ამიტომ არაერთხელ დასმულა საკითხი ამ სკოლის დახურვის შესახებ. ერთ ერთ ასეთ კრებაზე რომელიც წ.-კ. საზოგადოებაში გაიმართა, კერძოდ, 1887 წლის 24 მაისს, ბათომის სკოლის შესახებ ივ. მაჩაბელი ამბობდა: „ბათომის სკოლა მართლაც ძვირად უჯდება საზოგადოებას მაგრამ მაინც უნდა იარსებოს, რადგან ეს სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომლის სარგებლობა ფულით არ განიზომებაო“. [180, გვ. 31].

სამწუხაროდ 1890 წელს გარდაიცვალა მ. ნათაძე. წ.-კ. საზოგადოებამ კი გადაწყვიტა იმ ღვაწლის დასაფასებლად რომელიც მას ჰქონდა ქვეყნის წინაშე და მადლობის

ნიშნად, გამგეობამ იკისრა მისი შვილის შესანახად ყველწლიურად ასი მანეთი შეეტანა ქართული სააზნაურო სკოლის პანსიონში.

1.5. სამასწავლებლო სასწავლებლები

XIX საუკუნის ბოლოს არსებულმა სიტუაციამ, აუცილებელი გახადა სამასწავლებლო სემინარიის დაარსება დასავლეთ საქართველოში, რადგანაც არსებული სასწავლო სისტემა განიცდიდა კვალიფიცირებულ მასწავლებელთა ნაკლებობას. რუსეთის მთავრობა აარსებდა ახალ სასწავლებლებს, რომელიც გუბერნიის მოსახლეობაში ცარიზმის იდეოლოგიის გამტარებელი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ სასწავლო ოლქმა აირჩია ხონი, რადგანაც ქუთაისში ასეთი კერა რამოდენიმე იყო, სწორედ ამიტომ სამასწავლებლო სემინარიის დაარსება ხონში გადაწყვიტეს. „1881 წლის 7 მარტს ქუთაისის გუბერნატორმა სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან შეტყობინება მიიღო, რომ გადაწყდა საოსტატო სემინარია ხონში გაიხსნასო“. [44, გვ.47]. მეტოქეობა სემინარიის გამო ქუთაისსა და ხონს შორის, უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია მათ შორის ურთიერთობის გამწვავება, პირიქით სემინარიამ ქუთაისისა და ხონის კულტურული თანამშრომლობა კიდევ უფრ მჭიდრო გახადა. რაც შეეხება იმას, გაიხსნა თუ არა მომდევნო წლებში ქუთაისში სამასწავლებლო სემინარია, ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. სემინარია გაიხსნა 1881 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო 13 ოქტომბერს დაიწყო სწავლა და სასწავლებელიც ფუნქციონირებას შეუდგა. თავდაპირველად სემინარიის სახელწოდება იყო-„სამასწავლებლო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში (დაბა ხონში).“ ხანდახან იყენებდნენ „ხონის სამასწავლებლო სემინარიას“, მაგალითად კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1885 წლის ანგარიშში, მაგრამ ეს გამონაკლის შემთხვევებში ხდებოდა, ძირითადად კი ის მოიხსენიებოდა, როგორც „ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია (დაბა ხონში)“, ხან კი ამ უკანასკნელის აღნიშვნის გარეშეც. 1918-1921 წლებში კი ეწოდა „ხონის საოსტატო სემინარია“, რადგანაც სასწავლებელს პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთების დროს (1921 წ.) ჰქვიოდა „ხონის საოსტატო სემინარია.“ [44, გვ. 54].

სემინარია ამზადებდა მასწავლებლებს სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფ დაწყებითი სკოლებისათვის. აქ სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 3-4 წლით და თავდაპირველად სემინარიას ჰქონდა ერთი მოსამზადებლი და სამი ძირითადი კლასი, ხოლო 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაიხსნა მეოთხე კლასიც. „მეფის ხელისუფლების არსებობის დროს, სემინარიას პარალელური კლასები არ ჰქონია. მათი გახსნა დაიწყო 1918-1919 სასწავლო წლიდან. 1918 წელს, პირველად სასწავლებლის ისტორიაში გაიხსნა მოსამზადებელი და პირველი კლასების პარალელური კლასები.“ [154, ფურც. 5]. სემინარია სახელმწიფო სასწავლებელი, იყო და შესაბამისად სწავლებაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მასში სწავლის მსურველებს უნდა ჩაებარებინათ საკმაოდ მკაცრი გამოცდები ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის პროგრამით, „ჩასაბარებელი იყო 5 საგანი: საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია და ისტორია. მოსამზადებელ კლასში შემსვლელები კი გამოცდებს აბარებდნენ გამარტივებული პროგრამით.“ [44, გვ. 55-56]. „გამოცდები ტარდებოდა სასწავლო წლის დასაწყისში ერთხელ 24-დან 30 აგვისტომდე. მიღება კი ხდებოდა მხოლოდ მოსამზადებელ და პირველ კლასებში. მოსამზადებელ კლასში მიიღებოდა 15 წლის, ხოლო პირველ კლასში 16 წლის ვაჟები. საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, 1918-1919 სასწავლო წლიდან სემინარიამ დაიწყო ქალების მიღებაც“. [154, ფურც. 5].

სემინარიაში სწავლის მსურველნი წინასწარ გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას. ისინი უარს ეუბნებოდნენ ისეთ ახალგაზრდებს თუ მათ ჰქონდათ ფიზიკური ნაკლი ან მძიმედ იყვნენ დაავადებულნი, რაც ხელს შეუშლიდა მათ მასწავლებლის მოვალეობის შესრულებაში. რაც შეეხება მისაღებ კონტინგენტს, ის მკაცრად იყო განსაზღვრული და ჩვეულებრივ არ აღემატებოდა 12-14 ახალგაზრდას. სემინარიის არსებობის პირველ 25 წლის მანძილზე თითოეულ კლასში 14-15 მოწაფე ირიცხებოდა, მაგრამ ეს პროპორცია დაირღვა 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ. მაგრამ ფაქტია, რომ სწავლის მსურველ-თა რაოდენობა ყოველთვის მეტი იყო ჩარიცხულთა რაოდენობასთან.

როგორც პ. ვაჭრიძის ნაშრომიდან „ხონის სამასწავლებლო სემინარია“, ირკვევა „სემინარიაში არსებობდა დაწყებითი სკოლა, რომელიც შედგებოდა სამი განყოფილები-საგან, ესენია: უმცროსი, საშუალო და უფროსი განყოფილებები. თავდაპირველად ის ერთკლასიანი იყო, მაგრამ 1896 წელს ის ორკლასიანად გადაკეთდა და საბაზო სკოლის როლს ასრულებდა. აქ ხდებოდა მომავალი სახალხო მასწავლებლების სწავლების მეთოდებსა და ხერხებში დახელოვნება-გაკვეთილების მოსმენა და მათზე დაკვირვება, საცდელი გაკვეთილების გადაცემა. დაწყებით სკოლაში ღებულობდნენ როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებსაც. სწავლება ფასიანი იყო. განსაკუთრებული ყურადღება კი ექცეოდა ქართულ და რუსულ ენებზე წერა-კითხვის დაუფლებას.“ [44, გვ. 59].

სემინარიაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: „რუსული ენა და ლიტერატურა, არითმეტიკა, გეომეტრიის საფუძვლები, ფიზიკა, რუსეთის და მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმცოდნეობა, სუფთა წერა, ხაზვა, პედაგოგიკის საფუძვლები, ჰიგიენა, გიმნასტიკა, ქართული ენა, სიმღერა-მუსიკა, გარდა ამისა ისწავლებოდა სოფლის მეურნეობა და სახელოსნო საქმე“. [153, ფურც. 186]. სემინარიაში ასევე მაღალ დონეზე იდგა მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისა და მუსიკალური განათლების საქმე. სახალხო მასწავლებელი ფიზიკურად ძლიერი და ყოველმხრივ განათლებული პიროვნება უნდა იყოს, რათა საზოგადოებაში პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდეს. მთავრობის აზრით, მხოლოდ ასეთ მასწავლებელს შეუძლია გავლენა ჰქონდეს ხალხში და შეძლოს მთავრობის იდეოლოგიის გატარება სწორედ საზოგადოების ყველაზე უმნიშვნელოვანეს ნაწილში-ჩვენს მომავალ თაობაში, რათა შეძლონ მათი ანტიქართული იდრეოლოგიით გაზრდა. რადგანაც სხვა სახელმწიფო სასწავლებლების მსგავსად, ხონის საოსტატო სემინარიის ამოცანა იყო, ტახტისა და თვითმპყრობელობის ერთგული მასწავლებელთა კადრების მომზადება.

საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ ხდებოდა პროგრამების შედგენა კონკრეტულ საგნებში. „ყოველ სასწავლო საგნის პროგრამას, განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში (ზოგჯერ არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით. ხდებოდა პირიქითაც, სახელმძღვანელო იწერებოდა მასწავლებლის მიერ შედგენილი პროგრამის საფუძველზე), მასწავლებელი ადგენდა. ამის გამო, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. მ. კეკელაძე, ყოველი პროგრამის ღირსება და შინაარსი განისაზღვრებოდა საგნის მასწავლებლის განათლებით, გამოცდილებით და მსოფლმხედველობით. აგრეთვე იმ საათების რაოდენობით, რაც სასწავლო გეგმით იყო გამოყოფილი.“ [65, გვ. 42].

„სემინარიაში ერთ-ერთ ძირითად საგანს პედაგოგიკა წარმოადგენდა. მას, როგორც წესი, დირექტორები ან წამყვანი მასწავლებლები ასწავლიდნენ და მისი სწავლება იწყებოდა მეორე კლასში და მთავრდებოდა მესამეში. სასწავლებლის დებულების მიხედვით დამკვირვებლობითი პედაგოგიური პრაქტიკა მეორე კლასიდან იწყებოდა.

მეორე კლასელები მორიგეობით ისხდნენ სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის გაკვეთილზე, უკვირდებოდნენ, ისმენდნენ და იწერდნენ თავისთვის გაკვეთილის მიმდინარეობას. საცდელი გაკვეთილის გადაცემა მესამე კლასიდან იწყებოდა. გამოსაშვები კლასის ყველა მოსწავლე დაწყებით სკოლაში პირველ გაკვეთილზე სანიმუშო-საცდელ გაკვეთილს ატარებდა. გარდა პრაქტიკანტებისა გაკვეთილს ესწრებოდნენ: დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, სემინარიის იმ საგნის მასწავლებელი რა საგანშიც ტარდებოდა გაკვეთილი და სემინარიის დირექტორი, რომელიც გამოთქვამდა თავის შენიშვნებს პრაქტიკანტის გაკვეთილის ირგვლივ, შეაჯამებდა ყველას ნათქვამს და შემდეგ დასვამდა კითხვას რა ნიშანზე უნდა შეფასებულიყო გაკვეთილი. არსებობდა შეფასების შემდეგი სახეები: ა) არადამაკმაყოფილებელი, ბ) დამაკმაყოფილებელი, გ) ფრიად დამაკმაყოფილებელი (ე.ი. 4 ან 5)“ [44, გვ. 134-135].

აქ, როგორც სახელმწიფო სკოლაში, ხშირად მტკივნეულად იდგა ქართული ენის სწავლების საკითხი. “სასწავლებლის ზოგი რუსიფიკატორი დირექტორი ცდილობდა მინიმუმამდე შეემცირებინა ქართული ენის გაკვეთილები და აღწევდნენ კიდევაც ამას ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციისა და კავკასიის სასწავლო ოლქის აქტიური მხარდაჭერით. სემინარიაში ქართული ენის სწავლების მდგომარეობა, ცხადია, პირველ რიგში, ასახვას პოულობდა პროგრამებში.“ [52, გვ. 86-89]. ხასგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლა უნდა მომხდარიყო იმ დროისათვის უაღრესად მაღალი დონის სახელმძღვანელოების მიხედვით. ესენია: იაკობ გოგებაშვილის, „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, სილ. ხუნდაძის, გრ. ყიფიანის ქართული ენის გრამატიკა, კირიონ საძაგლიშვილის „სიტყვიერების თეორია“, ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ ტ. I-II, ს. გორგაძის „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, ს. ქვარიანის „საქართველოს ისტორია“, ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის „გუთანი“.

სემინარიაში მაღალ დონეზე იდგა „ხელით შრომის“-ხელოსნობის სხვადასხვა დარგების დაუფლების საქმე. სემინარიელები სწავლობდნენ წიგნების აკინძვას, ხარატო-ბას, დურგლობას. ამისათვის მათ განკარგულებაში იყო საჭირო დაზგა-დანადგარებით აღჭურვილი, სკოლის პირობებისათვის, თითქმის სრულყოფილი სახელოსნო. სემინარიის კურსდამთავრებულებს სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგში, რომლებიც მათ ჰქონდათ შესწავლილი, ცალკე ნიშანი არ ეწერებოდათ, მაგრამ ატესტატში აღნიშნული იყო რომ, ისინი სოფლის მეურნეობასა და სახელოსნო საქმეს დაუფლებულნი იყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა დიდ უმრავლესობას მოსწავლეები ხალისითა და მონდომებით ასრულებდნენ. სემინარიის კურსდამთავრებულებს პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები ჰქონდათ.

ხონის სემინარიას მრავალი წარჩინებული კურსდამთავრებული ჰყავს და ბევრმა მათგანმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სახალხო განათლების სარბიელზე. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე - თვალსაჩინო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში. მას თანამედროვენი „მეორე გოგებაშვილს“, „გოგებაშვილის პირდაპირ მემკვიდრეს“ უწოდებდნენ.

რაც შეეხება ქუთაისში სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საკითხს, როგორც გ. თავზიშვილის „რჩეული პედაგოგიოური თხზულებანი“ ირკვევა, „ჯერ კიდევ 1864 წელს მიდიოდა ამაზე საუბარი, მაგრამ უფრო გაბედულად და აქტიურად ეს მოხდა 1869

წელს. ამ წლის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ სასოფლო თათბირზე ერთხმად გამოჰქონდათ გადაწყვეტილებანი თავისი ხარჯით ქ. ქუთაისში გაეხსნათ სახალხო სკოლების პედაგოგთა მოსამზადებელი სასწავლებელი-სამასწავლებლო სემინარია. მაგრამ ეს მხლოდ ფორმალურ მიმოწერებსა და მოხსენებებში. არსებითად კი ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საქმე მთავრობამ კარგა ხნით გადასდო ყოველგვარი მიზეზის გარეშე.“ [48, გვ. 93].

ეროვნული განათლების მხრივ, ქართველი ახალგაზრდობის უფლებები იზღუდებოდა აგრეთვე სოხუმის სამასწავლობლო სემინარიაშიც, რომლის დაარსებაში (1915 წ.) დიდი წვლილი მიუძღვის ნიკოლოზ ჯანაშიას. სამასწავლებლო სემინარიაში ნაციონალიზაციის დებულების საფუძველზე შემოღებულ იქნა ეროვნული საგნების სწავლება მშობლიურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის მოსწავლეთა შორის ქართველები მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, სასწავლო ადმინისტრაციის მიერ შემოღებულ იქნა მხოლოდ აფხაზური ენის სწავლება, რის გამოც ქართველი ახალგაზრდები მშობლიური ენის სწავლების გარეშე დარჩნენ. [107, ფურც. 57]. სამწუხაროდ მეტი ინფორმაცია სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაზე ვერ მოიძებნა. ვიმედოვნებ მალე მოხდება იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთში და მოვახერხებ იქ დაცული საარქივო მასალების შესწავლას სოხუმის სამასწავლებლო სემინარიასთან დაკავშირებით.

ძალზედ საინტერესოა მივადევნოთ თვალი სტატისტიკურ მონაცემებს, რათა უკეთ დავინახოთ რა მდგომარეობა იყო ჩვენი საკვლევი პერიოდის დასავლეთ საქართველოში სასწავლებლებისა და მათში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით 1900, 1907 და 1913 წლებში. აღნიშნულ ცხრილებში კარგად სჩანს მოსწავლეთა რაოდენობა რელიგიისა და ზოდების მიხედვთ (იხ. დანართი N12, N13 და N14).

გამოცდილება, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში დაგროვდა, დღესაც აქტუალურია. ვთვლით, რომ ამ მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლა და ათვისება, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები, დაგვეხმარება დავინახოთ წარსული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ისტორიული და საზოგადოებრ-კულტურული ასპექტები.

§2. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ

რუსეთის პოლიტიკა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ საუკუნეებს ითვლის. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სახალხო განათლების წინააღმდეგ ბრძოლა, ქართული ენის შეზღუდვა, მისი გაუქმება და ამოღება სკოლებიდან. თუ ამ მოთხოვნებს არ დათანხმდებოდა ქართული საზოგადოება, მაშინ წინააღმდეგ შემთხვევაში რუსი მოხელეები არ გასცემდნენ სკოლების გახსნის ნებართვას. მისი მიზანი იყო ეროვნული სულის ჩახშობა ახალგაზრდა თაობაში. რუსეთის ამ პოლიტიკას წინ აღუდგა მოწინავე ქართველი საზოგადოება, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობა მიუძღვნეს რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ღვაწლი ქართული ენის შენარჩუნებასა და დაცვაში.

ამ საკითხებს აქტუალობა არ დაუკარგავს სადღეისოდაც. ეს ბრძოლა ისევ გრძელდება, არა ისე ღიად და როგორც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მაინც. რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა ისევ უცვლელია და დღეს თუ მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე ვერ ახერხებს თავისი პოლიტიკის განხორციელებას, ცდილობს ეს თავს მოახვიოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე-აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დარჩენილ ადგილობრივ ეთნიკურ ქართველ მოსახლეობას. რასაც ზოგჯერ წარმატებით ახორციელებს კიდეც.

რუსეთი პატარა ერების დაკნინებასა და გადაგვარებას მშობლიური ენის შეზღუდვითა და შემდეგ მისი სრული გაუქმებით ცდილობდა, რადგან მას სურდა რომ ეროვნული სული დაეკარგა ახალ თაობაში, დედაენის შეზღუდვა და გაუქმება უპირველეს ყოვლისა დაწყებით სკოლებში ხორციელდებოდა, რათა მომავალ თაობას აღზრდის დასაწყისშივე დაეკარგა სამშობლო ენა. რუსი მოხელეები კარგად ხვდებოდნენ რომ თუ ქართველი ახალგაზრდობა თავიდანვე დაკარგავდა მშობლიურ ენას, ის დაკარგავდა თავის უმთავრეს ეროვნულ თვისებასა და საგანძურს (ქართველობას) და ადვილი იქნებოდა მათი ეროვნული გადაგვარება ანუ „გარუსება“, სწორედ ამიტომ რუსეთმა პირველი რაც გააკეთა ეროვნული გადაგვარებისათვის ეს იყო იერიში ქართულ ენაზე. რისთვისაც მათ რუსული ენა დაწყებით სკოლებში შემოიღეს და „მუნჯური“ მეთოდით ასწავლიდნენ. „მოკლედ განვმარტავთ ე.წ. „მუნჯურ მეთოდს“: ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიცკიმ, იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს „Русское Слово“–ს ნაცვლად შეადგინა ახალი სახელმძღვანელო, რომელიც „მუნჯურ მეთოდზე“ იყო აგებული: რუსული ენა ბავშვს ისე უნდა ესწავლა, რომ ქართული არ უნდა გაეგონა. ამ გზით ქართული ენის შესწავლის საშუალება სრულიად ისპობოდა, რაც სახელმძღვანელოს პოლიტიკური მხარე იყო, მეთოდურად კი სახელმძღვანელო მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. სამოსწავლო უწყებამ, რასაკვირველია, მოიწონა ლევიცკის წიგნი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. ლევიცკი შეეცადა ი. გოგებაშვილის „Русское Слово“–ს ნაცვლად საკუთარი სახელმძღვანელოს გავრცელებას. ი. გოგებაშვილის პროტესტი პროტესტად დარჩა. ,,მუნჯური მეთოდი“ სამეგრელოს და სვანეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოძევების პოლიტიკას ემსახურებოდა. მთავრობა იღებდა ზომებს, გამოეგონებინა მეგრული ენისთვის ანბანი, იგივე რუსული ანბანი, გადათარგმნილიყო მეგრულად ლოცვები და საერთოდ წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე ეწარმოებინათ. ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთი სვანებისა და აფხაზების მიმართ.“ [1, გვ. 139]. ამას რა თქმა უნდა არ შეეგუა მოწინავე ქართვლი ინტელიგენცია და პირველ რიგში ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მათ გაილაშქრეს რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ.

’’1882 წლიდან გამწვავდა ბრძოლა სასწავლო უწყებასა და წერა კითხვის გამავრცე-ლებელ საზოგადოებას შორის. 1881 წელს სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ მეფის ნაცვალს კავკასიაში მეხეილ რომანოვს დაამტკიცებინა ახალი სასწავლო გეგმა-„Об учебном плане школы в среде туземного населения по постановке в ней русского языка“. [180, გვ.35].

ამ გეგმით რუსული ენა დაწყებით სკოლაში სწავლების პირველი წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო და საგნების სწავლებაც ნელ-ნელა იმავე წლიდან რუსულ ენაზე უნდა დაწყებულიყო, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მოწინავე პედაგოგები და ქართული ინტელიგენცია მიზანშეწონილად არ მიიჩნევდნენ ამ ფაქტს, ისინი თვლიდნენ რომ უკეთესი იქნებოდა რუსული ენა სწავლების მესამე

წლიდან დაწყებულიყო, მას შემდეგ რაც ბავშვს მშობლიური ენა უკვე კარგად ეცოდინებოდა, უფრო მარტივად შეძლებდა ახალი (რუსული) ენის ათვისებას, მაგრამ რუსეთის მთავრობა ამ დათმობაზე არ წავიდა.

მას შემდეგ რაც მეფის რუსეთი მიხვდა რომ პირდაპირი ბრძოლა შედეგის მომტანი არ იყო წერა კითხვის გამავრცლებელ საზოგადოებასთან, მან დაიწყო ფარული და შენიღბული ღონისძიებების გატარება საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად არკვევდა რუსეთის მეფის ფარული პოლიტიკის ზრახვებს და ის წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული- ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა“ [168, გვ.107].

რუსეთის „ტლანქმა“ მოხელეებმა კარგად იცოდნენ რომ ენის გაუქმებით ისინი მოსპობდნენ ქართულ სულს ახალ თაობაში რაც ერის არსებითი ნიშანი იყო, და ამიტომ ნელ-ნელა საქმის წარმოება და ქართულად სწავლება აკრძალეს და თანდათანობით მოსპეს.

განსაკუთრებით აღსნიშნავია XIX საუკუნის 80-იან წლები, საქართველოში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კირილე პეტრეს ძე იანოვსკის დანიშვნა, რომელმაც თავდაპირველად თვალთმაქცურად და მლიქვნელურად დაიწყო ანტიქართული პოლიტიკა საქართველოში. ის ცდილობდა მოეპოვებინა, მოწინავე ინტელიგენციის და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურების ნდობა და სხვათა შორის პირველ ხანებში ეს შეძლო კიდეც, მან მხარი „დაუჭირა“ თბილისში უმაღლესი სპეცტექნიკური სასწავლებლის გახსნას, რაც მთელი ქართველობის და ქართული ინტელიგენციის, ასევე ქართველი ახალგაზრდობის სურვილს გამოხატავდა, მაგრამ მას ეს სჭირდებოდა მხოლოდ ნდობის და სიმპათიის მოსაპოვებლად, სინამდვილეში ის ამის სასტიკი წინააღმეგი იყო.

1881 წლის იანვარში, ილია ჭავჭავაძე თავის შინაურ მიმოხილვაში ეხებოდა წინა წელს და წერდა: „მაშინ განათლების მოთავედ ახლადდანიშნული იყო ბ-ნ იანოვსკი და სამღვდელოების წინამძღვრად ყოვლად-უსაღმვდელოესი იოანნიკე. რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებენით ამ დანიშვნასა ჩვენ „ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი“. მადლობა ღმერთსო, ვიძახდით გულში. მაგრამ საკმარისი იყო სულ რაღაც 2 წელი, რომ იანოვსკის შავრაზმული პოლიტიკა სავსებით გამოაშკარავებულიყო“. [168, გვ. 99]. იქვე, ილია ამბობდა, რომ იანოვსკის პოლიტიკა იგივე ძველი სისტემის გაგრძელებაა მხოლოდ ახალი ხერხით და მეთოდით. „პირველ ხანებში ჩვენს ადრეულ სიხარულს თითქოს საბუთიც მოეცა,- წერდა ილია, ბოლოს კი - ვაი შენს მტერს. - ისევ შეჩვეული ჭირი (ნევეროვი) გვანატვრინეს. გამოვიდა, რომ სისტემა იგივეა და მარტო ხერხია სხვა“ [168, გვ.99].

რუსეთი ყველანაირად ცდილობდა დაემტკიცებინა ქართული ენის არასაჭიროება, მაგალითისათვის ერთ ფაქტს მოვიყვან: იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სასწავლებელში ქართველთა რიცხვი სხვა ეროვნებათა რიცხვს აჭარბებდა-ცდილობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართველი მოწაფეები ქართველებად არ ეცნოთ, რათა თავიდან აეცილებინათ ქართული ენის სწავლების საჭიროება. მაგალითად, „1876 წელს გორის საოსტატო სემინარიაში შესულა 50 მოსწავლე, რომელთაგან 31 ყოფილა ქართველი, სემინარიის დირექტორს არ სურდა ეღიარებინა ქართული ენის შემოღების საჭიროება, თანაც სურდა რომ მეფის რუსეთისთვის დაემტკიცებინა რომ ქართველებს სწავლა განათლების მიმართ ჰქონდა ინდიფერენტული განწყობა, რადგან უნდოდა გაემყარებინა რუსეთის მეფის მოხელეთა შორის მიღებული აზრი ქართველებზე რომ

ისინი უნიჭოები იყვნენ და სწავლის მიმათ დადებითად განწყობილი ერი არ იყო, და სწორედ ამიტომ მან სემინარიის მოწაფეები 12 „ეროვნებად“ გაყო: მათში რუს, სომეხ, ქართველ და სხვა ეროვნებათა შორის, კიდევ დაუმატებია არაქართული ეროვნებები, კერძოდ: იმერლები, გურულები, ფშაველები, და ა.შ.“ [48. გვ.228]. ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა. ის წერდა:

„ამგვარად ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი-ქართველად არ უცნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი,-რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია? არა, ბატონო, იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, რომ მკითხავენ ოცდათერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“. [169, გვ.188-189].

მეფის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა სკოლებში სასწავლო საგნებიდან ამოეღო ქართული ენა, იგონებდა ახალ-ახალ მეთოდებს რათა დაემტკიცებინა მისი არასაჭიროება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავია „ნათიევის მეთოდი“, რომელზეც ილიამ ირონიული კითხვა დასვა „უნდა ვიცინოთ თუ უნდა ვიტიროთო“. ეს მეთოდი პირველი განყოფილებიდანვე ითვალისწინებდა ქართული და რუსული ენების პარალელურ სწავლებას, ხოლო ბავშვებს ქართული სიტყვები რუსული ასო-ბგერებით უნდა დაეწერათ. ამ მეთოდს ქართული ინტელიგენცია გამოეხმაურა. ილია წერდა: „რადგანაც რუსულ ანბანს აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ხმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა, და ამ ახალის ასოებით შეუვსია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია ... ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო! არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო? ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“. [169. გვ.191].

რუსეთის მთავრობა სახალხო განათლების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს უშუალოდ სკოლების და მასწავლებლების დახმარებით, სკოლაში გამეფებული იყო ადამიანი-სთვის დამამცირებელი მეთოდი, თვალყურის დევნა, აბუჩად აგდება, როზგი, თმის აგლეჯვა და ა.შ. ეს ყოველივე ემსახურებოდა იმას, რომ მეფის რუსეთის სურვილი იყო კოლონიალური პოლიტიკის გამტკიცება და ხალხში მორჩილების დანერგვა. სკოლებს ახალგაზრდა თაობის სწავლა განათლების მისაღებად კი არ ხსნიდნენ არამედ უნდოდათ მეფის ერთგული მოხელეების გამოზრდა.

სკოლაში გამეფებული დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური მეთოდის თვალსაჩინო მაგალითია თავად აკაკი წერეთელი, რომელსაც „ლინეიკის“ ხელზე დარტყმამ მთელი ცხოვრება დაუტოვა ცუდი კალიგრაფია.

ქართული ენის დევნა განსაკუთრებული სიმძაფრით სამეგრელოში გამოვლინდა. „1899 წლის სინოდის ახალი დებულების (ბრძ. 1207) თანახმად, ქართული არასავალდებულო ენად ცხადდება. მისი ცოდნა არც პედაგოგებს მოეთხოვება. ხელისუფლება სეპარატიზმის პოლიტიკის გამტარებელი იყო და ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს „მეგრელმა ბავშვებმა არ იცოდნენ ქართული ენა და რომ მეგრულ ენას უნდა გაეწია მათთვის რუსული ენის სწავლებაში დამხმარე როლი“.“ [1, გვ. 137]. სწორედ ამ პერიოდში აქტიურობენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი და მისი მარჯვენა ხელი ლევიცკი, რომელმაც ჯერ შემოიღო ე. წ. „მუნჯური“

მეოთდი სკოლებში, რომლის მიზანი იყო რუსული ენის შესწავლა ჯერ უშუალოდ, დედა ენის დაუხმარებლად და მერე სრულიად განდევნა ქართული ენა ქართული სკოლებიდან.

1889 წელს რუსული ანბანიდან მეგრული ანბანი შეთხზა აშორდიამ. ლევიცკიმ თადა აშორდიას საშუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები და ლექსები ჩააწერინა. ეს სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო ფართოდ გამოყენებადი სამეგრელოს სკოლებში. ამისათვის თ. აშორდიას კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყვეს, თან დაავალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან გამოედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისათვის. ლევიცკიმ თ. აშორდიას ასევე დაავალა „ეთარგმნა“ საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. ეს ლევიცკის აზრით, განდევნიდა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართთულ ენას, მაგრამ მსგავს უხამსობას თვით სამეგრელოში მცხოვრებნიც კი არ შეეგუენ და დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოხატეს არამკითხე ჭირისუფლების მიმართ. 1899 წელს გამოცემული მეგრული საანბანო სახელმძღვანელოს ავტორი ალ. გრენი ამ წიგნის წინასიტყვაობაში აცხადებს: „ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა როგორმე, თუნდაც არაპირდაპირ, გამომეწვია ნაციონალური ბრძოლისათვის მეგრელები, რომელნიც ითელებიან უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან. ასეთი ბრძოლა, ჭეშმარიტად, სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, (იმ ანბანისა), რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისევე გამოხატავდა, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში - ქართველი“. [182, გვ. 104].

მალევე გაჩნდნენ „წმინდა მამებიც“, რომლებმაც იკისრეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე ახალი ანბანით გადათარგმნა. გაზ. ,,ივერია“, (1869 წლის, №3) ილაშქრებს ასეთი მოქმედების წინააღმდეგ და იგონებს ოცი წლის წინანდელ ამბავს, „როცა მთავრობამ სცადა შემოეღო მეგრული წირვა-ლოცვა, მაგრამ ეს ხალხმა უარყო და ქართულ ენაზე მოითხოვა წირვა-ლოცვის შესრულებაო“. მეგრულ ენაზე ზოგიერთი ლოცვა გადათარგმნილ იქნა, მაგრამ თარგმანი შეუფერებელი და მიუღებელი აღმოჩნდა ხალხისთვის, იმდენად შეუფერებელი რამ იყო, რომ თვით სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ უარყო მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება.

მეფის რუსეთი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის რომ ქართველები გაეტეხა სულიერადაც და ეროვნულადაც. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება ხსნა იყო ქართველი ხალხისათვის. სამწუხაროდ ეს თემა დღესაც აქტუალურია, რადგანაც რუსეთი თავის არაქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკას დღესაც აგრძელებს, რისი თვარსაჩინო მაგალითიც არის მეგრული „დედა ენა“. ჩქიმი ნინა, ანუ დედაენა-ასე ჰქვია მეგრული ენის სახელმძღვანელოს, რომლის ავტორიც გალში მცხოვრები ნარგიზა ბასარიაა. როსტოვში დაბეჭდილი წიგნის ტირაჟი ხუთასს აღწევს და, როგორც ირკვევა, მისი პრეზენტაციაც გალის სკოლებში უკვე მოეწყო. წიგნი მეგრულია, თუმცა ქართული ასოებითაა შედენილი. ვფიქრობ აქ „ნათიაულის მეთოდთან“ გვაქვს საქმე. წიგნის ავტორი გაზეთ „გალის“ მეგრული ენის განყოფილების კორესპონდენტია. მოკლედ რომ ვთქვათ 21-ე საუკუნის იაკობ გოგებაშვილია, ქარბატონი ნათელაც ხომ საკუთარი „მშობლიური“ ენის გადარჩენისთვის იბრძვის, (თუმცა თავად მეგრელების თქმით მეგრულ ენას გადასარჩენი ნამდვილად არაფერი სჭირს.)

§3. ქართული პედაგოგიური აზრი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში

XIX საუკუნის ბოლოს ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში უმეცრებასთან ბრძოლას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მეფის ხელისუფლების მიერ შექმნილი დაბრკოლებები და ხალხის შეგნების დაბალი დონე სწავლა-განათლების საქმეში მოითხოვდა ახალი იდეების გავრცელებას ამ პრობლემების გადაჭრას.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „უმეცრება-აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადაადგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავის გემო არ გაგაღებინოთ“. [171, გვ. 338]. უმეცრების დაძლევა-ქართველი სამოციანელების სამოქმედო პროგრამად იქცა. უსწავლელობასთან, ჩამორჩენილო-ბასთან ბრძოლის მთავარ იარაღად სამართლიანად და სწორად იქნა მიჩნეული სკოლა და მეცნიერება. „უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან,-ამბობს ილია,-განათლება, სწავლა, ცოდნა-აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“.[171, გვ. 340].

უცოდინარობა და ჩამორჩენილობა ერის გადაგვარებას მოასწავებდა, სწორედ ეს ფაქტი აწუხებდა იმ პერიოდის ქართველ ინტელიგენციას. აღსანიშნავია რ. ჯაჯანაშვილის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით: „ვინც ჩვენს ცხოვრებას ცოტათი იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ჩვენა გვღუპავს ჩვენი უცოდინარობა. რითი უნდა აღვადგინოთ ის გმირული მამულის სიყვარული, რომელსაც ასე ძვირად აფასებდნენ ჩვენი წინაპარნი და რომელსაც მსხვერპლად სწირავდნენ თავის სიცოცხლეს? - ცოდნით. რით უნდა ავანთოთ ის აწ გამქრალი სიყვარული, რომელიც შთანერგილი კაცის გულში ამაღლებს მათ იმ ზნეობით წერტილამდინ, სადამდინაც უნდა მიაღწიოს ადამიანმა? - ცოდნით. რითი შეგვიძლიან მოვსპოთ მდაბალი თავმოყვარეობა, რომელმაც დასთრგუნა და გაანადგურა ცხოვრების იდეალი: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის? - ცოდნით. რით შეიძლება ცოტათი არს გაუმჯობესდეს ნივთიერი დაცემა ჩვენი ხალხისა თუ არ ცოდნის გავრცელებით? ერთი სიტყვით შეიძლება ადამიანი გახდეს ადამიანად თუ არ ცოდნის და სწავლის დახმარებით?“ [185, გვ.1].

განათლების და მეცნიერული ცოდნის დაუფლებას დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნევდნენ ქართველი განმანათლებლები და პედაგოგები. ეს ბუნებრივია, რადგან საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლა უპირველესად ხალხში განათლების გავრცელე-ბას მოითხოვდა. ერის კულტურული და სამეურნეო წინსვლის უმთავრეს პირობად ქართველ საზოგადო მოღვაწეებს სწავლა-განათლების მოწესრიგება მიაჩნდათ. განათლება მათთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად გამოყენებული საუკეთესო იარაღი იყო, რადგან სწორედ განათლებულ ახალგაზრდა თაობას შეეძლო უკეთესი მერმისისა და მომავლის შექმნა, ის მათთვის ასევე მატერიალური ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესების საშუალება იყო. „...ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე... გაუნათლებლად შეუძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესება, განვითარება და ერთი სიტყვით, მისი წინსვლა, ანუ პროგრესი“. [161, გვ. 156-158].- წერდა აკაკი წერეთელი.

აღსანიშნავია რომ ამ მოსაზრებას იზიარებდა მთელი ქართველი ინტელიგენცია, პუბლიცისტები, პედაგოგები და სასულიერო პირები. ქართველ ინტელიგენციას ხალხში განათლების გავრცელება პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნდა. ისინი მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს, მის ყველა ფენას, ზურგი შეექცია სწავლა-

განათლებაზე ძველი, დრომოჭმული შეხედულებებისათვის და ხელი მოეკიდა წიგნისათვის, მატერიალურად და მორალურად მხარი დაეჭირა სკოლისათვის. „ქართველ განმანათლებლებს, მწერლებს, პუბლიცისტებს, პედაგოგებს არაერთგზის მიუთითებიათ ქართველი თავადაზნაურებისათვის სწავლა-განათლებისადმი გულგრილობა, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობით გამოწვეული სიახლისადმი უყურადღებობა, ერისა და ქვეყნის ტკივილებისაგან გვერდზე დგომა, სიძველისადმი კონსერვატული დამოკიდებულება“-წერდა ვ. გაგუა თავის ნაშრომში. [13, გვ. 276].

იაკობ გოგენაშვილი გადაუდებელ ამოცანად სახავდა განათლების სისტემაში ძირეული ცვლილებელის შეტანას, რათა „ ... ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ყმაწვილისა“ [37, გვ. 312-313] დამდგარიყო ჯეროვან გზაზე. ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეალს წარმოადგენდა მოზარდი თაობისათვის ნამდვილი ცოდნის მიწოდება. ცალმხრივი აღზრდის, ფორმალისტური განათლების, დოგმატური სწავლებისა და რეალობისაგან მოწყვეტილი ცოდნის ნაცვლად, იაკობ გოგებაშვილს საჭიროდ მიაჩნდა მოზარდი თაობის აღჭურვა რეალური, ნამდვილი, შრომასა და ბრძოლაში გამოსადეგი, საფუძვლიანი, სისტემატური და ღრმა მეცნიერული ცოდნით. ყალბი ფორმალისტური განათლების წინააღმდეგ, რომელსაც თვითმპყრობელობის სკოლა აწვდიდა ბავშვებს, გოგებაშვილი მოითხოვდა ახალგაზრდობის რეალური ცოდნით შეიარაღებას, რათა ის გამოსაყენებელი ყოფილიყო რეალურ ცხოვრებაში. სწორედ ეს იყო უპირატესობა პრაქტიკული ცოდნისა და სწორედ ასეთი ცოდნის შეძენისკენ მოუწოდებდა ის სკოლას რომ დახმარებოდა მომავალ თაობას. მისი აზრით: „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტის ცოდნისას, ხოლო ამგვარ ცოდნას იძლევა ეგრეთწოდებული რეალური სისტემა განათლებისა“. [37, გვ. 276].

ილია ჭავჭავაძე მკაფიოდ გრძნობდა და ხედავდა ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდის განუზომელ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. ჯერ კიდევ 1863 წელს ხ.ზალცმანის „კონრად კიფერის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ილია წერდა: „ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზე, რადგანაც, ცხადია რომ ქვეყნის მყოფადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. [168, გვ. 227]. მისთვის არ არსებობდა არც ერთი ისეთი ძლიერი იარაღი და საშუალება ხალხის კეთილდღეობისათვის როგორიცაა საყოველთაო ცოდნა და განათლება, მაგრამ ამისათვის საზოგადოებაში უნდა ყოფილიყო ამის მზაობა, ამ მზაობისათვის კი საჭირო იყო საზოგადოების მომზადება სწავლა-განათლების სურვილის აღძვრისათვის. ამისათვის კი საჭირო იყო მომავალი თაობის სწორი აღზრდა.

ზნეობრივი აღზრდა ადამიანის სისრულის აუცილებელი მომენტია. გონებრივი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარებისათვის, მაგრამ ის არ არის საკმარისი მისი სრულყოფისათვის, რადგანაც შეიძლება ადამიანი იყოს ძალიან განათლებული, მაგრამ ამასთანავე ძალზედ ზნედაცემული, ილია წერს: „საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე ის კაი კაციც უნდა იყოს და კაიკაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. [170, გვ.313]“. მიუხედავად იმისა, რომ ზნეობრივი და გონებრივი განათლება ძალზედ მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან, ილიას აზრით მათი ერთი და იგივე მეთოდით

მიღება შეუძლებელია. ის ფიქრობს, რომ ზნეობრივი განათლება შეიძლება მივიღოთ აღმზრდელობითი მუშაობით ბავშვთან, ხოლო გონებრივი განათლება კი მხოლოდ სწავლის გზით მიიღება.

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის ამტკიცებდა გონებრივი და ზნეობრივი განვითარების ერთიანობას, მათ ისეთ კავშირს, რომელიც ორივესათვის თანაბრად აუცილებელია. ის წერდა: „სწავლა, განათლება, ცოდნა ყველგან და ყველას უვითარდება გონებასთან, გულსაც, სინიდისსაც, ნამუსიანობასაც, კაცთმოყვარეობასაც უძლიერებდა და ადამიანობა მასში მაღლა აჰყავდა“.[33, გვ. 274].

ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ალ. ჭიჭინაძის წერილში „რიჟრაჟზე სათქმელი“, ილია მსგავსად გამოთქმულია აზრი, რომ გონებაგანვითარებულ და განსწავლულ უზნეო პიროვნებას ბევრად სჯობს გაუნათლებელი ზნეობრივი პიროვნება. ის წერს: „მარტო გონების განვითარება, კიდეც რომ შესაძლებელი იყოს ამ პირობებში, სადაც სწავლა უდაბლეს დონეზეა, აზროვნების ვარჯიში და ცოდნის შეძენა რის მაქნისია? გონებით გაწვრთნილს უზრდელს, უზნეოს ესევ რეგვენი სჯობია-იმდენს ვერას ავნებს მოყვასს“[175, გვ. 536].

ზნეობრივი აღზრდა მოზარდი თაობის გონებრივ განვითარებასთან ერთად აღიარებული იყო აღზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზნად. მიხეილ ზანდუკელის აზრით, სკოლის მიზანია ბავშვის პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რომელიც გულისხმობს გონების, ნებისყოფის და ესთეტიკური გრძნობის ფორმირებას.

ჰარმონიული აღზრდის იდეებს და მისი განხორციელების გზებს იკვლევდა დიმიტრი უზნაძე. მისი აზრით, მოზარდის ჰარმონიულ განვითარებაში მთავარია ნიჭის, უნარების, ცოდნის დაუფლების ერთმანეთთან შერწყმა. საჭიროა მოინახოს ასეთი შერწყმა-შეთანხმების გზები. ის წერს: „აღზრდას არასოდეს არ ჰქონია დასახული მიზნად ცალმხრიობა...იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისაკენ“ [117]. ყოველმხრივი განვითარების ცნებაში კი დ.უზნაძე გულისხმობს პიროვნების გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური ძალების სრულყოფას. ზნეობრივი თვისებებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდას. ყველა ქართველის უპირველეს საქმედ მას მიაჩნია „... საქმიანობა, რომელსაც საზოგადოებრივ-პატრიოტული ხასიათი აქვს და რომლის მიზანს წარმოადგენს მშობლიური მიწა-წყლის დაცვა და მშობელი ხალხის ინტერესებისადმი ბოლომდე ერთგულება“[8, გვ. 169].

ზნე-ხასიათი ილია ჭავჭავაძეს ესმის, როგორც მეტად კონკრეტული და რეალური შინაარსის ფსიქიკური მოვლენა. „გამომუშავება „ქვეყნის სასარგებლო“ ღონე-ხერხისა, შრომის სურვილისა, შეუდრეკელობისა ყოველივე სიძნელეთა წინაშე, უშიშრობისა, მტკიცე ნიბისყოფისა, ჰუმანური კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის გრძნობისა“, - აი რა არის მისი აზრით ზნე-ხასიათი. [170, გვ. 324-325].

იაკობ გოგებაშვილს ბავშვის ზნეობრივი აღზრდა მიაჩნდა მისი განვითარების უმთავრეს მხარედ. „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ის აღნიშნავდა: „პატიოსნის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა.... აი, რისთვის მივეცით ჩვენი წიგნის ყოველ განყოფილებაში დიდი ადგილი ეთიკურს, ალტრუისტულ ელემენტსა, აღმზრდელ შინაარსსა“ [29, გვ. III-IV]. მისი აზრით, მასწავლებლის დანიშნულებაა, მოსწავლეს შთაუნერგოს ზნეობა. სკოლა, მასწავლებელი და ოჯახი არ უნდა დაკმაყოფილდეს მოზარდის მხოლოდ სწავლა-განათლებით, მათ მოზარდის ზნეობრივ მხარეზეც უნდა იზრუნონ. გ.თავზიშვილი თავის ნაშრომში

აღნიშნავს, რომ: „დაწყებითი განათლების მქონე მოზარდს ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ცოდნის მხრივ იმაზე მეტს, რაც მას სკოლაში არ შეუძენია, მაგრამ ზნეობის მხრივ ის უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანთა საერთო ცხოვრების ნორმებს, ისე როგორც მრავალი გლეხი, რომელიც ჩამორჩენილია განათლებით, მაგრამ მაღლა დგას ზრდილობითა და კეთილშობილი თვისებებით. ეს არ არის პარადოქსული დებულება და არც გონებრივი და ზნეობრივი განვითარების გათიშვას გულისხმობს. იაკობ გოგებაშვილი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ცოდნის შეძენის წყარო უმთავრესად სკოლაა, ხოლო ზნეობრივი განვითარების წყაროდ კი გვევლინება ოჯახი, სკოლა, სკოლისგარეშე გარემო, საერთოდ მთელი ცხოვრება, ამასთან ზნეობრივი განვითარება შედარებით უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე გონებრივი და ზნეობრივ წესებს უფრო ადვილად იმახსოვრებს ადამიანი, ვიდრე მეცნიერულ დოქტრინებს.“ [48, გვ. 336].

ივანე როსტომაშვილი მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას სერიოზული ყურადღების ქვეშ აყენებდა. იგი გმობდა ძველ სკოლას, რომელიც ზნეობრივი აღზრდის ნაცვლად სწავლების ძირითად დანიშნულებას ცოდნის გადაცემაში ხედავდა. მას ზნეობრივი აღზრდის „საკმარის ღონისძიებად“ არ მიაჩნდა საღვთო სჯულის დოგმატების ზეპირობა, მისი აზრით თავდაპირველად სამღვთო სჯულთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ბავშვთათვის სპეციალურად შერჩეული, ზნეობრივად გამართული, საუკეთესო შინაარსის მქონე იგავ-არაკები, ხალხური თქმულებები და სხვ. ხოლო მომდევნო პერიოდში განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ზნეობრივი სენტენციების შემცველ საუკეთესო ნაწარმოებთა გაცნობას, გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიების კითხვას, ოჯახისა და ხალხის წინაშე მოვალეობის შესრულების სანიმუშო მაგალითების ჩვენებას, მსოფლიო სახელოვან ადამიანთა ბიოგრაფიებზე და იშვიათ ნაწარმოებთა გმირების მაგალითებზე აღზრდას. [98, გვ. 698-702]. ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური იდეა ზნეობრივი აღზრდის შესახებ ემთხვევა პედაგოგიკის კლასიკოსთა მიერ ამ საკითხებზე გამოთქმულ შეხედულებებს და თანამედროვე სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში კვლავ ინარჩუნებს თავის აღმზრდელობით მნიშვნელობას.

ქართველ განმანათლებლებსა და პედაგოგებს სწორად ესმოდათ ადამიანის ზნეობრივი აღზრდის შინაარსი და მნიშვნელობა. ზნეობრივი თვისებების გამომუშავება არ არის თავისთავადი, დამოუკიდებელი ან მიმბაძველობითი ბუნების შედეგი, მას სრულყოფისათვის მრავალი კომპონენტი სჭირდება, კერძოდ, გარემო, პიროვნება რომელიც გაწვრთნის მას და შეგნებულობის მაღალი ხარისხი. მისი დაუფლება აქტიური სააღმზრდელო ზემოქმედებით მიიღწევა. მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული და მიჩნეულია ყველა სხვა თვისებისა და განათლების საფუძვლად. მარტო გონებრივი აღზრდა, რომელიც ძველი სკოლის ერთად ერთი იდეალი იყო, ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის შინაგანი ბუნების გარდაქმნას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო აღზრდის პროცესში, პიროვნების ჩამოყალიბების დროს. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით: „ ... შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნება, მაშასადამე წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევა, მისი სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ უკეთ ვთქვათ, მისი კაცობისა ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა. რადგანაც გაადამიანება თავი და ბოლოა ყოველგვარი წვრთვნისა, ზრდისა და განათლებისა“[173, გვ. 296].

ბავშვთა და მოზარდთა ზნეობრივი განვითარების მიზნით წარმოებულ აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას ილია ჭავჭავაძე მოითხოვს როგორც სკოლაში, მასწავლებელთა მიერ, ისე ოჯახში, მშობელთა მიერდა აგრეთვე იმ საზოგადოებრივ წრეებში და

გარემოში, სადაც ბავშვსა და მოწაფეს უხდება ყოფნა. „ილია სკოლის პედაგოგებს დიდ მოვალეობას აკისრებს, რადგან სწორად მათ მოვალეობაშია მომავალი თაობის ზნეობრივი განვითარება, რადგანაც კარგი ქცევისადმი მიბაძვა და კარგი მაგალითის განმეორება ზნეობრივი განვითარების დიდ ფაქტორებად მიაჩნია და ამისათვის მოითხოვს სასკოლო და საოჯახო აღმზრდელობითი პროცესის ისე მოწესრიგებას, რომ ის სამაგალითო იყოს ბავშვისათვის. მისი აზრით ბავშვის ზნეობრივი აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ზნე-ხასიათის თვისებათა გამომუშავების გზით. ის გამოჰყოფს რამოდენიმე ხასიათს, რომელიც აუცილებელია ზნეობრივ აღზრდაში, კერძოდ კი მას სხვა პირად ღირსებათა შორის აუცილებლად მიაჩნია ზრდილობა, როგორც ადამიანის ყოფა-ცხოვრების მომწესრიგებელი თვისება, პატივისცემის გრძნობა-უფროსების, მასწავლებელთა, მშობლებისა და ამხანაგების მიმართ, სხვისი დაფასების საჭიროების შეგნება, თავმდაბლობა და ზომიერება მორიდების გრძნობასთან ერთად, რჩევა-დარიგების მიღება უფროსებისაგან და კარგი ამხანაგებისაგან, პასუხისმგებლობის გრძნობა დანაკისრი მოვალეობის შესრულების მიმართ, წესრიგის და დისციპლინის დაცვა, სკოლასა და სხვა აღმზრდელობით დაწესებულებაში, საზოგადოების წრეში და ოჯახში“.[48, გვ. 162].

ზნეობრივი აღზრდა ქართული პედაგოგიური აზრის მიხედვით მჭიდრო კავშირშია პრაქტიკულ და ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ქართველი პედაგოგებისათვის ზნეობრივი აღზრდა და მაღალი ზნეობა უკეთესი მომავლის შექმნის ერთ ერთ აუცილებელ იარაღად მიაჩნდათ, მაგრამ არა ყოველგვარი ზნეობა, არამედ პროგრესული, ნამდვილად სახალხო, ჭეშმარიტი ზნეობაა ქართველი პედაგოგების იდეალი.

დ. უზნაძის შეხედულებით, ძველ სკოლებში ზნეობრივი განათლება მხოლოდ გონების განვითარების სფეროს მოიცავდა, მაშინ, როდესაც ის გონების საზღვრებს სცილდება, უმთავრესად ნების სფეროში იჭრება და გრძნობათა ძლიერი ზეგავლენით მოქმედებს. აქედან „ზნეობრივი აღზრდის პრობლემა...“ ბოლოს და ბოლოს გრძნობათა სფეროში ზეგავლენის მოხდენის პრობლემად გამოდის“.[119, გვ. 88].

აღსანიშნავია, რომ თვით ზნეობრივი აღზრდის ცნება და შინაარსი მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ პედაგოგიურ პრესაში სწორად იყო გაგებული. „თუ პიროვნება პირად ინტერესებს უმორჩილებს საზოგადო ინტერესს, ის ზნეობრივი პიროვნებაა, თუ ის პირიქით იქცევა, უზნეოა, ზნეობრივი აღზრდა იქითკენაა მიმართული, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქმედება მოთხოვნილებად გადაექცეს. რამდენადაც მეტია ადამიანში განვითარებული ეს მოთხოვნილება, იმდენად ის უფრო მაღლა დგას ზნეობრივად.“[90, გვ. 258].

მეოცე საუკუნის დასაწყისში სწორად იყო გაგებული ადამიანის ზნეობრივი ფორმირების მიზანი და ამოცანები. ჟურნალი „განათლება“ 1910 წელს წერდა: „ზნეობრივ აღზრდას მიზნად აქვს მაღალის ნიჭის მიხედვით განავითაროს ადამიანში „თვითონ ადამიანი“, ე.ი. მისი გული, გონება და სინდისი“. [83, გვ. 383]. პედაგოგებმა სწორად განსაზღვრეს მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის შინაარსიც. ზნეობრივ კომპონენტებად მიჩნეულია: პატრიოტიზმი-სამშობლოსა და მშობლიური ხალხის სიყვარული, სხვა ხალხებთან მეგობრული დამოკიდებულება და სოლიდარობა, კაცთმოყვარეობის აღზრდა, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი პირადის დაქვემდებარება, პატიოსნების აღზრდა, შეგნებული, აქტიური დისციპლინის აღზრდა და სხვა.

ქართულ პედაგოგიურპრესაში სათანადოდ არის გაშუქებული ზნეობრივი აღზრდის კომპონენტები და განსაზღვრული მათი შინაარსი, დანიშნულება და მეთოდები. დასაბუთებულია მეთოდთა სიმრავლის აუცილებლობა, რადგანაც არ არსებობს ერთი ისეთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც ყველა შემთხვევაში უცვლელად გამოდგებოდა.

ქართულ პედაგოგიურ პრესაში ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად სიყვარულზე აგებული ოჯახი, მშობლებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, ჯანსაღი ყოფა და ურთიერთობაა აუცილებელი. ზნეობრივ თვისებათა შორის უმთავრესად მიჩნეულია სამშობლოსა და მშობლიური ხალხის სიყვარული, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ზნეობრივ პრობლემებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს.

ივანე როსტომაშვილი მშობლებსა და მასწავლებლებს მიმართავდა: „სამშობლოს სიყვარული პირდაპირ კულტად (რჯულად, თაყვანისცემად) უნდა გადავაქციოთ სრულად საქართველომ“. [100, გვ. 87]. ახალგაზრდობას იგი მოუწოდებდა, „სამშობლო თუ არ დაიცავით მტრისაგან, სულ ყველაფერს წაგვართმევენ, დაგვინგრევენ და ჩვენს ცოლ-შვილსაც სულ ამოხოცავენ, რომ თვითონ დაინარჩუნონ ჩვენი სახლ-კარი და ტურფა საქართველო ... არა ჩვენ ქართველები ვართ, და ქართველებს ძალიან უყვართ თავიანთი ლამაზი სამშობლო და უბრძოლველად არავის დაუთმობენ, სიკვდილს არჩევენ და თავიანთ მარჩენალ და მაცხოვრებელ მიწა-წყალს სხვას არ მისცემენ“. [100, გვ. 87]. „სამშობლოს სიყვარული ადამიანის გულს განაწყობს პირადი, ოჯახური მიდრეკილებების დასათრგუნავად და სამშობლოს ინტერესებისა და მისი კეთილდღეობისათვის საბრძოლველად“. -წერდა გიორგი ახვლედიანი [123, გვ. 32]. მისი აზრით, ქართველი კაცი ისტორიულად ქვეყნის ერთგულებითა და სიყვარულით გამოირჩეოდა და ასეთივე სულისკვეთებით ზრდიდა ის თავის შვილებსა და შთამომავლობას.

უდავოა, რომ გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება ვერ ამოსწურავს „იდეალურად აღზრდილი ადამიანის“ არსებობის შინაარსს. ადამიანი, წარსული და აწმყო ცხოვრების მოვლენების შესწავლა-გაგებასთან ერთად, ფანტაზიის საშუალებით ახდენს მოვლენათა და საგანთა ახალი შინაარსობრივი მხარეების, ახალი წარმოდგენების შექმნა-წარმოსახვას, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი შრომის უნარის განვითარებისათვის. აქედან ბუნებრივია, რომ „ბავშვისა და მოზარდის ფანტაზიის გამდიდრება და აღზრდის ობიექტშიესთეტურ გრძნობათა განვითარება მასწავლებლის განსაკუთრებული ყურადღებისა და მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს.“ [102, გვ. 269].

ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედება წარმოშობს ესთეტიურ გრძნობებს, რაც წინა პლანზე წამოსწევს ადამიანის ესთეტიურად აღზრდის უდიდეს მნიშვნელობას. მახინჯია კოჭლი, მაგრამ არანაკლებ მახინჯია ადამიანი, რომელსაც ამა თუ იმ გარემოების გამო ესთეტური გრძნობა დახშული აქვს. იდეალური ადამიანი, ჩვენთვის, ესთეტიურად განვითარებული ადამიანია. ძველ სკოლებში ყურადღება არ იყო გამახვილებული და არ ექცეოდა დიდი მნიშვნელობა ესთეტიურ აღზრდას, იმ დროის პედაგოგები ვერ ხედავდნენ მის საჭიროებას ადამიანის აღზრდის პროცესში, თუმცა XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისშიესთეტიური აღზრდის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში არამარტო ხელოვნების შემოქმედებითი ნიჭის განვითარება ან ხელოვნების ამა თუ იმ დარგისთვის მოსწავლეთა სპეციალურ მომზადება, არამედ ესთეტიურ გრძნობათა განცდა, მისი გათავისება, შეგრძნება, და

წვდომა მისი სრულქმნისათვის, რადგანაც სწორი ესთეტიური აღზრდა წინაპირობაა ადამიანის შინაგან გრძნობათა განვითარებისათვის.

დიმიტრი უზნაძეს ახალი თაობის მხატვრულ-ესთეტიური აღზრდის მთავარ საშუალებად მიაჩნია საბავშვო მხატვრული ლიტერატურის, მხატვრობისა და მუსიკის შესწავლა, ცოცხალი ბუნების მშვენიერებათა სამყაროში ბავშვების შეყვანა, ხელოვნების ქმნილებათა ნახვა, რაც ეფექტურად ეხმარება მოსწავლეთა ესთეტიკური გრძნობების გაფაქიზებასა და სილამაზის წვდომის უნარის გამახვილებას. ის სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა როგორც ესთეტიკური განათლების კულტის, ისე მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობის უგულებელყოფის წინააღმდეგ, რის შედეგად ის სავსებით მართებულ დასკვნამდე მივიდა, რომ ესთეტიკური აღზრდა ახალი სკოლის ერთ-ერთ ძირითადმიზნად უნდა იქნეს აღიარებული.

მიხეილ ზანდუკელის მიხედვით, ესთეტიური აღზრდის მიზანია შექმნას ადამიანი ბედნიერი, ეს არის ადამიანის აღზრდა სილამაზეში და გრაციაში, სიყვარულში სიმშვენიერისა და მაღალ იდეალებისადმი მისწრაფებაში, ე.ი. მისწრაფებაში ზნეობრივი იდეალებისადმი. ასეთი აღზრდა ხელს უწყობს ზნე-ჩვეულების განსპეტაკებას, ესთეტიური გემოვნების გავითარებას. მთავარი პირობაა ის, რომ ყველაფერს ლამაზი ფორმა ჰქონდეს, ამის გარეშე მოზარდი ვერ მიიღებს სიტკბოების განცდას. ავტორი მოითხოვდა სკოლაში ახალ იდეალებს, რაც მას განასხვავებდა ძველი სკოლისაგან. ეს იყო ის, რომ აღზრდის დროს ბავშვს უნდა ჰქონოდა საშუალება თავისი სულიერი და ფიზიკური ძალები მაქსიმალურად გამოეხატა (თამაში, ხატვა, ძერწვა და სხვა). მისი აზრით, ხელოვნებას დიდი როლი აკისრია ესთეტიკური აღზრდისათვის, იგი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ემოციური ცხოვრების განვითარებას.

მიხეილ ზანდუკელი ესთეტიკურ აღზრდაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ექსკურსიას, რადგან ამ დროს ბავშვი უყურებს ნატურას, ეს კი მას სიამოვნებას ჰგვრის. ის ამბობს: „სწორედ ბუნების დიდმა გავლენამ დააწერინა ნ.ბარათაშვილს „ფიქრი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „არაგვს“; ი.ჭავჭავაძეს „ყვარლის მთებს“, პუშკინი და ლერმონტოვი ბუნების სილამაზეში ჰპოულობდნენ შვებას“ [45, გვ. 18]. ავტორის აზრით ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ესთეტიკური აღზრდისათვის სიმღერა-მუსიკას, ფიზიკურ ვარჯიშს, თეატრს და სხვა.

ფიზიკური აღზრდის საკითხებს ესთეტიკურ აღზრდასთან შედარებით უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ ცალკეული შეხედულებები მაინც გამოითქვა ამასთან დაკავშირებით. ივანე როსტომაშვილის აზრით, ადამიანის ჯანმრთელობა არის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისა, ის წერდა: „სხეულის კარგად მყოფობის, სიმაგრეს აქვს ძლიერი ზემოქმედება გონებითს შრომაზე“. [100, გვ. 64]. ქართველი პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდაში ბუნებასთან უწყვეტ კავშირს, განსაკუთრებით სუფთა ჰაერს. ივანე როსტომაშვილის აზრით ბავშვი უნდა იზრდებოდეს წმინდა ჰაერზე, რათა მით სავსებით განვითარდეს მისი სხეული, რომელიც ძველ ბერძენთა თქმულებით არის დასაბამი საღი სულისა. ამ პერიოდის ზოგიერთ საშუალო სასწავლებელში ისწავლებოდა გიმნასტიკა, რომელსაც პროფესიონალი მასწავლებლები ნაკლებად ჰყავდა, მაგრამ თვით ამ საგანს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი პედაგოგები.

ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილები ფიზიკური აღზრდის აუცილებლობაზე. მის როლზე ბავშვის გაკაჟებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნე-ბისათვის. მაგრამ ეს საგანი ისე უნდა წარმართულიყო, რომ დიდი აღმზრდელობითი გავლენა ჰქონოდა მოსწავლეებზე. ქართველ პედაგოგებს მოჰყავდათ მაგალითები

გამოჩენილი მეომრების ცხოვრებიდან, რომლებიც დიდი ჯანმრთელობით ხასიათდებოდნენ. ისინი ცდილობდნენ ქართველ ახალგაზრდებს მიებაძათ მათთვის, მაგალითად ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა სტატია „დაღესტნის იმამები“, სადაც აღწერილია შამილის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდის ფიზიკური აღზრდა. შამილის აღმზრდელი ყაზი-მოლა „აჩვევდა ვარჯიშობას და ძარღვების გამაგრებას, შამილი ისე ხშირად და ისეთის სისწრაფით ივარჯიშებდა ჯანს, რომ შემდეგში ყველა ჩვენთვის შეუძლებელს სიმამაცეს მიაღწია“. [178, გვ. 193].

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საკმაო ყურადღება ექცეოდა ფიზიკური აღზრდის საკითხებს, რომელიც ბავშვის ფიზიკური განვითარების უმთავრეს მომენტად იყო მიჩნეული. ამ საკითხზე გიორგი იოსელიანი გაზეთ „კვალში“ , ჟურნალებში „მოამბესა“ და „ნობათის“ პედაგოგიურ დამატებაში ბეჭდავდა წერილებს ბავშვთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდის საკითხებზე. ფიზიკური აღზრდის საკითხებზე გ.იოსელიანმა რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა „ნობათის“ პედაგოგიურ განყოფილებაშიც. აქ ლაპარაკია ძილის, კვების, ჰაერის, სეირნობის, ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობაზე. ყველა ეს საკითხი მის მიერ სწორად არის გაგებული და განმარტებული.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის სწორი ფიზიკური განვითარება მისი ჩასახვის დროიდან იწყება, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ფეხმძიმე ქალის მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილება. რეალური ცხოვრებაფეხმძიმე ქალს საჭირო პირობებს ვერ უქმნიდა, ამიტომ „ჩვენებური დედაკაცი ორსულობის დროს იმგვარსავე მდგომარეობაშია როგორც ორსულობამდის. უმეცრებისა და სიღარიბის გამო, არც თვითონ ზრუნავს თავის თავზე არც სხვანი უგდებენ ყურს მის მდგომარეობას“.[166, გვ. 3].

ფიზიკურ აღზრდა დიმიტრი უზნაძის აზრით ძალზედ მაღალ დონეზე უნდა იქნეს სკოლაში დაყენებული, რადგანაც, ბუნებრივია, რომ ახალი თაობის ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელი, ძლიერი მომავალი თაობის აღზრდაზეა დამოკიდებული, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ავადმყოფი, ფიზიკურად უძლური ადამიანი ხანგრძლივი და ძნელი მუშაობისათვის გამოუსადეგარია. გადაწყვეტილების მიღება და განსაკუთრებით მისი შესრულება, ცხადად უკავშირდება ორგანიზმის სიმრთელეს და მისი ძლიერების მდგომარეობას, აქედან უდავოდ გამომდინარეობს ერთ-ერთი უმთავრესი პედაოგიური ამოცანა, რომ „სკოლაში ფიზიკურ აღზრდას უთუოდ განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი“. [119, გვ. 82-83]. მაგრამ ეს ასე არ იყო, ბევრ სკოლაში საერთოდ არ ისწავლებოდა ფიზკულტურა და ტანვარჯიში, ზოგან ის ფაკულტატური დისციპლინა იყო. ალ. ნანეიშვილის შეფასებით მისი თანამედროვე „სკოლის დღევანდელი ვითარება აუძლურებს მოზარდის ყმაწვილის სულსა და ხორცს, რადგან სისტემა სწავლებისა არ შეჰფერის ყმაწვილის გონების ძალასა და აგებულებას“. [73]. ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია სკოლებში საგიმნასტიკო დარბაზების მოწყობა, ფიზიკური ვარჯიშების შემოღება და გაკვეთილების შუალედებს შორის (განსაკუთრებით დიდი დასვენების დროს) ბავშვთა ასაკთან შეფარდებული და სათანადოდ შერჩეული კულტურულ გართობა-თამაშობათა ორგანიზაცია.

ილია გმობდა სკოლის მიერ ფიზიკური აღზრდის მიმართ არასათანადო დამოკიდებულებას და ის სასკოლო აღზრდის ჩამორჩენილობისა და ცალმხრივობის ერთ-ერთ მიზეზად მეცხრამეტე საუკინის მეორე ნახევარში, სწორედ სკოლის უყურადღებობას მიიჩნევდა ფიზიკურ განვითარებაში. ის წერს: „დავიწყებულია, რომ კაცს ტანიც და აგებულობაც აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს“. [170, გვ. 343]. აღზრდის პროცესში სულიერ

და ზნეობრივ განვითარებასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის სხეულის განვითარებასაც. ილიას ფიზიკური აღზრდის მიზნად მიაჩნია ჯანმრთელი, მხნე, ღონიერი, სიძნელეთა ამტანი, გამძლე, მებრძოლი და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობა, ეს ყოველი თვისება საჭიროა ჩვენი მომავალი თაობისათვის, რათა ქვეყნის მომავალი უკეთესი იყოს, ამ ყოველივეს მიღწევა კი, მხოლოდ ფიზიკური აღზრდის განვითარებით მიიღწევა.

გ. თავზიშვილი წერს, რომ: „ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდობის აღზრდა ისეთივე მნიშვნელობის საზოგადოებრივ ამოცანად მიაჩნია აკაკი წერეთელსაც, როგორც ამ თაობის სულიერი, ინტელექტუალური განათლება. აკაკისათვის ნათელია, რომ გონებრივად განათლებული, მაგრამ ფიზიკურად დაავადებული, ქანცგაწყვეტილი, უილაჯო, ფერმკრთალი, უსისხლო და მილეული ყმაწვილების აღზრდა, როგორც ეს ხდებოდა მისი დროის ქალაქის სკოლებში, არ არის დასაშვები. აკაკი მოითხოვს, გონების განათლებასთან ერთად, ბავშვს ეძლეოდეს ფიზიკური გამობრძმედა, ორგანიზმის სისაღე, ამტანობა, გამძლეობა, სიმტკიცე და სიმალხაზე... მას მოსწონს სპარტანული აღზრდის სისტემა და თავის შემდგომ ჯანმრთელობას სწორედ იმით ხსნის, რომ იგი ბავშვობაში სპარტანული წესით იზრდებოდა, რამაც ისე გამობრძმედა და გააკაჟა მისი ორგანიზმი, რომ შემდგომ ბევრ ავადმყოფობას უმკლავდებოდა.“ [48, გვ. 261-262]. აკაკის აზრით სოფლელი ბავშვი ასეთ პირობებში ბუნებრივად იზრდება და მათთვის უცხო არ არის ეს ყოველივე და შესაბამისად ჯანმრთელიც არის, მაგრამ ქალაქელ ბავშვებთან სულ სხვაგვარი სიტუაცია გვაქვს. ისინი მოკლებულები არიან სხეულის განვითარების ბუნებრივ პირობებს, ქალაქელი ბავშვები მოკლებულნი არიან თავისუფლებას, მათ სტანჯავთ ტანზე ძლიერ მომდგარი ტანსაცმელი და ისეთი ფეხსაცმელები რომლებიც მაზოლებს უჩენენ ფეხზე და მათ ერთი გაკოტრიალება თავისუფლად ქვეყანას ურჩევნიათ. „აკაკი სასტიკად აკრიტიკებს ძველი გიმნასტიკის სისტემას. ასაბუთებს, რომ იგი არ შეეფერება ადამიანის ორგანოების თანაბარი განვითარების მოთხოვნილებას და არ ითვალისწინებს ბავშვთა ფიზიკურ ინდივიდუალობასა და თავისებურებებს.“ [48, გვ. 262].

ფიზიკური აღზრდა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. „აღზრდის“ ცნება, ბოცვაძის გაგებით, ფართო საზოგადო განვითარებას და ადამიანის სრულყოფამდე მიყვანას გულისხმობს. „... სულის სიმტკიცე და შეურყევ-ლობა, ცხოვრების ყოველგვარ შემთხვევაში სიმართლისათვის ბრძოლა, თავის განწირვა ცოტად თუ ბევრად ... ფიზიკური სიმართლისა და ძალის შედეგია“. [94, გვ. 218].ფიზიკური აღზრდის, სხეულის გამაგრებისა და განვითარებისათვის მას საჭიროდ მიაჩნია: ა) ჰიგიენური კვება, ბ) ჰავის შესაფერისი ტანსაცმელი, გ)მუდმივი სისუფთავის დაცვა, დ) სუფთა ჰაერით და მზით სარგებლობა, ე) ყოველმხრივი მოძრაობა (ძალის შესაფერისი ვარჯიშობა სხეულის ნაწილებისა პერიოდული დასვენებით) და სხვა. ამიტომ, მტკიცე ხასიათისა და მაღალი ზნეობის მქონე თაობის აღზრდის მიზნით, ლუარსაბ ბოცვაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფიზიკურ აღზრდას“. [102, გვ. 192].

1897 წელს თბილისში ჩამოვიდა ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის რუსეთის საზოგადოების წევრი რადეცკი, რომელმაც ამ საზოგადოების ფილიალი აქაც დააარსა. საზოგადოების მიზანი ძირითადად პედაგოგიური იდეების პროპაგანდა იყო. რადეცკი კითხულობდა ლექციებს ბავშვთა აღზრდის, განსაკუთრებით კი ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდის შესახებ. ლექციების ერთი ნაწილი იბეჭდებოდა კავკასიის რუსულ და ქართულ პრესაში. [23].

ყურადღების ღირსიაშრომითი აღზრდა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ბავშვთა შრომითი აღზრდის პედაგოგიურ იდეას აყენებდნენ და იცავდნენ ჯერ კიდევ ჯონ ბელერსი (1664-1725), ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778), ჰენრიხ პესტალოცი (1746-1827), რობერტ ოუენი (1771-1858) და სხვები. ამათგან პესტალოცი და რობერტ ოუენი შრომით აღზრდას პრაქტიკულადაც ატარებდნენ ცხოვრებაში. „შრომითი აღზრდა პროგრესული მოვლენა იყო - წერს ს. სიგუა- და ემსახურებოდა საღ სასწავლო-აღმზრდელობით საქმეს, მაგრამ ბურჟუაზიამ შრომითი აღზრდის იდეა გაბატონებული კლასების ინტერესებს დაუქვემდებარეს. ამ ეპოქის შრომითი აღზრდის ყველა ბურჟუაზიული თეორიის საერთო დამახასიათებელ ძირითად ნიშან-თვისებას შეადგენს მთელი ყურადღების გადატანა პრაქტიკულ მომზადებაზე, საქმიანობაზე, პროფესიონალიზმზე.“ [106, გვ. 196-197]. ამ თემას მიეძღვნა მრავალი წერილი და სტატია, გამოქვეყნებული მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. შრომითი აღზრდის იდეას და სწავლებაში შრომის ელემენტების შეტანის აუცილებლობას იცავდნენ და ასაბუთებდნენ ლ.ბოცვაძე, ა. ჭიჭინაძე, დ. უზნაძე და მრავალი სხვა.

ლ.ბოცვაძის შრომის საზოგადოებრივი როლი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა შესაბამისად აქვს დასაბუთებული წერილებში „შრომა და მისი მნიშვნელობა“, „მომავლის სკოლა შრომისა და მუშაობის სკოლა იქნება“, „სახალხო სკოლის პროგრამა“, „სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება“ და სხვა. [106, გვ. 198].

„ახალ სკოლაში“ შრომა აქტივობის აღზრდისა და ცხოვრებისათვის მომზადების ვიწრო პრაქტიკულ მიზანს ემსახურებოდა. ლ.ბოცვაძის აზრით: „ახალი სკოლა უნდა წარმოადგენდეს თავისუფალი შრომის ადგილს, თავისუფალს დამოკიდებულებას ბავშვებსა და იმ პირთა შორის, რომელნიც კისრულობენ დააკმაყოფილონ ბავშვების მოთხოვნილებანი სწავლა-აღზრდის საქმეში“. [9, გვ. 119-120]. ახალ თავისუფალ სკოლაში მასწავ-ლებლებს ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინათ არა „გაქვავებული“ და სინამდვილისაგან მოწყვეტილი პროგრამებით, არამედ ცოცხალი, მოქნილი გეგმებით, რომლებიც ახლებურად შეიცვლებოდნენ ბავშვთა „ ... მოთხოვნილების, მოწაფეთა ბუნებრივი ნიჭის, ძალისა და ბუნების თანახმად“. [9, გვ. 120]. ლ.ბოცვაძის აზრით ახალი სკოლა უნდა ყოფილიყო თავისუფალი სკოლა, რომელიც ბავშვს აღზრდიდა დამოუკიდებლობის უნარით, შეაჩვევდა საკუთარი ხელებით მუშაობას, საკუთარი ჭკუით ფიქრს, ხალხის სურვილით მოქმედებას, შთაუნერგავდა ბავშვებს თავისი ძალებისადმი რწმენას და ჭეშმარიტების სიყვარულს. მისი აზრით ახალ სკოლაში უნდა შეესწავლათ მოსწავლეებს: მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, რუსეთის და მსოფლიო ისტორია, რუსული ენა და ლიტერატურა და მრავალი სხვა. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება უნდა ყოფილიყო პრაქტიკული კუთხით, მსგავს სკოლებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დათმობოდა ისეთ რამეებს, როგორიცაა გიმნასტიკა, თამაში, ცეკვა, ბოსტანში, ბაღში და საყვავილეში პრაქტიკული მუშაობა, ვარჯიში და სხვ.

თამაში ბავშვის ბუნებრივ მოთხოვნილებას შეადგენს, რადგანაც ბავშვი აქტიური და მოქმედია ისინი ყველგან თამაშ-თამაშით ხალისით მუშაობენ, რადგან ადამიანის თვისება ამ ასაკში მუშაობაში, სინჯვაში, შეგნებაში და სხვადასხვა განცდაში გამოიხატება. მას არ შეუძლია უსაქმოდ და პასიურად იჯდეს და უსმინოს მასწავლებელს, ის სულ მუდმივ მოძრაობაშია. მაგრამ იმ პერიოდის სკოლა ამას ანგარიშს არ უწევდა. მოხვდა ბავშვი სკოლაში და დაუყონებვილ გაქრა ყველაფერი ის რაც მას ასე ძალზედ იზიდავდა. „არ შეიძლება არც მიწის თხრა, არც ხუხულების აშენება მასალის დამზადება, გაქრა ნაყოფიერი შემოქმედება, მოწყდა ბავშვი მის

გარშემო არსებულ ქვეყანას მის წინ გადაშლილი ათასნაირი ამოცანებით... ქვიშის გროვის, კუბიკებიანი ყუთის, მაკრატელის, ჩაქუჩის, წკეპლის ნაცვლად ბავშვს წინ აქვს დაფა, გრიფელი, ანბანი, სახაზავი. მხიარული ჭიკჭიკისა და ოცნების ნაცვლად ჩუმად უნდა იჯდეს კლასში და ყური უგდოს მასწავლებელს... აღმოჩენის, გამოკვლევის, ცდისა და შემოქმედების ნაცვლად მიბაძვაა“. [91, გვ. 401]. ის მომავალი ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის მომხრეა. მას სამართლინად სწამს, რომ „გარეშე შრომისა არ არსებობს ადამიანის ბედნიერება“. [86, გვ. 352]. ამიტომ, მისი აზრით: „შრომა ადამიანის განვითარებისათვის არა თუ აუცილებელი პირობაა, იგი მისივე ღირსებაა. ვისაც შრომა არ უყვარს, იგი ვერასოდეს წინ ვერ წავა, ვერც ერთ ადგილზე შეჩერდება, უკან უკან დაიწევს“. [86, გვ. 352]. შრომითი აღზრდა ადამიანის განვითარების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს, შრომის გარეშე ცოდნა არ არსებობს, უშრომელი და უცოდინარი ადამიანი ცხოვრებაში ყოველთვის ჩამორჩენილია, რადგანაც მისი პირველი მტერი სიზარმაცეა, რომელიც ყველაზე მეტად უშლის ხელს შრომით აღზრდას. შრომა ქმნის ადამიანს, უვითარებს ყველა იმ თვისებას, რომელიც უნდა ჰქონდეს საზოგადოებისთვის გამოსადეგ პიროვნებას, რადგანაც აქტივობა და შრომა ბავშვის ბუნების თვისებაა. ბავშვის ბუნების გამომჟღავნება-შრომასა და თამაშში ხდება. ამიტომ, შრომა და თამაში ლ.ბოცვაძის აზრით აუცილებელი საშუალებაა ბავშვის ბუნების შესწავლის და ახლებურად მისი აღზრდისათვის.

ლ.ბოცვაძე ხელოსნური აღზრდის ნაცვლადმოითხოვდა, ხელგარჯილობის შემოღებას სკოლებში იმდენად, რამდენადაც ის ხელს შეუწყობდა ბავშვთა ფიზიკური და სულიერი ძალების, ინტელექტუალური უნარის და ნებისყოფის განვითარებას, პიროვნების ყოველმხრივ აღზრდას, მისი საზოგადოებრივი შეგნების გაფართოვებას. ის არსებული სასკოლო მუშაობის სისტემაში ძარითად ცვლილებათა გატარებას მოითხოვდა არა „საპროფესიო განათლების დარგის შეტანით სკოლაში“, არამედ მაშინდელი-ე.წ. „ ... წიგნური სკოლის შრომის სკოლად გარდაქმნით და პედაგოგიურის მიზნით ხელგარჯილობის სწავლების შემოღებით“. [93, გვ. 99]. სკოლის განახლების მთავარ საშუალებად ლ.ბოცვაძეს მიაჩნია „ ... შესაფერად მომზადებული“ პედაგოგიური კადრების აღზრდა და ბრძოლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის“. [93,გვ. 99].

შრომითი აღზრდის საკითხებს განსხვავებულად უდგება ნ.მიწისშვილი თავის წერილში „ცოტა რამ შრომის სკოლის ისტორიიდან“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“ 1914 წლის მერვე ნომერში. მისი აზრით შრომითი აღზრდა უფრო მეტად უნდა იქნეს დაახლოებული ცხოვრებასთან, რადგანაც მისი ვალი მოსწავლისათვის პრაქტიკური ცოდნის შეძენაა, მისი აზრით ბავშვი მხოლოდ მაყურებელი არ უნდა იყოს ამ პროცესებისა, არამედ ის თავად უნდა იყოს მოქმედების ცენტრში, რათა თავის თავზე გამოსცადოს შრომითი აღზრდის დადებითი და გამოსაყენებელი მხარეები. ის უნდა სწავლობდეს ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის გზით.

ა.ჭიჭინაძე და დ.უზნაძე წინა პლანზე აყენებებ შრომის შეტანას სასწავლო კურსში და საუბრობენ მისსარგებლიანობაზე ბავშვის აღზრდის პროცესში. ა.ჭიჭინაძე დაწვრილებით განიხილავს თუ რაში შეიძლება გამოიხატოს მოსწავლეთა შრომა და საქმიანობა სხვადასხვა სასწავლო დისციპლინათა სწავლებაში და იძლევა ბევრ საღ და სასარგებლო მითითებას.

როგორც აღინიშნა, შრომა აღიარებული იყო აღზრდის საუკეთესო საშუალებად და სწავლების ეფექტურ მეთოდად. მაგრამ საკითხი იმის შესახებ თუ რა სახე უნდა მიეღო შრომითი აღზრდის სისტემასსკოლებში, სათანადოდ განხილული და გაშუქებული არ ყოფილა. ქართველი პედაგოგები შრომითი აღზრდის საკითხების გაშუქებაში

ემყარებიან კერშენშტეინერს, ლაის და სხვა მოაზროვნეებს, მაგრამ მათი იდეები და შეხედულებანი მექანიკურად არ გადმოაქვთ ჩვენში. ისინი შრომითი აღზრდისა და შრომის სკოლის თეორიებიდან იღებენ იმას, რაც ჩვენს სინამდვილეში ნამდვილად რაციონალურია და ანგარიშგასაწევი.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში გავრცელდა აგრეთვე ე.წ. „თავისუფალი აღზრდის“ თეორია, რომლის მიმდევრებმა 1907 წელს დაარსეს თავიანთი ჟურნალი „სვობოდნოე ვოსპიტანიე“, გახსნეს მოსკოვში „თავისუფალი აღზრდის სახლი“. ტარდებოდა ყრილობები „თავისუფალი აღზრდის“ საკითხებზე, იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა წიგნები ამავე თემებზე და ა.შ. „თავისუფალი აღზრდის“ თეორია ჟან-ჟაკ რუსოდან მომდინარეობს. საქართველოში კი ამ თეორიის პროპაგანდისტად ჟურნალი „განათლება“ და მისი რედაქტორ-გამომცემელი ლ.ბოცვაძე გამოდიოდა. ის ამ თეორიის პრაქტიკულ განხორციელებას მიიჩნევდა ძალზედ მნიშვნელოვან მოვლენად და სწუხდა იმის გამო, რომ ქართველები არ ეხმაურებოდნენ ამ საკითხს. ლ.ბოცვაძეს „თავისუფალი აღზრდის თეორიის“ საკითხები უფრო ვრცლად აქვს განხილული სტატიაში „თავისუფალი აღზრდა ბავშვისა“, სადაც ის აღნიშნავდა, რომ სკოლაში გამეფებული სწავლა-აღზრდის სისტემა არ იზიარებდა და ანგარიშს არ უწევდა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებას, მის ინტერესს, მისწრაფებებს და შესაძლებლობებს, ამიტომ ასეთ სიტუაციაში მოსწავლეები ნებაყოფილობით ან სიამოვნებით არ სწავლობენ, არამედ შიშის ქვეშ ან კარიერისა და პატივის მოპოვებისთვის. სწავლის მოტივი იყო ძალზე ცუდი, ის არ გულისხმობდა ცოდნის შეძენის სურვილს, არამედ მისი მიზანი სხვა იყო, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებდა ბავშვზე, მის პიროვნულ ღირებულებებს აფასებდა სხვაგვარად, ხდებოდა პიროვნულ ღირებულებათა გადაფასება.

აღზრდის ძველი სისტემის ძირითადი პრინციპი, ლ.ბოცვაძის აზრით არის მოწაფის მორჩილება ავტორიტეტისადმი, რაც დაგმობილია სავსებით ყველა ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ პედაგოგთა მიერ, რადგანაც ავტორიტეტისადმი მორჩილება უკვე თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი ნებასურვილის უგულებელყოფას, სწორედ ამიტომ ლ.ბოცვაძემ მას დაუპირისპირა ბავშვის ყოველმხრივი თავისუფალი და ინდივიდუალური განვითარება, ამ პრინციპის არსი, მისი აზრით, ბავშვის ბუნების, მისი ზოგადკაცობრიული და ინდივიდუალური თავისებურების პატივისცემაში მდგომარეობს.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორეტიკოსები რუსეთში უარყოფდნენ სასწავლო გეგმას, პროგრამას, სწავლების სასკოლო-საგაკვეთილო სისტემას. „თავისუფალი ბავშვის სახლი,-წერდა ვენტცელი,-არ უნდა იქნეს არავითარი წანასწარ შედგენილი პროგრამა, არავითარი გეგმა მეცადინეობისა, არავითარი წინასწარ დანაწილება კლასებად და არავითარი მასწავლებელთა პერსონალი. ნამდვილი ჭეშმარიტი სკოლა უნდა იყოს უპროგრამოდ და უმასწავლებლოდ“. [92, გვ. 264]. ლ.ბოცვაძე, როგორც ჩანს, ამ დებულებას არ იზიარებს. მის წერილში საკლასო-საგაკვეთილო სისტემის შესახებ არაფერია ნათქვამი, ხოლო მასწავლებელს უაღრესად დიდი როლი აქვს მიკუთვნებული. სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საკითხში ლ.ბოცვაძეს თავისუფალი პოზიცია აქვს. მისი აზრით, მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ ის, რაც მას აინტერესებს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ყველაზე უფრო საჭირო ცხოვრებაში, როგორია ბავშვის ფსიქოლოგია ასაკის მიხედვით და მისი ინდივიდუალური თავისებურება. გამომდინარე აქედან, მასწავლებელმა თვითონ უნდა განსაზღვროს, თუ რა აინტერესებს ბავშვებს, როგორია მათი სულისკვეთება. ამრიგად, ლ.ბოცვაძე, სწავლების შინაარსის

განსაზღვრას მასწავლებელს ანდობს. მისი აზრით, „მასწავლებელი, რომელიც თავის მოწოდების სიმაღლეზე დგას, ყოველთვის შეძლებს სწავლება გახადოს საინტერესო და სახალისო ბავშვებისათვის და ამ გზით შეაიარაღოს მოსწავლეები ისეთი ცოდნით, რომელიც ცხოვრებაშია საჭირო“.[106, გვ. 190].

„თავისუფალი აღზრდის“ ზოგიერთი ძირითადი დებულების დაცვასა და დასაბუთებას მიეძღვნა „ივერიასა“ და „ნობათის“ პედაგოგიურ დამატებაში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია. ყოველივე ეს იმას მიუთითებს რომ საქართველოში ამ თეორიას ჰყავდა მომხრეები და მიმდევრები,თუმცა ამ თეორიას როგორც მთლიან სისტემას, არავინ იცავდა. „თავისუფალი აღზრდის“ პრაქტიკულად გატარების მიმართულებით საქართველოში ბევრი არ გაკეთებულა.

სამშობლოს სიყვარული და ერთგულება ქართველებს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, შესაბამისად პატრიოტულ აღზრდას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მაშინდელი მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება. იაკობ გოგებაშვილი სასტიკად გმობდა პატრიოტული აღზრდის ისეთ გაგებას, რომ თითქოს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ბავშვის თანშობილ მემკვიდრეობით თვისებას წარმოადგენდა. მას კარგად ესმოდა, რომ მეფის მთავრობისათვის „პატრიოტობა“ პატარა ერებისა და მათ ღირსეულ შვილთა ჩაგვრასთან ასოცირდებოდა, იაკობ გოგებაშვილი კი ისეთი პატრიოტის აღზრდას მოითხოვდა, რომელიც დაიცავდა ხალხის ინტერესებს, მთელი მისი მოქმედებით შეეცდებოდა „ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორის გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული“. [34, გვ. 113].

იაკობ გოგებაშვილი გმობდა ყოველგვალ თვითმპყრობელურ ურთიერთობას. მას არ სწამდა ერთი ერის მეორეზე ბატონობა. თავის ცნობილ საბავშვო მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“, ლეკების მიერ მოტაცებულ პატარა ქეთოს პირით, ის მოითხოვდა ისეთპატრიოტულ აღზრდას, რომელიც არ დაიშურებდა დაჩაგრულთათვის ნუგეშს, დახმარებას და რომელსაც ეყვარებოდა ყველა ერი და ეროვნება. იაკობი ამავე მოთხრობაში, ლეკების მიერ მოტაცებულ ქართველ ბავშვს-პატარა ქეთოს დედობილ-მამობილის მიმართ ასე ათქმევინა: „შენ და მამაჩემი მიყვარხართ, როგორც ღვიძლი მშობელი, იმათ კი პატივსავცემ, როგორც ჩემს მოამაგეთ და ჩემს აღმზრდელთ“. [36, გვ. 24]. პატრიოტულ აღზრდას, იაკობ გოგებაშვილის აზრით, საფუძვლად უნდა ედოს „უწმინდესი გრძნობა-მამულის სიყვარულის უნაზესი მიზანი-დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა“. [34, გვ. 113].

ი.ყიფშიძე პატრიოტულ აღზრდაში განსაკუთრებულ როლს აკუთვნებდა მშობლიური ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას და მისი ინტერესების დაცვას. იგი წერს: „თუ გარეშე პირს ეპატიება ჩვენი არცოდნა, ჩვენ ქართველებსა და მეგრელებს, ღვიძლ ძმებს სისხლით, ენით, კულტურით-ერთმანეთის არ ცოდნა არ ეპატიება... ქართველი, მეგრელი, ჭანური, სვანური ერთი მამათავარი ენისაგან წარმოიშვნენ და ერთმანეთისაგან, ამათგან მხოლოდ ქართულს არგუნა ისტორიამ ის ბედი, რომ გადაიქცა ყველა ბავშვისათვის საერთო სალიტერატურო ენად. ვერც მეგრელი და ვერც სვანი მოსწყდება იმ ტკბილ ძუძუს, რომელიც მას ეკლესიასა და სკოლაში ასაზრდოებს“. [40]. ი. ყიფშიძის აზრით, ქართულ ენას და ეროვნულ სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის მთლიანობისათვის, ასევე საქართველოში მცხოვრებ სხვა ტომთა ურთიერთ კავშირის განმტკიცებისათვის. იგი საჭიროდ თვლიდა გამაჰმადიანებულ ქართველ ტომებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, რელიგიური ბარიერის გადალახვას და „დედა-სამშობლოსთან“ მათი კავშირის განახლება-განმტკიცებას. მისი შეხედულებით:

„სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი ერთგვარობა სრულებით არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას მოძმე ტომთა შორის ეროვნული თვითშემეცნებისა და სულიერი კავშირის დამყარე-ბისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჭანებს გადაგვარება ელის და თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ჭანები - ეს ერთი უძველესი ტომთაგანი, ლითონის დამუშავების გამომგონნი და კაცობრიობისათვის მისი გადამცემნი, თავის თავის ცნობას მთლიანად დაკარგევენ და ვეღარც სხვა ვინმე უშველის მათ“. [40, გვ. 62].

უდავოა ის ფაქტი რამდენად მაღალ საფეხურზე იდგა ქართული ინტელიგენ-ციისათვის მშობლიური (ქართული) ენის მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდის პროცესში. მშობლიურ ენაზე სწავლების პრობლემა და საერთოდ ქართული ენის ინტერესის დაცვა ერთ-ერთი უმთავრესი საბრძოლო ასპარეზი იყო ქართველი განმანათლებლებისათვის და სახალხო მასწავლებელთათვის. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების დაუღალავი ბრძოლა ამ სფეროში პრაქტიკულად და თეორიულად მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან დაწყებული მეოცე საუკუნის ათიანი წლების ბოლომდე გრძელდებოდა. იაკობ გოგებაშვილი მეოცე საუკუნის დასაწყისში წერდა: „ქართულ ენას ან ადგილი არ ჰქონდა სრულიად, ან თითო-ოროლა გაკვეთილით ანელებდნენ გამწვავებულს ხალხის სიბრაზეს... თვით რუსული ენა ისწავლებოდა მუნჯური მეთოდით, დედა ენის დაუხმარებლივ. ერთი სიტყვით, ყოველი სახალხო სკოლა ჩვენში წარმოადგენდა უკანასკნელ ჟამს რუსიფიკაციისა და გადაგვარების ქარხანას“. [34, გვ.113]. ამგვარი პოლიტიკით ხდებოდა მოსწავლეთა ცოდნის დონისა და სწავლის ინტერესის დაცემა, ილახებოდა სკოლის ავტორიტეტი. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველმა განმანათლებლებმა დიდმნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვეს მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხებზე. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი სამოციანელების: ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, სერგი მესხის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა დაუღალავი შრომა მშობლიური ენის დაცვის და დედა ენაზე სწავლების შესახებ.

ქართულ ენას მრავალი დამცველი ჰყავდა, მათ რიგებში იდგა ალექსი მირიანაშვი-ლიც. გაზეთ „ცნობის ფურცელი“-ს 1901 წლის N16/58-ში წერდა: „თუ ორმოცი წლის წინათ ქართულ ენას მზრუნველობა ჰკლებია, ჩვენი აზრით, დღეს ის განსაცდელშია. არავისთვის დაფარული არ არის, რომ თანდათანობით ფრთები ეკვეცება ქართული ენის არსებობას, ხმარებას და მაშასადამე, განვითარებას და გავრცელებას“. [69]. მისი აზრით, როდესაც სკოლებში მოსწავლეთა მშობლიური ენა უგულებელყოფილია, ეს ხარვეზი რამდენადმე ოჯახმა უნდა შეავსოს მშობლებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ შვილებს მშობლიური ენა არ დაუკარგონ. „ვგრძნობთ, რომ ჩვენ შვილებს ამა თუ იმ გარემოებათა გამო სასწავლებლებში აკლდებათ სამშობლო ენის შესწავლა, მაშინ ჩვენივე მოვალეობაა ეს ნაკლი ოჯახში შეუვსოთ და ავაცილოთ თავიდან ჩვენს შვილებს. ოჯახში ყოველთვის იგივე სკოლა ყოფილა ადამიანისათვის, რასაც სკოლა ვერ შეძლებს ბავშვის ყოველმხრივ აღზრდაში. იგი ოჯახმა უნდა ითავოს, თუ ეს ოჯახი თვით ჯეროვან ხარისხზე დგას განვითარების მხრივ და ნათლად აქვს წარმოდგენილი თავისი შვილის აღზრდის გეგმა და იდეალი“. [69].

მშობლიური ენის მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდის პროცესში კ.უშინსკიმ დაასაბუთა ისე, როგორც არავინ მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიაში. ბავშვის ყოველმხრივ შესწავლა, როგორც პადაგოგიკის საგანი,მისი ფსიქიკის შესწავლით უნდა დაიწყოს, ხოლო ამ ფსიქიკის გასაღები კი ბავშვის დედაენაა. კ.უშინსკი არის დაწყებითი სკოლისათვის დიდი ცოდნით და იშვიათი პედაგოგიური ოსტატობით შედგენილი სახელმძღვანელოს ავტორი, ხოლო მისი „როდნოე სლოვო“-ს თავისი მეთოდით,

მასალით და ბავშვის ინტერესების ცოდნით ბადალი არ მოეპოვებოდა მთელს ევროპაში.

პედაგოგიური პრობლემების გაშუქებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საოჯახო აღზრდას, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობას. საოჯახო აღზრდის საკითხები ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში შუქდებოდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სასკოლო ასაკის მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლის გარეთ იყო დარჩენილი და ბუნებრივია სკოლა მათზე ვერ ახდენდა სააღმზრდელო ზეგავლენას. ეს საქმე თავიდან ბოლომდე ოჯახს უნდა ეკისრა. ქართველი განმანათლებლები ეხმარებოდნენ მშობლებს პედაგოგიური შინაარსის მქონე სტატიებით, რჩევა-დარიგებით, ალექსანდრე მიქაბერიძე 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „დროა, ჩვენი ოჯახი გამოფხიზლდეს“. მასში საოჯახო აღზრდის ბევრი საკითხია გაშუქებული. ავტორის აზრით: „სკოლა და ოჯახი ორ დიდ და მძლავრ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საქმეში. სკოლასა და ოჯახს შორის წმინდა ზნეობრივი კავშირი უნდა არსებობდეს, რომ ახალი თაობის გონებრივმა განვითარებამ საფუძვლიანი ნიადაგი მოიპოვოს. სკოლა უძლურია თავის დიდს დანიშნულებას მიაღწიოს, თუ ოჯახი მას ხელს არ უწყობს, ოჯახის გავლენას მოკლებულია, რამდენადაც ოჯახური წესწყობილება გონივრულადაა მოწყობილი, რამდენად ოჯახის ორგანიზაცია საფუძვლიან და გონივრულს ნიადაგზეა დამყარებული, იმდენად სკოლა ნაყოფიერია, იმდენად სკოლა მკვიდრნიადაგიანია“. [70].

კარგად მოწყობილი, მოსიყვარულე ოჯახი სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის იგივე სკოლაა, სადაც ბავშვი ვითარდება ფიზიკურად და გონებრივად და ემზადება სკოლისათვის. მეოცე საუკუნის ათიან წლებში გამოდიოდა სპეციალური ჟურნალი „სკოლა და ოჯახი“ რომელიც ვრცლად აშუქებდა საოჯახო აღზრდის ყველა ძირითად საკითხს, ნაყოფიერ დახმარებას უწევდა მშობლებს ბავშვისა და მოზარდის აღზრდაში. ჟურნალის ავტორები მშობლებს მოუწოდებდნენ „სკოლისაგან მოწყვეტით და სტიქიურად“ კი არ წაემართათ ბავშვთა ზნეობრივი-აღზრდა ოჯახში, არამედ „მაღალ მორალურ იდეებზე დაყრდნობით“ და „სკოლასთან თანამშრომლობაში“.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კადრების მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. საშუალო განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ გიმნაზიების, სამასწავლებლო და სასულიერო სემინარიების, სამასწავლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულები, აგრეთვე უნივერსიტეტების და სასულიერო აკადემიების სხვადასხვა კურსიდან გამოსულნი, ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები იყვნენ საქალაქო და სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, აგრეთვე დაწყებითი განათლების მქონე პირები, რომლებსაც მასწავლებლობის უფლება მოპოვებული ჰქონდათ სპეციალური გამოცდების ჩაბარების საფუძველზე. 1890 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დაწყებითი საერო სკოლების მასწავლებელთა რაოდენობისა და ცენზის მხრივ ასეთი მონაცემებია: თბილისის გუბერნიაში სულ 250 მასწავლებელია, რომელთაგან 111 აქვს საშუალო განათლება, 139-ს კი არასრული საშუალო განათლება. ქუთაისის გუბერნიაში 176 მასწავლებლიდან მხოლოდ 56-ს აქვს არასრული საშუალო განათლება, საშუალო განათლება კი-120 მასწავლებელს. 1900 წელს კი თბილისის გუბერნიის 366 მასწავლებლიდან საშუალო განათლება აქვს 159 მასწავლებელს, არასრული საშუალო განათლება-207-ს, ქუთაისის გუბერნიაში კი-282 მასწავლებლიდან მხოლოდ 27 მასწავლებელია არასრული საშუალო განათლებით. გაცილებით მძიმე სიტუაცია იყო საქართველოს სხვა რეგიონებში. მთელ

საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე დაწყებით საერო სკოლებში არც ერთი უმაღლეს დამთავრებული მასწავლებელი არ მუშაობდა. გიმნაზიებშიც ტარდებოდა გამოცდები, რომლის საფუძველზე მასწავლებლის წოდება ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც სათანადო გამოცდებს ჩააბარებდნენ. გამოცდები ტარდებოდა მხოლოდ იმ ქალაქში, სადაც სასწავლო ოლქი იმყოფებოდა. გამოცდას იბარებდა სასწავლო ოლქთან არსებული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საოლქო ინსპექტორი (თავმჯდომარე) და გიმნაზიის მასწავლებლები. საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მინიჭებისათვის საჭირო იყო საცდელი გაკვეთილების ჩატარება სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლებში, სასოფლო სკოლების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად კი-სოფლის საერო ან სამრევლო სკოლებში.

გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო ცნობა იმის შესახებ, თუ უმაღლესი სასწავლებლის რომელი კურსიდან გამოვიდა მასწავლებლის წოდების მიღების მსურველი. საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად დაწესებული იყო სრული და ნაწილობრივი გამოცდები. სრული გამოცდები უტარდებოდათ იმ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია და უნივერსიტეტის რამდენიმე კურსი, აგრეთვე იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდათ უნივერსიტეტი, მაგრამ არა ის ფაკულტეტი, რომელთანაც დაკავშირებულია მასწავ-ლებლობის მსურველის მომავალი სასწავლო საგანი; ნაწილობრივ გამოცდას აბარებდნენ ის პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის სრული კურსი ჰქონდათ დამთავრებული. სპეციალური გამოცდებისაგან გათავისუფლებული იყვნენ ისტორია-ფილოლოგიის საიმპერატორო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტთან არსებული სამასწავლებლო სემინარია დამთავრებულები. სპეციალური და ნაწილობრივი გამოცდები გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად ტარდებოდა უნივერსიტეტებში პროფესორთა მონაწილეობით. დაწყებითი სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად კი იმ ქალაქებში, სადაც იმყოფებოდა სასწავლო ოლქი. საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი განცხადებით მიმართავდნენ უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი-სასწავლო ოლქის მზრუნველს. გამოცდები ტარდებოდა წერაში და ზეპირში. მსურველს უნდა მიეცა ორი საცდელი გაკვეთილი. თუ გამოსაცდელი პირი წერით სამუშაოში მიიღებდა დამაკმაყოფილებელ შეფასებას, მაშინ დაუშვებდნენ ზეპირ გამოცდაზე, ხოლო შემდეგ ატარებდა საცდელ გაკვეთილებს. წერითი და ზეპირი გამოცდების ჩაბარების შემდეგ მსურველს ნება ეძლეოდა 10-15 დღის განმავლობაში დასწრებოდა სკოლაში იმ საგნის მეცადინეობას, რომელშიც თვითონ უნდა ჩაეტარებინა ორი საცდელი გაკვეთილი. ერთი გაკვეთილი ტარდებოდა დაბალ კლასებში, მეორე-მაღალ კლასებში. მასწავლებლის წოდების მისაღებად მსურველს მთავარ საგნებში უნდა მიეღო ნიშანი „4“ მაინც, ხოლო დამხმარე საგნებში „3“ მაინც. გამოცდები ტარდებოდა მსურველის განცხადების საფუძველზე პირველი სექტემბრიდან პირველ მაისამდე. თითოეული მსურველის განცხადება არ უნდა გაგრძელებულიყო ექვს კვირაზე მეტ ხანს. გიმნაზიის მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად გამოცდები ტარდებოდა მათემატიკაში, ფიზიკაში, ფიზიკურ გეოგრაფიასა და ასტრონომიაში. იმ პირებს, რომლებიც ვერ ჩააბარებდნენ (არეყოფოდათ ქულები) ან ჩაიჭრებოდნენ, მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ეძლეოდათ განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება. [57, გვ. 1-19].

სამაზრო, საქალაქო, სამრევლო საშინაო და კერძო სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად გამოცდები ტარდებოდა იმ ქალაქებში, სადაც სასწავლო ოლქი, გიმნაზია და სამაზრო სასწავლებლები იმყოფებოდა. დაწესებული იყო გამოცდაზე დასაშვებად ასაკი-ქალებისათვის არანაკლებ თექვსმეტი წლისა, ვაჟებისათვის-არანაკლებ ჩვიდმეტი წლისა. გამოცდები ბარდებოდა ყველა იმ საგანში, რომელიც ამ სასწავლებლებში ისწავლებოდა. წერითი გამოცდები მარტო რუსულ ენაში ტარდებოდა. გამოსაცდელს უნდა დაეწერა მიცემული თემა და ეპასუხა კითხვებზე გრამატიკაში. როგორც წერითი, ისე ზეპირი გამოცდები ტარდებოდა გიმნაზიის პროგრამით. საგნის პროგრამა ითვალისწინებდა, რომ წოდების მაძიებელი გაცნობილია საგნის მთელ კურსს ერთ-ერთი სახელმძღვანელოს მიხედვით. ამასთან ერთად გამოსაცდელს უნდა სცოდნოდა სწავლების ხერხები, რაც გათვალისწინებული იყო მეთოდიკის ერთ-ერთ არსებულ სახელმძღვანელოში. საცდელი გაკვეთილის თემა ეძლეოდათ ერთი დღით ადრე. [41, გვ.28].

არსებული წესების დაცვით ყოველთვის არ ხერხდებოდა სკოლებში მასწავლებელთა კონტიგენტის დანიშვნა. ხშირად მასწავლებლებად ინიშნებოდნენ ზნეობრივად არასანდო ხალხი, რასაც ქართველი ინტელიგენცია მკაცრად აკრიტიკებდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში „მასწავლებლებად დანიშნული იყო ისეთი ხალხი, რომ მთავრობა ხშირად იძულებული იყო დაემწყვდია ესენი ცალკე ოთახში და ყარაულები დაეყენებინათ, რომ სასმელები არავის მიეტანა-რა იმათთვის. ასეთები იყვნენ ჩვენი პირველი რუსეთიდან ჩამოსული მასწავლებლები“. [187].

რუსეთის მთავრობა სახალხო განათლების წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ განაგრძობდა. სკოლაში გამეფებული იყო არაადამიანური მოპყრობის მეთოდები, იყო დასჯა, თვალყურის დევნა, აბუჩად აგდება, როზგი, თმის გლეჯა და სხვა მსგავსი დამამცირებელი მეთოდები. სკოლა მათთვის არ იყო ცოდნის შეძენის ტაძარი, მათი მთავარი დანიშნულება სულ სხვა იყო, რუსეთის მთავრობა სკოლებს ხსნიდა არა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თავისი კოლონიური პოლიტიკის განსამტკიცებლად და ადგილობრივი მოსახლეობისაგან მეფის ერთგული მოხელეების აღსაზრდელად. ძველი სასწავლებლები ნერგავდა ხალხში მეფისა და ეკლესიისადმი მორჩილების სულს, მის მიზანს წარმოადგენდა მეფისა და ეკლესიის ყურმოჭრილ მსახურთა მომზადება. ასეთივე მისიას ასრულებდა მთავრობის გიმნაზიებიც, კერძოდ, ქუთაისის გიმნაზია, სადაც აკაკი სწავლობდა და სწორედ ის გახდა სკოლაში გამეფებული დამამცირებელი მეთოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი. ის თავის „თავგადასავალში“ აგვიღწერს ქუთაისის გიმნაზიას მისი იეზუიტური რეჟიმით, სწავლების შუასაუკუნეობრივი დოგმატებით და რუტინით, ყველგან როზგი მეფობდა. როზგს ხმარობდა პოლიცია და ჟანდარმერია მშრომელი ხალხისთვის, როზგს ხმარობდა ასევე მეფის ოფიციალური სკოლა-მოსწავლებისათვის. აკაკი წერეთელი ამბობდა: „იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო, გიმნაზიებშიც როზგს რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა“; ქუთაისის გიმნაზიაში „დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული“. გიმნაზიის რეჟიმს ხშირად თვითმკვლელობამდის მიჰყავდა ბავშვები. აკაკი გადმოგვცემს, რომ მოწაფე კრიჟანოვსკი ერთ დღეს ოთხჯერ გაროზგეს და, ბოლოს როდესაც მეხუთედ დაუპირეს გაროზგვა, გიმნაზიიდან გაიქცა და რიონში გადავარდა თავის დასახრჩობად. მოწაფე ჭაჭიაშვილს „ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური,

გაუსივდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუწყო შეხორცება, მაგრამ ვინ აცალა შეხორცება. სტაცებდნენ ხელს და ხელახლა აგლეჯდნენ“. ბავშვი იძულებული გახადეს გასულიყო სასწავლებლიდან.

როზგთან ერთად, რომელიც გიმნაზიაში „სტოროჟებს“ ყოველდღე ურმებით მიჰქონდათ, იყენებდნენ აგრეთვე „ლინეიკას“, რომლის დახმარებითაც ამახინჯებდნენ ასევე ბავშვებს. უწყლულებდნენ მათ ხელის გულს, ლოყებს. თავს, ბეჭებს. თვით ჩვენს მწერალსაც არ ასცდა „ლინეიკის“ სუსხი. ერთ დღეს მას შვიდჯერ დაჰკრეს ლინეიკა ხელის გულზე. „ეს დღე იყო და მას აქეთ ვეღარ გამოვბრუნდი, - წერს აკაკი, - არ იქნა ვეღარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლად ვწერ“. [48, გვ. 264].

ამ თემამ მრავალი გამოხმაურება ჰპოვა მრავალ ჟურნალ-გაზეთში. მათ შორის აღსანიშნავია ჟურნალ „განათლების“ 1909 წლის პირველი ნომერი, სადაც დაიბეჭდა სტატია „ძველი უკუღმართობის გამეფება სკოლებში (წერილი დასავლეთ საქართველო-დან)“ სადაც საუბარია ძველ გამოუსადეგარ მეთოდებზე, რომელთაც იმ პერიოდის სკოლები იყენებდნენ. სტატიის ავტორი წერს: „ვის არ ახსოვს ის ყოვლად უწმაწური მუნჯური მეთოდი, რომლითაც ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებლები ტვინს ულაყებდნენ და ნორჩ გონებას უჩლუნგებდნენ მოზარდ ახალგაზრდობას, ვის არ ახსოვს ყველასაგან ცნობილი ამ მეთოდის სულის ჩამდგმელი ლევიცკი თავისი დაგერშილი აგენტებით. ჟრუანტელი გივლის ტანში, როცა გაგახსენდება ის აუტანელი ტანჯვა-წვალება, რომელსაც განიცდიდნენ საბრალო მასწავლებლები და მოწაფეები“. [26, გვ. 125-126].

სკოლების მიმართულება არ პასუხობდა საღ პედაგოგიურ მოთხოვნებს. სწავლა-აღზრდის პროცესი ანგარიშს არ უწევდა არც ეროვნულ და არც ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, სწორედ ამიტომ სკოლა არ იყო მოსწავლეთათვის სასურველი ადგილი, რაც კიდევ აფერხებდა სასწავლო პროცესს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან რუსეთსა და საქართველოში დაიწყო საკვირაო სკოლების დაარსება. მსგავსი სკოლების მიზანი იყო მოზრდილი მოსახლეობისა და სკოლისგარეშე დარჩენილი ახალგაზრდობისათვის ელემენტარული განათლების მიცემა, პირველ რიგში კი წერა-კითხვისა და ანგარიშის ცოდნის გავრცელება. თუმცა თავდაპირველ წლებში მთავრობას სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა საკვირაო სკოლებთან დაკავშირებით, რასაც ისინი ახორციელებდნენ თავისი მოხელეების დახმარებით. მათ სურდათ მსგავსი სკოლების დახმარებით მოსახლეობის დაბალ ფენებში „ტახტისა და სამშობლოს“ ერთგულების იდეები შეეტანა, რაც თავისთავად მთავრობის ავტორიტატული რეჟიმის გავრცელებას გულისხმობდა. აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და არითმეტიკას, ზოგიერთ მათგანში კი ასევე ისწავლებოდა ისტორია, გეოგრაფია და სხვა საგნები. საკვირაო სკოლები, როგორც წესი, მუშაობდნენ დაწყებითი სკოლის პროგრამებითა და გეგმებით. ამ სკოლის მასწავლებლები, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების გარდა ატარებდნენ მსმენელებთან საუბრებს სამეცნიერო და ყოფაცხოვრების საკითხებზე. [55, გვ. 53].

აღსანიშნავია, რომ საკვირაო სკოლის მასწავლებლები არავითარ გასამრჯელოს არ იღებდნენ. ასევე პროფესიული მასწავლებლების გარდა, საკვირაო სკოლებში საუბრებს ატარებდნენ და ლექციებს კითხულობდნენ პუბლიცისტები, მწერლები, ექიმები, იურისტები, აგრონომები, სხვადასხვა დარგის საზოგადო მოღვაწეები და ხალხოსნები.

საკვირაო სკოლების შესახებ იაკობ გოგებაშვილი ჰყვება: „სწავლა მხოლოდ კვირაობით და უქმე დღეობით იმართება. საკვირაო სკოლები იხსნება იმ მოზრდილ ყრმათათვის, რომელთაც სამუდამო სკოლა არ ღირსებიათ და დიდებისათვის, რომელნიც სწავლის წადილს მოკლებულნი არ არიან. ამ სკლებში დაიარებიან როგორც მამრობითი სქესის პირნი, ისე მდედრობითისა. მოსწავლენი იკრიბებიან და სწავლა იმართება სამუდამო სკოლების კლასებში, რომელთაც ამ სკოლას მთავრობა დიდი სიამოვნებით უთმობს, რადგან კვირაობით საკლასო ოთახები ცარიელები არიან.“[32, გვ. 272].

საკვირაო სკოლებში ზოგჯერ მეცადინეობები საღამოობით იმართებოდა და სწორედ ამიტომ მას საღამოს სკოლასაც უწოდებდნენ. ამგვარი სკოლების ერთ-ერთი ენთუზიასტი გახლავთ ნიკო ცხვედაძე, რომლის ინიციატივითა და მონდომებით საქართველოში მრავალი სკოლა დაარსდა. მან 1880 წელს წელს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ახალი პროექტით მიმართა, რომელიც უკავშირდებდა საკვირაო სკოლებს და რომლის მიხედვითაც ის აცხადებდა, რომ კვირაში მხოლოდ ერთხელ შეხვედრა არ იყო საკმარისი და სთავაზობდა მეცადინეობები კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ მოეწყოთ,მაგრამ ეს წინადადება შეუსრულებელი დარჩა, რადგანაც ოფიციალურმა სკოლებმა ამისათვის შენობები არ დაუთმო და ამდენი დროის გამოყოფა ვერც სოფლის ახალგაზრდობამ შეძლო. საკვირაო სკოლები ყოველთვის თავიანთ დანიშნულებას წარმატებით ვერ ასრულებდნენ გაკვეთილებს შორის დიდი ინტერვალისა და მოსწავლეთა ხშირი გაცდენებისა და კონტინგენტის ცვალებადონის გამო. ამიტომ საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი მსგავსი სკოლებისადმი.

გ. იოსელიანი 1888 წელს წერდა: „წერა-კითხვის სწავლება, ანუ უკეთა ვსთქვათ პირველი დასაწყისი აღზრდა და სწავლება ყმაწვილებისა ისეთი ძნელი საქმე გახლავთ, რომ არა თუ დრო გამოშვებითის სწავლებით, არამედ შეუწყვეტელისა და მუდმივის სწავლებითაც-კი ორისა და სამი წლის განმავლობაშიც ვერ ამზადებენ ბავშვებს იმდენად, რომ მართლაც რაიმე ხეირი დაეტყოთ და სწავლა-აღზრდამ იმდენად ფეხი გაიდგას იმათს სულიერს არსებაში, რომ სასურველი ნაყოფი მოიტანონ“. [167, გვ. 1].

აღსანიშნავია, რომ ქართული პედაგოგიკის ისტორიაში რაჟდენ ჯაჯანაშვილი პირველი იყო ვინც გამოთქვა იდეა მოძრავი სკოლების დაარსების შესახებ, რადგანაც მას სჯეროდა ამ სკოლების მნიშვნელობის აუცილებლობა საზოგადოებისათვის. ის მის სტატიაში „მოძრავი სკოლები“, რომელიც მან 1881 წელს დაბეჭდა გაზეთ „დროების“ N256-ში აღნიშნავს, რომ კაცობრიობის წინსვლა დამოკიდებულია გონივრულ შრომასა და ტექნიკურ მიღწევებზე. მას მიაჩნია, რომ რაც უფრო მეტი განსხვავებული მოსაზრება გავრცელდება საზოგადოებაში, მით უფრო მეტი იდეის პრაქტიკული განხორციელება მოხდება, რაც დაეხმარება ხალხს წინსვლაში და სწორედ ამიტომ სთავაზობს საზოგადოებას „მოძრავი სკოლების“ გახსნის იდეას. [42, გვ. 53-59]

მოძრავი სკოლები იქმნებოდა ორ-სამ მცირე დასახლებულ სოფლებში. მასწავლებელი ჯერ ერთ სოფელში მუშაობდა 3-4 კვირის განმავლობაში, შემდეგ კი რიგრიგობით სხვა და სხვა სოფლებშიც ამდენივე ხანი რჩებოდა, შემდეგ ისევ ბრუნდებოდა პირველ სოფელში და ასე გრძელდებოდა. მაშინ როდესაც მასწავლებელი სოფელში არ იმყოფებოდა და სხვა სოფელში ასწავლიდა, დარჩენილი სოფლის სკოლის მოსწავლეები დამოუკიდებელ მუშაობას ასრულებდნენ და მათ მუშაობას თვალყურს ადევნებდა მასწავლებლის მიერ გამოყოფილი პირი მსოფლის მცხოვრებთაგან, უფრო მეტ შემთხვევაში ეს პიროვნებები გახლავთ ან სოფლის მამასახლისი ან მისი მოხელე.

აღსანიშნავია, რომ მოძრავი სკოლების დაარსების მიზნით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს. ასეთი სკოლები იხსნებოდა გუბერნიების სახალხო სკოლების დირექციების ხაზით.

როგორც ავღნიშნეთ, სკოლისგარეშე განათლებას საკმაო ყურადღებას აქცევდა როგორც საზოგადოება ისე მოწინავე ქართული ინტელიგენცია. ასეთი განათლების რამოდენიმე სახე არსებობდა ამ პერიოდის საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „კითხვის წრეები“ და ლიტერატურული შეკრებები, სადაც იკითხებოდა რეფერატები სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურულ თემებზე. წარმოებდა მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვა-გარჩევა და დისკუსიები. ასეთი სალიტერატურო წრეები ეწყობოდა სასულიერო სემინარიაში, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელში და ა.შ. ასეთი ლიტერატუ-რული კითხვის მიზანი იყო რომ მოწაფეებში განევითარებინათ ზნეობრივად კეთილშობილი მისწრაფებები. მსგავსი სკოლების დაარსების ფაქტებს ხშირად ეხმიანებოდა ქართული პრესაც. აღსანიშნავია სამ. ცომაიას სტატია, რომელიც 1908 წლის ჟურნალ „განათლების“ N5-6-ში დაიბეჭდა და რომელიც მიეძღვნა ბათუმში საღამოობით კურსების დაარსებას. ავტორი წერს: „არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ ის კულტურული მუშაობა, რასაც ეწევიან ბათუმში ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებლები და ადგილობრივი ინტელიგენცია ხალხთა განათლების საქმეში. ამათ ქართულ სკოლასთან დაუარსებიათ ადგილობრივის მუშა ხალხისათვის საღამოობით სწავლა-განათლების კურსები. სადაც 184 მოწაფე მუშა ქალი და კაცი სწავლობს. სწავლება კვირაში ოთხ დღეს სწარმოებს. ასწავლიან უსასყიდლოდ და საქმეც ჩინებურად აქვთ დაყენებული მაშინ, როდესაც ქუთაისს საღათას ძილით სძინავს...“. [81, გვ. 120-121].

ქართულ პედაგოგიური აზრის განვითრების შესახებ კვლევა სრულყოფილი არ იქნება თუ არ განვიხილეთ ექსპერიმენტული პედაგოგიკა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, როგორც გარკვეული პედაგოგიური მიმდინარეობა და ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით, სკოლაში ყოველგვარი აღმზრდელობითი მუშაობა უნდა შეეგუოს და შეუფარდდეს ბავშვს და მის ბუნება-თავისებურებას. ექსპერიმენ-ტული პედაგოგიკა იკვლევდა იმას თუ რამდენად ეფარდება აღზრდის შინაარსი, ფორმები და მეთოდები ბავშვის ბუნებას, მისი განვითარების კანონზომიერებას. გამოკვლევის ძირითად მეთოდს კი ექსპერიმენტი წარმოადგენდა, რომელიც თავის-თავში მოისაზრებდა უშუალო დაკვირვებას ბავშვის ცხოვრებაზე, მისი შესწავლა სკოლაში და სკოლისგარეთ ცხოვრებაში. ექსპერიმენტული პედაგოგიკის წარმომადგენ-ლები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ქმნიან ზუსტ და უტყუარ მონაცემებზე დაყრდნობილ პედაგოგიკას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ისინი ბავშვის „სულისთვის“ ბრძოლის საბაბით, მისი შესწავლის მთავარ მეთოდად ე.წ. „ანკეტებისა“ და „ტესტების“ მეთოდებს აღიარებდა. „მიუხედავად ამისა,- წერს ს. სიგუა- ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ მაინც შეასრულა ერთგვარი დადებითი როლი პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. ამ მიმდინარეობის მომხრეები პრაქტიკაში იყენებდნენ მეცნიერული კვლევის უდავოდ მისაღებ მეთოდებსაც (დაკვირვება, ბუნებრივი ექსპერიმენტი, პედაგოგიური პროცესის შესწავლა და სხვა) და ამ გზით შესაძლებელი გახდა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ბავშვის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და პედაგოგიური ექსპერიმენტი პრაქტიკაში დაინერგა.“ [106, 203].

საქართველოში ექსპერიმენტულ პედაგოგიკას მრავალი მეცნიერული შრომა მიუძღვნა პროფესორმა დიმიტრი უზნაძემ. მათ შორის აღსანიშნავია: „აღზრდის მიზნები“, „ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“, „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“, და „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“.

ამ შრომებით დიმიტრი უზნაძემ პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის სისტემატურ კურსს. მისი აზრით მხოლოდ ექსპერიმენტულ პედაგოგიკას შეეძლო, მოსპობა თუ არა, შენელება მაინც აღზრდის იმ ძირითადი ტრაგედიისა, რომელიც ძველ სკოლისათვის დამახასიათებელი იყო. ის „აღზრდის ძირითად ტრაგედიას“ იმაში ხედავდა, რომ აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფება ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. აღსაზრდელი დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობს, მას ის უნდა, ის აინტერესებს, იმას აკეთებს, რასაც დღევანდელი ცხოვრება მოითხოვს. ხვალინდელი დღე, მომავლის ამოცანები მას არ აინტერესებს, მისი ქცევის და მოქმედების განმსაზღვრელი არ არის.ხოლო აღმზრდელი კი, პირიქით, გამოდის მომავლის ინტერესებიდან, მისი მოქმედების მოტივი აღზრდის მიზნებში მდგომარეობს. აღზრდის მიზნები კი სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ემორჩილება“.[106, გვ. 204]. დიმიტრი უზნაძის აზრით აუცილებელია, რომ სწავლებაში ანგარიში გაეწიოს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. ის სავსებით ეწინააღმდეგება ძველი სკოლის იდეას და მასში გამეფებულ ძალდატანებას, რომელიც მისი აზრით კლავდა მოსწავლეებში ყოველგვარ ინტერესსა და აღფრთოვანებას.

დიმიტრი უზნაძემ იცოდა, რომ ეს ყოველივე ძალზედ რთული იქნებოდა, რადგან შეუძლებელი იყო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოტივების ანგარიშის არ გაწევა აღზრდაში და მხოლოდ მოსწავლის ინდივიდუალიზმზე ფიქრი. მან იცოდა, რომ აღზრდის პროცესის ეს შინაგანი წინააღმდეგობა გარდაუვალი იყო. სწორედ ამაში ხედავდა ის აღზრდის ტრაგედიას და ამბობდა რომ აღზრდაში არსებული ტრაგედია „მანამ იარსებებს, სანამ საზოგადოდ პიროვნება იმდენად არ გაითქვიფება საზოგადოებაში, რომ მისი პირადი ინტერესები სოციალურთ ჩაექსოვება და სოციალური მის პირად ინტერესებთან შესისხლხორცდება“. [118, გვ. 430].

აღსანიშნავია, რომ დ. უზნაძემ ექსპერიმენტული პედაგოგიკა მექანიკურად კი არ გადმონერგა ჩვენში, არამედ მან ის კრიტიკულად გადაამუშავა და შემოქმედებითად აითვისა. ბევრი მისი დებულება დღესაც ყურადსაღები და მისაღებია ჩვენთვის.

§4. ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი როლი ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაში

დიდია ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ღვაწლი ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაში. ჟურნალ „განათლების“ 1908 წლის ნომერში მასზე წერდნენ, რომ: „ერთადერთი დაწესებულება ჩვენში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა“, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენდა ჩვენში სკოლების გამართვისა და სწავლა აღზრდის შესახებ ზრუნვა, მთავრობის მხრით მუდამ შებორკილი იყო, მას არა თუ ნებას აძლევდნენ სკოლები გაეხსნათ, პირიქით ცდილობდნენ, რომ ორიოდე ერთ დროს გახსნილ სკოლებშიაც აღმოეფხვრათ პედაგოგიური მიმართულებაც და ჩამოესხათ ისინი საზოგადო დამახინჯებულ სკოლების ყალიბში. აუტანელ პოლიტიკურ პირობებში ძნელი იყო მედგარი ბრძოლა, რადგანაც შედეგი ამ ბრძოლისა უფრო იმათ სასარგებლოდ

შეიქნებოდა, ვისი ძალა აღმართსა ხნავს და, ამისგამო, საზოგადოების გამგეობაც ძლიერ მთავრობას ვერ უწევდა სასურველს წინააღმდეგობას და მოქმედების სუსტი ძალაც იძულებული იყო სხვანაირად მოეხმარა“. [80, გვ.140].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას წინ უძღვოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. წ.-კ. გ. საზოგადოების წევრები და მოწინავე ქართული ინტელიგენცია იბრძოდა საზოგადოების გონებრივი განვითარებისათვის, რათა მათ თავად შეეძლოთ კარგისა და ცუდის გარჩევა, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა თუ საზოგადოება არ იქნებოდა განათლებით სათანადო დონეზე, სწორედ ამიტომ იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ჩამოყალიბების იდეა ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიბადა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში, სადაც თავს იყრიდნენ იმ პერიოდის ქართული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები, მათ შორის იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე და ა.შ. სწორედ შეკრებებზე წარმოიშვა აზრი სოფლად კერძო სკოლების დაარსების შესახებ. ამ მიზნისათვის წრის წევრები სისტემატირად იხდიდნენ საწევრო გადასახადს, მაგრამ ამ წრეს მხოლოდ ერთი სკოლის დაარსება ძლივს მოუხერხებია სოფელ ხოვლეში. “წრე მალე დარწმუნებულა, რომ მათი იდეა სოფლად სკოლების გახსნის შესახებ განუხორციელებელი დარჩებოდა, თუ საქმეს სათავეში „წერა-კითხვის საზოგადოება“ არ ჩაუდგებოდა.”-წერს ი. გოგებაშვილი [34, გვ. 512-518], ამიტომ საჭირო იყო ასეთი საზოგადოების დაარსება. ეს აზრი იაკობ გოგებაშვილს და ნიკო ცხვედაძეს გაუზიარებიათ დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისათვის. მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების იდეა განხორციელებას მხოლოდ 1879 წელს ეღირსა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადება თავისი მიზნიდან გამომდინარე დიდ კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. საზოგადოება მიზანს შეადგენდა ქართული სკოლების გახსნა, მშობლიურ ენაზე სწავლება და ქართულ ენაზე დაწერილი წიგნების გამოცემა. ისინი იბრძოდნენ ყველაფერი „ქართულისათვის“. აღსანიშნავია, რომ მისი წესდების მიხედვით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადებას ევალებოდა წერა-კითხვის გავრცელება კავკასიაში სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. ამისათვის კი საჭირო იყო სკოლების გახსნა, რომელიც ან თავად უნდა გაეხსნა ან საზოგადოებას დახმარებოდა მის გახსნაში. საზოგადოებას წესდების მიხედვით უფლება აქვს დააარსოს სამკითხველოები, მოაწყოს სახალხო კითხვა, ბეჭდოს სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები, გამართოს სასწავლო ნივთების საწყობი, გამოსცეს ჟურნალი ან გაზეთი საკუთარი საჭიროებისათვის, დააარსოს ბიბლიოთეკები ხალხისათვის, მიეხმაროს სხვა სკოლებს, მოაწყოს სკოლები, მოამზადოს სახალხო მასწავლებლები, და ა.შ. ქ.შ.წ.-კ. გამავრცლებელი საზოგადოების მიზანი მართლაც რომ ძალზე ღირებული იყო, მაგრამ წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების დასაწყისში მაინც იყო პრობლემები.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა რიცხი სწრაფად იზრდებოდა პირველ ხანებში, მაგრამ ჩვენ ვხედავთ რომ წევრთა უმრავლესობას გაცნობიერებული არ აქვს ამ საზოგადოების როლი, ან არ სჯერა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნების რეალურად განხორციელების, რადგანაც საზოგადოების წევრები გულგრილობას იჩენდნენ არა მარტო წლიურ კრებაზე დასწრების მხრივ, არამედ საწევრო თანხის შემოტანის მხრივაც. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ „1882-1883 წლებში საწევრო უნდა შემოსულიყო 572 მანეთი, მაგრამ რეალური ციფრი გაცილებით ნაკლები იყო და შეადგენდა 370 მანეთს.“ [180, გვ.11].

1882 წლის საანგარიშო კრებაზე ნ. ხუდადოვი სვამს კითხვას გამგეობის წინაშე თუ რატომ არ შემოაქვს ფული ყველა დიდს კაცებს. ამაზე ილია ჭავჭავაძე პასუხობს: „ეს დრო და ხანის საქმეა, რომ საზოგადოების სამსახურს მიეჩვიოს დიდკაცობა, 123 წევრი გვყავს დამფუძნებელი, სულ გენერალ-ლეიტენანტები არიან და ახლა კი აქ სამი კაციც არ არის იმათგან“. [114, ფურც. 80]. წერა-კითხვის საზოგადოების ზოგი წევრი ხედავდა რა საზოგადოების მცირე ნაყოფიერებას და ამაში უმთავრეს ბრალს სდებდა ბიუროკრა-ტულ წესებს, კერძოდ ცენტრალიზაცია, რომელიც თავდაპირველად დამკვიდრდა ამ საზოგადოების საქმეთა წარმოებაში.

ზოგნი სულ სხვაგან ხედავდნენ პრობლემის საწყისს. ჟურნალ „ივერიის“ შინაური მიმომხილველი წერა-კითხვის საზოგადოების საქმის წარუმატებლობის მიზეზად ასახელებდა „ჩვენი ქვეყნის მოუმზადებლობას საზოგადო საქმეების წარმოებისათვის“. მაგრამ მთავარი მიზეზი ამ ყოველივესი ტ. ხუნდაძის აზრით, ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენს საზოგადოებაში, კაპიტალისტური ურთიერთობის სუსტად განვითარებაში, ფეოდა-ლური ჩვევებისა და მისი გადანაშთების სიუხვეში. აქედან გამომდინარეობდა, როგორც აღნიშნავდა „ივერია“, „ჩვენი ქვეყნის მოუმზადებლობა საზოგადო საქმეების წარმოე-ბისათვის“. [180, გვ. 13]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სკოლების გახსნა, რაც პირდაპირ კავშირში იყო მის მიზანთან-ქართულ სახალხო სკოლებში სწავლება ყოფილიყო ბავშვებისათვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე. თანაც, როგორც ნიკო მინგრელსკი იწერებოდა მოწინავე პროგრესულად მოაზროვნე ქართული ინტელიგენციის ოცნება საქართველოში წერა-კითხვის გავრცელება იყო.

აღსანიშნავია 1879 წლის 10 სექტემბრის სანიმუშო განჩინება, რომელიც გამგეობამ შეიმუშავა და რომლის საშუალებითაც გარკვეული იყო წერა-კითხვის საზოგადოებისა და სოფლის მოვალეობა და ვალდებულებები. კერძოდ სოფელს უნდა ეთხოვა სკოლის გახსნა, უნდა გამოეყო სკოლისათვის მიწა და აეშენებინა სკოლა, ასევე ყოველწლიურად უნდა გაეღო 350 მანეთი მასწავლებლის შესანახად. რაც შეეხება წერა-კითხვის საზოგადოებას, მას უნდა მოეძებნა შესაფერისი მასწავლებელი, მოემარაგებინა სკოლა ავეჯითა და სასწავლო ნივთებით და გაეწია ხელმძღვანელობა სასწავლო დარგზე.

წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებიდან გამომდინარე არ იქნება უცხო და გასაკვირი თუ ვიტყვით, რომ მეფის მოხელეები ეწინააღმდეგებოდნენ სოფლის სკოლების გახსნის იდეას და სწორედ ამიტომ გამგეობის მიერ დაგზავნილ აგენტებს ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა გზად და ნაწილმა აგენტებისა სოფლამდე ვერც მიაღწიეს. მაგალითად, ალექსი ჭიჭინაძე 1880 წლის 19 მაისს წერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას: „თქვენ მოგახსენდათ, თუ რა დაბრკოლება შეგვხვდა აგენტებს ადმინისტრა-ციის მხრით, რომელმაც არ დაინახა საჭიროდ ახალი სკოლების გახსნა და არ მოგვცა ჩვენ აგენტებს ნება სოფლის საზოგადოებაში წასვლისა, რომ მოგვეხსენებია ჩვენი მონდობილობის აღსრულება“. [113, ფურც. 9].

არც ერთი ქართული სკოლა, რაც არ უნდა პატარა ყოფილიყო, ვერ გაიხსნებოდა თუ მას არ ექნებოდა „გრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან“ და არ მიიღებ-დნენ მისგან საბოლოოდ ნებართვას, რომელსაც დროზე ძალიან იშვიათად იღებდნენ სახელმწიფოსგან. აღნიშნული ბრძოლა, რომელიც ზოგან ფარულად და ზოგანაც აშკარად მიმდინარეობდა მთავრობასა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოებას შორის დიდად შეაფერხა საზოგადოების მუშაობა, სწორედ ამ მიზეზით, საზოგადოებამ ოციოდე წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სკოლის გახსნა მოახერხა, მათ შორის აღსანიშნავია თბილისის სკოლა, ქუთაისის ქართული სკოლა,

ძველი-სენაკის ქართული სკოლა, ბათომის სკოლა, კავკასის სკოლა და სხვა მრავალი. მაგალითისათვის განვიხილოთ ქუთაისის ქართული სკოლა და ძველ-სენაკის ქართული სკოლა.

პირველი სკოლა, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გახსნა, ქუთაისის სათავაზნაურო სკოლა იყო. ამ სკოლაში თავად-აზნაურთა შვილებთან ერთად სწავლის უფლება უბრალო, დაბალი წოდების წარმომა-დგენელთა შვილებსაც ჰქონდათ.

ქუთაისის ქართული სკოლა ერთერთი პირველთაგანი იყო რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა. როგორც ტ.ხუნდაძე იხსენებს ქუთაისში მო-სამზადებელი სასწავლებლის გახსნის საკითხი ქუთაისის სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელთა კრებამ აღძრა და აცნობა წერა-კითხვის გამავრცელე-ბელ საზოგადოებას. სკოლა ერთ წელიწადში 1880 წელს გახსნილა საზეიმო ვითარებაში, ოღონდ მხოლოდ ორი განყოფილებით: „... წ.-კ. გამგეობას სკოლის „წესდება“ შეუმუშავებია ... სკოლას მიზნად აქვს დასახული მისცეს ბავშვებს დაწყებითი განათლება და მოამზადოს ისინი სამოქალაქო ან სამხედრო უწყებათა სასწავლებლის პირველ კლასში შესასვლელად, რომ სკოლაში მიიღებიან სხვა წოდებათა, უმთავრესად სოფლის მცხოვრებთა შვილებიც, რომ პირველ განყოფილებაში წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვები მიიღებიან, სწავლა უფასოა და ყველა საგნის სწავლება მთელი კურსის მანძილზე ქართულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ ამავე დროს რუსული ენისასთვის იმდენივე საათია განკუთვნილი, რამდენიც უზრუნველყოფს კურსის დასრულებისას ბავშვების მიერ ამ ენის სრულ დაუფლებას.“ [180, გვ. 26]. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ქართული სკოლა 1886 წლისათვის უკვე ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა და პროგიმნაზიად იწოდებოდა.

ქუთაისის ქართული სკოლის პარალელურად განყოფილებები წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძველ სენაკშიდაც გადაიტანა, როგორც ქუთაისის ქართული სკოლის ფილიალი, რადგანაც არსებული პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, როდესაც რუსეთის ცარიზმი განაგრძობდა ბრძოლას ქართულ ეროვნულობაზე და მის დასასუსტებლად კავკასიის მთავრობამ მეგრელები არაქართველებად გამოაცხა-დეს, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული გამოდევნეს, როგორც „მოძალადე ერის ენა“, ამ მდგომარეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არავინ არ მისცემდა სამეგრელოში სკოლის გახსნის ნებას, ამიტომ განყოფილების გახსნა ამჯობინეს. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამ სკოლის ინსპექტორად დანიშნა განათლე-ბული და გამოცდილი პედაგოგი-სამსონ ყიფიანი, რომელმაც იქ მიიწვია სამუშაოდ პედაგოგები: ივანე გოგოლაშვილი, ლ.ჩომახელი და აგლაძე. ზუსტად ერთ წელიწადში, კერძოდ 1885 წელს სენაკის სკოლა უკვე საკუთარ შენობაში გადავიდა, სადაც გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელმაც ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.

ძველი სენაკის სკოლის საქმეები კარგად მიდიოდა. სწავლა განათლება მყარ ეროვ-ნულ ნიადაგზე იყო დაფუძნებული. რასაც გულგრილად ვერ შეცქეროდა მეფის რუსე-თის ხელისუფლება. განსაკუთრებით კი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი. მან ძველი სენაკის სააზნაურო სკოლას გაუგზავნა მიწერილობა, რომელშიც წინადადებას იძლეოდა, რომ სკოლაში სწავლა ყოფილიყო მეგრულ ენაზე, ხოლო ქართული ენა მეორე სასწავლო წლის დასაწყისიდან ესწავლებინათ. სამსონ ყიფიანმა და წერა–კითხვის გამგეობამ საპასუხო წერილში დაუსაბუთა ლევიცკის ქართულ ენაზე სწავლის აუცილებლობა. მიუხედავად საზოგადოების ასეთი წინა-

აღმდეგობისა 1887 წელს ლევიცკი უგზავნის ს.ყიფიანს ა.გრენის მიერ შედგენილ მეგრულ ანბანს და ავალებს გაეცნოს მას. ეს წერილი განიხილა საზოგადოების გამგეობამ და მიიღო გადაწყვეტილება ილია ჭავჭავაძის თაოსნობით რომ სკოლაში მიეღოთ მხოლოდ ის მეგრელი ყმაწვილები, რომლებსაც ეცოდინებოდათ ქართული წერა–კითხვა და ლაპარაკი და ასევე მიეღოთ ისინიც ვინც ქართული ლაპარაკი და წერა–კითხვა არ იციან ისიც მშობლების ნებართვით, რომ სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე დააწყებინონ.

აღსანიშნავია ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ღვაწლი ქართველ მაჰმადიანთა განათლების საქმეში. „მიუხედავად სარწმუნოების შეცვლისა,-წერს სიმონ ჯორბენაძე-აქაურ ქართველებს ენა შენახული აქვთ მტკიცედ, შეურყევლად, ... სწავლა-განათლების მხრით კი გამაჰმადიანებული საქართველო მეტად ჩამორჩენილი და დაბეჩავებულია. თუ ძველ დროში, დავით მეფისა და თამარის დროს ეს ქვეყანა ყვაოდა სწავლა-განათლების მხრით ... დღეს ყოველსავე ამას ეს კუთხე მოკლებულია და ეს ცნობისმოყვარე ხალხი დარჩენილია უსწავლელად, ბეჩავად მთელი სწავლა-აღზრდის საქმე ამ კუთხეში მოლების ხელშია. ისინი არიან აქაური ეფენდები და განათლებულნი, მაგრამ ისინი ვერ უძღვებიან ამ საქმეს სასურველად.“ [188, გვ. 634-635]. სწორედ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ საჭიროდ სცნო აჭარაში ქართული სკოლის დაარსება, რომელიც საუკეთესო საშუალება იქნებოდა აჭარის მკვიდრთა გასანათლებლად, თურქთა გავლენის აღმოსაფხვრელად და საზოგადოებაში დედა ენის გასამტკიცებლად.

აქედან გამომდინარე ბათომის სკოლის დაარსების მიზანი ნათელი ხდება. ამ სკოლაში დაწყებითი განათლება უნდა მიეღო ქართველ მაჰმადიანებს და სკოლა უნდა გამხდარიყო ქართული კულტურის გამამტკიცებელი ქართველ მაჰმადიანთა შორის. მაგრამ სამწუხაროდ ბათომის სკოლა ამ მიზანს ბოლომდე ვერ ასრულებდა ბევრი მიზეზის გამო, სწორედ ამიტომ მისი შემდგომი არსებობის საკითხი ყოველთვის დავას იწვევდა ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში, რადგანაც ყველაფერთან ერთად წ.კ. საზოგადოებას ამ სკოლის შენახვა ძვირი უჯდებოდა, მაგრამ ივ. მაჩაბელმა წ.კ. საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლის შენახვა წ.კ საზოგადოებას ძვირი უჯდება, ეს სკოლა მაინც უნდა არსებულიყო, რადგანაც ეს სკოლა ისეთი დაწესებულება იყო, რომლის სარგებლობაც მარტო ფულით არ განისაზღვრებოდა. აქ საქმე მხოლოდ სწავლა განათლება კი არა, არამედ ქართველობის შენარჩუნებასაც ეხებოდა. შესაბამისად ბევრი კამათის შემდეგ კრებამ საჭიროდ სცნო ბათომის სკოლის დატოვება.

როგორც ვიცით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არა მხოლოდ ხსნიდა საკუთარ სკოლებს, არამედ უკვე გახსნილ სხვა უწყების სკოლებსაც ეხმარებდა მათი გაუმჯობესების მიზნით. წ.კ. საზოგადოების გამგეობა სხვა უწყებათა სასოფლო სკოლებს თავდაპირველად, სანამ მთავრობა ამ დახმარების გაწევას არ აუკრძალავდა, ეხმარებოდა როგორც ფულით, ასევე ავეჯითა და სასწავლო ნივთებით. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას წინააღმდეგობა წიგნების დაგზავნის დროსაც შეხვდა, სკოლების დირექციებმა და ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ინსპექტორმა ლიხაჩოვმა (რომლის საზოგადოების სკოლებსაც დახმარებას უწევდა წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში), გააფრთხილა წ.კ. საზოგადოების გამგეობა, რომ მათ მხოლოდ ისეთი წიგნების გაგზავნა შეეძლებოდათ, რომელიც მოწონებული იქნებოდა სასწავლო უწყების მიერ.

წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება ასევე დიდ დახმარებას უწევდა საკვირაო და სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, რადგანაც მათში ქართული ენა ისწავლებოდა და წერა-კითხვას სწავლობდნენ დაბალი ფენის მოსახლეობის შვილები. წ.კ.გ. საზოგადოება მათ უფასოდ აწოდებდა ქართული ენის სახელმძღვანელოებს. თუმცა აქაც ისევე როგორც სხვა შემთხვევაში ყველაფერი მარტივად არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას მრავალი დაბრკოლებები ხვდებოდა გზადაგზა, პირველსავე წლებში სკოლების გახსნით, სახალხო და სახელმძღვანელო წიგნების გამოცემითა და მკითხველისათვის მიწოდების გაადვილებით აამოძრავა ქართული საზოგადოება, ხელი შეუწყო დაწყებითი განათლების გავრცელებას ხალხში და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ერთმანეთთან სულიერ დაკავშირებას.

აღსანიშნავია, რომ პირველდაწყებითი სწავლების წარმოება ჩვენს დედა ენაზე დიდად ბრკოლდებოდა სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. საზოგადოებამ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად იაკობ გოგებაშვილის წინადადებით პრემიებიც კი დანიშნა პირველდაწყებითი ქართული სკოლების სახელმძღვანელოთა ავტორების დასაჯილდოვებლად. სწორედ ამიტომ მათი მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო სახელმძღვანელოების გამოცემისაკენ, რათა სკოლები უწიგნოდ არ დარჩენილიყოი. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ დიდ ნივთიერ და მორალურ დახმარებას უწევდა წ.კ. საზოგადოებას. „დედა ენა“ ხომ ისეთი წიგნი იყო, რომელსაც თითქმის ყველა ქართულ ოჯახში ნახავდით, სადაც ქართული წერა-კითხვა ერთმა წევრმა მაინც იცოდა. „დედა ენა“ ყველაზე დიდტირაჟიანი ქართული გამოცემა იყო. მაგრამ სხვა საგნის სახელმძღვანელოები ჩვენში ფეხს ვერ იკიდებდა, რადგანჯაც საგნები ყველა სკოლაში რუსულ ენაზე ისწავლებოდა. ზოგიერთ დაწყებით სკოლაში ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი ლოცვებისა და საღვთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლებას. ამიტომ გ. იოსელიანმა შეადგინა ძველი და ახალი აღთქმანი და ლოცვები ქართულ ენაზე. მაგრამ მ. ყიფიანის ქართულ ენაზე გამოცემული გეომეტრია მხოლოდ რამდენიმე ცალი გაიყიდა. ასევე აღსანიშნავია კალანდარიშვილის „პრაქტიკული სახელმძღვანელო რუსული ენის შესასწავლად“, რომელიც როგორც სათაურიდან ჩანს შედგენილია სპეციალურად რუსული ენის შესასწავლად და მასში არ მოიპოვება არავითარი ნიმუშები ქართული ლიტერატურისა და ენის შესასწავლად, მაგრამ ის მაინც იძლევა ქართული ენის გაცნობის შესაძლებლობას რუსული ენის პარალელურად.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობის საქმე ვერ ჰქონდა სათანადოდ მოწყობილი წ.კ. საზოგადოებას. 1888-1899 წლამდე მან სულ გამოსცა 48 წიგნი. თითოეულ წელიწადზე დაახლოებით ოთხი წიგნი მოდის. 48 წიგნში 18 გამოცემა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“, „ბუნების კარს“ და „კოკორზე“ მოდის. ასევე გამოიცა ისტორიული ხასიათის ნაშრომი ე. თაყაიშვილის „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ და ურბნელის „გიორგი ბრწყინვალე“.

სტამბის უქონლობა დიდად უშლიდა ხელს წ.-კ. საზოგადოებას წიგნების გამოცემის საქმეში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძემ და წ.კ. საზოგადოების სხვა მრავალმა გულშემატკივარმა ძალისხმევა არ დაიშურეს, ეს განზრახვა სტამბის გამართვისა არ განხორციელებულა არც იმ ხანებში და არც მის შემდეგ. წ.კ. გამავრცელე-ბელმა საზოგადოებამ ისე დაასრულა თავისი არსებობა 1927 წელს, რომ მას საკუთარი სტამბა არ შეუძენია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რომელმაც 1913 წელს გახსნა საკუთარი სტამბა. „1915 წელს ქუთაისში

შეიქმნა საზოგადოება „სინათლე“, რომელსაც მიზნად ჰქონდა ქართული საქალაქო საშუალო სასწავლებლების დაარსება. სკოლა პირველი სასწავლებელი იყო, სადაც ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ და რადგან, სახელმძღვანელოები არ იყო ქართულ ენაზე ი. ოცხელის რჩევით და ინიციატივით დაარსდა წიგნის გამომცემლობა „განათლების“ ამხანაგობა, რომელმაც შედარებით მოკლე დროში სასწავლებლები თითქმის უზრუნველყო სახელმძღვანელოებით. ი.ოცხელის ინიციატივით შექმნილ გამომცემლობაში დაიბეჭდა ს.ხუნდაძის „ქართული ქრესტომათია“, „ქართული ენის გრამატიკა“, დ. უზნაძის „ძველი საბერძნეთი“, „ძველი რომი“, ი. ოცხელის „არითმეტიკა“ და სხვ. გამოცემული სახელმძღვანელოები, როგორც ქართული სკოლების განვითარების ისტორიაში, ასევე მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის დიდი და ფასდაუდებელი საქმე იყო.“ [191]. სტატიაში [115, გვ. 8], საუბარია სინათლის საზოგადოების მიერ 1916 წელს დაარსებულ „სინათლის“ სკოლაზე. „1916 წელს დაარსდა „სინათლის“ სკოლა. მის ხელმძღვანელად დაინიშნა დიმიტრი უზნაძე. სინათლის სასწავლებლის მუშაობაში დიმიტრი უზნაძემ თავისი თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენა. სკოლის მიზანი იყო ცოდნის მიცემა მოსწავლეთათვის. ამის გარდა „სინათლე“ თავის უმაღლეს მიზნად მოწაფეთა ნებისყოფისა და ხასიათის განვითარებაში სჭვრეტს.“

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას გარდა სახელმძღვანელოებისა, სახალხო სასარგებლო წიგნების გამოცემა და გავრცელება შეადგენდა. რადგან ორიგინალური პოპულარული წიგნების გამოცემა ძნელი გახდა, ამიტომ გამგეობა უმთავრესად ნათარგმნი მოთხრობების ბეჭდვას ცდილობდა. გ.იოსელიანმა თარგმნა გოეთეს „რეინიკე კუდა-მელა“, იოსებ ცხვედაძემ-„დონ-კიხოტი“. 1896 წელს დაიბეჭდა „ოქროს მოყვარულნი“, (ნათარგმნი), და ზ. ჩხიკვაძის „სალამური“-ქართული სახალხო სიმღერები. 1898 წლის 30 მარტს გამგეობამ დაადგინა გამოსცეს მესამედ აკაკის ნათარგმნი „კრილოვის არაკები“ სურათებითურთ. ჯერ კიდევ 1889 წელს აკაკიმ სამუდამოდ დაუთმო საზოგადოებას კრილოვისაგან ნათარგმნი 60 იგავ-არაკი, თითო 5 მანეთად.

გამგეობას კარგად ესმოდა სახალხო წიგნების საჭიროება და მათი მნიშვნელობა. „1880 წელს საზოგადოებამ გამოსცა ორი წიგნი. 1913 წლამდე კი მან სულ 108 წიგნი გამოსცა. 1915 წელს გამგეობის საგამომცემლო სექციამ 8 მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული წიგნი გამოსცა. 1913 წელს გამგეობამ გამოსცა დავ. კარიჭაშვილის რედაქციით ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია XIXს-ში“ და მისივე „ქართული სიტყვიერების ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. გასვლამდე“. ყურადღება მისაღებია ის ფაქტი, რომ წიგნების გამოცემის საქმე გაძნელდა ომის დაწყების შემდეგ, როდესაც გაძვირდა ან სრულებით გაქრა საბეჭდი ქაღალდი.“ [180, გვ.128].

სხვა ბევრ სახალხო საქმესთან ერთად წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების ბიბლიოთეკის გამართვა. საზოგადოება ამ ყველაფერს ახერხებდა შემოწირულობისა და ნასყიდობების საშუალებით.

1883 წლის სექტემბერს 55 ძველი ხელნაწერი შეუწირავს ივანე იერონიმეს ძე ალექსი-მესხიშვილს. ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ 1883 წლის აგვისტოს მიმოხილვაში: „საზოგადოებას წარუდგენიათავისი ხელნაწერის ბიბლიოთეკისათვის, რომელიც ამ დღეებში გაამდიდრა ბ-მა ივანე მესხიევმა მდიდარის და უხვის შეწირულობით. მან შესწირა ამ საზოგადოების ბიბლიოთეკას 55 ხელნაწერი წიგნი, რომელთა რიცხვში

ძვირფასი საარქეოლოგო და საისტორიო განძი ურევია“. ამ წლისათვის წ.კ. საზოგადოებას ოთხასი ცალი ხელნაწერი ჰქონდა დაგროვებული. მაგრამ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მაინც ნიკო მინგრელსკისაგან (დადიანი) მიიღო-ეს იყო მისი უძვირფასესი წიგნსაცავი.

1885 წელს წ.კ. საზოგადოებამ ზ. ჭიჭინაძისაგან ბევრი ძველი და ახალი წიგნი შეიძინა. ქართველღა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უდიდესი საუნჯე შეუგროვა ძველი ხელნაწერებისა და ძველი წიგნების შეძენით. ის დიდი გაჭირვებით და სიყვარულით აგროვებდა ძველ ხელნაწერებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯერ დ. ბაქრაძის და ნ. მთვარელაშვილის, შემდეგ კი ექ. თაყაიშვილის და დავ. კარიჭაშვილის ღვაწლი ამ საქმეში. ისინი მათ აღწერდნენ და შეისწავლიდნენ.

მოწინავე ქართველი საზოგადოება უსასყიდლოდ სწირავდნენ ძველ წიგნებსა და ხელნაწერებს საზოგადოებას, მათ შორის: ვასილ ოქონელი, მიხეილ სარაჯიშვილი, ვასილ სულხანაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, ასლან წულუკიძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.

1905-1907 წლებში და შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ქართველ ხალხში პერიოდული გამოცემებისა და საზოგადოდ მწიგნობრობისადმი. „1908 წელს საზოგადოებას მხოლოდ 13 ბიბლიოთეკა ჰქონდა, მათ შორის 4 თბილისში იყო გახსნილი, დანარჩენი კი რაიონებში. 1911 წლის პირველი იანვრისათვის კი საზოგადოების ბიბლიოთეკების რიცხვი ოცდასამამდე გაიზარდა.“ [115, ფურც. 4], ხოლო „1914 წლისათვის მათი რიცხვი 66-მდე იყო გაზრდილი და მათი მოვლა და გახსნა განყოფილების ხელში იყო გადასული. ამ წელს ქუთაისის განყოფილებას 31 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა და წლიურად ამ საქმეზე 3317 მანეთს ხარჯავდა.“ [124, ფურც. 9]. 1916 წლისათვის კი საზოგადოების მფარველობის ქვეშ უკვე იყო 86 ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

მიუხედავად ამისა, რიგი პრობლემები მაინც არსებობდა. ზოგი ბიბლიოთეკა ვერ იყო სათანადოდ მომარაგებული წიგნებით. მაგალითად სოფ. ონტოფოს ბიბლიოთეკაში 1914 წლისათვის მხოლოდ 20 ქართული წიგნი და 15 რუსული წიგნი იყო, სოფელ სეფიეთის ბიბლიოთეკაში, კი მხოლოდ 18 წიგნი იყო. ბორჯომის ბიბლიოთეკაში 400 ქართული და 790 რუსული წიგნი.

ამ პერიოდში წ.კ. საზოგადოების გამგეობამ საფუძველი ჩაუყარა სამუზეუმო სიძველეთა შეგროვებას. გროვდებოდა ძველი ისტორიული და არქეოლოგიური ნივთები და სანუმიზმატიკო ნიშნები. განსაკუთრებით ბლომად მოგროვდა ეს უკანასკნელი. ყოველივე ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დ. ბაქრაძეს, რ. დ. ერისთავს, პოლ. კარბელაშვილს და სხვებს.

მუზეუმის ნივთთა შორის აღსანიშნავია: შუშის სურა ოქროს ვარაყიანი წარწერით,- „მეფის ძე იულონი“ (რომელიც წიგნებთან ერთად შემოსწირა გიორგი საძაგლიშვილმა), სამწერლო იარაღთა კოლოფი, ნაქონი დავით თელავის რექტორისა და მრავალი ფული.

წ.კ. საზოგადოებას ასევე დიდი ინტერესი ჰქონდა ფოლკლორული მასალის შეგროვებისა და ხალხური სიმღერების ნოტებზე გადაღების შესახებ. გამგეობის სხდომაზე რამდენჯერმე დაისვა საკითხი სახალხო სიმღერების შეკრების შესახებ. „მგალობელი მიხ. მაჭავარიანი 1879 წლის ნოემბერში სთხოვდა გამგეობას 200 მანეთს ქართლ-კახეთისა და ნაწილობრივ იმერეთის მოსავლელად და სახალხო სიმღერების შესაგროვებლად. 1884 წლის მარტში გამგეობის კრებაზე ნიკო ცხვედაძემ კვლავ შემოიტანა წინადადება ქართლ-კახეთში მონახულიყო კარგი მცოდნე საერო სიმღერებისა და გადაეღო ის ნოტებზე იპოლიტოვ-ივანოვს.“ [180, გვ.67].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მრავალი მხარდამჭერი და კეთილისმსურველი ყავდა, იმართებოდა მრავალი კულტურული ღონისძიება, გამოფენა, გამოფენა-გაყიდვები და ა.შ. ერთ-ერთი ფაქტის შესახებ გვიყვება ჟურნალი „განათლება“ თავის ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში: „... არ შეგვიძლია არ აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში მეტად დიდი სიმპატიური მნიშვნელობა აქვს. გასული მაისის 28-ს ტფილისის ქართველმა ვაჭრებმა გამართეს ვაჭრობა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ. ეს პირველი მაგალითია ჩვენს ცხოვრებაში, როცა მთელი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც წინეთ ჩვენ კულტურულ მუშაობის გარეშე იდგა, თითქო პირდაპირ, შეკავშირებულად ჩაერია ცხოვრებაში. თითქოს იწყება ახალი ხანა ჩვენი კულტურული ცხოვრებისა, საქმე, რომელიც წინეთ მცირე ჯგუფს ეჭირათ ხელში, გადადის მთელი ხალხის ხელში, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ვაჭართა მონაწილეობა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში მარტო ტფილისით არ დაბოლოვდება, ტფილისელებს ღირსეულ ბანს მისცემენ ყველა სხვა ქალაქ-დაბებში მოვაჭრენი, ჩვენ იმის იმედიც გვაქვს, რომ მარტო ვაჭრებით არ განისაზღვრება ეს საქმე ... არ ჩამორჩებიან ვაჭრებს ვექილები, ექიმები, მასწავლებლები, ხელოსნები, გლეხები და ამგვარად საერთო ძალ-ღონით, ურთიერთი დახმარებით და გამხნევებით დაღვივდება ის დიადი კულტურული მუშაობა, რომელიც არას დროს არ ყოფილა ისე საჭირო, როგორც დღეს“. [81, გვ. 119-120].

წერა-კითხვის საზოგადოებას გვერდით ედგა არა მხოლოდ მოწინავე ქართული ინტელიგენცია არამედ უბრალო მშრომელი ხალხი, სწორედ ამიტომ ვერ აისრულა მაშინდელმა მთავრობამ საწადელი ბოლომდე. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, რომელიც მათ ექმნებოდათ როგორც მეფის რუსეთის ისე ადგილობრივი მთავრობის მიერ მაინც წინ მიიწევდა წ.კ. საზოგადოება. მისი როლი და მნიშვნელობა ძალზედ დიდია, მრავალი კეთილი საქმის დამწყებნი იყვნენ. ქართული ენის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში კი მათი როლი უდიდესია. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც თვით მშრომელი ხალხი დაეპატრონა ხელისუფლებას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმე სრულიად ახალი გზით წარიმართა: საბჭოთა წყობილების პირობებში ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები წარმოიქმნა. წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი ამოცანები შეასრულა და მისი შემდგომი არსებობა მიზანშეუწონელი გახდა. სწორედ ამიტომ 1927 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეწყვიტა მუშაობა.

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1883 წელს წერდა: „ ... ყოველი ჩვენი ეგრეთწოდებული „საზოგადოება“ მარტო ყავარია, რომელსაც ბოძები თითონ ერში არა აქვს, ხეა, რომელ-საც ფესვი თვითონ ერში არ გაუმაგრებია და თუ ფეხზე დგას, იმიტომ კი არა, რომ ძირი ღრმად აქვს წასული, არამედ იმიტომ, რომ გარედან აქეთ-იქეთ ბოძები აქვს მიდგმული. აი ნამდვილი მიზეზი სისუსტისა საერთოდ და წერა-კითხვის საზოგადოებისა საკუთ-რივ“. [169, გვ. 69]

ილია ჭავჭავაძის მიერ წერა-კითხვის საზოგადოების მსგავსი დახასიათება სწორია ამ საზოგადოების არსებობის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სათანადოდ განუვითარებლობის გამო წ.კ. საზოგადოება გარედან მიღებული ნაბოძებით, ე.ი. მოწინავე ადამიანების დახმარებით არსებობდა. თავისი არსებობის მეორე ნახევარში კი, განსაკუთრებით 1908-1909 წლებიდან, მან ნამდვილად გაიდგა ფესვები ქართველ ხალხში. ის მასობრივ, დიდ ეროვნულ ორგანიზაციად გადაიქცა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველი ხალხის განათლებისა და

გათვითცნობიერების საქმეს, მასში ეროვნული შეგნებისა და ეროვნული თვით-გამორკვევის გრძნობის შეტანას.

§5. ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური იდეები XIX საუკუნის 90-იანი წლების დასავლეთ საქართველოში

ქართული პედაგოგიკური აზროვნება სათავეს შორეულ წარსულში იღებს, რომელმაც შემდგომში განვითარება ჰპოვეს XIX საუკუნის სამოცი-სამოცდაათიანი წლების ქართველ განმანათლებელთა მემკვიდრეობაში. ამავე წლებში ქართულ პრესაში იბეჭდებოდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური სტატიები და ნაშრომები.

80-90-იან წლებში გამოდიოდა „ივერია“, რომელიც თავდაპირველად გაზეთი იყო, შემდეგ ჟურნალი და ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან კვლავ გაზეთი გახდა. მასში აქტიურად თანამშრომლობდა თითქმის ყველა ცნობილი განმანათლებელი და პუბლიცისტი. ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში გამოდიოდა ჟურნალი „მოამბე“, „ჯეჯილი“, „მწყემსი“. გაზეთები „თეატრი“, „მეურნე“, „შრომა“ (ქუთაისში), „კვალი“, რუსულ ენაზე, გაზეთები: „კავკაზ“, „ტიფლისკი ლისტოკ“, „ნოვოე ობზრენიე“ და სხვა. ამ გამოცემებში იბეჭდებოდა პედაგოგიური შინაარსის წერილები, რომლებშიც გამოთქმული იდეები ავითარებდნენ და წინ სწევდნენ ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებას.

XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართული პრესა მკაცრად აკრიტიკებდა გამარუსებელ პოლიტიკას, მის ხარვეზებს, იბრძოდა ეროვნული, დემოკრატიული, ჰუმანური სკოლისათვის, შეგნებული და გააზრებული სწავლებისათვის, ახალგაზრდობის ჰარმონიული განვითარებისათვის. ივ.როსტომაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „უმეტეს შემთხვევაში დღევანდელი სკოლა ისეა მომართული, რომ სრულიად ვერ აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას“. [21, გვ. 8]. გ.ლასხიშვილის აზრით კი „ერთ უმთავრეს მიზეზად ჩვენის დაქვეითებისა, აღზრდა-განათლების საქმე უნდა დავასახელოთ“. [66, გვ. 1]. ქართველი პედაგოგები და პუბლიცისტები დამაჯერებელი არგუმენტებით, ამტკიცებდნენ ძველი სკოლის მანკიერებასა და უვარგისობას. ივანე როსტომაშვილის შეფასებით, პედაგოგია სრულიად უკუაგდეს სკოლიდან და მისი კეთილდღეობა მხოლოდ დირექტორების და ინსპექტორების პირად განზრახვებს დაუმორჩილეს და დაუმონეს. ი.გოგებაშვილის მტკიცებით მანკიერ საწყისებზე აგებული სკოლა უფრო საზიანოა ხალხისათვის ვიდრე მისი საერთოდ უქონლობა. იგი 1894 წელს წერდა: „სკოლა ორპირი იარაღია. მას შეუძლიან დიდი სიკეთეც შესძინოს თავის პატრონს და დიდი ზარალიც მიაყენოს. ბავშვი სკოლაში ნასწავლი შეიძლება განუზომლად მაღლა იდგეს გონებით, ხასიათით, ზნეობით, მხნეობით იმაზედ, ვისაც ბედმა სკოლა არ აღირსა და შეიძლება ბევრად უარესი იყოს მასზედ, ეს იმაზედ გახლავთ დამოკიდებული, თუ რარიგად არის მოწყობილი სკოლა, რამდენად სწორე გზას ადგია, რამდენად არის დაშორებული ყოველგვარს უკუღმართობასა“. [33, გვ. 464]. იაკობ გოგებაშვილის შეფასებით მისი თანამედროვე სკოლა იყო არაჯანსაღი დაწესებულება.

ცარიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ წარმომადგენლად გვევლინება შიო ჩიტაძე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა ცარიზმის დრომოჭმული სასწავლო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნამდვილი ახალი სახალხო სკოლის შექმნის საქმეს შესწირა. ბურჟუაზიული სკოლის „მექანიკური წარმოების წესის“ წინააღმდეგ, რომელიც ძირშივე ახშობდა მოსწავლეთა ბუნებრივ ნიჭს, სულის

სიცოცხლეს და აზრის სიცხადეს, მან დაუპირისპირა ბავშვთა „თავისუფალი აღზრდის“ იდეა, რომელიც მზარდი თაობის ცალმხრივი განვითარების უარყოფისაკენ იყო მიმართული. „ბიუროკრატიულმა რეჟიმმა მთლად აღმოფხვრა სწავლის საქმეშისიცოცხლე, გარდაქმნა მასწავლებელი მანქანად და მოსწავლენი უბრალო მასალად, რომელსაც დაქირავებული მუშები ამუშავებს ძალთა მპყრობელის სურვილებისამებრ. თავისუფლება სწავლისა, რომელიც ბუნებრივი მოთხოვნილებაა სკოლის საქმეში, პირადი შემოქმედება მასწავლებლისა, გაქარწყლებულია ახლანდელს სკოლაში მრავლისაგან მრავლის, ერთიმეორის საწინააღმდეგო ცირკულიარებით, ცხოვრებასთან სრულიად შეუსაბამო პროგრამებით და ყოვლად ძლიერი გამგეობისაგანო“- წერდა შ. ჩიტაძე გაზეთ „ივერიის“ 1905 წლის N89-ში.[19].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწავლის, ცოდნის დაუფლების დიდი მნიშვნელობის დასაბუთებას, უმეცრებასთან ბრძოლის საშუალებების გამოძებნას. აკაკი წერეთლის აზრით მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ბედნიერებისა და კეთილდღეობისა. მას ახალგაზრდობის სწავლა-განათლება და მისი მორალური აღზრდა სრულიად მაღალ დონეზე წარმოედგინა. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კარგი აღზრდა-საზოგადოების წინსვლაა, ცუდი კი-მის წახდენას მოასწავებსო. „ერთხელ კიდევ გავიმეორებ,-წერს აკაკი წერეთელი,-რომ დღევანდელი ჩვენი უვარგისობა-დამახინჯე-ბული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომავალში ბოლო უნდა მოეღოს“ („ჩემი თავგადასავალი“). აკაკი წერეთელი მრავალ ზნეობრივ სიმახინჯეს ხედავდა ხალხის ცხოვრებაში, რასაც აგრეთვე ცუდ აღზრდას აბრალებდა. ის მწუხარებით აღნიშნავს, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით ჩვენი ხალხი სულ უკან უკან იხევს და აღარ გვყავსო ნესტან-დარეჯნები და თინათინებიო და მათი ადგილი ფატმანებმა დაიკავესო. „ეს დიდი შეცდომაა, მაგრამ ბრალი არ ედებათ ჩვენს ქალებს. ის დღევანდელი უკუღმართი გაზრდის ბრალია. მრუდე გზით მიჰყავთ და თქვენი ვალია,-მიმართავს ახალგაზრდებს,-რომ დაუხვდეთ ხოლმე გზაში, შეაჩეროთ და სწორედ გადაახვევინოთ“ („პატარა ტარიელი“). სახალხო მასწავლებელთა მხრიდანაც გაისმოდა საღი პედაგოგიური მოსაზრებანი, მასწავლებელი ვლ. გაგუა წერდა: „საზოგადოებამ უნდა სცნოს განათლების ძალა და მით მომავალში თავიდან აიცილოს ის უბედური შედეგი, რაც წილად რგებია გონებით დაბლა მდგარს და სიღარიბეში ჩაცვენილს საზოგადოებას“. [122, გვ.5].

ლუარსაბ ბოცვაძე თავდაუზოგავად იბრძოდა ხალხის სწავლა-განათლებისა და კულტურის ამაღლებისათვის. საკვირაო სკოლების გახსნით, თეატრისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობით, მუზეუმებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნა-ჩამოყალიბების გზით ის ხელს უწყობდა მშრომელთა გათვითცნობიერებისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეს.

სწავლა-განათლებისა და ცოდნის გავრცელების პროპაგანდას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის დასასრულ საქართველოში. ამ პერიოდის პრესაში აქტიურია ხალხურობისა და ბუნების შესაბამისობის იდეა. ვაჟა-ფშაველა ბუნებასთან კავშირით, ბუნების მშვენიერებით ხსნის ადამიანის სულის სილამაზეს, მის განცდებს, ფიქრებს და ოცნებებს.

განათლების არსებით მოთხოვნად აღიარებული იყო სკოლის, სწავლების მჭიდრო კავშირი ხალხთან, მის ცხოვრებასთან. ი.როსტომაშვილი წერდა: „ერთადერთი საშუალება დღეს დაცემული სკოლის ფეხზე დაყენებისა და მისი ნამდვილი მნიშვნელობის გავრცელებისათვის ხალხში, ჩვენი აზრით, არის დაახლოება სკოლის თვით ხალხთან“. [99, გვ.2].

შ.ჩიტაძე ისევე როგორც სხვა განმანათლებლები იზიარებდა ხალხურობის პრინციპსა და სკოლის კავშირს ცხოვრებასთან. მას სასკოლო მუშაობის ჭეშმარიტ გზაზე დაყენების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მიაჩნდა მშობლიურ ენაზე სწავლება. მისი აზრით „ხალხი და სკოლა განუცალკევებელია. სკოლა არის ერთი დიდი მხარე ხალხის ცხოვრებისა, მისგან საზრდოობს და ცოცხლობს“. [102, გვ. 218].

იაკობ გოგებაშვილის ყველა პედაგოგიკური შეხედულებაც გამსჭვალულია ხალხურობის პრინციპით. ხალხი და მისი სასიცოცხლო ინტერესები განსაზღვრავენ აღზრდა-განათლების მიზნებსა და ამოცანებს, მის შინაარსსა და მეთოდებს. ის სრულიად იზიარებს კ. უშინსკის აზრს-ხალხურობის გარეშე ხალხის არსებობის შეუძლებლობის შესახებ და თავის მხრივ, დასძენს: „ისტორიაში ვერ მოსძებნით ისეთ მაგალითსა, რომ ერს ეღალატოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტუ-რისათვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს“. [33, გვ. 327].

ქართული პედაგოგიური აზრის მიხედვით ხალხის ეროვნული ტრადიციები, ისტორიული გამოცდილება და ზნე-ჩვეულებანი უნდა იყოს ის საფუძველი, რაზედაც აიგება ჭეშმარიტად სახალხო, ნამდვილად ეროვნული განათლების სახალხო სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის დანიშნულებასა და მოწოდებას ვერ გაამართლებს. განათლებისა და სწავლების შინაარსი სარკესავით უნდა ასახავდეს ხალხის ჭეშმარიტ ბუნებასა და სახეს. ხალხურობის პრინციპის განხორციელების გზად ქართულ პედაგოგიურ აზრს საქართველოს სკოლებში ყველა სასწავლო დისციპლინის ეროვნული მასალის საფუძველზე სწავლების მოწყობა მიაჩნდა. ეს სავალდებულოდაა მიჩნეული ყველა სკოლისათვის, მაგრამ განსაკუთრებით სოფლის სკოლისა და სამეურნეო სასწავლებლისათვის. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში ნასწავლი ახალგაზრდები ვერ იღებდნენ ისეთ ცოდნას, რომელთა გამოყენებას ისინი მომავალში შეძლებდნენ. ნიკო ცხვედაძის აზრით: „სკოლას დიდი კავშირი უნდა ჰქონდეს ხალხის მოთხოვნილებასთან, იგი უნდა იყვეს პირდაპირ დაყრდნობილი ხალხის მოთხოვნილებაზე, რომ სარგებლობა რამ მოიტანოს. თუ ეს ასეა, მაშინ რაღა თქმა უნდა, რომ სასოფლო სასწავლებლის მომართვის, მოწყობილობის და დაფუძნების ჟამსაც კაცს უნდა ჰქონდეს თვალწინ ხალხის მოთხოვნილება და ყოფა-ცხოვრება“. [160, გვ. 9].

სწორედ ასეთ საღ საწყისებზე იყო გამართული წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და ზოგი სხვა სკოლა, რომელმაც თვით ქართველი საქველმოქმედო ორგანიზაციები ხსნიდნენ და ინახავდნენ.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე სამეურნეო განათლების მატერიალური ბაზის ორგანიზაციას, რომლის გარეშეც მისი აზრით, სამეურნეო განათლება ზეპირსიტყვიერ და სქოლასტიკურ „განათლებად“ გადაიქცეოდა, რომელიც ჩვენს მეურნეობას ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. წინამთძღვრიანთკარში ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულ სამეურნეო სკოლას, უკვე ჰქონდა ისეთი სამეურნეო და მატერიალური ბაზა, რომ ილიას როგორც დასაწყისი საქმისა სავსებით აკმაყოფილებდა.

ილია ჭავჭავაძე ფართო მასობრივ პროპაგანდას ეწეოდა სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. უხსნიდა ყველას, რომ ეს არის საშუალება, რომლითაც ხალხს ხელში ეძლევა „ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუადვილებს და ბუნების, მიწის სიუხვეს არ დაუკარგავს“. [48, გვ. 166].

ცალკეული მოსაზრებები გამოითქვა ბუნების შესაბამისობის იდეის შესახებაც. პედაგოგი მიხეილ ნასიძე წერდა: „ყველაფერი აღზრდა-სწავლებაში უნდა

ეთანხმებოდეს ბუნებას და მის მოთხოვნილებას“. [79, გვ. 8]. ბავშვი გაგებულია როგორც ბუნების ნაწილი და აქედან გამომდინარე აღზრდის პროცესი უნდა დაეფუძნოს მის ზოგად კანონზომიერებას.

სწავლების თეორიის დარგშიც მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოითქვა. სწორად იყო გაგებული სწავლების ცნება. გამოითქვა სწორი მოსაზრებები აღზრდისა და სწავლების ერთიანობის შესახებ. მაგალითისათვის მოვიტან ილია ჭავჭავაძის შეხედულებას ამ საკითხზე: „უწინდელს ჩვენს გაწვრთნას ცოდნა აკლდა და ეხლანდელს ჩვენს ცოდნას-ხასიათისა და თვისების გაწვრთნა, იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორი საუნჯის ერთად შექსოვაა“. [173, გვ. 237-238]. სწავლებისა და აღზრდის პროცესი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გარეშე ილია ჭავჭავაძის აზრით, ვერ აღწევს სასურველ შედეგს. ი. ჭავჭავაძე განაგრძობს: „ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწვრთნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და ჩვენის ფიქრით ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწუვრთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათით გაუწვრთნელი“. [173, გვ. 238]. რა თემაზეც არ უნდა წერდეს ილია ჭავჭავაძე, ყველგან და ყოველთვის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უსათუოდ განათლების დიდ მნიშვნელობას ეხება. მას ღრმად სჯერა, რომ ყველა უბედურების მიზეზი სწორედ უმეცრება და უსწავლელობაა და აქედან ასკვნის, რომ: „უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა-აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენ ცხოვრებას“. [169, გვ. 249].

ილია ჭავჭავაძეს, ისევე როგორც, სხვა განმანათლებლებს ისეთი ცოდნის დაუფლება მიაჩნიათ ღირებულად რომელსაც ადამიანი გამოიყენებს ცხოვრებაში. ის სასტიკი მტერია ხალხის ცხოვრებიდან მოწყვეტილი ცოდნისა, ძველი სქოლასტიკურ-დოგმატური სწავლებისა და ფორმალისტური განათლებისა. რეალური, საგნობრივი და შინაარსეული განათლება იზიდავს ხალხს, იწვევს მასში ინტერესს და ცოდნის მიღებისადმი ლტოლვას, რადგანაც მხოლოდ ასეთი განათლება აძლევს მას საგრძნობ მატერიალურ და კულტურულ ეფექტს, აძლევს რწმენას თავის ძალ-ღონესა და უნარში, უქმნის მას ძლიერების იმედს, მისი თქმით „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია“. [48, გვ. 256]. სწავლა-განათლებამ ილია ჭავჭავაძის აზრით ადამიანს უნდა მისცეს თანაბარი თეორიული და პრაქტიკური განვითარება, რათა შეძლოს მისი გამოყენება პირად ცხოვრებაში. ის რეალურ სწავლა-განათლებას ემხრობა და ფორმალისტური სწავლა-განათლების მტერია. ის იშვიათი გამჭრიახობით ხედავს, რომ მისი დროის ბევრ ადამიანში თეორიული განათლება და პრაქტიკული მოქმედება ერთმანეთთან სრულ წინააღმდეგობაშია, რომ მათი ცოდნა სხვაა და საქმე კი სულ სხვა, რასაც ის ფორმალისტურ განათლებას აბრალებს და ებრძვის უსაგნო აბსტრაქტულ ცოდნას, პრაქტიკული ცხოვრებისაგან მოწყვეტილ და ბუნებრივი, ანუ რეალურ-კონკრეტული შინაარსიდან გაცლილ სწავლა-განათლებას.

სწავლებისა და აღზრდის ურთიერთკავშირის შესახებთავისი შეხედულება აქვს ნიკო ნიკოლაძეს. ის წერს: „მარტო სწავლა, რაგინდ სრული და მტკიცე იყოს კაცს კაცად ვერ გახდის, თუ იმას გრძნობა და ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ასვია. ამას ივიწყებდა უნივერსიტეტის სწავლა. ის სრულად არ ეხებოდა მოსწავლის ზნეობის მხარის გაკეთილშობილებას, ის ახალგაზრდა კაცს ცხოვრებისა და მოქმედების მიზანს, იდეალს არ უხატავდა, ის მასში კაცურ კაცს არ ზრდიდა და

დაუღალავ, ნიადაგ შრომას,მტკიცე გზაზე სვლას, მიზნის დაუვიწყებლობას არ აჩვევდა“. [74, გვ. 60].

როგორც ვხედავთ, სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპი (იგივე აღმზრდელობითი სწავლის პრინციპი) XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში სწორად იყო გაგებული.

ფართო დისკუსია გაიმართა კლასისკური და რეალური განათლების პრობლემებზე. ერთნი (ი.გოგებაშვილი, ი.ჭავჭავაძე, ა.წერეთელი, ალ.ნანეიშვილი, ს.მესხი, ა.ფურცელაძე და სხვები) რეალური განათლების მომხრე იყვნენ, მეორენი (გ.წერეთელი, ნ.ნიკოლაძე და სხვა) უფრო კლასიკური განათლებისაკენ იხრებოდნენ. თითოეული ჯგუფი ასაბუთებდა თავიანთ თვალსაზრისს. ი.გოგებაშვილის აზრით, „ჭეშმარიტ ცოდნას იძლევა ეგრეთწოდებული რეალური სისტემა განათლებისა. ამ სისტემას ყველა უპირატესობა აქვს კლასიკური სისტემის წინაშე. რეალური სისტემა იმ ფორმალურ განვითარებასაც ანიჭებს მოწაფეს, რომელიც შეადგენს ერთად ერთ ღირსებას კლასიკურის სისტემისა, და ამას გარდა ნამდვილ ცოდნასაც ამდიდრებს“. [37, გვ. 461]. განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ გაზეთ „კვალის“ ფაქტიური რედაქტორი გ.წერეთელი და მისი თანამშრომლები. ისინი მთლიანად არ უარყოფდნენ რეალური განათლების სიკეთეს, მაგრამ რადგან უმაღლეს სასწავლებლებში კლასიკური გიმნაზიების კურსდამთავრებულებს ენიჭებოდა უპირატესობა, კლასიკურ სისტემას უჭერდნენ მხარს. იყო მესამე აზრიც, რომელიც ორივე სისტემას საჭიროდ თვლიდა.

სწავლების საკითხთან შედარებით ამ პერიოდში შედარებით უფრო სრულყოფილად შემუშავდა და გაშუქდა აღზრდის თეორიის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ზნე-ხასიათის წვრთნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზე ... ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის [170, გვ. 318]. ზნეობრივი აღზრდის საკითხი სწორადაა დასმული და გაშუქებული. ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აღიარებულია ისეთი თვისებების ფორმირება, როგორიცაა კაცთმოყვარეობა, პატრიოტიზმი, ხალხთა მეგობრობა, შრომის მოყვარეობა, მტკიცე დისციპლინა, პატიოსნება, ოჯახის ერთგულება, საერთო ინტერესების გრძნობა და სხვ.

იაკობ გოგებაშვილს ბავშვის ზნეობრივი აღზრდა მიაჩნია მისი განვითარების უმთავრეს მხარედ. ის სწორედ აღმზრდელობითი შინაარსის ნაწარმოებთა სწავლებაში ხედავდა ზნეობრივ განვითარებას, ეთიკური ნორმების შეგნებას. მისი აზრით, „მაღალი და წმინდა ზნეობის შთანერგვა მოწაფის გულში“-აღზრდის უმთავრესი მიზანია, მასწავლებლის უმთავრესი დანიშნულებაა. იაკობ გოგებაშვილი ზნეობრივი აღზრდის პრინციპებთან ერთად მოსწავლეებს აგრეთვე უნერგავდა ისეთ მაღალ მორალურ თვისებებს როგორიცაა: მეგობრობა, ერთმანეთისათვის თავდადება, სიმართლე, გაგონება-დაჯერება, ზრდილობა, პატიოსანი ქცევა, ზომიერების გრძნობა და ა.შ.

გაბრიელ ეპისკოპოსი ხშირად ეხებოდა ადამიანის ზნეობრივი აღზრდის საკითხებსთავის ქადაგებებში. ის ზნეობრივ აღზრდას მრავალ ამოცანას უყენებს, პირველ რიგში გულისხმობს მორალური პრინციპებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რადგან მხოლოდ მისი ცოდნა არ არის საკმარისი, საჭიროა აგრეთვე მისი შინაგანი განცდაც. მისი აზრით ადამიანს მუდმივად აქვს ზნეობრივი სრულყოფის უნარი, უნარი იმისა რომ გახდეს უკეთესი და ამაღლებული. ნამდვილ საფუძვლად კი

ზნეობრივი აღზრდისათვის ის სიმართლის სიყვარულს მიიჩნევს და თავის ქადაგებებში მრევლს სიცრუის მოშორებას ურჩევს.

ქალთა აღზრდისა და განათლების საკითხზე საყურადღებო მოსაზრებები გამოითქვა ქართულ პრესაში. მათი ავტორები ცნობილი განმანათლებლები და პედაგოგები იყვნენ. ქალის დანიშნულებისა და მოწოდების შესახებ აზრი ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლების საქართველოში არა თუ ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებულ იდეებს, წინ უსწრებდა კიდეც, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აღიარება და ქადაგება იმ დროს, როდესაც რუსეთის უნივერსიტეტებში ქალებს არ იღებდნენ და მათი ცალკეული წარმომადგენლები უცხოეთის უნივერსიტეტებში იღებდნენ განათლებას, საქართველოში პედაგოგიური აზროვნების მოწიფულობაზე მეტყველებს. ილია ჭავჭავაძის აზრით ქალს მოსდევს მაღალი დანიშნულება და ამისდაგვარად ქალს უნდა ეპყრას მაღალი ადგილი საზოგადოებაში. ამ დამსახურებისათვის საჭიროა სწავლა და ცოდნა ნამდვილი, საფუძვლიანი და არა მარტო გარეგანი ნიშანი ვითომ ცოდნისა, არა მარტო ზიზილ-პიპილები განათლებისა. „დედათა სქემა,-წერს ილია, -კაცობრიობის უკიდურეს წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ახლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნიღა ეურჩებიან ამ უფლებას“. [170, გვ. 277].

ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა წოდებრივი და ქონებრივი პრივილეგიების მოსპობას მეცნიერებასა და ხელოვნებაზე და ყველასათვის თანაბარ და საყოველთაო სწავლა-განათლებას აღიარებდა. 1893 წელს ილია ჭავჭავაძე გამოვიდა განათლების სამინისტროს მეორე პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ქალთა გიმნაზიებში მხოლდ უმაღლესი წოდების ქალთა მიღებას ითვალისწინებდა. დაბალ წოდების ქალებისათვის გიმნაზიებში სწავლის უფლების მოკლება მას საზოგადოებრივ უსამართლობად და მავნე მოვლენად მიაჩნდა. მისი აზრით ცოდნა „ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს“, და ადამიანი ფასდება არა წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობით, არამედ ცოდნა-განვითარებით.

აკაკი წერეთლის აზრით, ქალების აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ისინი არიან ჩვენი შვილების, როგორც მომავალი მამაკაცების, ისე ქალების აღმზრდელები და თუ როგორ არიან ისინი მომზადებულნი ამ მაღალი დანიშნულების შესასრულებლად, ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ხალხის პროგრესი, კულტურისა და განათლების დარგებში წარმატებები. ის წერდა: „ოჯახი ეს პირველი ბურჯი კეთილწარმატებისა მათს (ქალების) ხელშია. ისინი გვიზრდიან შვილებს, ისინი გვივლიან მშობლებს და ისინი დობით და მერე მეუღლეობთ მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებენ... თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ხალხის ზნეობის ბარომეტრები არიან. დავარდნილს საზოგადოებაში ყველაზე პირველი ეცემიან ქალები და ხალხის გამოფხიზლების დროსაც პირველი ნიშნები მათში იხედებიან... მე მხოლოდ მაშინ ვიწამებ ჩვენი ხალხის გამოღვიძებას, როდესაც ჩვენი ქალები ყოველს კეთილსა და საზოგადოებისადმი კეთილი ნაყოფის მოტანაში არა თუ თანამგრძნობნი, თანამოქმედნიც იქნებიან“. [162, გვ. 363].

ქალთა აღზრდა-განათლებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გაბრიელ ეპისკოპოსი. მისი უშუალო ინიციატივით დასავლეთ საქართველოში გაიხსნა მრავალი საეკლესიო-სამრევლო სკოლა ქალთათვის, ხოლო 1892 წელს დაარსდა ქუთაისში ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. გაბრიელ ეპისკოპოსი სპეციალური „ქადაგებანი“ აქვს მიძღვნილი ქალის დანიშნულებისა და აღზრდა-

განათლებისადმი. მისი აზრით: „დიდია ქალის მნიშვნელობა ქრისტიანულ საზოგადოებაში, მაგრამ არა სხეულებრივი სილამაზით, არამედ გონებით, უბიწოებით და მაღალი ზნეობით“. [5, გვ. 19].

ამ თემას აქტიურად ეხმიანებოდნენ სახალხო მასწავლებლებიც. ბესარიონ ლომინაძის აზრით, ქალი ოჯახის სულის ჩამდგმელია, რადგან იგია ერის სული და მისი სიცოცხლის უმთავრესი ძარღვი. ქალი ყოველთვის იყო ნამდვილი დედაბოძი საქართველოს ცხოვრე-ბისა, იგი არის აღმზრდელი და სულის ჩამდგმელი იმ ვაჟკაცთა, რომელნიც თავგანწირვით და სიმამაცით იცავდნენ თავისუფლებას. ძნელია ამაზე უკეთესი და პროგრესული აზრი ვნახოთ თვით დასავლეთ ევროპის პროგრესულ მოაზროვნეთა შეხედულებებში.

აღსანიშნავია, რომ თავად ქალებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართულ პრესაში და გამოთქვამდნენ მნიშვნელოვან აზრებს. პედაგოგი და პუბლიცისტი ნინო ზურაბიშვილი წერდა: „სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალს ის აზრი, რომ როგორიც ქალია, ისეთი ოჯახია, როგორც უნდა, როგორც ესმის, ისეთს ელფერს დაადებს ქალი თავის ოჯახს, ამიტომ ჩვენ ყველაზე უფრო ქალების აღზრდას უნდა მივაქციოთ ყურადღება“. [46, გვ. 42].

ქართველი პედაგოგები მოითხოვდნენ ყველა საშუალო სასწავლებლებში ქალთა მომზადებას მასწავლებლად, აღმზრდელად. თეოფილე ხუსკივაძეს საჭიროდ მიაჩნია საშუალო სასწავლებლებში პედაგოგიკის სწავლების შემოღება, რადგან, იგი უფრო მეტად გამოადგებოდა მომავალ დედას შვილის აღზრდაში, ვიდრე სხვა რომელიმე უცხო ენის შესწავლა. მისი აზრით მათი მოვალეობა-შვილის აღზრდაა.

ლ.ბოცვაძე იზიარებდა ქალთა განათლების აუცილებლობას, ის წერს: „ქალი, მომავალი დედა, ოჯახის ბურჯია, მაგრამ ისეთი ბურჯი, რომლის ხელშიაც იზრდება შვილები, მომავალი თაობა, დედას უფრო მეტი გავლენა რომ აქვს შვილებზე, ვიდრე მამას ამას დამტკიცება არ უნდა ... დედა პირველი და საუკეთესო აღმზრდელია შვილისა. ყველა დიდებული ფილოსოფოსები აღიარებდნენ დედის აღზრდის უპირატესობას. თუ გინდა ბავშვს ასწავლო, ჯერ დედას უნდა ასწავლო. ქალებში განათლების გავრცელება იმათი ცოდნით აღჭურვა, განვითარება ქალების გონებისა და ხასიათისა უპირველესი ამოცანაა ყველა ერის ცხოვრებაში, ჩვენებური ანდაზა „როგორიც ბერი ისეთი ერიო“ ითქმის დედაზედაც ... თუ თქვენ ხუთ ქალს გაზრდით, სულ ერთია ვითომ 25 კაცი გაგეზარდოს, რადგანაც ამ თქვენ გაზრდილ ქალებს შვილები ეყოლებათო“. [10, გვ. 143].

ბევრი იწერებოდა მასწავლებლის დანიშნულების, მისი როლის შესახებ. ქართველ განმანათლებლებს აწუხებდათ მათი უუფლებობა და მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ი.გოგებაშვილს გული შესტკიოდა მათზე, მათ მდგომარეობაზე, რომელთა ღვაწლს არავინ აფასებდა, პირიქით დავიწყებულნიც ჰყავდათ ისინი და გაჭირვებისა და უბედურების ჟამს ხელსაც არავინ უმართებდათ არც სესხით და არც შემწეობით.

გაბრიელ ეპისკოპოსი სამართლიანად თვლიდა, რომ აღზრდის შედეგი დამოკიდებულია მასწავლებლის, აღმზრდელის პიროვნებაზე, მის ავტორიტეტსა და ღირსებებზე. „მასწავლებელი - მისი აზრით - უნდა იყოს მტკიცე ხასიათის, პირუთვნელი, უშიშარი და სამართლიანი, სწორედ ასეთი იყო ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, რამაც ძალზე შეუწყო ხელი მისი პიროვნების გავლენას მოსწავლე-ახალგაზრდობაზე.“[5, გვ. 19].

აღსანიშნავია ის ფაქტი თუ როგორ აღწერს იაკობ გოგებაშვილი გაბრიელის მოღვაწეობას სემინარიაში: „ნამდვილი გულწრფელობა და სამართლიანობა ახასიათებდა ყველა მის ქცევას, მოქმედებას და მთელ მის ცხოვრებას, მის ბაგეს ერთი არამართალი სიტყვაც კი არასოდეს წამოსცდებოდა. ერთხელ ერთმა მოსწავლემ იცრუა სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ იზრაელის წინაშე. რექტორი მოსწავლს ეუბნებოდა: „როგორ არ გრცხვენიათ, ასე რომ ცრუობთ, აიღეთ მაგალითი თქვენი ინსპექტორისაგან, რომელშიც არავითარი სიყალბე არ არისო“. [35, გვ. 460].

განსაკუთრებით მძიმე იყო სოფლის მასწავლებელთა ცხოვრებისა და შრომის პირობები, იქ არ იყო მომსახურება, კვების დაწესებულებები, მომარაგება და ა.შ. ი.ჭავჭავაძე წერდა: „პატიოსანი და ყოვლად მაღალზნეობიანი ჯაფა და გამრჯეობა ოსტატისა, მასწავლებლისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი. იმდენად პატივდადებული არ არის, რამდენადაც ღირსია ... ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგომიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადაურჩეს მასწავლებელი. დილიდან საღამომდის იბრძვის, იღწვის ბავშვის მომზადებასა და აღზრდისათვის და ყოველ ამისათვის ოცი და ოცდაათი თუმანი წელიწადში საცხოვრებლად. სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის განწირვაა, მსხვერპლია“. [48, გვ. 203].

ქართველი განმანათლებლები განსაკუთრებულ ვალდებულებასა და მოვალეობას აკისრებდნენ მასწავლებელს, მათ არა მარტო განათლების მიცემა არამედ აღზრდაც უნდა შეეთავისებინათ. ლ.ბოცვაძე აღნიშნავს მასწავლებლის მოვალეობაზე თავის სტატიაში „აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა“ ის წერს: „დიდი მოვალეობა აწევს ამ მხრით ჩვენებურს მასწავლებლებს, თავისი ერის ზნე-ჩვეულების შესწავლა, კარგის კარგად აღიარება და ცუდის დაძრახვა, დაგმობა, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთს უმთავრეს პირობას შეადგენს. ამის აუცილებლობა აღწერილი აქვს ჩვენს მგოსანს (აკაკის) ერთს გალექსილს „ნამდვილ ამბავში („გამზრდელი“)“, რომელსაც ავტორი უძღვნის ჩვენს პედაგოგებს“. [10, გვ. 143].

ილია ჭავჭავაძე არა ნაკლებ ვალდებულებასა და მოვალეობას აკისრებდა მასწავლე-ბელს. ის მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობად თვლიდა ფართო განათლებას, რაც გულისხმობს საკუთარი სპეციალობის გარდა მასთან ახლო მდგომი დარგების ცოდნას, ღრმა დიდაქტიკურ განათლებას, ანუ სასწავლო მეთოდების ცოდნას, ბავშვის სიყვარულს და მასზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მისი საჭიროების გამოკვეთას, ასევე, პედაგოგის საზოგადოებრივშრომას და პასუხისმგებლობის მაღალდონეს. ილია ჭავჭავაძის აზრით პირველი, რითაც პედაგოგი უნდა იწყებდეს თავის მოღვაწეობას ეს არის მისი მოვალეობის სრული შეგნება. ყურადღება გასამახვილებელია ილია ჭავჭავაძის აფორიზმული დებულება: „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“ რაც თავისთავად დიდი პრინციპული პედაგოგიური დებულებაა. ის პედაგოგებს მარტო საგანმანათლებლო ფუნქციას კი არ აკისრებს, არამედ საყმზრდელოსაც, რათა მოახდინოს პედაგოგმა ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდა.

ლ.ბოცვაძე იზიარებდა მოსაზრებებს მასწავლებლის როლის შესახებ. ის წერდა: „სკოლაში მასწავლებელი ყველაფერია, არც ერთ სახელმძღვანელოს არ შეუძლია მასწავლებლის მაგივრობა გასწიოს, იგი მხოლოდ შრომას უმსუბუქებდა მას“... [84, გვ. 172]. მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდისა და განვითარებისათვის ბოცვაძეუდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებლის სახიათის სიმტკიცესდა მასში დადებით ზნეობრივ თვისებათა ჩამოყალიბებას. მასწავლებლის დამახასითებელ თვისებათა

შორის უნდა აღინიშნოს: სამშობლო ქვეყნის სიყვარული, ხასიათის სიმტკიცე, საქმისადმი ერთგულება, მოვალეობის შეგნება, სიმართლე, სამაგალითო ქცევა-მოქმედება და სხვ.

აკაკი წერეთელი თავის „თავგადასავალში“ გვიხატავს ძველ მასწავლებელთა მთელ გალერეას. აქ წარმოდგენილია განათლების ისეთი მოხელეები, რომელთაც მხოლოდ მოწაფეთა ცემა-ტყეპის მიზეზის ძიებაში არიან. მათ უხარიათ რაც მეტ ბავშვს გაროზგავენ, მიზეზები არ ელეოდათ, ზოგი შეეძლოთ გაეროზგათ იმიტომ რომ ეს რამხელა თმა გაგზრდიაო, ზოგიც კი პირიქით ასე მოკლედ რატომ შეგიჭრიაო, აქ მიზეზი მთავარი არ იყო, მთავარი იყო შედეგი, როგორ უკეთ დაისჯებოდა ბავშვი, რადგანაც მაშინდელი მასწავლებლები მოსწავლეთა სწავლა-განათლებაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ იმაზე თუ როგორ აღეზარდათ მთავრობის ერთგული მოხელეები, რომელთაც მხოლოდ შიში ექნებოდათ და პატივისცემა კი არა. აქ არიან მასწავლებლები, რომელთაც ნამდვილი სწავლა სწორედ ის მიაჩნიათ თუ მოსწავლე გაუაზრებლად იზეპირებს და თუთიყუშივით იმეორებს მასალას, მსჯელობაზე, აზრის გამოთქმაზე და მსგავს რამეებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. აქ ვხედავთ მასწავლებლებს რომელთაც სძულთ თავიანთი პროფესია და შემთხვევით არიან პედაგოგები და სწორედ ამიტომ გასაგებია რომ საკუთარ გულისჯავრს მოწაფეებზე იყრიდნენ, მათ ხომ ვინმე დამსჯელნი არ ჰყავდათ, იმ დროს ხომ არ არსებობდა ბავშვთა უფლებები, ამაზე ფიქრიც კი არავის ჰქონდა, რომ შეიძლებოდა ვინმე დასჯილიყო მოსწავლის მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულებით, იმ დროს ვერც ერთი პედაგოგი ვერ იფიქრებდა რამხელა დანაშაულს ჩადიოდნენ ამით და როგორ შეიძლებოდა დასჯილიყო მსგავსი მოქმედება სულ რაღაც ასი წლის შემდეგ.

აკაკი წერეთელი გამოჰყოფს აგრეთვე მეორე კატეგორიის მასწავლებლებს, ესენია უწყინარი, თვინიერი, კეთილი მაგრამ ლოთი მასწავლებლები, რომელიც არც თავისი საგნებით არის დაინტერესებული და არც მოწაფეთა წარმატებით, მას მუდამ „ისე გაჟღენთილი ჰქონდა გვამი არყით, რომ ხანდიხან რომ კიდეც არ დაელია, ისე თავისთავად მოუვლიდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მოწაფეს, რომელიც დაფასთან იდგა და გეომეტრიულ სახეებსა ხატავდა, მიაყვირა: აბა ჩამოუარე ლეკურიო, და ტაშის კვრა დაიწყო“ („ჩემი თავგადასავალი“).[48, გვ. 266]

აკაკი წერეთელს აღწერს ნამდვილ მასწავლებლებსა და განმანათლებლებს. იგი გვაძლევს ასეთი დადებითი მასწავლებლის ტიპს, გვარად ტროეს. ამ პედაგოგს უყვარს თავისი პროფესია, გულმოდგინეთ ემსახურება მოსწავლეთა განათლებას, გვერდს უვლის საქმის საზიანო ოფიციალურ წესებსა და რეჟიმის ნორმებს, დაკვირვებით სწავლობს მოწაფეებს, ამჩნევს და ასწორებს სასწავლო პროცესის ნაკლს, აქვს მეგობრული კონტაქტი მოწაფეებთან, სარგებლობს შესაფერისი ავტორიტეტით და მოსწავლეთა სიყვარულიც ღირსეულად აქვს დამსახურებული.

სპეციალურ პედაგოგიურ მოთხრობაში-„პატარა ტარიელი“-აკაკი წერეთელი გვაცნობს იდეალური მასწავლებლის სახეს: „... ერთი ახალგაზრდა ქართველი მასწავლებელი, რომელიც სხვებს არ ჰგავდა. ის მიტომ კი არ მსახურობდა, რომ ჯამაგირი აეღო და უფროსების გული მოეგო,-თავის პირდაპირ მოვალეობად სთვლიდა, რომ ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილი აეძრა და ახალგაზრდობა სწორ გზაზე დაეყენებია“. [48, გვ. 268].

აკაკი წერეთელი გამოჰყოფს კარგი მასწავლებლის თვისებებს, ის თვლის რომ საკუთარი საგნის სიყვარულის გარდა მას ასევე უნდა უყვარდეს ბავშვები. მასწავლებლისა და საერთოდ, აღმზრდელის მიერ ბავშვის სიყვარულს ის ისეთ

აუცილებელ თვისებად თვლის, რომლის გარეშე შეუძლებელია აღმზრდელობითი მუშაობა. აღმზრდელის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მაგალითი მისი აღზრდილის მიმართ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ა. წერეთლმა მოგვცა პოემა „გამზრდელში“.

აკაკი წერეთელი არა მარტო მასწავლებლებს, არამედ მშობლებსაც დიდი პასუხისმგებლობას აკისრებს და ამ პასუხისმგებლობის გაცნობიერებისკენ მოუწოდებს. მშობელთა შორის მეტ პასუხისმგებლობას კი ის დედას აკისრებს. მისი აზრით, დედა უფრო ახლოსაა შვილთან უკანასკნელის განვითარების ადრეულ ასაკში, მაგრამ სამწუხაროდ ეს დიდი მისია ბევრ დედას არ ესმის, ვერ აცნობიერებს, უფრო მეტიც, ბევრ დედას არც უნდა შეიგნოს ეს მოვალეობა.მან ჭეშმარიტი დედები და აღმზრდელები დაგვიხატა თავისი ახლო და ნაცნობი წრიდან. ესენი არიან ჩვენი პოეტის „თავგადასავლის“ პერსონაჟები: მისი აღმზრდელი ძიძა და მშობელი დედა. ის ძიძაობას, როგორც საზოგადო მოვლენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. თავადაზნაურების მიერ თავისი შვილების გაბარებას გლეხობაში გასაზრდელად, მისი აზრით, შემდეგი მიზეზები და საფუძვლები ჰქონდა: „ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას, გარდა ნათელ-მირონობის. თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა“ („ჩემი თავგადასავალი“). [48, გვ. 272] აკაკი წერეთლის მოღვაწეობა, მისი მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა ძირითადად ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიურსა და კულტურულ მოტივებზეა აგებული. ის დიდმნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოების, ხალხისა და სამშობლოს წინაშე არსებულ ვალდებულებას. სწორედ ამიტომ ბავშვთა და მოზარდთა ყოველმხრივი განათლების აუცილებელ პირობად აკაკი წერეთელი, სრულიად სამართლიანად, თვლის სწავლას. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ჯერ კიდევ მყარად იყო ფეხმოკიდებული ჰარმონიული განათლების იდეა და ქართველი განმანათლებლები დიდი სიმპატიით იყვნენ განწყობილი ამ იდეისადმი. აკაკი წერეთელიც ასევე ამ იდეის მიმდევარია, ის წინააღმდეგია ვიწრო, ცალმხრივი განათლებისა, რადგანაც ის თვლის რომ ადამიანს მრავალი უნარი და შესაძლებლობა აქვს იმისათვის რომ მან ამ ყველაფრის ჰარმონიული თავმოყრა შეძლოს და გამოიყენოს. აკაკი წერეთელს კარგად ესმის წარსულის გადმონაშთი მემკვიდრეობის, სადაც გონებრივ განათლებაზე მეტად მკლავის სიმაგრესა და ფეხის სიმარდეს აფასებდნენ, ამიტომ ის თავის მთელ რიგ მოთხრობებში ცდილობს დაანახოს ბავშვებს ნამდვილი ჭეშმარიტება. პატარა ტარიელის სახით აკაკი წერეთელიასწავლის ყველა ბავშვსა და მოზარდს, რომ ახლა: „თქვენი სანადირო ტყე-ველი, თქვენი საბურთაო მოედანი სასწავლებელია. როგორც (რუსთაველის) პატარა ტარიელი იჭერდა და ერეოდა სხვადასხვა მხეცებს, ისე თქვენც უნდა დაიჭიროთ ხოლმე ხელში და სძლიოთ, მოერიოთ სხვადასხვა წიგნებსო“. („პატარა ტარიელი“). [48, გვ. 255]

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გონებრივ აღზრდას. ყველგან, სადაც ლაპარაკია განათლებაზე, მას მხედველობაში აქვს გონებრივი აღზრდა-„გონების ძალა“ ან „გონებრივი სიმდიდრე“. ახალგაზრდობის გონებრივი განათლებისათვის იაკობ გოგებაშვილი სრულიად მართებულად მოითხოვდა მისი ცნობიერების გამდიდრებას მეცნიერების ახალი მიღწევებით, რეალური ცოდნითა და პრაქტიკული მოღვაწეობის უნარით. ის ადამიანის განვითარების პირველ საფუძვლად თვლის დაწყებით განათლებას, რომლის მიზანია სასარგებლო ცოდნის გავრცელება ფართო მასებში და ამ ცოდნის მინიმუმად ის თვლის დედაენის, არითმეტიკის,

ბუნებისმეტყველების, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, რუსული ენისა და ჰიგიენის საწყისების შესწავლას.

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ სისტემაში გონებრივ განათლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი აზრით, გონებრივი განათლება, ცოდნა ადამიანისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის ობიექტური შემეცნებისა და თვით ბუნების დამორჩილების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. ადამიანი, როგორც სოციალური არსი, თავის გონების ძალით გარდაქმნის ბუნებას: „ადამიანი, როგორც ერთი მოვლენათაგანი, თავის გონების ძალით უპირისპირებს თავის თავს მთელს მსოფლიოს. ეს დაპირისპირება მათ წინააღმდეგობად ხდება და ეს წინააღმდეგობა კი ბოლოს და ბოლოს ბრძოლად იქცევა ადამიანისა და გარე ბუნებას შორის“. [117].

მიუხედავად იმისა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს კონკრეტულად არ დაუფიქსირებია საკუთარი მოსაზრება გონებრივ აღზრდასთან დაკავშირებით, ის საუბრობს შემეცნების, ცოდნის და განათლების შესახებ, სადაც შეგვიძლია ვიგულისხმოდ სწორედ გონებრივი განათლება და აღზრდა. მისი შეხედულებით, ხალხის ბედნიერება დამოკიდებულია მის გონებრივ მდგომარეობაზე. მისი აზრით უსწავლელად და გაუნათლებლად შეუძლებელია ცხოვრების გაუმჯობესება და წინსვლა.

ქართველი განმანათლებლებისთვის საქართველოს ყველაზე უფრო საიმედო მომავლის მქონე წოდებად გლეხობა მიაჩნია და ყველაზე მეტ ყურადღებას სწორედ გლეხთა სწავლა-განათლების საქმეს აქცევენ და სწორედ ამიტომ აკაკი წერეთელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გლეხთა ბავშვების სწავლა-განათლების საქმეს. აკაკი წერეთელი გლეხის ბავშვს სწავლა-განათლების სიყვარულს „ნანინას“ საამო ჰანგებით უნერგავდა. ჩვენი პოეტი აკვნიდანვე უმღერის პატარა გლეხის ჩვილს სკოლისა და წიგნის სიყვარულს, რომ ის არც განათლებით ჩამორჩეს დიდკაცების შვილებს და თავისი ცოდნით გლეხი-მშობელი აამაყოს.

იაკობ გოგებაშვილს ერთადერთ საიმედო, მომავლის მქონე და პროგრესულ ძალად მიაჩნდა მშრომელი ხალხი. ეს გასაგებიცაა. მშრომელ ხალხს ეყრდნობოდნენ რუსი დემოკრატები და ქართველი თერგდალეულები. იაკობ გოგებაშვილი, როგორც მათი წარმომადგენელი, იმავე ძალას ეყრდნობოდა. მშრომელი ხალხი, მისი აზრით, არის „ყველაფრის შემძლე“, ყოველი ღირებულების შემქმნელი ძალა და ამიტომ მომავალი მხოლოდ მას ეკუთვნის.

აკაკი წერეთელს სწამდა ქართველი ხალხის მომავლის და ამავე რწმენით ზრდიდა იგი ჩვენს ახალგაზრდობას. ის ცდილობდა პატრიოტული სულისკვეთებით გაეზარდა ახალგაზრდობა და თავის შემოქმედებით აწვდიდა მათ რუსთველისებურ ცხოველმყოფელ საბრძოლო ლოზუნგს. ის ლექსში „პატარა კახი“ ამბობს: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. „იავნანიდან“ ასწავლიდა მშობელი დედა და უნერგავდა ბავშვს მამულის სიყვარულს, ნათქვამია მშობელი დედის პირით: „შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო, შვილო მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო“, („იავნანა“). ვფიქრობ საკმარისია აკაკიწერეთლის შემოქმედებიდან მოყვანილი მაგალითები იმის დასამტკიცებლად თუ რამდენად უხვადაა მასში პატრიოტიზმის იდეები.

ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობათა გამოწვევას და განვითარებას ახალგაზრდებს შორის. ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის პირველ მომენტად მას მიაჩნია სამშობლოსა და ხალხის სიყვარული. ის ფიქრობს, რომ სამშობლოს სიყვარული ადამიანს აძლევს ძლიერ სულიერ ენერგიას, მატებს სიმხნევის, სიმამაცის და გამბედაობის გრძნობას,

ხდის მას საერთო საქმის ენთუზიასტად და მისაბაძ პიროვნებად. ეს ყოველი თვისება კი ძალზედ მნიშვნელოვანია ბავშვის აღზრდის პროცესში, რათა ბავშვი სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებული და გამოსადეგი პიროვნება გამოვიდეს. სამშობლოს სიყვარული ილიასთვისთავისუფლების სიყვარულთან ასოცირდება, ყველგან სადაც საუბრობს მამულისათვის თავდადებაზე, საუბრობს აგრეთვე „ძმობა-ერთობა-თავისუფლებისათვის“ თავგანწირვაზე და ქართველ დედასაც მოუწოდებს შთააგონოს ბავშვს „თავისუფლება-კაცთა ნავთსაყუდარი, ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი“. ის ამ მოტივის გაძლიერებას იცავდა ქართულ სკოლებშიც და მოითხოვდა: „მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი. ნუ გაურევთ სკოლის უწმინდეს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება“. [168, გვ. 157]. ის მოითხოვს ქართველ ქალთა აღზრდას პატრიოტული სულისკვეთებით: „ნურავინ ნუ დაიწყებთ, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით“. [168, გვ. 157].

ლ.ბოცვაძე ახალგაზრდობის დიდი მოამაგე და მშობლიური ქვეყნის პატრიოტი იყო, რომელიც აღვივებდა პატრიოტიზმის გრძნობას ახალგაზრდობაში, რასაც ნათლად ადასტურებს მისი ერთ-ერთი მოსწავლის, ცნობილი ქართველი მეცნიერის-აკადემიკოსის ნ. კეცხოველის მოგონებები მასზე: „ის იყო განათლებული პედაგოგი, განუწყვეტელი ექსკურსიების ჩამტარებელი. მან წაგვიყვანა ბეთანიას, საგურამოს, კრწანისს, აქ გვათქმევინა ლექსები. აქ გვიამბო საქართველოს ტრაგედიის ყველაზე საშინელი ფურცლები. მან შეგვაყვარა სამშობლო და აგვიხილა თვალი“. [179, გვ. 21-26].

ილია ჭავჭავაძე ენერგიულად იცავდა წიგნისა და ცხოვრების სინამდვილის მტკიცე კავშირის იდეას. არც წიგნი ვარგა ცხოვრებიდან მოწყვეტილი და არც ცხოვრება წიგნისა და ცოდნის გარეშე. ჭკუა და ცოდნა თითქოს „თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს“, ამბობს „ოთარაანთ ქვრივის“ არჩილი, რომლის პირითაც ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს შემდეგ ჭეშმარიტებას: „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“ („ოთარაანთ ქვრივი“). აქედან მარტივია მისი პოზიციის დანახვა. ილიას სურს რომ წიგნს პრაქტიკული ცოდნისკენ მიჰყავდეს მკითხველი.

ამ კონტექსტში არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს, რომლის კალამს ეკუთვნის ჩვენი ხალხისა და ახალგაზრდობისათვის უსაყვარლესი სახელმძღვანელოები და მეთოდური დარიგებანი: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“(1865 წელი), „დარიგება თუ როგორ უნდა წარიყვანოს მასწავლებელმა სწავლა ანბანში და პირველ წიგნში“(1872), „ბუნების კარი“(1868), „დედა ენა“(1876), რომელიც 1907 წლიდან 2 ნაწილად იქნა გამოქვეყნებული.

იაკობ გოგებაშვილი მშობლიური ენის შესწავლასთან ერთად სერიოზულ ყურადღებას აქცევდა რუსული ენისა და რუსი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-დაუფლებას, რეალური ცოდნით ახალგაზრდობის შეიარაღებას. მან ქართველი ახალგაზრდობის მიერ რუსული ენისა და კულტურის შესწავლის გასაადვილებლად ქართული დაწყებითი სკოლებისათვის შეადგინა და ორ ნაწილად გამოსცა „რუსკოე სკოლო“ და ასევე მასწავლებელთა დასახმარებლად გამოაქვეყნა დამხმარე სახელმძღვანელო.

მისი „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, არა მარტო სამშობლო ენის ცოდნას, არამედ საკმაო ზოგად განათლებასაც აძლევდა მოზარდ თაობას ჩვენი ქვეყნის ისტორიის,

მდიდარი ბუნების, გეოგრაფიული მდებარეობის, კულტურის ისტორიის, ხალხის ზნე-ჩვეულების და სხვა დარგში. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ წარმოადგენს მარად უკვდავ ძეგლებს, რომელზედაც მრავალი ათეული წლების განმავლობაში იზრდებოდა და კვლავაც აღიზრდება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა.მან მრავალგზის გადაამუშავა თავისის სახელმძღვანელოები, რათა ის სრულყოფილად გამოსაყენებელი ყოფილიყო როგორც მასწავლებლისთვის, ასე მოსწავლისათვის. რაც შეეხება „დედა ენის“ საკითხავ მასალას, ამ მხრივაც ის ნამდვილად ღირსების წიგნია. მან შეეცადა შეეთვისებინა სასიამოვნო სასარგებლოსათვის, რამაც შედეგი ნამდვილად გამოიღო და ძალიან მალე ის გახდა ყველასათვის საყვარელი სახელმძღვანელო. აღსანიშნავია 1913 წლის ჟურნალ „განთიადში“ დაბეჭდილი სტატია „რად მიყვარს დაუვიწყარი იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედა ენა“ სადაც ავტორი ჰყვება როგორ მოუკლა სწავლის წყურვილი სკოლის მასწავლებელმა თავისი არასწორი პედაგოგიური დამოკიდებულებით: „ ... კარგა ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან იმ მღვდლის (მასწავლებელი) ერთი მუგუზალსავით შავი დიაჩოქი (მედავითნე), მომცა ხელში პატარა, ხელის ოდენა ნაგლეჯი ქაღალდი, რომელზედაც ანბანი ეწერა და მრისხანებით მითხრა-„ხვალისათვის ეს ანბანი ისწავლეო!“, სწავლების ამ მეთოდმა ისე დამაფრთხო და შემაშინა, რომ მეორე დღეს დედაჩემს გადაჭრით გამოუცხადე-მე იმ მღვდლიაანთას აღარ წავალ მეთქი, დედმამასაც ძალა აღარ დაუტანებია და დავრჩი ანბანის უცოდინარი ... იქნებ სრულებით სკოლისგარეშეც დავრჩენილიყავი, როგორც ზოგიერთი ჩემი ბიძაშვილები, რომ ძვირფასი იაკობი არ მომვლინებოდა მხსნელად...“. [88, გვ. 112]. ავტორი ჰყვება თუ როგორ მოისმინა ერთხელ დედაენიდან წაკითხული ზღაპარი „ჩიტი და მელა“ რომელმაც კვლავ გაუჩინა სწავლის სურვილი და იმის სურვილი რომ თავად წაეკითხა ზღაპრები და როგორ დაუბრუნდა ის ახალ სკოლას და დაიწყო სწავლა.

იაკობ გოგებაშვილი დიდი სიფრთხილით არჩევდა სახელმძღვანელოების თემატიკას და სწორედ ამიტომ იყო ისინი ასე ღირებულნი. ის არ ივიწყებდა, რომ „დედა ენა“ პირველ ყოვლისა, ქართული ენის სახელმძღვანელო იყო და მასში შეტანილი მხატვრული მასალის უმთავრეს ამოცანაა სწორედ ამ ენის შესწავლა და მისადმი პატრიოტული სიყვარულის შექმნას წარმოადგენდა, თუმცა ის ასევე არ ივიწყებდა, რომ ეს სახელმძღვანელო მოსწავლეთა გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საშუალებათაც უნდა გამომდგარიყო. სხვა მრავალ ღირებულებებთან ერთად აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის რელიგიური ტოლენანტობა. მან „დედა ენის“ პირველ ნაწილში რელიგიური ხასიათის მასალა მთლიანად ამოიღო, რათა მაჰმადიან და კათოლიკე ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს შეძლებოდათ მისი გამოყენება, მაგრამ „დედა ენის“ მეორე ნაწილს დაურთო სასულიერო განყოფილება, რომელიც შეიცავდა რელიგიური ხასითის მოთხრობებსა და ლექსებს, ხუცურ ანბანსა და ლოცვებს. ეს არ იყო არა მართლმადიდებელთათვის. ამ საქციელით მან დაანახა საზოგადოებას, რომ რელიგიური ტოლერანტობა არ უნდა იქნეს გაგებული საკუთარი რწმენის უგულებელყოფით, რადგანაც თუ საკუთარის დაფასება არ შეგიძლია, მაშინ სხვის რწმენასაც ვერ სცემ პატივს. ის ასევე ამ ფაქტს ასაბუთებს შემდეგნაირად: „წინათ ანბანში ერია ელემენტი მართლმადიდებელის ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა გამაჰმადიანებულს ქართველებსა, ქართველ ურიებს და თვით ქართველ კათოლიკეთაც ეხმარათ ეს ანბანი. ოც-დაპირველ გამოცემაში ეს ელემენტი გამოვტოვეთ და ამით შესაძლებლად გავხადეთ ანბანის ხმარება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“. [30]. ამგვარად, იაკობ გოგებაშვილს სრული სიმართლით შეეძლო ეთქვა: „დედა ენა“ ყველა

მოწაფეს ავითარებს და ზრდის როგორც ქართველს ადამიანს საზოგადოდ.“ [30]. მთავარია არა სარწმუნოება, არამედ ეროვნება.

რუსული ენის ცოდნას იაკობ გოგებაშვილი თვლიდა „უდიდეს სიკეთედ ყველა კავკასიელთათვის, რადგანაც ის აძლევს მათ შესაძლებლობას... ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას... რაც შეეხება, კერძოდ რუსულ ენასა ჩვენთვის, ქართველთათვის, მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. პირველად იგი არის სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ხალხისათვის, მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიოს ენისა, მესამედ იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი“. [31, გვ. 45-46] . სწორედ ამ ყოველივემ მიიყვანა იაკობ გოგებაშვილი „რუსკოე სლოვოს“ შექმნამდე.

ჟურნალში „განათლება“ ბევრჯერ დაიბეჭდა წერილები სახალხო სკოლებში რუსული ენის სახელმძღვანელოს შესახებ, ეს კარგა ხანი იდგა პრობლემად, ზოგი პედაგოგი სიხარულით შეხვდა რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვოს“, ზოგი კი თავს არიდებდნენ მათ გამოყენებას. „... სკოლის მასწავლებლები, რომელთა უმეტესობას ჩვენში ქალები შეადგენენ, ხშირად ცვლიან რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნებს, მაგრამ დღემდის ვერ მიუგნიათ საუკეთესოსათვის და ან ვერ არჩევენ ერთმანეთში უვარგისსა და უკეთესს... ჩვენში ჯერ კიდევ ყველას ვერ შეუგნია საკმარისად, რომ ჩვენებურის დასაწყისის სკოლებისათვის კარგა ხანია გვაქვს პედაგოგიურად შედგენილი, საუკეთესო პედაგოგებისა და მეცნიერთა მიერ მოწონებული სახელმძღვანელო რუსული ენისა ჩვენი მხცოვანი პედაგოგის ბ-ნის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „რუსკოე სლოვოს“ პირველი და მეორე ნაწილი, რომელსაც ზოგიერთი ჩვენებური ყველაფრის უცხოს მოტრფიალე „პედაგოგიჩკა“ ისე როგორც თათარი ან ურია ღორის ხორცს გაურბის. მერმე აქვთ კი რაიმე საბუთი, ან საღი პედაგოგიური მოსაზრება, რომ ასე იქცევიან?“. [87, გვ. 388-389].

1908 წლის ჟურნალში „განათლება“–„რუსკოე სლოვო“ ასეა მოხსენიებული: „ყოველი გონიერი მასწავლებელი, ვინც კი პედაგოგიურის თვალსაზრისით გადაშინჯავს ხსენებულ სახელმძღვანელოს, დარწმუნდება მის მრავალ ღირსებაში. ასეც არის დაფასებული ეს წიგნი მიუდგომელის პედაგოგიური პრესის მიერ რუსეთში, სადაციგი აღიარეს არამც თუ საუკეთესო სახელმძღვანელოთ არა რუსთა სკოლებშირუსული ენის შესასწავლად, არამედ ერთად ერთ სახელმძღვანელოდ, რომელიც შედგენილია თანახმად აწინდელის მეთოდიკის მოთხოვნილებისა“. [82, გვ. 173].

ლუარსაბ ბოცვაძე, სავსებით სწორად განსაზღვრავს წიგნის როლს სწავლა-აღზრდის პროცესში და სამართლიანად იბრძვის ერთის მხრივ, იმათ წინაშე, რომლებიც წიგნის როლს ამცირებდნენ, მეორეს მხრივ კი იმათაც ებრძვის ვინც სასკოლო მუშაობას მხოლოდ წიგნის გამოყენებით აწარმოებენ. იგი სამართლიანად იბრძვის სწავლების ისეთი წესების წინააღმდეგ, სადაც ცოდნის შეძენაში წიგნის როლი დამცირებულია. „არ შეიძლება განვდევნოთ სახელმძღვანელო წიგნები, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ამ წიგნებიდან მოწაფეები შეუგნებლად ზეპირობდნენ რასმე და არ ქონდეთ ცხადი წარმოდგენები ყოველის სიტყვის, აზრისა და საგნის მნიშვნელობის შესახებ...“. [83, გვ. 421-423].

საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკის განმარტება, რომელიც მას სწორად აქვს წარმოდგენილი. პედაგოგიკის პირველი და მასთან სწორი განმარტება ილია ჭავჭავაძის მიერ ჩვენ გვხვდება დოკუმენტებში, რომლებშიც ის იძლევა ახალი თაობის

აღზრდის მიზნებისა და მნიშვნელობის პირველ და ამასთან სავსებით სწორ განმარტებას 1863 წელს მის მიერ დაწერილ წინასიტყვაობაში, რომელიც მან დაწერა გერმანელი პედაგოგის ხრისტიან ჰოტგილფ ზალცმანის „კონრად კიფერის“ ქართული გამოცემისათვის. ამ წინასიტყვაობაში ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად განმარტავს პედაგოგიკის საგანს: „პედაგოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს: ყმაწვილის აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ“. [103, გვ. 49]. აქ სწორადაა მოცემული პედა-გოგიკის, როგორც ტერმინის, ლინგვისტური წარმოშობა, ისე აგრეთვე სავსებით სწორა-დაა მოცემული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ზოგადი დეფინიცია. ამავე წინასიტყვაობაში ილია ჭავჭავაძე გვაძლევს პედაგოგიკის მეორე განმარტებას, რაც ბუნებრივია პირველის არსებით განმეორებას წარმოადგენს. იგი ეხება საკითხს, რომ ჩვენში ძალიან სუსტადაა გავრცელებული პედაგოგიური განათლება, რომ აღზრდის შესახებ ჩვენში არაფერი იწერება. ის აღნიშნავს: „ჩვენში ... ძლიერ ცოტამ იცის, რომ არსებობს მეცნიერება პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“. [103, გვ. 49].

გაბრიელ ეპისკოპოსს პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, არ განუმარტავს, მაგრამ მის შემოქმედებაში ბევრი საინტერესო მოსაზრებაა ბავშვთა და მოზარდთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე. მისი პედაგოგიური მოძღვრება, რომლის საფუძველია ქრისტიანობა, წარმოადგენდა და წარმოადგენს, საერო და სასულიერო განათლების სისტემის, სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკის გაუმჯობესების საშუალებას. [5, გვ. 19]. ისიც, როგორც დანარჩენი ქართველი განმანათლებლები მომავალს სწორედ ჩვენს ახალგაზრდა თაობაში ხედავდნენ, სწორედ მათი იმედი ჰქონდათ და ფიქრობდნენ რომ მათ მართლაც შეეძლოთ ღირსეული მომავლის შექმნა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო რომ სწავლა-განათლება წარმართული ყოფილიყო წინასწარგანზრახულად და დაგეგმილად.ის მოსწავლე-ახალგაზრდობას უქადაგებდა ქრისტიანობის უდიდეს მწიგნობრულ-განმანათლებლურ როლზე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, იმაზე, თუ როგორ იცავდნენ ქართველები თავიანთ ქვეყანას, რასაც აღწევდნენ მაღალი რწმენით, ზნეობითა და სამშობლოსადმი ერთგული სიყვარულით: „სარწმუნოებათა თვისთა გამხნევებელთა, მათ, არა თუ დაიცვეს თავისი ქვეყანა ეკლესიები უცხოთა მტერთაგან, არამედ გააჩინეს მწიგნობრობა და მწერლობა, გადმოსთარგმნეს საღმრთო წერილი დაწერილი წმიდათა მამათა, დააწესეს საკუთარ ენაზე წირვა, ლოცვა და მწერლობა“. [11, გვ. 356].

გაბრიელ ეპისკოპოსი ქრისტიანული აღზრდის შემომღებიცაა. ის ნორჩი თაობის აღზრდას რელიგიური თვალსაზრისით დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ თვლიდა. იგი საგანგებო მნიშვნეობას ანიჭებდა რელიგიურ ღირებულებათა წვდომას. მან მოგვცა რელიგიის სწავლებისა და რელიგიური აღზრდის საუკეთესო ნიმუშები,კერძოდ: „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველი“ და „ქადაგებანის“ ორტომეული. მისთვის მორწმუნე ადამიანად ითვლება ის ვისაც სხვაზე გული შესტკივა და მინც საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება და არა ის ვინც ფორმალურად ასრულებს საეკლესიო რიტუალებს. მისი აზრით მორწმუნე არ არის ის პიროვნება რომელიც მხოლოდ სიტყვით აღიარებს ღმერთს, ისე კი უღმერთო და ცუდ საქციელს ჩადის. მისთვის მორწმუნე ადამიანი ზნეობრივად მაღლა დგას.

ამრიგად XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი განმანათლებლები, როგორებიც იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ლუარსაბ ბოცვაძე, დიმიტრი უზნაძე, ვაჟა ფშაველა, ილია წინამძღვრიშვილი, შიო ჩიტაძე, და

მრავალი სხვ. რომლებიც ქადაგებდნენ სამშობლოს სიყვარულს, ქართული ენის დაცვისკენ მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას, ცდილობდნენ მათ პატრიოტული სულით აღზრდას და ებრძოდნენ გამარუსებელ პოლიტიკას. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ცოდნის დაუფლებას და ილაშქრებდნენ უმეცრების წინააღმდეგ. ისინი იზიარებდნენ ხალხურობის პრინციპს და სკოლის დაკავშირებას ცხოვრებასთან. წინა პლანზე აყენებდნენ ზნეობრივ, გონებრივ, ფიზიკურ და შრომით აღზრდას. მოითხოვდნენ ქონებრივი და წოდებრივი პრივილეგიების მოსპობას. დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ქალის როლს საზოგადოებაში და ასევე მათი განათლების საკითხს, საუბრობდნენ მასწავლებლის როლზე თუ რა ვალდებულებები და მოვალეობები აკისრია მათ და მრავალი სხვ. რაც ნამდვილად დიდი ნახტომი იყო არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთლიანად ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიაში.

I თავის დასკვნები

- XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ყველაზე მასობრივი სასწავლებლები საეკლესიო-სამრევლო სკოლები იყო. თავიდან ისინი საქალაქო ტიპის დასახლებების სკოლებთან იქმნებოდა. ქუთაისში საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მათ უმრავლესობაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. პირველდაწყებითი სასწავლებლების რაოდენობამ ქუთაისის გუბერნიაში 1901-1902 წლისათვის 223-ს მიაღწია. მაგრამ ამავდროულად სასკოლო ასაკის ბავშვთა ორ მესამედზე მეტი მაინც სკოლისგარეშე რჩებოდა.
- საქართველოში არსებულ სასულიერო სასწავლებლებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს (დაარსდა 1821 წელს). სასწავლებელმა ბევრი არაკეთილგანმწყობილი ზედამხედველი გამოიცვალა, მაგრამ მას შემდეგ რაც ეპარქიას სათავეში ჩაუდგა გაბრიელ ეპისკოპოსი, მდგომარეობა სასულიერო სასწავლებელში სასიკეთოდ შეიცვალა. გაბრიელ ეპისკოპოსს უკავშირდება ამ სასწავლებელში 1891 წელს „წმინდა დავით აღმაშენებლის ძმობის“ შექმნა. ის ძირითადად მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო-საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა. დიდი მეფის სახელი მოსწავლეებს ეროვნული ტრადიციებისადმი მიდრეკილს ხდიდა, ქართველობას შეახსენებდა და მომავლისადმი იმედიანად განაწყობდა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი მოსწავლეთა მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი სასწავლებელი იყო სასულიერო სასწავლებელთა შორის საქართველოში. მან მრავალრიცხოვანი კადრი გაუზარდა საქართველოს. მათ შორის იყვნენ: გალაქტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, სამსონ ყიფიანი, გიორგი იოსელიანი (წყალტუბოელი) და მრავალი სხვა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენის სასწავლო სისტემაში დაბრუნებისა და მტკიცედ დანერგვაში. აქ, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების გაძლიერების მიზნით, პირველად, რუსი ეროვნების მასწავლებლებს მოეთხოვათ შეესწავლათ ქართული ენა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა ხელი შეუწყო ახალგაზრდობას თავისუფლად აზროვნების ჩამოყალიბებასა და ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად იქცა საქართველში.
- 1894 წლის 18 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ინიციატივით გაიხსნა ქუთაისში სასულიერო სემინარია. სწავლის ხანგრძლივობა სემინარიაში ექვსი წელი იყო. ოთხი კლასი საშუალო განათლებას აძლევდა მოსწავლეებს. მეხუთე და მეექვსე კლასებში კი საღვთისმეტყველო სპეციალურ განათლებას ღებულობდნენ. მეხუთე კლასი გაიხსნა 1899 წლის 1 სექტემბერს, სადაც სასწავლო გეგმის მიხედვით დაიწყო პედაგოგიკის სწავლება. საჭირო გახდა ასევე სანიმუშო სკოლის გახსნაც. აღსანიშნავია, რომ 1900 წლისათვის სემინარიას უკვე დასრულებული ექვსკლასიანი სახე ჰქონდა. სემინარიამ მხოლოდ 10 წელი იარსება. თითქმის 12 წლის შემდეგ, 1916 წელს, ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტმა პიტირიმმა ქუთაისის სასულიერო სემინარია განაახლა. ერთ წელიწადში, 1917 წელს, სასულიერო სემინარიამ თავისი არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა. 1995 წელს უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომელიც მისი დამაარსებლის-გაბრიელ ეპისკოპოსის, სახელს ატარებს.

- დასავლეთ საქართველო რელიგიური სკოლების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში არსებობდა კათოლიკური სკოლები, სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო-სამრევლო სკოლები, ებრაული სამრევლო სკოლები ქუთაისის სინაგოგასთან. კათოლიკეები ცდილობდნენ მრავლად გაეხსნათ სკოლები, მაგრამ მათი მიზანი იმდენად განათლების მიღება არ იყო, რამდენადაც კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება.ყველა კათოლიკურ ეკლესიასთან, სხვადასხვა დროს, გახსნილი იყო კათოლიკური სამრევლო სკოლები. 1913 წელს ქუთაისში დაარსდა ბერძენთა ორკლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლა „ათინა“. ყოველწლიურად ამ სკოლაში საშუალოდ 40-60 მოსწავლის ჩარიცხვა ხდებოდა. სწავლება მიმდინარეობდა ბერძნულ, რუსულ და ქართულ ენაზე. 1917 წელს ეს სკოლა გადაკეთდა ოთხკლასიან სასწავლებლად. სკოლას მზრუნველობას უწევდნენ ბერძნებიც და ქართველებიც.
- მეოცე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ბევრი ქალთა სასწავლებელი იყო, მათ შორის გამორეული იყო მარიამ ყაუხჩიშვილის მიერ ქუთაისში 1903 წელს გახსნილი კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია პროფესიონალური განყოფილებით. სასწავლებელში სწავლა-აღზრდის საქმე სანიმუშოდ იყო დაყენებული. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს უფლება ეძლეოდა გაეგრძელებინა სწავლა მთავრობის გიმნაზიაში. მარიამმა შეძლო 1908 წელს სასწავლებელში მეხუთე კლასი გაეხსნა, შემდეგ თანდათანობით თითო კლასი ემატებოდა და როდესაც სრული გიმნაზიის კლასები დაკომპლექტდა, მარიამმა შუამდგომლობით მიმართა მთავრობას გიმნაზიის გახსნის ნებართვისათვის. მთავრობის კომისიამ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნოდა ის დაამტკიცა ქალთა კერძო გიმნაზიად და მიანიჭა მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი. სკოლას მოსწავლეთა საკმაო დიდი კონტინგენტი ჰყავდა. გიმნაზიაში სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა იმ დროს, როდესაც ოფიციალურ სასწავლებელში ქართული ენა და ლიტერატურა იდევნებოდა. მაგრამ „ყაუხჩიშვილის გიმნაზიაში” ამ საგანს წამყვანი ადგილი ჰქონდა. ამ სკოლაში საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ, რასაც ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია დიდად აფასებდა. მარიამმა გერმანიიდან გამოიწერა ფიზიკისა და ბიოლოგიის სრული სასწავლო კაბინეტი, სასწავლებელს შეუქმნა ქართული და რუსული გამოცემებით მდიდარი ბიბლიოთეკა. მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებასთან ერთად, მარიამ ყაუხჩიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა მოსწავლეთა შრომით აღზრდას. მას სასწავლებელში მოწყობილი ჰქონდა ჭრა-კერვის სახელოსნო. ამ სახელოსნოში მოსწავლე გოგონები თავად იკერავდნენ სკოლაში სატარებელ ტანსაცმელს.
- წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი ქალთა პირველი სკოლა იყო ქუთაისში. (დაარსდა 1847 წელს). სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ჩვენი აზრით სასწავლებლის წარუმატებლობის მიზეზი ის იყო, რომ სწავლა-აღზრდა არ იყო დაფუძნებული ეროვნულ საწყისებზე. საარქივო მასალებიდან ირკვევა 1913-1914 წლებში ისწავლებოდა რუსული ენის მეთოდიკა, კერძოდ კომენსკის „დიდაქტიკა“, „ემილი“, „ლინერდი და გერტრუდა“ და ა.შ. მოსწავლეები გადიოდნენ პედაგოგიკის კურსსაც. სასწავლებელი 1889 წლიდან იწოდება წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიად, 1921 წლიდან მესამე ჰუმანიტარულ ტექნიკუმად, 1924 წლიდან-ცენტრალურ საჩვენებელ სკოლად,

1995 წლიდან სასწავლებელი ისევ წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიად, ამჟამად ის ქუთაისის N3 საჯარო სკოლაა.

- გაბრიელ ეპისკოპოსმა 1892 წელს დაარსა ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი სამწლიანი სასწავლო პროგრამით. რომელმაც 1921 წლამდე იარსება. სასწავლებელში ისწავლებოდა დიდაქტიკა და მეთოდიკა. დიდაქტიკას კვირაში ორი საათი ჰქონდა დათმობილი. ეს გარემოება მეტად საგულისხმოა, მოსწავლეთა დაოსტატებას მომავალ მასწავლებლებად განსკუთრებული ყურადღება ექცეოდა. 1890 წელს სამკლასიანი სასწავლებლები ექვსკლასიანად გადაკეთდა. სკოლა ამზადებდა სამრევლო სკოლის მასწავლებლებს, ამიტომ პედაგოგიური პრაქტიკისათვის ერთი წელს უთმობდნენ. 1907 წლისათვის ამ მიზნით გაიხსნა მე-7 კლასი, რომელიც პედაგოგიურ კლასად იწოდებოდა და იგი კურსდამთავრებულს აძლევდა სამრევლო სკოლის მასწავლებლობის უფლებას.
- ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი 1894 წელს გაიხსნა. მის მთავარ ამოცანა იყო ახალგაზრდებისათვის მიეცა სასოფლო-სამეურნეო განათლება მევენახეობაში, მებოსტნეობაში, მეაბრეშუმეობაში, მეფუტკრეობასა და სხვ. დარგებში. სასწავლებელში მიიღებოდა 16-17 წლის ახალგაზრდები. სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სასწავლებელი ოთხწლიანი იყო, ერთი მოსამზადებელი და სამი ძირითადი კლასით. სკოლას გააჩნდა ღვინის სარდაფი, ორი საფუტკრე, კარგად მოწყობილი მეტეოროლოგიური სადგური, სადაც მოწაფეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ საერთო და ფენოლოგიურ დაკვირვებებს. მასში ძირითადად პრაქტიკული მეცადინეობები იყო. საკლასო მეცადინეობა ძირითადად ტარდებოდა ზამთრში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა და მუშაობა კი წლის დანარჩენ დროს. რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, ნიშნები იწერებოდა შესრულებული სამუშაოს შედეგის მიხედვით. ისინი გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას ამოწმებდნენ სკოლის მეურ-ნეობაში პრაქტიკულად მუშაობის დროს. კურსდამთავრებულებს გამოსაშვები გამოცდების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში უნდა გაევლოთ პრაქტიკა, რომელიმე მამულში. მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ ისინი ატესტატს. პრაქტიკის გავლა ძირითადად ხდებოდა აჯამეთში. პრაქტიკის დასასრულს კურსდამთავრებულს ვრცელი ანგარიში უნდა წარედგინა პედაგოგებისათვის. სასწავლებელს დიდი ღვაწლი დასდო იაკობ მარმა. მისი ინიციატივით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა საცდელი ნაკვეთითა და სანერგეებით. იაკობ მარის ხელმძღვანელობით მოეწყო ქუთაისის ბულვარის ბაღი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ცდებს, რომლებსაც სუბტროპიკული კულტურების განვითარებას და გავრცელებას აწარმოებდა. ამ კულტურებს იგი იწერდა საზღვარგარეთიდან. იაკობ მარი იყო საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების პიონერი და ინიციატორი. ამ საქმეში მისი ღვაწლი განუზომელია. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში 1920 წლამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, დარჩა სამწლიანი სასწავლებლად, ორი მოსამზა-დებელი კლასით. 1917-1918 წლებიდან სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. 1920 წელს ეს სასწავლებელი სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლად გადაკეთდა ორი განყოფილებით: მემინდვრეობა და მებოსტნეობა. 1921-22 წლებში მას უწოდებდნენ მეექვსე ტექნიკუმს, 1922 წლის მარტიდან-ქუთაისის სამეურნეო ტექნიკუმს, 1924 წელს- ქუთაისის აგროტექნიკუმს, 1925 წლიდან-ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. ამ სასწავლებელმა თავისი

არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია საქართველოს სოფლის მეურნეობას, ასეულობით კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებითა და აგრონომიული ცოდნის გავრცელების ძლიერ საჭირო საქმეში.

- გიმნაზიებში საპატიო ადგილი უჭირავს ქუთაისის სათავაზნაურო გიმნაზიას, რომელიც თავდაპირველად ორი განყოფილებით გაიხსნა, ხოლო 1881-1882 წლებში მესამე და მეოთხე განყოფილებაც დაემატა. კონტინგენტის ზრდასთან დაკავშირებით პარალელური განყოფილებებიც გაიხსნა. 1884 წლამდე სკოლას თანმიმდევრობით ემატებოდა პროგიმნაზიული კლასები, ხოლო 1885 წელს მან სრული პროგიმნაზიის სახე მიიღო. კურსი ითვალისწინებდა რვაწლიან სწავლებას. აქედან ოთხი მოსამზადებელ განყოფილებას ეჭირადა ოთხი წელი პროგიმნაზიულ კლასს ეკუთვნოდა. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, 1905 წლის 2 თებერვალს, განათლების მინისტრის გლაზოვის ნებართვის შედეგად, სკოლა გადაკეთდა გიმნაზიად, რაც უკვე იმას ნიშნავდა რომ აქ განათლებამიღებულებს მიეცემოდათ სიმწიფის ატესტატი, უნივერსიტეტში შესვლის უფლებით, რაც ნამდვილად დიდი და მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ქართული საზოგადოებისათვის.
- ქართული სათავაზნაურო გიმნაზიის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს იოსებ ოცხელს. რომელიც 1901 წელს ქშწკ გამავრცელებელმა საზოგადოებამ იაკობ გოგებაშვილის მითითებით, ქუთაისის სათავაზნაურო ქართული სკოლის ხელმძღვანელად დანიშნა. მან შემოიკრიბა პროგრესულად მოაზროვნე პედაგო-გები და ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი შექმნა. მათ შორის იყვნენ: გ.ცაგარეიშვილი, დ.უზნაძე, გ.ახვლედიანი, ს.ოცხელი, ი.ნიკოლაიშვილი და სხვ. სწორედ ამ შესანიშნავ პედაგოგთა ინიციატივით ქართულ გიმნაზიაში დაარსდა საკვირაო სკოლა, რომელიც 1910 წელს სახალხო უნივერსიტეტად გადაკეთდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქუთაისის ყოფილი ქართული გიმნაზია ატარებდა სოციალურ-ჰუმანიტარული ტექნიკუმის სახელწოდებას. სკოლას აკაკი წერეთლის სახელი მიენიჭა 1940 წელს. შემდეგ მან რამდენიმე სახეცვლილება განიცადა და ბოლოს, დიდი ხნის მანძილზე ის მეორე საშუალო სკოლად იწოდებოდა, დღესდღეობით კი, ის ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზიად იწოდება. თავად იოსებ ოცხელის მოღვაწეობა მრავალმხრივობით გამოირჩეოდა, ის ასწავლიდა არა მარტო სკოლაში, არამედ მან დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში 1892 წელს ქუთაისში გახსნა პირველი „ქართული საჩვენებელი ბაღი მოსამზადებელი კლასით“, რომელმაც იარსება 1903 წლამდე.
- ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი საერო ხასიათის სკოლა ქუთაისში 1830 წელს დაარსებული სამაზრო სასწავლებელი იყო. 1850 წლის თებერვალში სამაზრო სასწავლებელი, ქუთაისის გუბერნიის შექმნასთან დაკავშირებით, საგუბერნიო გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზია რვაკლასისაგან შედგებოდა. სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. კლასიკურმა გიმნაზიამ მრავალი ცნობილი პირი და საზოგადო მოღვაწე გაზარდა, მათ შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, იოსებ ოცხელი, დიმიტრი უზნაძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი ხორავა და მრავალი სხვ.

- ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაარსდა 1897 წელს და აქცენტს ძირითადად შრომით აღზრდაზე აკეთებდა. სასწავლებელს ჰქონდა შვიდი კლასი, სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სასწავლო გეგმაში ძირითადი ყურადღება ეთმობა საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ საგნებს, რომელიც მთავარ საგნებად ითვლებოდა და პედაგოგიური კოლექტივიც ამ მხრიც საკმაოდ ძლიერი იყო.1921 წლიდან ქუთაისის რეალური სასწავლებელი გადაკეთდა მე-4 ტექნიკუმად. რეალურმა განათლებამ დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ახალგაზრდობის სწავლებისა და განათლების საქმეში.
- 1908 წელს ქუთაისში გაიხსნა კერძო სასწავლებელი, ე. წ. „მკურნალის გიმნაზია“ (კონსტანტინე მკურნალის ვაჟთა კერძო „გიმნაზია“). მეცადინეობა მიმდინარეობდა კლასიკური გიმნაზიის პროგრამით. სკოლის ფორმებიც კი სულ მცირედით განსხვავდებოდა გიმნაზიელთა ფორმებისაგან. სასწავლებელი დასაწყისისათვის ხუთკლასიანი იყო, შემდეგ რვაკლასიანად გადაკეთდა. მაგრამ სკოლა ვერ გახდა გიმნაზიის ტოლფასი, რაც სკოლადამთავრებულს არ აძლევდა უფლებას უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ კ.მკურნალი ეხმარებოდა მოსწავლეთა ნაწილს ექსტერნის წესით ჩააბარებინა გამოსაშვები გამოცდები ანაპისა და როსტოვის გიმნაზიებში, ხოლო ნაწილს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამამთავრებელ კლასებში გააგრძელებინა სწავლა. კონსტანტინე მკურნალის სასწავლებელში მუშაობდნენ დიმიტრი უზნაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, გიგო ნათაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, ლეო ანთაძე და მრავალი სხვ.
- 1915 წელს კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის თაოსნობით ქუთაისში გაიხსნა ვაჟთა რვაკლასიანი კომერციული სასწავლებელი. მისი მიზანი იყო მოსწავლეთათვის ზოგადი და კომერციული საშუალო განათლების მიცემა. კომერციული სასწავლებელი უშუალოდ ემორჩილებოდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. სასწავლებელში მიღების უპირატესობით სარგებლობდნენ ვაჭართა საზოგადოების წევრთა შვილები. სასწავლებელთან გაიხსნა პანსიონი, აქვე შეიქმნა ბიბლიოთეკაც, ფიზიკის კაბინეტი, სანიმუშო საგნების მუზეუმი, ლაბორატორია-მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის ქიმიასა და საქონელმცოდნეობაში, ისტორიის, გეოგრაფიის, ხაზვის, ბუნებისმეტყველების, ტანვარჯიშისა და სხვ. სასწავლო დისციპლინების კაბინეტები. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 8 წლით.
- ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების დახმარებით 1880 წლის 3 თებერვალს ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა სააზნაურო მოსამზადებელი სკოლა. 1884 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ ძველ სენაკში გახსნა ქართული სკოლა. სკოლის დაარსება 1884 წელს ზეიმით აღინიშნა და საკმაო თანხაც შეგროვდა სკოლისათვის შენობის ასაგებად, რამაც შედეგი გამოიღო და 1885 წლის 27 ოქტომბერს სასწავლებლი უკვე ახალ შენობაში აგრძელებდა არსებობას. 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა ბათომის სკოლა. 1882 წელს ბათომის სკოლის გამგედ და მასწავლებლად დაინიშნა მოსე ნათაძე, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია სკოლას. აქ რუსული ენა ისწავლებოდა მეორე განყოფილებიდან. ბათომის სკოლის დაარსების მიზანი ყველასთვის ცხადი და გასაგები იყო. ამ სკოლაში დაწყებითი განათლება უნდა მიეღო ქართველ მაჰმადიანებს და სკოლა უნდა გამხდარიყო ქართული კულტურის გამამტკიცებელი ქართველ მაჰმადიანთა შორის, მაგრამ სკოლა მრავალი მიზეზის გამო ბოლომდე ვერ ასრულებდა

დაკისრებულ მოვალეობას, სწორედ ამიტომ არაერთხელ დასმულა საკითხი ამ სკოლის დახურვის შესახებ. ბათომის სკოლა მაინც აგრძელებდა მოღვაწეობას, ამ სკოლის შესახებ ივ. მაჩაბელი ამბობდა: „ბათომის სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომლის სარგებლობა ფულით არ განიზომებაო“.

- კავკასიაში მართმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები დასავლეთ საქართველოში არსებობდა: ოქუმში, დიხაზურგაში, გუდავაში, საბედიოში, საბერიოში, ლიხნში, ოჩამჩირეში, გუპში, ახალ ათონში და ჭილოვში. 1863 წელს სოხუმში გაიხსნა მთიელთა სკოლა პანსიონით. პანსიონი ძირითადად მთიან აფხაზურ სოფლებში მცხოვრები ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი. 1874 წელს სოხუმის მთიელთა სკოლაში 80 ბავშვი სწავლობდა. სკოლის მზრუნველი სამხედრო განყოფილების უფროსი იყო. სამურზაყანოს მკვიდრნი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდნენ სწავლისადმი.
- დასავლეთ საქართველოში სამასწავლებლო სემინარია დაარსდა 1881 წელს, რომელსაც ეწოდა „სამასწავლებლო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში (დაბა ხონში). სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 3-4 წლით. 1905 წელს გაიხსნა მეოთხე კლასიც. სემინარიაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სემინარიაში არსებობდა დაწყებითი სკოლა, რომელიც შედგებოდა სამი განყოფილებისაგან და საბაზო სკოლის როლს ასრულებდა. აქ ხდებოდა მომავალი სახალხო მასწავლებლების სწავლების მეთოდებსა და ხერხებში დახელოვნება-გაკვეთილების მოსმენა და მათზე დაკვირვება, საცდელი გაკვეთილების გადაცემა. სემინარიაში ერთ-ერთ ძირითად საგანს პედაგოგიკა წარმოადგენდა. მას, როგორც წესი, დირექტორი ან წამყვანი მასწავლებლები ასწავლიდნენ. მისი სწავლება იწყებოდა მეორე კლასში და მთავრდებოდა მესამეში. სემინარიაში მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობის სხვადასხვა დარგების დაუფლების საქმე. სემინარიელები სწავლობდნენ წიგნების აკინძვას, ხარატობას, დურგლობას. ამისათვის მათ განკარგულებაში იყო საჭირო დაზგა-დანადგარები, სკოლის პირობებისათვის სრულყოფილი სახელოსნო.
- სოხუმის სამასწავლობლო სემინარიის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ნიკოლოზ ჯანაშიას (დაარსდა 1915 წელს). სამასწავლებლო სემინარიაში ნაციონალიზაციის დებულების საფუძველზე შემოღებულ იქნა ეროვნული საგნების სწავლება მშობლიურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის მოსწავლეთა შორის ქართველები მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, სასწავლო ადმინისტრაციის მიერ შემოღებულ იქნა მხოლოდ აფხაზური ენის სწავლება, რის გამოც ქართველი ახალგაზრდები მშობლიური ენის სწავლების გარეშე დარჩნენ.
- რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სახალხო განათლების წინააღმდეგ ბრძოლა, ქართული ენის შეზღუდვა, მისი გაუქმება და ამოღება სკოლებიდან. დედაენის შეზღუდვა და გაუქმება უპირველეს ყოვლისა დაწყებით სკოლებში ხორციელდებოდა, რათა მომავალ თაობას აღზრდის დასაწყისშივე დაეკარგა სამშობლო ენა. სწორედ ამიტომ რუსეთმა პირველი რაც გააკეთა ეროვნული გადაგვარებისათვის ეს იყო იერიში ქართულ ენაზე. რისთვისაც მათ რუსული ენა დაწყებით სკოლებში შემოიღეს და „მუნჯური“ მეთოდით ასწავლიდნენ. მეფის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა სკოლებში სასწავლო საგნებიდან ამოეღო ქართული ენა, იგონებდა ახალ-ახალ მეთოდებს რათა დაემტკიცებინა მისი არასაჭიროება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავია „ნათიევის მეთოდი“. ქართული ენის დევნა-შევიწროება

განსაკუთრებული სიმძაფრით სამეგრელოში გამოვლინდა. 1889 წელს რუსული ანბანიდან მეგრული ანბანი შეთხზა აშორდიამ. ლევიცკიმ თადა აშორდიას საშუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები და ლექსები ჩააწერინა. ეს სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო ფართოდ გამოყენებადი სამეგრელოს სკოლებში. ლევიცკიმ თ. აშორდიას დაავალა „ეთარგმნა“ საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. მაგრამ მსგავს უხამსობას თვით სამეგრელოში მცხოვრებნიც კი არ შეეგუენ და დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოხატეს არამკითხე ჭირისუფლების მიმართ. მალევე გაჩნდნენ „წმინდა მამებიც“, რომ-ლებმაც იკისრეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე ახალი ანბანით გადათარგმნა. მეგრულ ენაზე ზოგიერთი ლოცვა გადათარგმნილ იქნა, მაგრამ თარგმანი შეუფერებელი და მიუღებელი აღმოჩნდა ხალხისთვის, იმდენად შეუფერებელი რამ იყო, რომ თვით სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ უარყო მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა დაემტკიცებინა ქართული ენის არასაჭიროება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სასწავლებელში ქართველთა რიცხვი სხვა ეროვნებათა რიცხვს აჭარბებდა-ცდილობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართველი მოწაფეები ქართველებად არ ეცნოთ, რათა თავიდან აეცილებინათ ქართული ენის სწავლების საჭიროება. რუსეთის მთავრობა სახალხო განათლების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს უშუალოდ სკოლების და მასწავლებლების დახმარებით, სკოლაში გამეფებული იყო ადამიანისთვის დამამცირებელი მეთოდი, თვალყურის დევნა, აბუჩად აგდება, როზგი, თმის აგლეჯვა და ა.შ. ეს ყოველივე ემსახურებოდა იმას, რომ მეფის რუსეთის სურვილი იყო კოლონიალური პოლიტიკის გამტკიცება და ხალხში მორჩილების დანერგვა. სკოლებს ახალგაზრდა თაობის სწავლა განათლების მისაღებად კი არ ხსნიდნენ არამედ უნდოდათ მეფის ერთგული მოხელეების გამოზრდა.

- XIX საუკუნის ბოლოს ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში უმეცრებასთან ბრძოლას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მეფის ხელისუფლების მიერ შექმნილი დაბრკოლებები და ხალხის შეგნების დაბალი დონე სწავლა-განათლების საქმეში მოითხოვდა ახალი იდეების გავრცელებას ამ პრობლემების გადაჭრას. უცოდინარობა და ჩამორჩენილობა ერის გადაგვარებას მოასწავებდა, სწორედ ეს ფაქტი აწუხებდა იმ პერიოდის ქართველ ინტელიგენციას. განათლების და მეცნიერული ცოდნის დაუფლებას დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნევდნენ ქართველი განმანათლებლები და პედაგოგები. ეს ბუნებრივია, რადგან საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლა უპირველესად ხალხში განათლების გავრცელებას მოითხოვდა. განათლება მათთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად გამოყენებული იარაღი იყო, რადგან სწორედ განათლებულ ახალგაზრდა თაობას შეეძლო უკეთესი მერმისისა და მომავლის შექმნა, ის მათთვის ასევე მატერიალური ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესების საშუალება იყო. XIX ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიურ იდეალს წარმოადგენდა მოზარდი თაობისათვის ნამდვილი ცოდნის მიწოდება. ცალმხრივი აღზრდის, ფორმალისტური განათლების, დოგმატური სწავლებისა და რეალობისაგან მოწყვეტილი ცოდნის ნაცვლად, მათ საჭიროდ მიაჩნდათ მოზარდი თაობის აღჭურვა რეალური, ნამდვილი, შრომაში გამოსადეგი, საფუძვლიანი, სისტემატური და ღრმა მეცნიერული ცოდნით. ყალბი ფორმალისტური განათლების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ

ახალგაზრდობისათვის ისეთი ცოდნით შეიარაღებას, რომელიც გამოსაყენებელი იქნებოდა რეალურ ცხოვრებაში. სწორედ ეს იყო უპირატესობა პრაქტიკული ცოდნისა და ასეთი ცოდნის შეძენისკენ მოუწოდებდნენ ისინი სკოლებს რომ დახმარებოდნენ მომავალ თაობას. საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა აღზრდის თეორიას, განსაკუთრებით კი ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს (ი.ჭავჭავაძე, ი.გოგებაშვილი, ა.ჭიჭინაძე, მიხ.ზანდუკელი, ივ.როსტომაშვილი და სხვ.), პიროვნების პარმონიული განვითარების პრობლემას (ი.გოგებაშვილი, ლ.ბოცვაძე, დ.უზნაძე და სხვ.), ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს (დ.უზნაძე, მიხ.ზანდუკელი, ი.ჭავჭავაძე, ივ.როსტომაშვილი და სხვ.), შრომითი აღზრდის პრობლემებს (ლ.ბოცვაძე, ნ.მიწისშვილი, ა.ჭიჭინაძე, დ.უზნაძე და სხვ.), ფიზიკური აღზრდის პრობლემებს (გ. იოსელიანი, დ.უზნაძე, ალ.ნანეიშვილი, ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი, ლ.ბოცვაძე და სხვ.), პატრიოტული აღზრდის პრობლემებს (ი.გოგებაშვილი, ი.ყიფშიძე, ი. ჭავჭავაძე და სხვ.) „თავისუფალი აღზრდის“ თეორიას, რომლის მიმდევარი საქართველოში ლ.ბოცვაძე გახლდათ და სხვ.

- მეტად მნისვნელოვანია მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი განმანათლებლების გამოთქმული მოსაზრებები რომლებიც ეხებოდა მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხებს (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.).
- პედაგოგიური პრობლემების გაშუქებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საოჯახო აღზრდას, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობას (ალ. მიქაბერიძე, შ. ჩიტაძე, გ.გაფრინნაშვილი და სხვ.). საოჯახო აღზრდის საკითხები ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში შუქდებოდა. ქართველი განმანათლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ დედის როლს ბავშვთა აღზრდის საქმეში და ამისათვის ქართველი ქალების სათანადო მომზადებას მოითხოვდნენ.
- დიდი ადგილი უჭირავს მასწავლებელთა მოღვაწეობის, მისი თვისებების, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემებს და ასევე მასწავლებლობის წოდების მინიჭების საქმეს. ქართველი განმანათლებლების მოღვაწეობაში ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო მასწავლებელთა მოქალაქეობრივი და მატერიალური უფლებების დაცვისა პრობლემა. ყველა ქართველი განმანათლებელი, პუბლიცისტი და სახალხო მასწავლებელი ეხმიანებოდა ამ საკითხებს. სკოლები არ პასუხობდნენ საღ პედაგოგიურ მოთხოვნებს. სწავლა-აღზრდის პროცესი ანგარიშს არ უწევდა არც ეროვნულ და არც ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, სწორედ ამიტომ სკოლა არ იყო მოსწავლეთათვის სასურველი ადგილი, რაც აფერხებდა სასწავლო პროცესს.
- მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან რუსეთსა და საქართველოში დაიწყო საკვირაო სკოლების დაარსება. მსგავსი სკოლების მიზანი იყო მოზრდილი მოსახლეობისა და სკოლისგარეშე დარჩენილი ახალგაზრდობისათვის ელემენტარული განათლების მიცემა, პირველ რიგში კი წერა-კითხვისა და ანგარიშის ცოდნის გავრცელება. სკოლისგარეშე განათლებას საკმაო ყურადღებას აქცევდა საზოგადოება და მოწინავე ქართული ინტელიგენცია. ასეთი განათლების რამოდენიმე სახე არსებობდა ამ პერიოდის საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „კითხვის წრეები“ და ლიტერატურული შეკრებები, სადაც იკითხებოდა რეფერატები სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურულ თემებზე. წარმოებდა მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვა-გარჩევა და დისკუსიები.

- XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი განმანათლებლები, როგორებიც იყვნენ: გაბრიელ ეპისკოპოსი, ლუარსაბ ბოცვაძე, დიმიტრი უზნაძე, იოსებ ოცხელი და მრავალი სხვ. რომლებიც ქადაგებდნენ სამშობლოს სიყვარულს, ქართული ენის დაცვისკენ მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას, ცდილობდნენ მათ პატრიოტული სულით აღზრდას და ებრძოდნენ გამარუსებელ პოლიტიკას. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ცოდნის დაუფლებას და ილაშქრებდნენ უმეცრების წინააღმდეგ. იზიარებდნენ ხალხურობის პრინციპს და სკოლის დაკავშირებას ცხოვრებასთან. წინა პლანზე აყენებდნენ ზნეობრივ, გონებრივ, ფიზიკურ და შრომით აღზრდას. მოითხოვდნენ ქონებრივი და წოდებრივი პრივილეგიების მოსპობას. დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ქალის როლს საზოგადოებაში და მათი განათლების საკითხს, საუბრობდნენ მასწავლებლის როლზე, მის ვალდე-ბულებებსა და მოვალეობებზე და მრავალი სხვ. რაც ნამდვილად დიდი ნახტომი იყო არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთლიანად ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიაში.
- წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები და მოწინავე ქართული ინტელიგენცია იბრძოდა საზოგადოების გონებრივი განვითარებისათვის, რათა მათ თავად შეეძლოთ კარგისა და ცუდის გარჩევა, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა თუ საზოგადოება არ იქნებოდა განათლებით სათანადო დონეზე, სწორედ ამიტომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადება თავისი მიზნები-დან გამომდინარე დიდ კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. საზოგადოება მიზანს შეადგენდა ქართული სკოლების გახსნა, მშობლიურ ენაზე სწავლება და ქართულ ენაზე დაწერილი წიგნების გამოცემა. ისინი იბრძოდნენ ყველაფერი „ქართულისათვის“. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სკოლების გახსნა, რაც პირდაპირ კავშირში იყო მის მიზანთან-ქართულ სახალხო სკოლებში სწავლება ყოფილიყო ბავშვებისათვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე. პირველი სკოლა, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გახსნა, ქუთაისის სათავაზნაურო სკოლა იყო. ამ სკოლაში თავადაზნაურთა შვილებთან ერთად სწავლის უფლება უბრალო, დაბალი წოდების წარმომადგენელთა შვილებსაც ჰქონდათ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არა მხოლოდ ხსნიდა საკუთარ სკოლებს, არამედ უკვე გახსნილ სხვა უწყების სკოლებსაც ეხმარებდა მათი გაუმჯობესების მიზნით. ქშწკგ საზოგადოება ასევე დიდ დახმარებას უწევდა საკვირაო და სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, რადგანაც მათში ქართული ენა ისწავლებოდა და წერა-კითხვას სწავლობდნენ დაბალი ფენის მოსახლეობის შვილები. წ.კ.გ. საზოგადოება მათ უფასოდ აწოდებდა ქართული ენის სახელმძღვანელოებს. თუმცა აქაც ისევე როგორც სხვა შემთხვევაში ყველაფერი მარტივად არ იყო. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას გარდა სახელმძღვანელოებისა, სახალხო სასარგებლო წიგნების გამოცემა და გავრცელება შეადგენდა. რადგან ორიგინალური პოპულარული წიგნების გამოცემა ძნელი გახდა, ამიტომ გამგეობა უმთავრესად ნათარგმნი მოთხრობების ბეჭდვას ცდილობდა. გ.იოსელიანმა თარგმნა გოეთეს „რეინიკე კუდა-მელა“, იოსებ ცხვედაძემ-„დონ-კიხოტი“. 1896 წელს დაიბეჭდა „ოქროს მოყვარულნი“, (ნათარგმნი), და ზ.ჩხიკვაძის „სალამური“-ქართული სახალხო სიმღერები. 1898

წლის 30 მარტს გამგეობამ დაადგინა გამოსცეს მესამედ აკაკის ნათარგმნი „კრილოვის არაკები“ სურათებითურთ. ჯერ კიდევ 1889 წელს აკაკიმ სამუდამოდ დაუთმო საზოგადოებას კრილოვისაგან ნათარგმნი 60 იგავ-არაკი, თითო 5 მანეთად.

- წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ საფუძველი ჩაუყარა სამუზეუმო სიძველეთა შეგროვებას. გროვდებოდა ძველი ისტორიული და არქეოლოგიური ნივთები და სანუმიზმატიკო ნიშნები. განსაკუთრებით ბლომად მოგროვდა ეს უკანასკნელი. ყოველივე ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დ. ბაქრაძეს, რ. დ. ერისთავს, პოლ. კარბელაშვილს და სხვებს. მუზეუმის ნივთთა შორის აღსანიშნავია: შუშის სურა ოქროს ვარაყიანი წარწერით,-„მეფის ძე იულონი“ (რომელიც წიგნებთან ერთად შემოსწირა გიორგი საძაგლიშვილმა), სამწერლო იარაღთა კოლოფი, ნაქონი დავით თელავის რექტორისა და მრავალი ფული.

თავი II
საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში

§1.დაწყებითი განათლება

დაწყებითი განათლება სახალხო განათლების სისტემის საფუძველია. საქართველოს ინტელიგენცია ათწლეულების მანძილზე ცდილობდა აღმოეფხვრა ხარვეზები დაწყებით განათლებაში, რადგანაც ის ჯერ კიდევ ვერ პასუხობდა ქართველი ხალხის მოთხოვნებს და საჭიროებებს.დაწყებითი განათლების საკითხები საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა. საზოგადოების დაბალი ფენებისათვის დაწყებითი განათლების მიღება ერთ-ერთ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რადგანაც ქართველმა გლეხმა, მიუხედავად იმისა რომ თავად არ ჰქონდა განათლება მიღებული, მაინც იცოდა განათლების ფასი და ხვდებოდა, განათლებული თაობა უფრო ძლიერი ძალა იყო საზოგადოებისათვის.

დაწყებითი განათლების საკითხი განსაკუთრები მწვავედ დადგა XX საუკუნის დასაწყისში, 1907 წელს საუბარი დაიწყეს საყოველთაო განათლების შემოღებაზე. სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვდა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღებას, დაწყებითი სკოლის აღიარებას საერო სკოლად და მის სრულ გამოყოფას ეკლესიიდან, მათი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო ის, რომ დაწყებითი სკოლა შესაფერისი ყოფილიყო თითოეული ერის საყოფაცხოვრებო პირობებისა და ყოველ ეროვნებას უფლება მიცემოდა მოეწყო ეროვნული სკოლა და ბავშვებს სკოლაში მშობლიურ ენაზე ესწავლა. სახელმწიფო საბჭომ კანონპროექტი დაწყებითი საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ უარყო.

რუსეთში, ოცდაათზე მეტი ტიპის დაწყებითი სკოლა არსებობდა, საქართველოში სკოლების ტიპების ასეთ სიჭრელეს ადგილი არ ჰქონია.

„ორკლასიანი სასწავლწებელი ორი ტიპისა იყო-ნორმალური და ჩვეულებრივი, ან როგორც მაშინ უწოდებდნენ ორკლასიანი. ორკლასიანი სასწავლებლის პირველ კლასს სამი განყოფილება ჰქონდა, მეორე კლასს-ორი. სწავლების ხანგრძლივობა იყო ხუთი წელი-თითო წელი თითო განყოფილებაში“. [106, გვ. 30].

ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში ყოველ განყოფილებას თავისი მასწავლებელი ჰყავდა. ჩვეულებრივ ორკლასიან სასწავლებელში კი ერთი კლასის სამივე განყოფილებას ერთ მასწავლებელს მიჰყავდა, მეორე კლასი კი-მეორეს. ერთკლასიან სასწავლებელში სამი განყოფილება იყო და სამივეს ერთი მასწავლებელი ასწავლიდა, მაგრამ აქ დასაშვები იყო ორი ან სამი მასწავლებლის ყოლაც, ეს იმაზე იყო დამოკიდებული თუ რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში, მაგრამ ორი მასწავლებელი დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც ერთკლასიან სასწავლებლებში მეორე და მით უმეტეს, მესამე მასწავლებლის დანიშვნა იშვიათად ხდებოდა. სახელმწიფო ამ დანიშნულებისათვის არ იძლეოდა თანხებს. მოსახლეობას კი უჭირდა დამატებითი ხარჯების გაღება მეორე და მესამე მასწავლებლის ხელფასის დასაფარავად.გაზეთი „დროება“ 1907 წელს წერდა: „დაწყებითი განათლების საქმისთვის მთავრობა მეტად მცირე სახსრებს იღებდა. დაწყებით სკოლებზე მეტ

თანხას, ე.ი. მთელი თანხის თითქმის ¼-ს ერობა ხარჯავდა, ამაზე ცოტა ნაკლებს-(დაახლოებით 1/5-ს) ხაზინა, ხოლო დანარჩენს-ქალაქისა და სოფლის საზოგადოებანი. ამრიგად, პირველდაწყებით განათლებაზე სახელმწიფო ხაზინა მთელი თავისი ხარჯების ყოველ 100 მანეთზე მხოლოდ 40 კაპიკს ხარჯავდა."[14, გვ. 3].

სოფლის ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის ძირითადი დაწესებულება სოფლის სკოლა იყო, მიუხედავად მისი ნაკლოვანი მხარეებისა. გაზეთ „მწყემსის" რედაქტორი დ. ღამბაშიძე წერდა:

„სოფლის სახალხო სკოლებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლების საქმეში, ეს ვგონებ, ყველასთვის ეჭვ გარეშეა. ჩვენს დროში ხალხის განათლებისა და სახალხო სკოლების შესახებ ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ და წერენ და ეს იმიტომ, რომ ხალხის განათლების საქმეში სკოლებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვსთ. ლაპარაკობენ და ნამდვილად დამტკიცებულიცაა, რომ წერა-კითხვას კეთილი ზედ-გავლენა აქვს ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეზე". [22, გვ.1].

მაგრამ სოფლის სკოლა მასზე დაყენებულ მოთხოვნებს მიახლოვებითაც ვერ ასრულებდა და ამის უპირველესი მიზეზი ის იყო რომ განათლების სისტემა მოწყვეტილი იყო ყოველგვარ ეროვნულს, ის არ იყო საერო თუმცა ოფიციალურად ის ასე იყო მონათლული.

ჟურნალი „მოამბე" 1895 წერდა: „გლეხი სკოლიდან მოელოდა: „ჩემი შვილი ისწავლის კარგად ქართულ წიგნსა, კარგად შეითვისებს ქართულს წერა-კითხვასა, კურსის დასრულების შემდეგ ოჯახში გვიკითხავს თავისუფალს დროს სახარებასა, საღმრთო წერილსა და სასარგებლო საერო წიგნებსა, შეეძლება დასწეროს თამასუქი, სხვადასხვა წერილი, ექნება ცოდნა ცხოვრებაში გამოსაყენებელი, მართებული სიტყვა-პასუხი ეცოდინება, შეეძლება ეკლასიაში იგალობოს და იკითხოს, გონიერებით, ზრდილობითა და მხნეობით იქმნება იმაზედ უკეთესი, ვინც სკოლაში არ ყოფილაო. ამ ნაყოფს მოელოდა გლეხი სკოლიდან და თავისი ღარიბი ჯიბით ინახავდა მას. მერმე რა მიიღო, რა მოიმკო? კივილი „სერენკი კოზლიკისა" და საყველ-პურო რუსული „ჟარგონი", რომელიც სკოლის დატოვების შემდეგ რამდენსამე თვეს უქრება თავიდანა, როგორც ისე როგორც გაქრა შარშანდელი თოვლი. ამასთანავე ჩვენმა გლეხმა ისიც შეჰნიშნა, რომ სკოლაში ნამყოფი ბავშვები გონებითა და ზნეობით, არამც თუ არ აღემატებიან სხვა ბავშვებს, სკოლის გარეშე დარჩენილებს, არამედ იმაზედ უარესნი არიან. გლეხი როდია თავისი მტერი, რომ ამისთანა სკოლებზედ თავისი ღატაკის ჯიბიდან ფული ჰხარჯოს და თავისი გაჭირვებული ცხოვრება კიდევ უფრო გაამწაროსო". [97, გვ.22-23].

ასევე უნდა აღინიშნოს რომ სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად რომელსაც ჩვენ ვაწყდებით განათლების სისტემაში ასევე საგულისხმოა სკოლათა რაოდენობის პრობლემა, რომელიც არ იყო საკმარისი მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა 50% ზე მეტი რჩებოდა სასწავლებელს გარეთ, ასე მაგალითად, „სკოლის გარეთ 1898 წელს საქართველოში დარჩენილი იყო 169 560 ბავშვი." [13, გვ. 36]. ნიკო ჯანაშია გულისტკივილით წერს: „რა ბევრია მკითხველნო, სკოლის გარეთ დარჩენილი ქართველი? აქედან აშკარაა, 5-6 ჯერ რომ გავუმრავლოთ ხალხს სასოფლო სკოლები მაინც ვეღარ დავუკმაყოფილებთ პირველდაწყებითი სწავლის შეძენის სურვილს; ასე ვართ ჩვენ დაშორებულნი სკოლას! ბნელში ჯერ სქლადა ვართ ჩვენ, ქართველნი, გახვეულნი, და ვინ იცის როდის მოვიშორებთ მის ძალასა? გული გეწვის, სული გიღონდება, როცა პირდაპირ ამ შემზარავ სურათს შეჰხედავ..." [184, გვ.60].

თ. სახოკიას გადმოცემით: „1895 წელს სოხუმის ოლქში ყოფილა 27 სამრევლო-საეკლესიო სკოლა, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების 6 სკოლა, 4-დაწყებითი საერო სკოლა, ე.ი. სულ სოხუმის ოლქში ყოფილა 57 სკოლა, 1087 მოწაფით (აქედან 996 ვაჟი და 91 ქალი). სასკოლო ასაკის 13 355 ბავშვიდან სკოლის გარეშე დარჩენილი იყო 12 355 ბავშვი. ამ ცნობებით 1975 მცხოვრებზე მოდიოდა ერთი სკოლა, 60 სულიდან წერა-კითხვის მცოდნე იყო მხოლოდ ერთი.“ [105, გვ. 109]. „1899 წელს ოზურგეთის მაზრაში (100 ათასი მცხოვრები) იყო ყველა ტიპის 83 სკოლა და 6359 მოწაფით (5743 ვაჟი და 616 ქალი). მთელს გურიაში სასკოლო ასაკის იყო 14 300 ბავშვი, სკოლის გარეთ დარჩენილი იყო 7941 ბავშვი (ნახევარზე მეტი).“ [13, გვ. 36]. „სენაკის მაზრაში (120 ათასი მცხოვრები) ამავე წელს ყველა ტიპის 77 სკოლა იყო 4189 მოსწავლით (3809 ვაჟი და 380 ქალი). 17 139 სასკოლო ასაკის ბავშვიდან სწავლების გარეშე იყო დარჩენილი 12 951. ზუგდიდის მაზრაში (125 ათასი მცხოვრები) 62 სასწავლებელი იყო 3654 მოსწავლით (3315 ვაჟი და 339 ქალი). სასკოლო ასაკის 17 860 ბავშვიდან სწავლის გარეშე დარჩენილი იყო 14 206 ბავშვი.“ [24, გვ. 1].

გარდა ერთკლასიანი და ორკლასიანი სასწავლებლებისა, არსებობდა ასევე უფრო მაღალი ტიპის დაბალ სასწავლებელთა ქსელიც. ამაში შედიოდა საქალაქო სასწავლებლები, რომლებიც ადრე სამაზრო სასწავლებლები იყო და 1872 წელს გადაკეთდა საქალაქო სასწავლებლად, რომელიც შემდეგში უმაღლეს-დაწყებით სასწავლებლად გადაკეთდა. საქალაქო სასწავლებლები იყო ექვსკლასიანი, ოთხკლასიანი, სამკლასიანი და სხვა. საქალაქო სასწავლებლიდან საშუალო სკოლაში გადასვლა არ შეიძლებოდა. საქალაქო სასწავლებლები ამზადებდა დაბალი თანამდებობის მოხელეებს, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს, სხვადასხვა დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეებს. ზოგიერთ საქალაქო სასწავლებელთან პროფესიული და აგრეთვე პედაგოგიური კლასებიც არსებობდა. მოსწავლეთა რიცხვი საქალაქო სასწავლებელში საკმაოდ დიდი იყო და მას მზარდი ხასიათი ჰქონდა. საქართველოს საქალაქო სასწავლებელთა შორის 1890 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი მოსწავლე იყო ქუთაისის (314), ოზურგეთის (310), თბილისის (285), ახალციხის (280), სამეგრელოს (252) და ა.შ. საქალაქო სასწავლებლებში ღებულობდნენ შვიდი წლის ასაკის ბავშვებს და 5-6 წლის განმავლობაში ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულ და საეკლესიო-სლავურ ენას, არითმეტიკას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, სამამულო და მსოფლიო ისტორიას, ბუნებისმეტყველებას, ელემენტარულ ფიზიკას, ხატვას, ხაზვას, გიმნასტიკას, ხეზე და ლითონზე მუშაობას. „საქალაქო სასწავლებლის შტატი ასეთი იყო: საღვთო სჯულის მასწავლებელი (1 ან 2), საგნის მასწავლებლები (2-4), მასწავლებელთა თანაშემწეები (2-3), ექიმი (1) და ტექნიკური მუშაკები (2-4), სულ 8-12 კაცი.“ [13, გვ. 45]. სწავლება საქალაქო სასწავლებლებში ფასიანი იყო. სწავლის ქირის ოდენობა დგინდებოდა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, სასწავლო ოლქთან შეთანხმებით. საქალაქო სასწავლებლებში ყველა დისციპლინის სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართული ენა ცელკე საგნათაც არ ისწავლებოდა.

გარდა აღნიშნული ტიპის სასწავლებლებისა, არსებობდა აგრეთვე მთიელთა სკოლა ქ.სოხუმში, რომელიც 1863 წელს გაიხსნა. მთიელთა სკოლები სპეციალურად კავკასიის მთიელი ახალგაზრდობის გარუსების მიზნით იყო შექმნილი. სწავლება ამ სკოლაში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ისინი ჩვეულებრივად დაწყებითი სკოლების სასწავლო გეგმებითა და პროგრამით მუშაობდნენ. სოხუმის მთიელთა სკოლაში 1890 წელს 285 მოსწავლე იყო, ხოლო 1900 წლისათვის მათი რიცხვი გაზრდილი იყო 456 მოწაფემდე,

ანუ პროცენტული მაჩვენებლით მოსწავლეთა ზრდა ათი წლის მანძილზე მოხდა 60%-ით. აღსანიშნავია, რომ სკოლა ყოველწლიურად 10-15 კურსდამთავრებულს უშვებდა.

საქართველოში ასევე არსებობდა ქალთა დაწყებითი განათლება, კერძოდ:

- მცხეთის სამთავროს დედათა სამონასტრო სკოლა,
- დუშეთის საქველმოქმედო ქალთა უფასო სკოლა,
- ქუთაისის საქველმოქმედო უფასო სკოლა,
- ქუთაისის ქალთა სამრევლო სკოლა.

აგრეთვე არსებობდა ქალთა კერძო სკოლები. რომელთა დაარსება ძირითადად ხდებოდა ცალკეული პირის ან რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციის ინიციატივით. „1866 წელს ქუთაისში დაარსდა ქალთა უფასო სკოლა ყველა წოდების ღარიბი გოგონებისათვის. აქ ისწავლებოდა წერა-კითხვა, ანგარიში და ხელსაქმე. პირველ წელს ის დაქირავებულ ბინაში იყო, შემდეგ კი დაუთმეს წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის ერთი ფლიგელი. 1869 წელს ქუთაისში მცხოვრებმა ბეკ-ოლღიმ თავის ხარჯზე ააშენა ამ სკოლისათვის ორსართულიანი შენობა. წმინდა ნინოს სასწავლებლის ეზოში აიგო იგი 1871 წელს.“ [110, ფურც. 27].

მოგვიანებით მთელ საქართველოში დაარსდა დედოფალ მარიამის სახელობის ქალთა დაწყებითი სკოლები, რომელთა მიზანი იყო მიეცა ელემენტარული განათლება ნებისმიერი ეროვნებისა თუ სარწმუნოების გოგონებისათვის. სასწავლებლები ოთხკლასიანი იყო, ასევე ჰქონდა მოსამზადებელი ერთწლიანი კლასიც. დედოფალ მარიამის ქალთა სასწავლებლებს ჰყავდა ზედამხედველი, საღვთო სჯულის მასწავლებელი, მეცნიერებათა საფუძვლების მასწავლებელი-3, მოსამზადებელი კლასის მასწავლებებლი-1, ხელსაქმის მასწავლებელი, მოსამსახურე, სულ 7 ადამიანი. განვიხილოთ დასავლეთ საქართველოში არსებული მარიამ დედოფლის ქალთა სასწავლებლები: ბათუმის დედოფალ მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელი გაიხსნა 1890 წელს. მას ოთხი კლასი ჰქონდა და ქალაქის თვითმმართველობა და მოსწავლეთა სწავლის ქირის შემოსავალი ინახავდა.1900 წლისათვის ბათუმის მარიამის სახელობის სასწავლებელში სწავლობდა 188 მოსწავლე გოგონა.1899 წლისათვის მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელი გაიხსნა ხონში, სადაც 211 მოსწავლე სწავლობდა. ასევე ქალთა სასწავლებლები გაიხსნა ოზურგეთში (1882 წელს), ფოთში (1884 წელს), ზუგდიდში (1884 წელს) და სხვა.

როგორც ყველა ტიპის სასწავლებელში, დაწყებით სკოლებშიაც სწავლება დოგმატურ ხასიათს ატარებდა. მოსწავლეების მიერ შესასწავლი მასალა ძირითადად საზეპირო იყო, მათ თითქმის ყველაფერს ზეპირად სთხოვდნენ. ამის გამო ბევრი ახალგაზრდა გაურბოდა სკოლას, რაც კავკასიაში მომუშავე მოხელეებს საშუალებას აძლევდა ქართველი ხალხის გონებრივი ჩამორჩენილობა და განათლებისადმი გულგრილობა ემტკიცებინათ. სწორედ ამით ხსიდნენ ისინი სკოლებში მოსწავლეთა სიმცირეს, სინამდვილეში კი ეს ყოველივე იქეთკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ახალგაზრდობის სწავლის შემაფერხებელი ნამდვილი მიზეზები, მოსახლეობის უმძიმესი მატერიალური მდგომარეობა, სწავლა-განათლების უკიდურესად უვარგისი მიმართულება, შინაარსი და ასევე სკოლაში დამკვიდრებული დოგმატიზმი და სქოლასტიკა დაემალათ.

1882 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორი (ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ს. ორლოვი) ამტკიცებდა , რომ „იმერეთის და, კერძოდ, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მცხოვრებნი უაღრესად ჩამორჩენილნი არიან და სწავლა-განათლების სარგებლობას ვერ გრძნობებო.“ [13, გვ.49].

აკაკი წერეთელმა საკადრისი პასუხი გასცა ცილისმწამებელ მოხელეს და წერს: „ჰაი გიდი! უთქვამს და გაუთავებია რაღა!! მშიერი რომ პურს ითხოვდეს და თქვენ კი მხლოდ ქვას აძლევდეთ და მათხოვარმა არ ჩამოგართვათ, ნუთუ ეს იმის ნიშანი იქნება, რომ იმას მადა არა აქვს და ჭამას ვერ მოახერხებს! როგორც შუბი ხალთაში არ დაიმალება, ისე ის გარემოებაც, რომ იმერეთის ხალხი საზოგადოდ სწავლა-განათლების მიღების მსურველია... ახალგაზრდები თავის ქვეყანას შორდებიან, მიდიან შორს და რამდენიმე წელიწადი უჯამაგიროდ ემსახურებიან ოღონდ წერა-კითხვა კი გვასწავლეთო! მაშ რა მიზეზია, რომ თავიანთვე სოფელში გახსნილ სკოლებს კი ერიდებიან? ვისი ბრალია? ვისი და ავტორის მსგავსი პირებისა; რომელნიც თავის პირ-და-პირ მოვალეობაზედ ხელს იღებენ, გამოდიან საპოლიტიკო ასპარეზზედ და თავისი სახედრობა მაკკიაველობა ჰგონიათ... რად უნდა შეიყვანოს სასოფლო სკოლაში გლეხმა შვილი, როდესაც დარწმუნებულია, რომ აქ მის შვილს გონება დაუჩლუნგდება, ზნეობა გაუფუჭდება და განაცარქექიავებული ცარიელის „პეტუშკისა“ და „კოზლიკის“ ძახილით ნახირს დაუფრთხობს?! ნუთუ ესეები არ იცის ბატონმა ორლოვმა? იცის, მაგრამ, ეს ოხერი, ერთი ანდაზა აგონდება, ბატონმა რომ გიბრძანოს, მუხას ვაშლი ასხია და ვაშლს რკოვო, ან უნდა დაეთანხმო და ან უნდა გაჩუმდეო. მაგასაც იმედი აქვს რომ გაჩუმდებიან.“ [163, გვ.200-201].

დაწყებითი და სხვა დაბალი ტიპის სასწავლებელთა ქსელში დიდი ადგილი ეჭირა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს. მათი რიცხვი სკოლების საერთო რაოდენობის 46% შეადგენდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლობდა 46025 მოსწავლე, რაც მოსწავლეთა საეთო რაოდენობის 36% შეადგენდა, ეს ცნობები იმაზე მეტყველებენ, რომ ეკლესიის როლი და გავლენა სახალხო განათლების საქმეში კი არ შემცირდა, არამედ უფრო გაიზარდა. მეფის ხელისუფლება დაინტერესებული იყო სასულიერო განათლების ქსელის ფართოდ გაშლით. სამრევლო სკოლა და სასულიერო სასწავლებლები ტახტისა და ღვთისადმი ერთგულების აღზრდის უკეთეს საშუალებად იყო მიჩნეული, ვიდრე საერობო და სამონასტრო სკოლები.

1890 წლიდან 1899 წლამდე სამრევლო სკოლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში, რაც გამოწვეული იყო არა მარტო მთავრობისა და სინოდის დაინტერესებით, არამედ ამ სკოლებისადმი მოსახლეობის ფართო ფენების კეთილგანწყობით, რადგანაც სამრევლო სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოებდა. სამრევლო სკოლის სათავეში იდგა სოფლის ეკლესიის მღვდელი ან ის პირი რომელიც ინიშნებოდა საეპარქიო არქერიის მიერ. სწორედ ამ საეპარქიო არქიერიას ევალებოდა სკოლების პერიოდული მონიტორინგი და საერთო ხელმძღვანელობა. სამრევლო სკოლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები გამოცდები ტარდებოდა დაწყებითი სკოლებისათვის დადგენილი წესით. კურსდამთავრებულს ეძლეოდა მოწმობა, რომელიც მას გზას უხსნიდა სასულიერო და საერო საშუალო განათლებისაკენ. სასულიერო განათლების მნიშვნელოვან რგოლს სასულიერო სასწავლებლები წარმოადგენდა, რომელთა მიზანი სასულიერო სემინარიისთვის კონტინგენტის მომზადება და დაწყებითი სასულიერო განათლების მიცემა იყო. სწავლების კურსი ოთხწლიანი იყო და გიმნაზიის პირველ სამ კლასს შეესაბამებოდა. ზოგადი დისციპლინების გარდა სასულიერო სასწავლებლებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ეკლესიის ისტორია, კატეხიზმო, ღვთისმომსახურების წესი და სხვა. მოსწავლეთა კონტინგენტით ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 623 მოსწავლე, შემდეგ მოდიოდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი 306 მოსწავლით და ა.შ. აქედან აშკარად

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოში სასულიერო სასწავლებლების მიმართ მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა.

მოკლედ შევეხოთ ქალთა სასულიერო განათლებას. 1899 წლიდან ეპრქიალურ სასწავ-ლებლებთან შეიქმნა სანიმუშო, დაწყებითი ქალთა სამრევლო სკოლა, სადაც გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ საშინაო მასწავლებლის წოდება.1894 წელს ქუთაისში გაიხსნა ქალთა საეპარქიო სასწავლებელი, რომელიც შემდგომ გაბრიელის (ქიქოძის) სახელი ეწოდა. ეს სასწავლებელი თავდაპირველად იყო სამკლასიანი, ხოლო 1899 წელს ის ექვსკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. ამავე წელს მასთან დაარსდა დაწყებითი სამრევლო სკოლა.

საქართველოში მრავლად არსებობდა სომხური დაწყებითი და საეკლესიო-გრიგორიანული სკოლები. „1879 წელს თბილისსა და ქუთაისის გუბერნიაში 66 ასეთი სკოლა იყო 2659 მოსწავლით. ამ სკოლებში ისწავლებოდა რუსული ენა, მსოფლიოს ისტორია და გეოგრაფია (რუსულ ენაზე), საღვთო სჯული, სომხური ენა, არითმეტიკა, გალობა-სიმღერა, ხატვა და შრომა. გარდა პირველი სამი საგნისა ყველა საგანი სომხურ ენაზე ისწავლებოდა.“ [20, გვ. 1].

საქართველოში 1899 წელს არსებობდა 8 კათოლიკური და 6 ლუთერანული სკოლა 300-მდე მოსწავლით. ეს სკოლები არ ექვემდებარებოდა სინოდს და პირდაპირ მთავარმართებლის კანცელარიაში ადგენდნენ წლიურ ანგარიშებს.

ქუთაისის გუბერნიაში არსებობდა მუსლიმანური სკოლების საკმაოდ დიდი ქსელი. 1890 წელს ქუთაისის გუბერნიაში 253 მუსლიმანური სკოლა იყო, ხოლო 1900 წლისათვის ეს რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. [54, ცხრილი N339]. ასევე არსებობდა ებრაული სკოლები, თბილისის გუბერნიაში-2, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში-9, სულ 503 მოსწავლით. ეს სკოლები ჩვეულებრივ დაწყებითი სკოლების პროგრამით მუშაობდნენ, მხოლოდ საღვთო სჯულის ნაცვლად ისწავლებოდა იუდაიზმი.

ამ პერიოდში ასევე დაარსდა საკვირაო და მოძრავი სკოლები, რომლებიც სკოლისგარეშე დარჩენილი ახალგაზრდობისათვის იყო შექმნილი და მათთვის ელემენტარული განათლების მიცემას ისახავდა მიზნად. „1870-80-იან წლებში მთავრობა თავისი მოხელეების საშუალებითთვითონ ხსნის საკვირაო სკოლებს, რომლითაც მოსახლეობის ქვედა ფენებში „ტახტისა და სამშობლოს“ ერთგულების იდეების შეტანა იქნებოდა შესაძლებელი.“[180, გვ. 48]. 1895 წელს საკვირაო სკოლა გაიხსნა ხონში სამასწავლებლო სემინარიასთან არსებულ დაწყებით სკოლაში, აქ პირველ წელს სწავლობდა 29 კაცი. ამავე წელს ბათუმის საქალაქო სკოლასთან გაიხსნა ასეთივე სკოლა სადაც 1896 წლის იანვარში აქ 80 კაცი სწავლობდა. 1896 წელს გაიხსნა საკვირაო სკოლები ქუთაისისა და ზუგდიდის საქალაქო სკოლებთან, ოზურგეთის საქალაქო სკოლასთან და ა.შ. 1897 წელს ბათუმის მარიამის სახელობის ქალთა სკოლასთან გაიხსნა ქალთა საკვირაო სკოლა, რომელშიც 25 მოსწავლე იყო. ამავე წელს ფოთში, სამეგრელოს საქალაქო სასწავლებლის შენობაში დაარსდა ვაჟთა საკვირაო სკოლა, რომელშიც პირველ წელს 24 მოსწავლე ჩაირიცხა. საკვირაო სკოლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ქუთაისის საკვირაო სკოლა, მას ვაჟთა და ქალთა განყოფილებები ჰქონდა. მეცადინეობა ცალ-ცალკე ტარდებოდა. 1896 წელს აქ სწავლობდა 187 მოწაფე, აქედან 103 ვაჟი და 84 ქალი.

საქართველოში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მომრავლდა კერძო სკოლები და მოსამზადებელი კურსები, რომლებსაც ოფიციალური სკოლების მასწავლებლები და შინამასწავლებლის წოდების მქონე პირები ხსნიდნენ სასწავლო ოლქის ნებართვით.

კერძო სკოლები მუშაობდნენ ოფიციალური დაწყებითი სკოლების სასწავლო გეგმითა და პროგრამით. ზოგიერთ კერძო სკოლას ჰქონდა პანსიონი. სწავლის ქირა კერძო სკოლაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა ოფიციალურ სკოლებში დაწესებულ სწავლის ქირას, სამაგიეროდ კერძო სკოლებში მოსწავლეთა მომზადების დონე საგრძნობლად მაღალი იყო. კერძო სკოლების ქსელი მუდმივ ცვალებადობაში იყო. ბევრი იხურებოდა და ბევრიც იხსნებოდა.

გარდა კერძო სკოლებისა, არსებობდა მოკლევადიანი, უმეტეს შემთხვევაში ზაფხულის პერიოდში, მოქმედი მოსამზადებელი კურსები რომლებიც მოსწავლეებს ამზადებდნენ საშუალო და საქალაქო სასწავლებლებისათვის, აგრეთვე მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებელი გამოცდებისათვის.

§2. საშუალო განათლება

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების რეფორმებს მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები მოჰყვა, ბატონ-ყმობის გაუქმებასთან ერთად განხორციელდა რეფორმები ეკონომიკის, კულტურისა და განათლების დარგებში. 1864 წლის 19 ივლისს, მეფის მთავრობამ დაამტკიცა დებულება „სახალხო სასწავლებლების შესახებ“, რომელიც ადრე მოქმედ დებულებებთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ დებულების მიხედვით სკოლაში ყველა წოდების ბავშვებს იღებდნენ. იმავე წელს დამტკიცდა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდებაც. რომლის მიხედვით აღიარებული იყო ორი ტიპის გიმნაზია: კლასიკური ორი ძველი ენით (ლათინურით და ბერძნულით) და რეალური ძველი ენების გარეშე. წესდება კლასიკურ გიმნაზიას უშვებდა ერთი ძველი ენითაც (ლათინურით). საშუალო სასწავლებლის ძირითად ტიპად კლასიკური გიმნაზია იყო აღიარებული. ორივე ტიპის გიმნაზიაში სწავლება შვიდწლიანი იყო, ამავე წესდებით გიმნაზიები არაწოდებრივ სასწავლებლად ცხადდებოდა, მასში ყველა წოდების ვაჟებს იღებდნენ, იკრძალებოდა ფიზიკური დასჯა, ფართოვდებოდა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს უფლებები, უმჯობესდებოდა საშუალო სასწავლებლების სასწავლო მატერიალური ბაზა, შემოდიოდა ფორმის ტანსაცმელი და ა.შ.

“პროგიმნაზიები წარმოადგენდნენ არასრულ საშუალო სკოლებს ოთხწლიანი კურსით, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს შეეძლო სწავლა განეგრძო გიმნაზიის მეხუთე კლასში. რაც შეეხება რეალურ და ნახევრად კლასიკურ გიმნაზიებს, მათი უფლებები წესდების მიხედვით არ იყო გათანაბრებული კლასიკური გიმნაზიის უფლებებთან. მხოლოდ კლასიკური გიმნაზია იძლეოდა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას” [13, გვ. 114]. მაგრამ დ. ტოლსტოი, რომელიც იმ პერიოდში სათავეში ედგა სახალხო განათლების სამინისტროს, წინააღმდეგი იყო რეალური განათლების და ძირშივე კვეთდა რეალური განათლების გაფართოების ყოველ ცდას. მისი მტკიცებით, „რეალური განათლების სისტემა, რომლის საფუძველია საბუნებისმეტყველო ციკლის დისციპლინების სწავლება, ახალგაზრდობაში მატერიალისტურ სულისკვეთებას ანვითარებს, ტახტისა და რელიგიის მოძულე ახალგაზრდებს ზრდის, ამიტომ ის ყოველმხრივ ცდილობდა შეეცვალა 1864 წლის დებულება და მიაღწია კიდეც.“ [13, გვ. 114].

რევოლუციამდელ საქართველოში მცირე იყო საშუალო სასწავლებლების რიცხვი, და ის შესაბამისად ვერ უზრუნველყოფდა განათლების მზარდ მოთხოვნილებას. ის ვერ ზრდიდა საკმაო კონტინგენტს უმაღლესი სკოლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ

დაწყებითი განათლების ქსელი ასე თუ ისე შედარებით სწრაფად იზრდებოდა, საშუალო განათლების მხრივ კი გაფართოება ნელი ტემპით მიდიოდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მეფისმთავრობა სრულიად არ იყო დაინტერესებული ნაციონალურ უმცირესობათა განათლებით და ამ მიზნით დიდი ხარჯების გაღებით, რაც ნამდვილად სჭირდებოდა საშუალო სასწავლებლებს. საშუალო სკოლების სიმცირისა და არარსებობის გამო აზრს კარგავდა ასევე დაწყებითი განათლების მიღებაც, რადგანაც დაწყებით სკოლაში მიღებული ცოდნა ბევრ შემთხვევაში უკვალოდ იკარგებოდა და ის შიში, რომ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ვერ მოხვდებოდა გიმნაზიებში, სემინარიებსა და რეალურ სასწავლებლებში, თვით დაწყებით სკოლასაც უკარგავდა ავტორიტეტს ხალხის თვალში.

საშუალო სკოლების აუცილებლობაზე აქტიურად წერდა პრესაც. საშუალო სკოლები ძირითადად თავმოყრილი იყო თბილისსა და ქუთაისში, ამიტომ ყოველივე ეს სოფლის ახალგაზრდობას ურთულებდა საქმეს საშუალო განათლების მიღების კუთხით. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ აქტიურად წერს პროვინციებში საშუალო სასწავლებლების საჭიროებაზე: „გურია-სამეგრელოში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი აღემატება მილიონის მესამედს (345 ათასი), არც ერთი საშუალო სასწავლებელი არ მოიპოვება და აი ამიტომ მსურველთა და მასთან ცოტაოდენ შეძლების პატრონი თავისი შვილები უნდა მიაბარონ აღსაზრდელად ქუთაისისა და ბათუმის საშუალო სასწავლებლებში, რაც დიდად გასაჭირია, რადგანაც შედარებითს დიდსა და ჩვენისთანა ღარიბ ხალხისთვის აუტანელ ხარჯს ითხოვს. ეს გარემოება ძალიან უბრკოლებს გურია-სამეგრელოს ახალ თაობას საშვალო სწავლის მიღებას“. [25, გვ. 4] .

არსებული მდგომარეობიდან სჩანს რომ, საშუალო სასწავლებლები გადატვირთული იყო მოსწავლეთა რაოდენობით. სწორედ ამიტომ მოწინავე ქართული ინტელიგენცია, საზოგადო მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები გადაჭრით მოითხოვდნენ საშუალო სკოლების რაოდენობის ზრდას. გიმნაზიის დირექტორები მოხსენებით ბარათებს ხშირად გზავნიდნენ კავკასიის სასწავლო ოლქში დამატებითი კლასების გახსნის თხოვნით. „საშუალო სასწავლებლები-წერდა ი. ჭავჭავაძე-საკმარისნი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელთ გარეთ რჩებიან, მაშასადამე საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა“.[173, გვ. 329-330]

საშუალო სასწავლებლების სიმცირე და გადატვირთვა საჭიროს ხდიდა გაეხსნათ ახალი სასწავლებლები, თუმცა დ. ტოლსტოის მემკვიდრე დელიანოვი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის რომ წოდებრივი დისბალანსი ყოფილიყო და საშუალო სასწავლებლებში მხოლოდ და მხოლოდ თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილებს ესწავლათ. სწორედ ამ მიზნით სასწავლებელში შესვლა გააძნელეს მისაღები გამოცდების გართულების გზით. 1887 წლის 17 ივლისის განათლების სამინისტროს მითითებით სასწავლო ოლქის ცირკულარით დგინდებოდა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში მოსწავლეთა მიღების ახალი წესი, რომლებშიც ნათქვამი იყო:

„გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში აუცილებლად ჩაითვალოს ისეთი ბავშვების მიღება, რომლებსაც შინ ჰყავთ ისეთი მეთვალყურენი, რომლებიც სწორად წარმართავენ საოჯახო აღზრდას და შეუქმნიან სწავლისათვის ყველა საჭირო პირობას. ამგვარად, ამ წესის განუყრელი დაცვის წყალობით, გიმნაზიები და პროგიმნაზიები განთავისუფლდებიან მასში მეეტლეების, მსახურების, მზარეულების, მრეცხავების, წვრილი ვაჭრების და მათი მსგავსი ადამიანების შვილების მიღებისაგან. მათი ბავშვები, განსაკუთრებული ნიჭის მქონეთა გარდა, არ უნდა გამოვიყვანოთ იმ წრიდან,

რომელსაც ისინი ეკუთვნიან და რომელსაც როგორც მრავალი წლის გამოცდილება გვაჩვენებს მოსდევს მშობლებისადმი უპატივცემულობა, თავიანთი ცხოვრებით უკმაყოფილება და არსებულისა და აუცილებ-ლის მიმართ ბოროტი დამოკიდე-ბულება.“ [59, გვ. 266-267]. ამ ყოველივეს შედეგად ის მოჰყვა, რომ 1879 წელს კავკასიის გიმნაზიებში სოფლის მოსახლეობის ბავშვები, 4,8 % შეადგენდნენ, ხოლო 1893 წლისათვის მათი რიცხვი უფრო მცირე იყო და ის შეადგენდა 2,6 %-ს.

1899 წლის 25 მაისს სახელმწიფო საბჭომ განიხილა საკითხი „თავადაზნაურთა ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების შესახებ“, რაც ითვალისწინებდა წარჩინებულ წოდების ბავშვთა სწავლების ყოველმხრივ გაფართოებისა და გაუმჯობესების შესახებ. დადგენილებაში ასევე საუბარი იყო მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე სტიპენდიების სახით და სასწავლო ნივთების უფასოდ გადაცემით. თავადაზნაურთა საზოგადოებებს უფლება ეძლეოდა საშუალო სასწავლებლებთან გაეხსნათ პანსიონი-პრიუტები, რომლე-ბითაც მხოლოდ თავადაზნაურთა შვილები ისარგებლებდნენ. აქედან ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ მეფის რუსეთის საშუალო სასწავლებელი თავიდან ბოლომდე წოდებრივ საწყისებზე იყო აგებული, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლებში დაბალი წოდების შვილებსაც იღებდნენ.

ოთხმოციან წლებში რეაქცია თავს დაატყდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობებს, განსაკუთრებით კი-ებრაელებს. „1886 წლის 10 დეკემბრის ცირკულარით რუსეთის განათლების მინისტრმა გააუქმა ებრაელთა სკოლების კურსდამთავრებულთა გიმნაზიების პირველ კლასში უგამოცდოთ მიღების წესი“. [58, გვ. 6]. ამ ყოველივემ სხვა რიგი პრობლემები შეუქმნა ებრაელ მოსახლეობას.

ამ პერიოდში მთელი რუსეთის საშუალო სასწავლებლებში სასტიკად სდევნიდნენ ყოველგვარ პროგრესულს და საერთოდ ადამიანურს. ეს ყოველივე კი გიმნაზიებში პოულობდა გამოძახილს და შესაბამისად სასწავლებლებში სამხედრო წესები იქნა შემოღებული. თითოეულ მოსწავლეზე თვალყურის დევნა და ყოველდღიური კონტროლი იყო დაწესებული. ამ ყოველივეზე იწერებოდა პრესაშიც. 1899 წელს ჟურნალი „მოამბე“ წერს: „ინტერნატები ნამდვილ ყაზარმებს მოაგონებს ადამიანს, ყმაწვილები დილით დოლის ან ზარის ხმაზედ დგებიან და ამავე ზარის ხმა იწვევს მათ დანიშნულ დროს სხვადასხვა ვარჯიშობაზედ. ... მათი სეირნობა სამხედრო მარშსა ჰგავს. თავისუფალ დროს მოსწავლენი ატარებენ მაღალ კედლებით შემოზღუდულ ვიწრო ეზოებში, სადაც უფრო ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობენ, ვიდრე თამაშობენ. მოსვენებაც არა აქვთ ხანგრძლივი: ნახევარი საათი დილით, ერთი საათი საუზმის შემდეგ და ნახევარი საათიც ნასადილევს. თვეში ერთხელ თავისუფლება და მშობლების ნახვა კვირაში ორჯერ, ისიც მისაღებ სასტუმრო ოთახში, მრავალ უცხოთა თანდასწრებით ამთავრებს ამ ცხოვრების სურათს.” [47, გვ. 65].

მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა ამ პერიოდისათვის გაუქმებული იყო, მაგრამ არსებობდა არანაკლებ დამამცირებელი დასჯის წესი-ეს იყო მოსწავლეთა კარცერში დამწყვდევა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ მსგავსი რეაქცია და ცინიზმი იმდროინდელ დასავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში შეტანილი იყო განცხადება მოსწავლეთა ამ წესით დასჯის გაუქმების შესახებ, კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარში მოცემულია განმარტება ამ წესის შენარჩუნების შესახებ, განკარგულებაში ნათქვამია: „ ... სახალხო განათლების სამინისტრომ აზრი გამოთქვა დასჯის ამ წესის შენარჩუნების შესახებ, შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე იმ საშუალო სასწავლებლებში, სადაც ახალი ნათელი კარცერები არ არსებობს, ძველი ბნელი კარცერების დატოვება, რომელთა

კარებს უნდა გაუკეთდეს ფანჯარა, რათა ზედამხედველს შეეძლოს თვალყური ადევნოს დატუსაღებული მოწაფის მოქმედებას, ამავე დროს კარცერები უნდა თბებოდეს და ჰქონდეს სკამი დასაჯდომად. ...“ [56, გვ. 231].

მოსწავლე ახალგაზრდობას თეატრში და სანახაობით დაწესებულებებში ოვაციების გამოხატვა და მოწონებითი შეძახილებიც კი ეკრძალებოდათ. ხდებოდა ისეც, რომ სახალხო განათლების სამინისტროს აწვდიდნენ ანონიმურ ყალბ ცნობებს ქართველი მოსწავლეების ბოროტმოქმედებების შესახებ, რაც კიდევ უფრო ართულებდა რუსეთის მხრიდან ნაციონალური უმცირესობის საქმეს. მაგალითად, „სამინისტროს მისწერეს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორის ვოიცეხოვსკის ვითომ ცემის ამბავი.“ [13, გვ. 124]. 1898 წლის 8 ივნისს განათლების სამინისტროში შევიდა ცნობა იმის შესახებ, რომ „28 აპრილს, საღამოს 10 საათზე თავის ბინასთან ახლოს უცნობმა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა ძლიერ სცემა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი ბ-ნ ვოიცეხოვსკი. ... ინსპექტორის ცემაში დანმაშავედ თვლიან მე-5 კლასის აღსაზრდელს ლორთქიფანიძესა და გოცირიძეს. ისინი თითქოს ამ შემთხვევაში მოქმედებდნენ გიმნაზისტების საერთო განაჩენის საფუძველზე, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ბ-ნ ვოიცეხოვსკის სიმკაცრით, განზრახული იყო მისთვის ერთი ყურის მოჭრა, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ინსპექტორის შინამოსამსახურემ, რომელიც ხმაურის გამო ქუჩაში გამოვიდა.“ [111, ფურც. 4]. სამინისტრომ სთხოვა მზრუნველს უფრო დაწვრილებით ეცნობებინა ამ ფაქტის შესახებ, რის შედეგადაც მიიღო მზრუნველის პასუხი: „8 ივნისის მომართვის პასუხად პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ სამინისტროში მიღებული ცნობა ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორის ვოიცეხოვსკის ცემის შესახებ თავიდან ბოლომდე მოჭორილია. ინსპექტორი ვოიცეხოვსკი 24 აპრილიდან 12 მაისამდე იყო ყვავილით ავად და არ გამოსულა სახლიდან, რის შესახებაც გიმნაზიის დირექტორმა და ექიმმა აცნობეს კიდეც სასწავლო ოლქის მზრუნველს.“ [111, ფურც. 3].

ამ პერიოდში ერთ-ერთი მთავარი გულისტკივილი მთელი ქართული ინტელიგენციის და მოწინავე საზოგადოებისა იყო ის, რომ სასწავლებლებში შეიმჩნეოდა ქართველ მოსწავლეთა სიმცირე. ქართული პრესაც დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა ქართველ მოსწავლეთა სიმცირეს გიმნაზიებსა და სემინარიებში. ქართველ მოსწავლეთა რიცხვის ზრდა საშუალო სასწავლებლებში საკმაოდ ნელი ტემპით ხდებოდა. მაგრამ კიდევ უფრო მცირე რაოდენობით ამთავრებდნენ ქართველი ახალგაზრდები საშუალო სასწავლებლის კურსს. კურსდამთავრებულთა რიცხვი ორჯერ ჩამორჩებოდა მიღებულთა რიცხვს. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი იყო განთესვის მაჩვენებელიც. 1890 წელს საქართველოს გიმნაზიებიდან და პროგიმნაზიებიდან განითესა 900 მოსწავლე, აქედან 209 იყო დასავლეთ საქართველოდან (დანართი N1). მოსწავლეთა განთესვას და საშუალო სასწავლებლების საერთოდ ცუდ მუშაობას მნიშვნელოვნად აპირობებდა უხეირო სასწავლო გეგმები და პროგრამები, აგრეთვე სწავლების სქოლასტიკური და დოგმატური შინაარსი და მიმართულება. 1890 წელს დამტკიცებული გიმნაზიების სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღვთო სჯული, რუსული და სლავური ენა სიტყვიერებითა და ლოგიკით, ლათინური ენა, ბერძნული ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, ფრანგული ენა, გერმანული ენა, მართლწერა და ხაზვა. აქედან ყველაზე მეტი საათი დათმობილი ქონდა ლათინურ (42 საათი) და ბერძნულ (33 საათი) ენებს და მათი სწავლება უაღრესად დოგმატურ და ზეპირ ხასიათს ატარებდა. ი გოგებაშვილი წერს: „ ... მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ გაკვეთილებს იმ ენაზე, რომელიც მათ კარგად არ ესმოდათ. ... ამ მიზეზის გამო ყმაწვილებს სასწავლებელი

სატუსაღოდ მიაჩნდათ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ როგორმე თავი გაენთავისუფლებინათ.“ [32, გვ. 36].

ქართულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა კრიტიკული წერილები საგიმნაზიო განათლების შესახებ. განსაკუთრებული კრიტიკის საგანი იყო ძველი ენების ესოდენ გაჭიანურებული და უსარგებლო ზუთხვა. აკადემიური მოუსწრებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ ძველ ენებზე მოდიოდა. ჩამორჩენილთა თითქმის ნახევარი ლათინურსა და ძველ ბერძნულში ვერ ასწრებდა. განათლების სამინისტროსთან არსებული კომიტეტი ამ მდგომარეობის მიზეზს ეძებდა არა უხეირო სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, რაც ნამდვიდად დიდ პრობლემას წარმოადგენდა, არამედ საშინაო დავალების არასწორ დოზირებაში. თუმცა, ცხადია, საშინაო დავალების დოზირება საქმეს ვერ უშველიდა, რადგანაც მთავარი პრობლემა სწორედ ზეპირობასა და დოგმატიზმში იყო.

XIX საუკუნის 40-იან წლებში საფუძველი ეყრება ქალთა საშუალო განათლებას კავკასიაში. პირველი ქალთა საშუალო სასწავლებელი, რომელიც კავკასიაში შეიქმნა, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი იყო. ქალთა საშუალო სასწავლებლებს წარმოადგენ-დნენ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებული ამავე სახელწოდების სასწავლებლები. თბილისში წმინდა ნინოს სასწავლებელი 1846 წელს დაარსდა, ქუთაისში-1847 წელს, ხოლო თელავში-1865 წელს. მაგრამ უნდა აღინიშნს, რომ საზოგადოება დიდ კმაყოფილებას არ გამოხატავდა ამ სასწავლებლის მიმართ. ი. გოგებაშვილი წერდა: „...ყველა მოლოდინი ფუჭად დარჩა. არც ერთი იმედი საზოგადოებისა არ იქნა განხორციელებული. ეს სასწავლებლები ზრდიდნენ და ზრდიან არა ნამდვილს გონიერს ქართველ დედებსა, არამედ რაღაც დამახინჯებულ რუსანკებსა, რომელთაც არც ქართული იციან ხეირიანად და არც რუსულში არიან დახელოვნებულები... ეს სასწავლებლები დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ მათ არ უჩუქებიათ საზოგადოებისათვის არც ერთი დედა, გამოჩენილი გონიერი შვილების აღზრდით, არც ერთი მასწავლებელი, შესამჩნევი მხნეობით, სიმარჯვით და კეთილ-ნაყოფიერი მოქმედებით, არც ერთი მოღვაწე ქართულის მწერლობისა, ლიტერატურისა.“ [32, გვ. 269-270]. ამ ტიპის სასწავლებელთა უნაყოფობის მიზეზი იყო ის, რომ სწავლა-აღზრდა არ იყო დაფუძნებული ეროვნულ საწყისებზე და მათ წმინდა რუსული მიმართულება ჰქონდათ.

„1870 წელს დამტკიცებულ იქნა „ქალთა გინმაზიების დებულება“, რომლის მიხედვით არსებობდა ორი უწყების ქალთა გიმნაზიები: სამინისტროს და დედოფალ მარიამის სახელობის. სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ქალთა გიმნაზიებს ჰქონდათ შვიდწლიანი ძირითადი კურსი და მერვე დამატებითი პედაგოგიური კლასი. ქალთა გიმნაზიების დამატებითი კლასები დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადებისათვის იყო განკუთვნილი. ორივე უწყების ქალთა გიმნაზიები საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ ჰქონდათ.“ [13, გვ. 135].

რეალურ სასწავლებლებს ჰქონდათ ექვსი კლასი, თითოეული კი ერთი წლის ხანგრძლივობით: სასწავლებლებთან იქმნებოდა მოსამზადებელი კლასები, რომელთა ხანგრძლივობა ადგილობრივად დგინდებოდა მოსწავლეთა ასაკისა და მომზადების შესაბამისად. სასწავლებელი შეიძლებოდა კომერციულ და ძირითად განყოფილებებად გამოყოფილიყო. ძირითად განყოფილებას შეიძლებოდა დამატებოდა აგრეთვე ერთი კლასი, რომელიც მოამზადებდა მოსწავლეებს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში

შესასვლელად. გარდა სახელმწიფო რეალური სასწავლებლებისა, ასეთივე ტიპის კერძო სასწავლებლის დაარსებაც იყო ნებადართული. ამასთანავე მათი უფლებები გათანაბრებული იყო. სწავლის ქირის რაოდენობას ადგენდა სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო. თითოეულ კლასში მოსწავლის ორჯერ დატოვება არ შეიძლებოდა, აკრძალული იყო. რეალური სასწავლებელი ქუთაისში გაიხსნა 1897 წელს. „სწავლება აქ 6 წელიწადს გრძელდებოდა იმავე სასწავლო გეგმით რა გეგმითაც ანხორციელებდა სწავლებას თბილისის რეალური სასწავლებელი რომელიც დაარსებული იყო 1874 წელს“. [13, გვ.136].

საშუალო სასწავლებელთა შორის უკეთ იყო მოწყობილი სამასწავლებლო ინსტიტუტი და სემინარიის მუშაობა. ფაქტია, რომ გორის სამასწავლებლო სემინარია ვერ უზრუნველყოფდა საქართველოში მასწავლებელთა სრულ მომზადებას, სწორედ ამიტომ დაიწყო მოძრაობა დასავლეთ საქართველოში მსავსი ინსტიტუტის გახსნის თაობაზე. მთავარ საკითხად კი დაისვა სემინარიისთვის ადგილის შერჩევა. ასახელებდნენ ძირითადად ქუთაისსა და ხონს. ამასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი წერდა: „ქალაქი ქუთაისი და დაბა ხონი ერთმანეთს ეჯიბრებიან სამასწავლებლო სემინარიის შესახებ; „არა ჩვენში გაიხსნას და, არა ჩვენშიო...“ ყოველ შემთხვევაში უპირატესობას ხონს ვანიჭებთ.“ [163, გვ.40-41]. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ქუთაისში მრავალი სასწავლებელი არსებობდა, ხონში კი, რომელიც უფრო ემარჯვება სამეგრელოს, აფხაზეთს, ქვემო იმერეთს და სხვა მხარეებს, არც ერთი არ იყო. საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ ხონის სასარგებლოდ იქნა მიღებული და 1881 წელს ხონში დაარსეს სამასწავლებლო სემინარია.

ქუთაისის სასულიერო სემინარია 1894 წლის 18 სექტემბერს დაარსდა გაბრიელ ქიქოძის ინიციატივით. სემინარიაში სასწავლო პროცესს ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით.

საშუალო სასწავლებლები კარგად იყო მომარაგებული სახელმძღვანელო წიგნებით, რომელიც ოფიციალურად ნებადართული იყო როგორც სახელმძღვანელოდ და დამხმარე სახელმძღვანელოდ ასევე კლასგარეშე საკითხავ წიგნებადაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საშუალო სასწავლებლების სახელმძღვანელოში მხედველობაში არ იყო მიღებული ნაციონალურ უმცირესობათა თავისებურებანი და ხალხურობის პრინციპი. ერთხელ დამტკიცებული სახელმძღვანელოები დიდხანს რჩებოდა ძალაში არსებითი ცვლილებების გარეშე. 1866 წელს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული განკარგულებით სახელმძღვანელო ძალაში უნდა დარჩენილიყო არანაკლებ ორი წლისა, ხოლო 1884 წელს ცირკულარით დადგინდა, რომ არც ერთი სახელმძღვანელო არ შეიძლებოდა შეცვლილიყო ორი წლის ვადის გასვლამდე, მაგრამ ეს მოთხოვნა ხშირად ირღვეოდა და სამინისტროში შედიოდა მშობლების და მოწაფეების განცხადებები სახელმძღვანელოების ხშირი შევცლის შესახებ. სამინისტრო კი მკაცრად ემუქრებოდა ამ წესის დამრღვევთ. ცირკულარში აღნიშნული იყო: „სახელმძღვანელოების ხშირი შეცვლა, პედაგოგიური თვალსაზრისით უხერხულობასთან ერთად, არის მძიმე ტვირთიც მრავალშვილიანი მშობლებისათვის, რომლებიც იძულებულნი არიან ყველა საჭირო სახელმძღვანელოსათვის ხარჯონ დიდი თანხა. გევალებათ დაიცვათ 1884 წლის პირველი აგვისტოს განკარგულება.“ [61, გვ. 462].

„ყველა საშუალო სასწავლებელში დაწესებული იყო სწავლის ქირა, რომელიც ოთხმო-ციან წლებში 50-70 მანეთს შეადგენდა წელიწადში. სწავლის ქირის ოდენობას თვით სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოები განსაზღვრავდნენ სასწავლო ოლქის დასტურით. ამიტომ ყველა სასწავლებელს სხვადასხვა ოდენობის ქირა ჰქონდა დაწესებული“. [13, გვ. 148].

საშუალო სასწავლებლები ანიჭებდნენ მასწავლებლობის წოდებასაც. ამ საკითხებს დაწვრილებით შევეხებით ამავე თავის მესამე პარაგრაფში.

XX საუკუნის დასაწყისში რადიკალურად დაისვა საკითხი საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ და მრავალი პროექტიც დამუშავდა, საშუალო სკოლის შინაგან წყობაში ზოგიერთი ცვლილება იქმნა შეტანილი რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებში და განსაკუთრებით თვით რევოლუციის პერიოდში. მაგალითად, შ.ჩიტაძის ხელმძღვანელობით პედაგოგიურ საბჭოზე დამუშავებულ იქნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საშუალო სკოლებში შექმნილი ვითარების შესწავლა-გაანალიზებას და იმ პროგრესულ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობდა სწავლა-აღზრდის საქმის სწორად წარმართვას. რეორგანიზავიის პროექტის მთავარი მიზანი ის იყო, რომ გიმნაზიას მოსწავლეთათვის უნდა მიეცა ფართო განათლება ყველა საგანში. ამის შესაბამისად გიმნაზიაში სწავლება იცვლებოდა უკეთესობისაკენ. პროექტში ნაკლები ყურადღება ექცეოდა აღმზრდელობით მუშაობის სრულყოფას. განხილული იყო აღმზრდელის თანამდებობის გაუქმება და მათი ფუნქციების მასწავლებლებზე დაკისრება. ეხებოდა მასწავლებლის როლს, საქმიანობას და უფლებრივ მატერიალურ მდგომარეობას. ცნობილი პედაგოგი ს.იაშვილი წერდა: „სკოლის სული და გული მასწავლებელია, სკოლის წარმატება, მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როცა სკოლას ერთგულად თავს დასტრიალებს შეგნებული, ჭეშმარიტის ცოდნით შეიარაღებული მასწავლებელი.“ [3, გვ. 54]. პროექტი შედარებით დემოკრატიული იყო, იგი გულისხმობდა გიმნაზიაში ყველა წოდების ბავშვთა მიღებას. ამ პროექტიდან განხორციელებული იქნა ორი პუნქტი: პედაგოგიურ საბჭოს მიენიჭა ავტონომიური უფლებები და პროგიმნაზიულ კლასებში სწავლება მშობლიურ ენაზე იქნა შემოღებული. რასაც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

1907 წელს ხელახლა დაისვა გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხი. გეგმა ითვალისწიებდა გიმნაზიის ორ ნაწილად გაყოფას: I ნაწილი: I-VI კლასები ყოფილიყო ზოგადსაგანმანათლებლო, ხოლო II ნაწილი-VII–IX კლასები ორი დარგით: „საჰუმანიტარო“ და „საბუნებრიო-სამათემატიკო“. ამ გეგმით სწავლება ერთი წლით უნდა გაზრდილიყო. ამ პროექტით I-VI კლასებს ემატებოდა ხელოვნების, ხელოსნობის და ფიზიკური აღზრდის სწავლება, ხოლო საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ განყოფილებაზე მაღალ კლასებს ემატებოდა ფიზიკისა და ქიმიის პრაქტიკული სამუშაოები. ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის 1907 წლის პროექტი მიღებულ და დამტკიცებულ არ იქნა, რადგან მისი განხილვა ერთი წლით გადაიდო „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების“ საერთო კრების მიერ, „ახლანდელი გამოურკვეველი მდგომარეობის გამო“.

საშუალო სკოლის რეფორმის იდეა წამოაყენა გურია-სამეგრელოს სამღვდელოებამ, სადაც დასმული იყო საკითხი სასულიერო სასწავლებლის გადაკეთების სასულიერო რეალურ სასწავლებლად, 8 წლიანი კურსით და ოთხწლიანი პირველდაწყებითი მოსამზადებელი განყოფილებით. პროექტი ითვალისწინებდა ორწლიანი საღვთისმეტყველო კურსების შექმნას იმათთვის, ვინც დაამთავრა სასულიერო რეალური სასწავლებლის პირველი ჯგუფი და სურდა მღვდლად მომზადება. მაგრამ პროექტი არ განხორციელდა. იგი მიუღებლად იქნა ჩათვლილი სასულიერო უწყების უმაღლესი ორგანოების მიერ. სასწავლებელში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: გაუქმებულ იქნა ბერძნული და სლავური გრამატიკის სწავლება, უფროს კლასებში დაემატა ქართული ენის საათები, სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნა რუსული სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია, სკოლებს ნება დაერთოთ შემოეღოთ ფრანგული ენის სწავლება.

1905 წელს „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა შიო ჩიტაძის წერილი „სათავაზნაურო სკოლის საკითხები“, სადაც ავტორი მიუთითებს სწავლების მოწყვეტას ცხოვრებისაგან, სასწავლო პროგრამებიდან ზედმეტი მასალის ამოღებას, გეგმების და პროგრამების საფუძვლიანად გადასინჯვა-გადამუშავებას, ისეთი საგნების დამატებას, როგორიცაა მრავალდარგოვანი ბუნებისმეტყველება, კულტურის ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სხვა. იგი იცავდა იმ აზრს, რომ საშუალო სკოლა აძლევდეს მოსწავლეს ფართო ზოგად განათლებას. ხელს უწყობდეს მისი სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებას.

საშუალო სასწავლებლების ქსელი ნელა მაგრამ მაინც იზრდებოდა. XX საუკუნის დასაწყისში თბილისისა და ქუთაისის ეპარქიელთა სასწავლებლები, რომლებიც პროგიმნაზიას უტოლდებოდა, საშუალო სასწავლებლებად გადაკეთდნენ. გაიხსნა ახალი ტიპის საშუალო სასწავლებლები. მნიშვნელოვნად იზრდებოდა ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვიც. 1916 წლისათვის საქართველოში სულ 49 საშუალო სასწავლებელი იყო, რომელშიც 13 ათასი მოსწავლე სწავლობდა (იხ. დანართი N4).

1912 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი ვაჟთა გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების შტატების შესახებ. ამ კანონით 1924 წლამდე გათვალისწინებული იყო კიდევ ხუთი გიმნაზიის გახსნა. 1918 წელს უნდა გახსნილიყო ზუგდიდის რეალური სასწავლებელი; 1920 წელს თბილისის მეორე რეალური სასწავლებელი; 1922 წელს ქუთაისის მეორე რეალური სასწავლებელი; 1923 წელს ოზურგეთის რეალური სასწავლებელი; 1924 წელს ვაჟთა მეშვიდე გიმნაზია თბილისში და სხვ.

გარკვეული მიზეზების გამო ეს გეგმა ვერ განხორციელდა. საშუალო სკოლა თავისი „სწავლების შინაარსით“ ვერ უპასუხებდა მერც მოსწავლეთა „ფსიქიურ წყობას“ და ვერც საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნებს. იგი სწავლების მთავარ ამოცანად მოსწავლეთა მიერ ცოდნათა გარკვეული მარაგის შეთვისებას სახავდა და ყურადღებას არ აქცევდა ცხოვრებაში საჭირო და სასარგებლო ჩვევებისა და უნარის გამომუშავებას. გადატვირთული იყო სასწავლო პროგრამები და გეგმები. სკოლაში ყურადღება არ ექცეოდა მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვას, მათ ფიზიკურ და ესთეტიკურ განვითარებას. გაბატონებული იყო ბიუროკრატიზმი და შაბლონი, ცხოვრების ადგილობრივ პირობებს ანგარიში არ ეწეოდა. საშუალო სკოლა არ იყო დაკავშირებული დაწყებით სკოლასთან. მათ შორის დარღვეული იყო მემკვიდრეობითობა.

1907-1916 წლებში საშუალო სკოლის რეფორმის მრავალი პროექტი დამუშავდა. მათ შორის აღსანიშნავია კანონპროექტი საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ერთიანი ტიპის საშუალო სკოლის შექმნას, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა დაწყებით და უმაღლეს სკოლასთან. გარდა ამისა, კანონპროექტი აუცილებლად თვლიდა მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებისათვის ანგარიშის გაწევას, მეცადინეობის პროცესში ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღებას, უფროსი კლასების მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას, მშობელთა კომიტეტის უფლება-მოვალეობათა გაფართოებას და სხვა. როგორც ვხედავთ ამ კანონპრტოექტის ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა საშუალო სკოლის ყველა ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რადგანაც ის შეზღუდული იყო და ვერ წყვეტდა საშუალო განათლების სისტემის ყველა მტკივნეულ საკითხს. ამ კანონპროექტის დიდს მნიშვნელობაზე კიდევ საუბრობს ის ფაქტიც, რომ ის ითვალისწინებდა კლასიკური ენების ამოღებას სწავლების კურსიდან და მათ ნაცვლად ზოგადსაგანმანათლებლო საგნების, მათ შორის, საბუნებისმეტყველო დისციპლინათა

სწავლების გაგრძელებას. მაგრამ ეს კანონპროექტი როგორც კი გადავიდა განათლების სამინისტროში დასამტკიცდებლად იქვე დასამარდა, რადგანაც მაშინდელმა განათლების მინისტრმა კასომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ახალი კანონპროექტი განხილვის საგანი არ გამხდარიყო.

ამავე დროს, მდგომარეობა გიმნაზიებში და აგრეთვე ზოგიერთ სხვა ტიპის სასწავლებლებში პირდაპირ საგანგაშო იყო. მოსწავლეები ხშირად მიმართავდნენ პროტესტის სხვადასხვა ფორმას: დემონსტრაცია, გაფიცვა, პროკლამაციების გავრცელება, მასწავლებლებზე და ადმინისტრაციული ხასიათის თანამდებობის პირებზე თავდასხმა, ინდივიდუალური ხასიათის ტერორისტული აქტები და ა.შ. მაგალითად 1908 წელს ბათუმის გიმნაზიის შენობაში ააფეთქეს საკმაოდ დიდი ძალის ყუმბარა, რასაც მიზეზად ახლდა ის რომ პედაგოგიურმა საბჭომ გიმნაზიიდან გარიცხა მეოთხე კლასის მოსწავლე გუგუშვილი, რამაც მოსწავლეებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ისინი იმუქრებოდნენ გაფიცვით, უშვებდნენ პროკლამაციებს, საქმეში პოლიციაც კი ჩაერია, გაჩხრიკეს ზოგიერთი მოსწავლის ბინა და აღმოაჩინეს აკრძალული ლიტერატურა, რის საფუძველზეც რამდენიმე მოსწავლე გარიცხეს გიმნაზიიდან. თუმცა ამ ყოველივემ მოსწავლეები ვერ შეაჩერა და მოახდინეს კიდევაც აფეთქება.

ამ საფუძველზე წარმოიშვა 48 მემარჯვენე დეპუტატის შეკითხვა, რომელიც 1908 წლის 23 მაისს შეტანილ იქნა სახელმწიფო სათათბიროში. შეკითხვის ძირითადი შინაარსი კი ასეთი იყო: „კავკასიაში სახალხო განათლების საქმე მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობის შედეგად მოშლის კარამდეა მიყვანილი. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა იმიტომ, რომ მასწავლებელთა შორის ბევრია თანამდებობისათვის შეუფერებელი პირი, რომელთა დიდი ნაწილი თვითონ იღებს მონაწილეობას რევოლუციაში და ამით აქეზებს მოსწავლეებს. ასეთ პირთა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად დასახელებულია თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორი გამყრელიძე, რომელმაც შეკითხვის ავტორთა სიტყვით, გიმნაზია ყუმბარების საწყობად და საეჭვო ელემენტების თავშესაყარ ადგილად აქცია [106, გვ. 63]“. შეკითხვაში ასევე დასახელებულია სულ 17 ფაქტი, რომელიც მოსწავლეთა მიერ რევოლუციური მოძრაობის კონკრეტულ ფაქტებს ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ფაქტი სინამდვილეს ასახავს, მაინც არის ის დამახინჯებულად და ტენდენციურად გადმოცემული. მაგალითად, მოყვანილია ფაქტი, რომ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებმა სიკვდილის დასჯის განაჩენი გამოუტანეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს. ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა, ჯენჭისყრით, წილად ხვდა V კლასის მოსწავლე გაბუნიას, თუმცა სინამდვილეში ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებმა მართლაც გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი გენერალ-გუბერნატორს, მაგრამ მის შესასრულებლად არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

საინტერესოა, რა იყო მიზეზი მოსწავლეთა მხრიდან მსგავსი საქციელების ჩადენისა. ს. სიგუა, თავის წიგნში „სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში 1907-1917 წლებში“ ერთ ერთ მთავარ მიზეზად ასახელებს მოსწავლეთა განუკითხავად და უსაფუძვლოდ დატოვებას იმავე კლასში, მათდამი უსულგულო და ბიუროკრატიული დამოკიდებულებას. ეს მომენტი შეუმჩნევლად არ დარჩენია მეფისნაცვალს და მოითხოვდა მეტი სიფრთხილისა და წინდახედულების გამოჩენას მოსწავლეთა იმავე კლასში დატოვების გადაწყვეტილების მიღებისას.

მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა და მათი აქტიური გამოსვლები სასწავლო ადმინისტრაციისა და საძულველი მასწავლებლების წინააღმდეგ გრძელდებოდა. ისინი არ აპირებდნენ უკან დახევას. „ქუთაისის მოსწავლეთა ორგანიზაცია“აქტიურად უშვებდა და მოსწავლეთა შორის ავრცელებდა პროკლამაციებს, ზოგჯერ სტამბური წესით დაბეჭდილსაც კი. ამ ტიპის პროკლამაციებში ზედმიწევნით სწორადაა ასახული მოსწავლეთა მდგომარეობა და სულიერი განწყობილება სკოლებში შექმნილი აუტანელი რეჟიმის პირობებში. აქედან ნათლად სჩანს ისიც, თუ რა აიძულებდათ მოსწავლეებ მიემართათ უკიდურესი ზომებისათვის ზოგიერთი „აღმზრდელის“ წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი სამართლიანად უწოდებდნენ „ტირანებს“, „შავ ყორნებს“ და „შავრაზმელებს“.

რეაქციის მძვინვარებამ და რევოლუციის დამარცხებამ მოსწავლეთა ერთ ნაწილში უიმედობის ატმოსფერო შექმნა, რასაც მოყვა მოსწავლეთა შორის თვითმკვლელობის მასობვრივი გავრცელება და ამორალური ხასიათის არაჯანსაღი ორგანიზაციების ჩამოყალიბების ცდა. რეაქციის წლებში თვითმკვლელობა იმდენად გავრცელდა მოსწავლეებს შორის, რომ მან სოციალური უბედურების ხასიათი მიიღო. საზოგადოებაში ინტენსიურად განიხილებოდა ეს საკითხი, ისინი ეძებდნენ მიზეზებს თვითმკვლელობისას.

კავკასიის ხელმძღვანელი წრეების აზრით მოსწავლეთა თვითმკვლელობის მიზეზი იყო: „ა) ცხოვრებაში გულისხმათა გადაჭარბებული განვითარება, რომელნიც არ ეთანხმე-ბიან მათი განსახორციელებელ ძალასა და საშუალებას; ბ) სულმდაბლობა ცხოვრების სიდუხჭირის წინაშე, სიჩაუქის უქონლობა, ცხოვრების სიძნელეებთან და მასთან ბრძოლაში თავისი ძალის იმედისა და რწმენის უქონლობა.“ [89, გვ. 161]. ჟურნალ „განათლების“ აზრით, „ვერც არისტოკრატია, ვერც ღარიბთა ოჯახები და ვერც ბურჟუაზია ვერ ამზადებდა ბავშვებს ცხოვრებისათვის, რაც შემდეგში იწვევს სასოწარკვეთილებას და თვითმკვლელობას.“ [38]. სხვა მრავალი მოსაზრება იყო აგრეთვე გამოთქმული მოსწავლეთა თვითმკვლელობასთან დაკავშირებით, მაგრამ განსაკუთრებით სწორად არის ამ საკითხზე საუბარი და დასაბუთებულია ქუთაისის მოსწავლეთა ორგანიზაციის 1911 წლის პროკლამაციაში: „ნათელი დღეებიწავიდა. ჯერ კიდევ არსად ჩანს რევოლუციური განთიადის სხივები. მძიმე, უკუნი ღამე ჩამოწვა რუსეთზე. გაისმის გულიდან ამონახეთქი მტკივნეული ავადმყოფური ყვირილი: როდისღა იქნება დღე? შეუძლებელია ასე ცხოვრება. მაგრამ ამ ტანჯული სულის ყვირილს და ოხვრას პასუხს აძლევს ველური ღმუილი რეაქციის აფთრებისა, რომლებიც თხრიან და ბილწავენ დაღუპულ მებრძოლთა წმინდა საფლავებს. ცხოვრება მძიმე და საშიში გახდა. თვითმკვლელობის პროცენტმა მიაღწია კოლოსალურ რაოდენობას და ეს საშინელი ეპიდემია განსაკუთრებული ძალით მძვინვარებს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. ეს სრულიად გასაგებიცაა: სასწავლო დაწესებულებები გადაიქცა ხულიგნური თარეშის ასპარეზად. ეს განათლების კერა კი არ არის, არამედ საპყრობილეა. სადაც აწამებენ, გეშავენ და აიძულებენ ახალგაზრდა სულებს... დაბნელების სამინისტრომ მიზნად დაისახა აქციოს სკოლა სიბნელის, გახრწნილებისა და ხულიგნობის დამნერგველად. მან ის აავსო ჟანდარმებით მასწავლებლის ქურთუკებში და შეუდგა სკოლის საუკეთესო ელემენტების ნამდვილი პედაგოგებისა და მოწინავე მოსწავლეების დევნას.“ [109, გვ. 154]. ცხადია ასეთმა ატმოსფერომ და პირობებმა მიიყვანა მოსწავლეთა ერთი ნაწილი უიმედობამდე, რაც ხშირად თვითმკვლელობით მთავრდებოდა. მოსწავლეთა თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზი სწორედ ეს იყო.

საშუალო განათლების ერთ-ერთ მწვავე საკითხს ასევე წარმოადგენდა სკოლებისა და მოსწავლეთა კონტინგენტი. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომელსაც საშუალო განათლების მიღება სურდა, სკოლის გარეთ რჩებოდა, რადგანაც საშუალო სასწავლებლები გადატვირთული იყო. მაგრამ მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის რომ ხელი შეშლოდა საშუალო სასწავლებლების ზრდას, მათ არ სურდათ ხალხში ცოდნის გავრცელება, რადგანაც საშიშ მოვლენად მიაჩნდათ მშრომელთა წრიდან გამოსული ახალგაზრდობის განათლებისაკენ სწრაფვა. მთავრობამ საშუალო სკოლის ხარჯების დაფარვა საზოგადოებას დაავალა, რაც თავისთავად ხელის შემლელი იქნებოდა სასწავლებლების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეაქციის წლებში და მის შემდეგაც საშუალო სკოლები პატარა ქალაქებსა და დაბებშიც კი იხსნებოდა რასაც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უფრო მისაწვდომი ხდებოდა პროვინციების ახალგაზრდობისათვის. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში საშუალო სკოლებში გლეხობის წრიდან სწავლობდა მხოლოდ 200 მოსწავლე. 1914 წლისათვის გლეხი ახალგაზრდობის რიცხვი საშუალო სკოლებში 2500 აღწევდა, მათ შორის 212 მხოლოდ თბილისის ქართულ სათავაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა. მართალია ესენი შეძლებული გლეხების შვილები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ფაქტს მაინც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივი პროგრესის თვალსაზრისით. „საშუალო სკოლის საშემოსავლო ნაწილის ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწავლის ქირა შეადგენდა. საშუალო სკოლის მოსწავლე წლიურად სწავლის ქირას იხდიდა 80-100 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა, ზოგიერთ სკოლაში შემოღებული იყო დამატებითი გადასახადი არასავალდებულო საგნების (ქართული ენა, უცხო ენები, ცეკვა, მუსიკა და ა.შ.) სწავლისათვის. მოსწავლეები, რომლებიც პანსიონში ირიცხებოდნენ, იხდიდნენ აგრეთვე „აღზრდის ქირას“, რაც სწავლის ქირაზე დაახლოებით 3-ჯერ უფრო მეტი იყო. ამ თანხებიდან იფარებოდა პანსიონის შესანახი ხარჯები. დაშვებული იყო ასევე სწავლის ქირისაგან მოსწავლეთა 15%-ის განთავისუფლება. ამ ნორმის გადაჭარბება, აგრეთვე სწავლის ქირის შემცირება კატეგორიულად აკრძალული იყო“. [106, გვ. 84].

საშუალო სკოლის სწავლების შინაარსი, ფორმები და მეთოდები უვარგისად იყო აღიარებული. საშუალო სკოლის რეფორმის საკითხი სწორედ ასე მწვავედ ამიტომ იდგა დღის წესრიგში. რუსეთის მთავრობის მთავარი მიზანი იყო ბრძოლა რევოლუციური და მატერიალისტური იდეების მატარებელ ახალგაზრდობასთან. ამ მიზნით მას აუცილებ-ლად მიაჩნდა ახალგაზრდობის მოწყვეტა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, რომელიც მისი აზრით, აღსავსე იყო მავნე აზრებით, იდეებით და შეხედულებით.

აქედან გამომდინარე, „მიუღებელი იყო სწავლება საზოგადოებათმეცნიერული საგნებისა, რომლებიც მოსწავლეებს გააცნობდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ბუნებისმეტყველება აღიარებული იყო ისეთ საგნად, რომელიც წარმოშობს მატერიალისტურ შეხედულებებს, ძირს უთხრის რელიგიურ რწმენას. სამაგიეროდ ძველი ენების გრამატიკა, რომელიც არავითარ რევოლუციურ იდეებს არ შეიცავს და მათემატიკა, რომელსაც თითქოს არ აქვს კავშირი პოლიტიკასთან, მიჩნეული იყო ძირითად და წამყვან საგნებად სწავლების კურსში. მიუხედავად ამისა, საშუალო სკოლის სწავლების კურსმა მაინც განიცადა გარკვეული ცვლილებები: შემოღებულ იქნა ახალი სასწავლო საგნები-ფილოსოფიური პროპედევტიკადა კანონთმცოდნეობა, გადიდდა საათები რუსულ და საეკლესიო სლავურ ენაში, გეოგრაფიაში, ისტორიასა და ახალ ენებში. ფიზიკა და

ბუნებისმეტყველება შეტანილ იქნა სასწავლო გეგმებში, როგორც ცალკე სასწავლო საგნები. შემცირდა საათები ლათინურ ენაში. ბერძნული ენა საშუალო სკოლების ერთი ნაწილის სწავლების კურსიდანამოღებული იქნა“ [106, გვ. 86]. სწავლების კურსში სამი უცხო ენა შედიოდა. საქართველოს საშუალო სკოლებში მსურველთათვის ქართული ენის შესწავლაციყო ნებადართული. საქართველოს გიმნაზიებში 6 ენა და ამ ენების გრამატიკა ისწავლებოდა, რაც ცხადია ბევრი იყო. რეალური სასწავლებლები მოსწავლეებს უფრო ღრმა და ფართო მომზადებას აძლევდა მეცნიერებათა საფუძვლებში ვიდრე კლასიკური გიმნაზიები. მაგრამ რეალური სასწავლებლის კურსდამთავრებულს უფლება არ ჰქონდა უნივერსიტეტში შესვლის. კომერციული სასწავლებლების სასწავლო გეგმა ისეთივე იყო, როგორც რეალურ სასწავლებლებში. განსხვავება იყო, ის, რომ კომერციული სასწავლებელი იყო 8 კლასიანი და დამატებით ისწავლებოდა ქიმია და კომერციული მეცნიერებანი: კომერციული არითმეტიკა, პოლიტიკური ეკონომია, საქონელმცოდნეობა ტექნოლოგიით. ისწავლებოდა აგრეთვე ხელგარჯილობა, ფიზიკური ვარჯიში, გალობა, მუსიკა. კომერციული სასწავლებლის სასწავლო გეგმა უფრო მეტად პასუხობდა ცხოვრების მოთხოვნებს, ვიდრე რეალური სასწავლებლისა.

პროფ. უ. ობოლაძე წერდა: „ამ საშუალო სასწავლებლის გარშემო თავს იყრიდნენ იმ დროისათვის მოწინავე ქართველი მეცნიერები, მწერლები და პუბლიცისტები, მასწავლებელ-მეთოდისტები. სხვადასხვა დროს, რიგი წლების განმავლობაში თბილისისა და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებში ნაყოფიერ პადაგოგიურსა და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ: ე. თაყაიშვილი, ალ. გარსევანიშვილი, ს. ხუნდაძე, ს. იაშვილი, ს. გიორგაძე, შ. ჩიტაძე, გ. ახვლედიანი, ი. გომელაური, დ. უზნაძე, ალ. ჯანელიძე, გ. ნათაძე, ცნობილი პედაგოგები ი. ოცხელი, ს. შარაშენიძე, ნ. სვანიძე, ს. ყიფიანი, თ. მთავრიშვილი და სხვ. მათი ძირითადი საზრუნავი იყო პირობების მომზადება ქართული, ეროვნული, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის. გიმნაზიებში ქართულ ენასა და ლიტერატურას მნიშვნელოვანი დრო და ადგილი ეთმობოდა, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, საშუალო სკოლა ერთ ადგილზე არ იყო გაყინული, მეფის ხელისუფლება ვერ ახერხებდა ცხოვრებისა და ქვეყნის განვითარების წიაღში წარმოშობილი მოწინავე იდეებისათვის გზის დახშობას, რომ სკოლის კედლები მთლიანად შეუვალი გაეხადა და ახალი პროგრესული ნაკადის წინსვლა შეეჩერებინა.“ [77, გვ. 86].

აღსანიშნავია სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით სასწავლო ოლქის ადმინისტრაციის მიერ სკოლებში კლასგარეშე პრაქტიკული მეცადინეობის და ექვსკურსიების შემოღება. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში შედარებით კარგად იყო დაყენებული, ამის მიზეზი ის იყო, რომ იქ მუშაობდნენ ცნობილი და აღიარებული მასწავლებლები.

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 1916 წლიდან ქალთა გიმნაზიებში დაიწყო საერთო განათლების მერვე დამატებითი კლასის ჩამოყალიბება. ამ კლასის დანიშნულებას შეადგენდა მოსწავლეთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. გარდა ამისა, მერვე დამატებით კლასს შეიძლებოდა მისცემოდა აგრეთვე სხვადასხვა სახის (მეოჯახეობა, ხელსაქმე, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ფოსტა-ტელეგრაფის საქმე და ა.შ.) პროფესიული განხრა.

სასწავლო საგნებიდან საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში პირველი ადგილი ეჭირა საღვთო სჯულს. მისი სწავლება სავალდებულო იყო ყველა ტიპის და საფეხურის სკოლაში. ეს საგანი ისწავლებოდა ყველა კლასში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის

ფაქტი, რომ საღვთო სჯულის მასწავლებელი დიდი პრივილეგიით სარგებლობდა სკოლაში. მას ეკისრებოდა კონტროლი და მეთვალყურეობა ყველა სხვა საგნის სწავლებაზე. მაგრამ საბოლოო ჯამში, საშუალო სკოლების სასწავლო გეგმა მაინც არ პასუხობდა ცხოვრების მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების თანამედროვე დონეს.

§3.პროფესიული და პედაგოგიური განათლება

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ დღის წესრიგში კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი დააყენა. ადრე, დაბალი კვალიფიკაციის კადრებს ამზადებდნენ ინდივიდუალური სწავლების გზით. ხელობის ამ წესით შესწავლა მხოლოდ პრაქტიკული ვარჯიშებით ამოიწურებოდა. ხელოსანი რომელიც თავის ხელობას ასწავლიდა შეგირდს, თითქმის არავითარ თეორიულ მომზადებას არ აძლევდა მას, ზოგადგანათლებაზე ხომ საერთოდ ზედმეტი იყო ლაპარაკი.

ქართველი ინტელიგენცია და მოწინავე ქართული საზოგადოებაც ეხმიანებოდა პროფესიული განათლების აუცილებლობას. ილია ჭავჭავაძე წერდა: „სახელოსნო და სასპეციალო სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია, ჩვენი წარსულის საქმის ხელახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის. დროა ამაზე ვიფიქროთ დროა ამ საქმეს ჩავკიდოთ ხელი და ვინ იცის, იქნება იგი თითო-ოროლა გროში, რომელსაც ცალკე კაცნი, სოფლები და ქალაქები თუ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი იმეტებენ, ცოტად თუ ბევრად ამ საქმესაც მივაწოდოთ და მოვახმაროთ“ [13, გვ.153].

პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელის გაფართოების იდეას კავკასიის სასწავლო ოლქის მესვეურებიც უჭერდნენ მხარს, მაგრამ არა კეთილი განზრახვით, არამედ იმ მოტივით, რომ დაბალი ფენების ახალგაზრდობის ფართო სარბიელზე გასვლა შეეფერხებინა. 1885 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი წერდა: „კავკასიის მხარე, შესაძლოა, უფრო მეტად, ვიდრე რუსეთის სხვა ადგილები, საჭიროებენ ისეთ სასწავლო დაწესებულებებს, რომლებშიც განათლების მიღება მოსწავლეებს კი არ გამოიყვანთ იმ წრიდან, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, არამედ, პირიქით, მიაჯაჭვებდა მას და ამ გარემოს მატერიალური და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების სამსახურში ჩააყენებდა. ასეთ სასწავლო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ პროფესიული ხასიათი, მაგრამ არა ერთფეროვანი, არამედ ისეთივე მრავალფეროვანი, როგორიცაა სხვადასხვა ადგილები კავკასიისა.“ [53, გვ. 219].

კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია, შესაბამისად მთავრობის საერთო პოლიტიკისა, ცდილობდა მშრომელთა წრის ახალგაზრდობა ჩაება პროფესიული განათლების სისტემაში და ამ გზით ჩამოეცილებინა ისინი საშუალო და უმაღლესი სკოლისაგან. ეს იყო არა მარტო ნაცადი ხერხი, არამედ საერთოდ გავრცელებული სისტემა, რომლის მიხედვითაც დაბალი ფენის წარმომადგენლებს მიეღოთ-დაბალი და პროფესიული განათლება, ხოლო არისტოკრატებისა და წარჩინებულთა შვილებს - საშუალო და უმაღლესი განათლება.

პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლების განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. პირველი პროფესიული სასწავლებელი საქართველოში იყო „კავკასიის სამიჯნო სკოლა“, რომელიც 1847 წელს გაიხსნა. ეს სკოლა ამზადებდა მომიჯნეებსა და მიწათმზომელთა თანაშემწეებს და ამ სკოლის კონტინგენტი შეადგენდა 50 კაცს.

დასავლეთ საქართველოში პროფესიული განათლების მხრივ აშკარა მრავალფეროვნება შეიმჩნევა. აღსანიშნავია ბათუმის ვაჟთა სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც 1889 წელს გაიხსნა. ამ სასწავლებლის დებულება სამზრუნველო საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1884 წლის 19 იანვარს მიიღო, მაგრამ გაჭიანურდა ამ სასწავლებლის გახსნა და მხოლოდ 1889 წელს შეძლო სასწავლო წელი მეცადინეობით დაეწყო. საბჭოს მიერ მოწონებული დებულების მიხედვით აქ განათლების კურსში შემდეგი დისციპლინები იყო გათვალისწინებული: მებაღეობა, მებოსტნეობა და მიწათმოქმედების სხვა დარგები, ასევე სადურგლო, საზეინკლო და სამჭედლო საქმე. დებულების მიხედვით სურვილის გამოჩენის შემთხვევაში შესაძლებელი იყო სხვა პროფესიის (მაგ. ნავების წარმოება, საამკინძაო საქმე ან სხვა) სწავლების შემოღებაც. აღნიშნული სასწავლებელი სამკლასიანი იყო, თითოეული კლასი ერთი წლის ხანგრძლივობით. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში პრაქტიკასთან ერთად თეორიული საკითხებიც ისწავლებოდა. ასევე ძალზედ საინტერესოა მასწავლებელთა სახელფასო განაკვეთი და სასწავლების საგნობრივი პროგრამა (იხ. დანართი N 5). ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში სწავლის გადასახადი წელიწადში 12 მანეთი იყო. ხოლო აღზრდის გადასახადი იმათთვის, ვინც პანსიონში ირიცხებოდა 132 მანეთი. ბათუმის ვაჟთა პროფესიულ სასწავლებელში მოსწავლეთა ზრდის მაჩვენებელი შემდეგი იყო, “1890 წლისათვის აქ ირიცხებოდა 27 მოსწავლე, ხოლო 1900 წელს მისი რაოდენობა გაზრდილი იყო 77-მდე, ხოლო სასწავლებელს 1900 წლისათვის უკვე ჰყავდა 80 კურსდამთავრებული. ეროვნების მიხედვით კი ამავე წელს აქ ქართველ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი 31,1 % შეადგენდა, ხოლო 1900 წელს აქ არსებული 77 მოსწავლიდან ქართველი იყო - 24, სომეხი - 7, რუსი - 17, ხოლო სხვა ეროვნება - 29.” [13, გვ.157 ცხ. N1 და N2].

სახელოსნო მოწაფეობის სკოლა ხელობის დაუფლების მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მოწაფეს ხელობა უნდა შეესწავლა ხელოსანთან. ხონში კი ეს საქმე ვერ მოწესრიგდა იმის გამო, რომ ადგილზე არ იყო შესაძლებლობა ხელოსნის ხელმძღვანელობით ხელობის შესწავლისა. სწავლის გადასახადი ამ სკოლებში ერთ-მოსწავლეზე წელიწადში შეადგენდა 12 მანეთს. “სულ სამი კლასი იყო, სამივე თითო წლის სწავლებით, შესაბამისად სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი იყო. რაც შეეხება სასწავლო პროგრამას, ის ისეთივე იყო როგორც სახელოსნო სასწავლებელში და კიდევ დამატებით ისწავლებოდა ცნობები მშობლიური ქვეყნის ისტორიიდან და გეოგრაფიიდან“. [106, გვ.111].

გარდა სპეციალური სახელოსნო სასწავლებლებისა, ხშირი იყო ასევე დაწყებით და საქალაქო სასწავლებლებთან სახელოსნო და სამეურნეო განყოფილებების გახსნის ფაქტები, რომლებიც მუშაობდნენ სპეციალურად დამუშავებული პროგრამებით და გეგმებით. “ასეთი განყოფილებებიდან აღსანიშნავია სამეგრელოს საქალაქო სასწავლებელი, ქ. ფოთში, 1890 წლის 20 მაისს გახსნილი სახელოსნო განყოფილება სადურგლო და საზეინკლო განხრით” [60, გვ. 230-231]. ასეთივე განყოფილება 1897 წელს გაიხსნა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელთანაც. ორივე ამ განყოფილებას სახელმწიფო ხაზინიდან დამატებით გამოეყოთ 300 მანეთი. ასევე 1893 წელს ოჩამჩირის

დაწყებით სკოლასთან შეიქმნა სახელოსნო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილება. ხოლო 1894 წელს კი მარტვილის ერთკლასიანი სასოფლო სკოლა გადაკეთდა ორკლასიანად და მასთან სახელოსნო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილება დაარსდა.

ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას ეწეოდა როგორც კავკასიის სასწავლო ოლქი, ასევე რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაც. ამ მიზნით ისინი აწყობდნენ სხვადასხვა სახის მოკლევადიან კურსებს რომელთა პროგრამა მეტად მრავალფეროვანი იყო. (იხ. დანართი N6). პროფესიული განათლების პროპაგან-დისათვის და წახალისებისათვის ასევე იმართებოდა გამოფენებიც. მაგალითად 1899 წელს ქ. სოხუმში მოეწყო ქუთაისის გუბერნიის სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაც, სადაც მედლები ასე გადანაწილდა: "დიდი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა-სამეგრელოს ექვსკლასიანი სასწავლებელი ქ. ფოთში და მუჟალსკის, რომელიც ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა, ნორმალური სასწავლებელი; მცირე ვერცხლის მედალი გადაეცა-ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელს და ბახვისა და ალექ-სანდროვსკის სკოლებს რომელიც სოხუმის ოლქში შედიოდნენ; რაც შეეხება ბრინჯაოს მედალს, ის გადაეცა-ოჩამჩირის, ჩურუქსუს, ნიკორწმინდის, ილორის, ძველი სენაკის, კვათანის, სოხუმის მთიელთა, მარნისა და საჩხერის სკოლებს". [62, გვ.162]. ამავე წელს ქუთაისში მოეწყო სასწავლებლების სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა-ბათუმის საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებელი, მარნის ორკლასიანი სასწავლებელი, ახალსენაკის ნორმალური სასწავლებელი, ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი და დიდი ჯიხაიშის ნორმალური სასწავლებელი; რაც შეეხება ქების სიგელს, ის გადაეცა-ძველი სენაკის, ხობისა და კულაშის სკოლებს. ეს ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ბევრ სკოლებში მოსწავლეთა მომზადება საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა. ეწყობოდა აგრეთვე საწარმოო სწავლების მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდური კურსები. მაგალითად, "ხელგარჯილობის სასწავლო საოლქო კურსები 1911 წელს გაიარა-71 მასწავლებელმა, 1912 წელს-102, 1913 წელს-125 და 1914 წელს-179 მასწავლებელმა. გარდა ამისა ასეთივე კურსები ეწყობოდა აგრეთვე საინსპექციო რაიონებშიც." [106, გვ. 123].

კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ აუცილებელი გახადა წარმოების ქსელის გაფართოება. იმის გამო რომ, საქართველო აგრარულ ქვეყანად რჩებოდა დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მოსახლეობაში აგროტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას. სწორედ ამ მიზნით „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგამოებამ", რომელიც 1850 წელს დაარსდა, თბილისსა და ქუთაისში გახსნა სახელოსნო სკოლები, რომელთა მიზანს დებულების მიხედვით შეადგენდა: „მხარეში გაუმჯობესებული მებაღეობისა და მებოსტნეობის გავრცელება, სასწავლებლებთან სანიმუშო ბაღის მოწყობით და უპირატესად ადგილობრივ მკვიდრთაგან გამოცდილი მებაღეების მომზადება." [13, გვ. 161]. სკოლაში ისწავლებდა რუსული ენა, არითმეტიკა, მებაღეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა. სკოლაში იღებდნენ 14-17 წლის ახალგაზრდებს და სწავლის კურსი შეადგენდა ოთხ წელიწადს. აქ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობდნენ სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების ხარჯზე, ვალდებულნი იყვნენ სკოლის დამთავრების შემდეგ ათ წელიწადს ემუშავათ კავკასიაში თავისი ხარჯით.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა 1893 წელს და ცხრაასიანი წლების დასაწყისში გადაკეთდა სასწავლებლად. სკოლა ფართო პროფილიანი იყო და აქ ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც. მოსწავლეები ასევე ეუფლებოდნენ მემინდვრეობასა და მეცხოველეობის ძირითად დარგებს, ეუფლებოდნენ აგრეთვე

მეაბრეშუმეობასაც. განსაკუთრებით აღსაანიშნავია, გორის, ოზურგეთის, ზაქათალის, ლეჩხუმის და ზუგდიდის საქალაქო სკოლები. 1898 წელს კი დიდი ჯიხაიშის ქალთა სასწავლებელთან დაარსდა მეაბრეშუმეობის სახელოსნო, სადაც ყოველდღიურად 6 მოსწავლე მუშაობდა 4-4 საათის განმავლობაში. ამ მოსწავლეებთან ერთად აქ მუშაობდნენ აგრეთვე 6 დაქირავებული ქალი 8-8 საათი დღეში. რაც შეეხება სწავლის ქირას, აქ სწავლება უფასო არ იყო, მოსწავლეებს უნდა გადაეხადათ 6 მანეთი წელიწადში. აქ მომუშავენი და მოწაფენი კი მუშაობდნენ ორ საქსოვ, ორ დამხვევ და ორ საჩეჩ დაზგაზე.

პროფესიული განათლებისათვის, განსაკუთრებით თუკი ეს შეეხებოდა სასოფლო-სამეურნეო განათლებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის ნაკვეთების გადაცემას და მათ მიზანშეწონილ დამუშავებას. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარებიდან და ანგარიშებიდან ვხედავთ რომ ბევრ სკოლას საკმაოდ კარგად მოწყობილი ნაკვეთები ჰქონდა. (იხ. დანართი N7).

ვაჟთა პროფესიულ განათლებასთან ერთად საქართველოში ნელნელა ვითარდებოდა ქალთა პროფესიული განათლების ქსელიც. აღსანიშვავია გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ქალთა პროფესიული სკოლის პროექტი, რომელიც შეადგინა და გამოქვეყნა 1880 წელს, წ.კ.გ.ს.-ის ახლადარჩეულმა წევრმა და ცნობილმა საბავშვო მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა. ამ წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მოწინავე ქართულ ინტელიგენციაში და თვით საზოგადოების გამგეობის მხრიდანაც. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტს ამგვარად აღწერს: „ჩვენ ამ წერილისა ის მოგვწონს და ის გვიხარია, - წერდა ილია - ჩვენს ქალებს თავისთავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა. უკეთესს სახლსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვერას იპოვიან ... ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შეგვაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჭეშმარიტ გზას დასდგომიან თავიანთი სვე-ბედის გასასწორებლად. მალე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა, თუ გვიან - დღეს საქმე ამაში არ არის, საქმე იმაშია, რომ თავისი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთი მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავისი საკუთარი ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდან სვე-ბედის ბურთი. რაც გინდათ ბევრი დაბრკოლება აღმოჩნდეს ამ ქალებისაგან განზრახულ საქმეს, ბოლოს მაინც გამარჯვება და გამარჯვება, რადგან იშვიათი ამბავია, რომ დაუღალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავისი არ გაეტანოს.” [173, გვ. 368].

გამგეობისა და მოწინავე ქართული ინტელიგენციის ასეთმა გვერდით დგომამ, მხნეობა შემატა ეკატერინე გაბაშვილს და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. მან საკუთარ ბინაში გახსნა ჭრა-კერვისა და ქარგვის სკოლა.1896 წელს ასეთივე სკოლა დააარსა ქუთაისში ქეთევან კორძაიამ, რომელიც თბილისის ე. გაბაშვილის სკოლის ანალოგი იყო. ამ სკოლას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, აქ სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და მოსწავლეეები პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ზოგადსაგანმანათ-ლებლო ცოდნასაც ღებულობდნენ.

ქ. კორძაიას ქალთა პროფესიული სკოლის გვერდით არ შეიძლება არ აღინიშნოს 1899 წელს ქ. ფოთში დაარსებული ქალთა კერძო სამკერვალო, რომელიც დაარსებულია ნოტიო ბახვას ასულის ლოლუას მიერ. ოფიციალურად ამ სკოლის სახელწოდება იყო „ნოტიო ლოლუას პროფესიული კერძო სასწავლებელი“. აქ ახალგაზრდა ქალთა თაობა ეუფლებოდა: ჭრა-კერვას, ქსოვას, ქარგვას, ხატვას, ხაზვას. ამ სასწავლებელში პროფესიული დისციპლინის საგნებთან ერთად ისწავლებოდა ასევე ისეთი

ზოგადსაგანმანათლებლო საგნები, როგორიცაა ქართული ენა და ლიტერატურა, არითმეტიკა, სამოქალაქო ისტორია, რუსული ენა და ლიტერატურა, გალობა და სიმღერა. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „წლების მანძილზე სკოლას უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ ფოთის ოფიციალური სკოლების მთელი რიგი მასწავლებლები“ [159, გვ. 245-248].

საქართველოში ასევე არსებობდა რამოდენიმე სხვა სახის სპეციალური სასწავლებელიც, მაგალითად 1873 წელს დაარსდა სამეანო ინსტიტუტი, სადაც სწავლების ორწლიანი კურსი არსებობდა. სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავდებოდა სხვა სასწავლებლებისაგან. აქ ისწავლებოდა: საღვთო სჯული, ანატომია, ფიზიოლოგია, პათოლოგია, მეანობა და ჰიგიენა. ასევე საქართველოში არსებობდა საფერშლო სკოლაც, ასეთი თბილისში იყო ორი სასწავლებელი, აქედან ერთ-ერთი ექვემდებარებოდა სამხედრო უწყებას ხოლო მეორე შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობაში შედიოდა. 1867 წლის დებულების საფუძველზე საქართველოში დაიწყო აგრეთვე რკინიგზის დაწყებითი სკოლების გახსნაც, რომელსაც ხსნიდა რკინიგზის სამმართველო. ამ სკოლების მიზანი იყო დაწყებითი განათლება მიეცათ იმ მოსწავლეთათვის რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ რკინიგზის სისტემაში მუშაობით. ასეთი სკოლები საქართველოში გაიხსნა მრავლად. კერძოდ: თბილისში (1878 წ.), ხაშურსა და სამტრედიაში (1893 წ.), ბათუმში (1897 წ.) და ა.შ. XX საუკინის დასაწყისში რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში შემდეგი საგნები ისწავლებოდა: „საღვთო სჯული, ანგარიში, ფიზიკა და ტელეგრაფია, გეომეტრია და მიწათმზომელობა, ამოცანათა გადაწყვეტაში ვარჯიში საანგარიშო სახაზავითა და რუსული სააანგარიშოთი, ვარჯიში ტელეგრაფის აპარატთან, ზოგადი და გამოყენებითი მექანიკა, დაწყებითი ცოდნა სააღმშენებლო ხელოვნებაში და სარკინიგზო საქმე, ორთქლისა და ორთქმავლის მექანიკა, სარკინიგზო საქმის პრაქტიკა, სარკინიგზო ანგარიშწარმოება, ლითონისა და ხის გადამუშავება, დაწყებითი ხაზვა, ხაზვა გამოყენებით მექანიკაში და სარკინიგზო საქმეში, ხაზვა მიწათმოქმედებაში და ორთქმავლის ნაწილებში და სუფთა წერა.“ [106, გვ. 112]. აღსანიშნავია, რომ 1900 წლისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალურ ხაზს მიემატა ჭიათურის, ტყიბულის, ბორჯომისა და ქუთაისის შტოები. ასევე სამოციანი წლების თბილისში ადგილი ჰქონდა მუსიკალური სკოლის გახსნის მცდელობასაც. ეს სკოლა შედგებოდა სამი კლასისაგან (ფორტეპიანო, ვოკალური და საორკესტრო) და იღებდნენ ყველა ეროვნების ქალებსა და კაცებს. აღსანიშნავია, ის რომ ქ. ფოთში 1880 წელს დაარსდა საზღვაო სკოლა, რომელიც ამზადებდა შტურმანებსა და შკიპერებს. სკოლაში სულ ორი მასწავლებელი მუშაობდა. ასეთივე სკოლა გაიხსნა 1898 წელს ქ. ბათუმშიც. გარდა აღნიშნული სასწავლებლებისა, 1901 წლისათვის საქართველოში არსებობდა აგრეთვე სანაოსნო სასწავლებელი ქ.ფოთში და 4 დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველოში არსებული ყველა პროფტექნიკური სასწავლებელი მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის კადრებს ამზადებდა. საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსების მომზადების არც ერთი კერა არ იყო შექმნილი. მრეწველობის მრავალი სხვა დარგისათვის კადრები არსად არ მზადდებოდა. ამავე დროს მრეწველობის ყველა ეს დარგი სწრაფად ვითარდებოდა. „პროფტექნიკური სასწავლებლების სასწავლო გეგმების მიხედვით მოსწავლეს ეძლეოდა მხოლოდ პრაქტიკული მომზადება მაშინ, როდესაც ტექნიკის განვითარება მოითხოვდა თეორიულ მომზადებას და ზოგად განათლებასაც კი.“ [106, გვ.116].

XX საუკუნის დასაწყისიდან არსებულმა მდგომარეობამ მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო განათლების პროგრესი, რასაც უნდა მოჰყოლოდა დაბალი, საშუალო და უმაღლესი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ქსელის შექმნა. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა, მხოლოდ ერთი მიწათმზომელთა სასწავლებელი და ხუთი დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნელო სკოლა გაიხსნა. პროფესიონალ კადრთა პრობლემა ჯერ კიდევ დღის წესრიგში იდგა.

ასეთი ვითარება იყო საქართველოში როდესაც რუდოლფი კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელად დაინიშნა, ისიც იზიარებდა იმ აზრს, რომ პროფესიული განათლება ერთ-ერთი გზა იყო გლეხთა შვილების ყურადღების მისაქცევად და მათ ჩამოსაცილებლად საშუალო და უმაღლესი სკოლებისაგან, მაგრამ 1901 წლიდან 1915 წლამდე პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები საქართველოში უკიდურესად ნელი ტემპით ვითარდებოდა და არსებითი და მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა (იხ. დანართი N8).

პროფესიული განათლების საჭიროება დიდი იყო, მაგრამ გაცილებით დიდი იყო კვალიფიციური კადრის მიმართ მოთხოვნილება. ამ პერიოდისათვის დიდი რაოდენობით სჭირდებოდა მაღალი, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები სავაჭრო დარგში. რომელსაც ამზადებდა ვაჭრობისა და მრეწველობის სისტემის კომერციული სასწავლებლები. ამ პერიოდში არსებობდა კერძო პირების მიერ გახსნილი სხვადასხვა კურსები და სასწავლებლები. მათ შორის აღსანიშნავია „ქუთაისში-გიგინეიშვილის საბუღალტრო კურსები და ბათუმში-კირაკოზოვის ასეთივე კურსები“ [106, გვ.124].

ამრიგად, 1916 წლის მდგომარეობით საქართველოში შემდეგი მგდომარეობა იყო პროფესიული განათლების კუთხით: არსებობდა 24 სკოლა და სასწავლებელი, მაგრამ ამას მთელი რიგი პრობლემები ახლდა. სასწავლო მუშაობის პედაგოგიურ-მეთოდური მხარე მოუწესრიგებელი იყო, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და ფორმები ვერ პასუხობდა ცხოვრების მოთხოვნებს და ეს სფერო სახალხო განათლების ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა საქართველოში.

რაც შეეხება პედაგოგიურ განათლებას, არც აქ იყო საქმე სახარბიელოდ, რადგანაც მასწავლებელთა მომზადება მეორეხარისხოვან საქმედ ითვლებოდა, რადგან რუსეთის მთავრობას არ აწყობდა განათლებული და ერუდირებული ქვეშევრდომების ყოლა, რადგანაც იცოდა, რომ განათლების მიცემა ისეთი ერისათვის, როგორიც ქართველი იყო, დიდი იარაღის გადაცემას ნიშნავდა, რომელიც აუცილებლად რუსიფიკაციისკენ და ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკისაკენ იქნებოდა მიმართული. რუსეთის მთავრობა და გაბატონებული წრეები ზედმეტად და საზიანოდაც კი თვლიდნენ სახალხო სკოლის მასწავლებლისათვის ფართო ზოგადი და ყოველმხრივი განათლების მიცემას. მათი აზრით, ნაკლებად განათლებული და შეზღუდული გონების სახალხო მასწავლებელი უფრო საიმედო და უვნებელია, ვიდრე საფუძვლიანი თეორიული ცოდნით შეიარაღებული. სწორედ ამიტომ ისინი თითქმის არაფერს არ აკეთებდნენ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. მიუხედავად ამისა კარგად თუ ცუდად პედაგოგიური განათლება მაინც მიმდინარეობდა საქართველოში და ჩვენი ინტელიგენცია და მოწინავე საზოგადოება ძალისხმევას არ იშურებდა მისი გაუმჯობესებისათვის. ისინი ცდილობდნენ იმ ნაკლოვანებების გამოსწორებას, რომელიც რუსეთის მთავრობისა და მისი თანამოაზროვნეების მიერ იყო შექმნილი სამასწავლებლო ინსტიტუტსა და საოსტატო სემინარიებში.

მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა, სასწავლებლების რიცხვის ზრდამ მოითხოვა პედაგოგთა რიცხვის მატებაც, რამაც დღის წესრიგში დააყენა პედაგოგიური განათლების აუცილებლობა. საჭირო გახდა პედაგოგთა კადრების მომზადების გარკვეული სისტემის შემუშავება. ცხოვრება, ახალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება მოითხოვდა სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნას და ისეთ პედაგოგთა მომზადებას, რომელთაც შეეძლებოდათ სკოლებში სწავლა-აღზრდის ახლებურად წარმართვა და ექნებოდათ დროის შესაფერისი ცოდნა, უნარი და მომზადება. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა იქმნება ახალი სკოლა ახალი მიზნებით, ამოცანებითა და მისწრაფებებით. შესაბამისად მასწავლებელთა რიცხობრივი ზრდის საკითხი უკვე დავას აღარ იწვევდა, მაგრამ სამაგიეროდ მასწავლებელთა მომზადების საკითხის ირგვლივ გაისმოდა ორაზროვანი იდეები. ერთნი ფიქრობდნენ რომ ძველი სისტემის შეცვლა სკოლაში საჭირო არ იყო, მათ არ მოსწონდათ ევროპული განათლების პრინციპები და იცავდნენ ძველ რელიგიურ-ფეოდალური აღზრდის სისტემას. მაგრამ საქართველოს მოწინავე პროგრესული ძალები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით წინ აღუდგა ძველ კონსერვატიულ სისტემას. ისინი იზიარებდნენ პედაგოგთა ყოველმხრივი განათლებისა და საფუძვლიანი თეორიულ-პედაგოგიური მომზადების პრინციპს. კ.დ. უშინსკი წერდა, რომ „ ... მასწავლებელმა საფუძვლიანად უნდა იცოდეს არა მართო აღზრდის თეორია, არამედ ყველა ის მეცნიერება, რასაც ის ემყარებაო.“ [121, გვ. 12]. ი. გოგებაშვილიც დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდა მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხს. ამ მიზნით მას აუცილებლად მიაჩნდა საოსტატო სემინარიებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტების მუშაობის გაუმჯობესება, პედაგოგიური ლიტერატურის გავრცელება, კურსების მოწყობა პედაგოგთა გადასამზადებლად, პედაგოგიური ჟურნალის შექმნა და ა.შ.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა კონსერვატიული ძალების მხრიდან, ცხოვრებისეულმა მოთხოვნილებებმა აუცილებელი გახადა მასწავლებელთა მომზადების საკითხის მოწესრიგება და ამ მიზნით სასწავლებლების შექმნა.

საშუალო სასწავლებლები, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, მასწავლებლობის წოდებასაც ანიჭებდა. გიმნაზიებში ტარდებოდა გამოცდები, რომლის საფუძველზე მასწავლებლის წოდება ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც სათანადო გამოცდებს ჩააბარებდნენ. „გამოცდები ტარდებოდა მხოლოდ იმ ქალაქში, სადაც სასწავლო ოლქი იმყოფებოდა. გამოცდას იბარებდა სასწავლო ოლქთან არსებული საგამოცდო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საოლქო ინსპექტორი (თავმჯდომარე) და გიმნაზიის მასწავლებლები.

საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მინიჭებისათვის საჭირო იყო საცდელი გაკვეთილის ჩატარება სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლებში, სასოფლო სკოლების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად კი-სოფლის საერო ან სამრევლო სკოლებში.

გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი კურსიდან გამოვიდა მასწავლებლის წოდების მიღების მსურველი.

საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მოსაპვებლად დაწესებული იყო სრული და ნაწილობრივი გამოცდები. სრული გამოცდები უტარდებოდათ იმ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია და უნივერსიტეტის რამდენიმე კურსი, აგრეთვე იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდათ უნივერსიტეტი, მაგრამ არა ის

ფაკულტეტი, რომელთანაც დაკავშირებულია მასწავლებლობის მსურველის მომავალი სასწავლო საგანი; ნაწილობრივ გამოცდას აბარებდნენ ის პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის სრული კურსი ჰქონდათ დამთავრებული.

სპეციალური გამოცდებისაგან თავისუფლდებოდნენ ისტორია-ფილოლოგიის საიმპერატორო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტთან არსებული სამასწავლებლო სემინარიების კურსდამთავრებულნი. სპეცილური დადგენილებით ახალი უცხო ენების (ფრანგული, გერმანული) მასწავლებლად უშვებდნენ ამ ენების კარგად მცოდნე საშუალო განათლების მქონე უცხოელებს.

სპეციალური და ნაწილობრივი გამოცდები გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად ტარდებოდა უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით. დაწყებითი სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად კი იმ ქალაქებში, სადაც იმყოფებოდა სასწავლო ოლქი. საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი განცხადებით მიმართავდნენ უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო დაწყებითი სკოლების მასწავლებლის წოდების მსურველნი - სასწავლო ოლქის მზრუნველს.

გამოცდები ტარდებოდა წერაში და ზეპირში. მსურველს სკოლაში უნდა მიეცა ორი საცდელი გაკვეთილი. თუ გამოსაცდელი პირი წერით სამუშაოში მიიღებდა დამაკმაყოფილებელ შეფასებას, მაშინ დაუშვებდნენ ზეპირ გამოცდაზე, ხოლო შემდეგ ატარებდა საცდელ გაკვეთილებს. წერითი და ზეპირი გამოცდების შემდეგ მსურველს ნება ეძლეოდა 10-15 დღის განმავლობაში დასწრებოდა სკოლაში იმ საგნების მეცადინეობას, რომლებშიც თვითონ უნდა ჩაეტარებინა ორი საცდელი გაკვეთილი. ერთი გაკვეთილი ტარდებოდა დაბალ კლასში, მეორე კი - მაღალში. მასწავლებლის წოდების მისაღებად მსურველს მთავარ საგანში უნდა მიეღო „4“ მაინც, ხოლო დამხმარე საგანში „3“ მაინც.გამოცდები ტარდებოდა მსურველის განცხადების საფუძველზე, პირველი სექტემბრიდან პირველ მაისამდე. თითოეული მსურველის გამოცდა არ უნდა გაგრძელებულიყო ექვს კვირაზე მეტს.“ [13, გვ. 149-150].

საშუალო სკოლას ჰყავდა დირექტორი, ინსპექტორი და მასწავლებელი. სასწავლებელში ასევე არსებობდა პედაგოგიური საბჭო, რომელშიც დამატებით შედიოდა სკოლის მზრუნველი. სკოლის პერსონალი შემდეგი ერთეულისაგან შედგებოდა: დირექტორი, ინსპექტორი, საღვთო სჯულის მასწავლებელი, მეცნიერებათა საფუძვლების მასწავლებელი, შტატზევითა მასწავლებლები, აღმზრდელები, აღმზრდელების თანაშემწეები, კლასების დამრიგებლების თანაშემწეები, ექიმი, საქმის მწარმოებელი, დამლაგებლები, ლაბორანტები და ბიბლიოთეკარები, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ კლასის დამრიგებლად ინიშნებოდა ერთ-ერთი შტატის მასწავლებელი. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მოსწავლეთა რაოდენობას და მათ შეფარდებას პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალთან, აშკარა გახდება, რომ საშტატო განრიგებაში ბევრ შეუსაბამობას ჰქონდა ადგილი (იხ. დანართი N2). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მასწავლეთა შემადგენლობაში ეროვნების მიხედვით ქართველ მასწავლებელთა რაოდენობა ძალზედ მცირე იყო. მასწავლებელთა 95% რუსი იყო. (იხ. დანართი N3).

სადისერტაციო ნაშრომისათვის კვლევა გეოგრაფიულად ძირითადად უნდა წარიმართოს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ვთვლი, რომ როდესაც პედაგოგიურ განათლებაზე ვსაუბრობთ არ შეიძლება არ ვახსენოთ თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი და გორის საოსტატო სემინარია, რომელსაც მოკლედ შევეხებით.

თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი პირველი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი იყო რომელიც შეიქმნა საქართველოში (1866 წ.). სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლების ხანგრძლივობა შეადგენდა ოთხ წელს. პირველ კლასში აქ იღებდნენ იმ მოსწავლეებს, რომელთაც საქალაქო სასწავლებელი ან სამაზრო სკოლა ჰქონდათ დამთავრებული. სკოლაში მიღება კი ხდებოდა საკონკურსო გამოცდების წესით. აღსანიშნავია, რომ სკოლასთან არსებობდა ერთკლასიანი სასწავლებელი, სადაც მოსწავლეებიზოგად და თეორიულ პედაგოგიურ მომზადებასთან ერთად იღებდნენ პრაქტიკულ მომზადებასაც. ეს სასწავლებელი სკოლის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაკეთდა ორკლასიანად, მოგვიანებით კი ის ჩამოყალიბდა საქალაქო სასწავლებლად. ინსტიტუტთან არსებობდა ასევე პანსიონი სადაც მოსწავლეები სახაზინო ხარჯზე ირიცხებოდნენ. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სასწავლებლის დირექტორები რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდნენ სასწავლებელში, რაც თავისთავად ხელის შემშლელი ფაქტორი იყო ქართველი მოსწავლეებისათვის. სასწავლებელში მომზადება არ იყო სწორად გამართული, სამასწავლებლო ინსტიტუტი ამზადებდა ფართო პროფილის მასწავლებლებს და ისიც სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში, რაც ნამდვილად არ იყო საკმარისი დრო.

გორის საოსტატო სემინარია რომელიც 1876 წელს გაიხსნა, ხონის საოსტატო სემინარიის მსგავსად ამზადებდა პედაგოგებს, რომლებიც დასავლეთ საქართველოს დაწყებით სკოლებს მოემსახურებოდნენ. თუმცა გორის საოსტატო სემინარიის დირექცია ქართული ენის მიმართ არ იჩენდა მეგობრულ დამოკიდებულებას, რაც ართულებდა სწავლის პროცესს.სემინარიასთან არსებობდა დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიც სემინარიის მოსწავლეები პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ. აქაც ქართული ენა შევიწროვებული იყო. ქართულ ენას მხოლოდ პირველ განყოფილებაში ასწავლიდნენ და ისიც ყოვლად დამახინჯებული („ცნობილი“ ნათიევის) მეთოდით.

ხონის საოსტატო სემინარია 1881 წელს გაიხსნა და იგი სახალხო მასწავლებლების სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. სემინარიის პირველი დირექტორი იყო ს. ნ. სტრელეცკი, რომლის მუშაობა სემინარიაში ძირითადად ამოიწურა მხოლოდ საორგანი-ზაციო და სამეურნეო საკითხების მოგვარებით. ვერც მომდევნო დირექტორების (სოლოვსკი, მოხირი და დევიცკი) მუშაობის დროს ვერ ნახა სემინარიამ დიდი ხეირი. მათმა მხოლოდ იმით ისახელეს თავი, რომ სემინარიაში მეტად აუტანელი რეჟიმი დაამყარეს, რაც თავისდავად მოსწავლეების მხრიდან გაფიცვებისა და აგრესიის მიზეზად იქცა. სემინარიაში სიტუაცია მასშემდეგ გამოსწორდა, რაც დირექტორად დანიშნეს ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე. მისი დანიშვნა განპირობებული იყო იმით, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით ცარიზმი იძულებული გახდა შავრაზმული დირექტორები მოეშორებინა სკოლიდან. აღსანიშნავია, რომ სწორედ ა. ჭიჭინაძემ დაამკვიდრა სემინარიაში ახალგაზრდა მასწავლებელთა აღზრდის მწყობრი პედაგოგიური სისტემა, შექმნა ჯანსაღი ატმოსფე-რო, განამტკიცა წესრიგი და დისციპლინა, შეცვალა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ჩამოაყალიბა ნორმალური პირობები სწავლისათვის.

ხონის საოსტატო სემინარიაში არსებობდა ერთი მოსამზადებელი და სამი ძირითა-დი კლასი. სემინარიასთან 1896 წლამდე არსებობდა აგრეთვე ერთკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი. ამ დროიდან ეს სასწავლებელი ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. “საოსტატო სემინარიაში პარალელური კლასების გახსნა აკრძალული იყო. თითოეულ კლასი ირიცხებოდა საშუალოდ 20-25 მოსწავლე. პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეს მოეთხოვებოდა ცოდნა ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის კურსის ფარგლებში.

ჩარიცხვა ხდებოდა საკონკურსო გამოცდების ჩაბარების წესით. მოსწავლე, რომელიც საკონკურსო გამოცდებს ვერ ჩააბარებდა, შეიძლებოდა ჩარიცხულიყო მოსამზადებელ კლასში.” [106, გვ. 135]. ხონის საოსტატო სემინარიაში მოსწავლეთა რიცხობრიობის, ეროვნული და წოდებითი შემადგენლობა ასეთი იყო (იხ.დანართი N9).

სემინარია თავის აღსაზრდელებს მხოლოდ დაწყებითი სკოლის მასწავლებლად არ ამზადებდა, საოსტატო სემინარიის სწავლების კურსში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა ფიზიკურ შრომას რაც ამზადებდა მოსწავლეებს სოფელში მოღვაწეობისათვის. ხონის საოსტატო სემინარიაში მოსწავლეები პრაქტიკულად სწავლობდნენ სოფლის მეურნეობის საფუძვლებს,მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას,ხის მასალის დამუშავებას, ძერწვას, მუყაოზე მუშაობას, მავთულისაგან ნაკეთობის დამზადებას, წვნას, ხეზე ამოწვასა და სხვა. ისინი პრაქტიკულად სწავლობდნენ სოფლის საქმეს და ამ მიზნით აქტიურად მუშაობდნენ სემინარიის მიწის ნაკვეთზე. სოფლის მასწავლებლები ფიზიკურად ძლიერი და კულტურული პიროვნება უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ ექცეოდა დიდი ყურადღება სპორტს, მუსიკას, გიმნასტიკას და ხელით მუშაობას.

ძალზედ საინტერესოა მიზეზი თუ რატომ არ სარგებლობდა სამასწავლებლო სასწავლებლები დიდი პოპულარულობით საზოგადოების შემლებული წრეების ახალგაზრდობისათვის. საოსტატო სემინარიები და სამასწავლებლო ინსტიტუტი კურსდამთავრებულებს არ ანიჭებდა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებას, სწორედ ამიტომ არ ეტანებოდა მაღალი ფენის საზოგადოებიდან გამოსული ახალგაზრდები ამ სასწავლებლებს და სწორედ ამიტომ ჭარბობდა ამ სასწავლებლებში გლეხთა შვილები. რაც შეეხება სასწავლო გეგმასა და პროგრამებს, სწავლების შინაარსი საოსტატო სემინარიებში განსაზღვრული იყო რუსეთის საოსტატო სემინარიებისათვის დამტკიცებული ერთიანი გეგმითა და სასწავლო პროგრამით (იხ. დანართი N10). როგორც ვხედავთ სემინარიის სასწავლო პროგრამა მეტად მრავალფეროვანი იყო, თუმცა გასაგები მიზეზების გამო პროგრამების ანალიზს ჩვენ ვერ შევუდგებით, თუმცა არ შეიძლება არ შევეხოთ პედაგოგიკის სწავლებას, რომელიც ძალიან განსხვავდება დღევანდელი პედაგოგიკისგან. პედაგოგიკა სემინარიაში ისწავლებოდა კ. სმირნოვის სახელმძღვანელოთი „პედაგოგიკის კურსი“, სადაც პედაგოგიკა სამ ნაწილად იყო გაყოფილიდა ის სმირნოვის სახელმძღვანელოში შემდეგნაირად სათაურდებოდა: I ნაწილი-„მოწაფე“, II ნაწილი-„მასწავლებელი“,III ნაწილი-„სკოლა“, თუმცა ძირითადი ნაწილების საერთო სათაურები და ამ ნაწილების შინაარსი ერთიმეორეს არ ემთხვეოდა.

სამასწავლებლო სემინარიების ნაკლოვანებები და შეფერხებები გამოწვეული იყო იმით, რომ სამასწავლებლო სასწავლებლის სწავლების ხანგრძლივობა არ იყო საკმარისი პედაგოგთა მოსამზადებლად. მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში პედაგოგთა მომზადებას გაცილებით მეტი დრო ჰქონდა დათმობილი. მაგალითად, “გერმანიაში საოსტატო სემინარიის დასრულებას, წინასწარ მოსამზადებელი საფეხურის ჩათვლით სულ სჭირდებოდა 15 წელი, ავსტრიაში კი-12 წელი, ჩეხეთში ეს - კიდევ უფრო მეტი იყო. რაც შეეხება შვეიცარიას აქ, სამასწავლებლო სასწავლებელი უმაღლეს საფეხურს წარმოადგენდა, საშუალო სკოლისა და თვით უნივერსიტეტის დამატებით საფეხურად ითვლებოდა.“ [106, გვ. 140].

საოსტატო სემინარიების მუშაობის საერთო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პედაგოგიურ პრაქტიკას. საცდელი-საჩვენებელი გაკვეთილი გადაიცემოდა სემინარიასთან სპეციალურად დაარსებულ დაწყებით სასწავლებელში. ამ გაკვეთილს ესწრებოდა მთელი კლასი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებელი. გაკვეთილის გარჩევა ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რომელსაც სემინარიის

დირექტორი თავმჯდომარეობდა. აღსანიშნავია, რომ მე-3 კლასის მოსწავლეს წლის განმავლობაში უნდა ჩაეტარებინა 12-დან 20-მდე საჩვენებელი გაკვეთილი სხვადასხვა საგნებში. სემინარიელი გაკვეთილს ამზადებდა პედაგოგთან ერთად, ის სწავლობდა კლასს, ამუშავებდა გაკვეთილის მასალას, ადგენდა გეგმას და კონსპექტს, წინასწარ ვარჯიშობდა გაკვეთილის გადაცემაში და ა.შ. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს სემინარიელს უნდა ჩაეტარებინა სამი დამოუკიდებელი საჩვენებელი გაკვეთილი რომელსაც მოამზადებდა დამოუკიდებლად, ამ გაკვეთილის გარჩევა და საბოლოო შეფასება ხდებოდა პედაგოგიურ საბჭოზე, რის შემდეგაც გამოჰქონდათდადგენილება მოსწავლის გამოსაშვებ გამოცდაზე დაშვება-არ დაშვების შესახებ.

გარდა სასწავლო სემინარიებისა პედაგოგიური მომზადება ასევე მიმდინარეობდა ქალთა გიმნაზიებისა და წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის მერვე პედაგოგიურ კლასში, თუმცა აქ სემინარიებისგან განსხვავებით პედაგოგიური პრაქტიკის მომზადებას გაცილებით ნაკლები დრო ჰქონდა დათმობილი, რაც თავისთავად ვერ იძლეოდა ისეთ შედეგს, როგორიც საჭირო იყო.

ამგვარად, ყველა ზემოთ მოხსენიებული მიზეზის გამო, მთელი მოწინავე პედაგოგიური საზოგადოება მოითხოვდა არსებით ცვლილებებს, რაც პირველ რიგში სასწავლებლის სწავლის გახანგრძლივებით გამოიხატებოდა, მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა ამ საკითხს არც კი აყენებდა დღის წესრიგში და არსებულ მდგომარეობას ისევ უცვლელს ტოვებდა.

§4. სწრაფვა უმაღლესი განათლებისაკენ

საქართველოში ბრძოლა უმაღლესი განათლების მიღებისათვის ათწლეულებს ითვლის. მრავალი წლების განმავლობაში რუსეთის მთავრობა არა მარტო უყურადღებობას იჩენდა ქართველი ხალხის ამ სურვილზე არამედ ყოველ ღონეს იყენებდა ამ პროცესის ხელის შეშლისთვის. მიუხედავად იმისა რომ პრესაში პერიოდულად ჩნდებოდა, ხოლმე წერილები უმაღლესი სასწავლებლის დაარსების მოთხოვნით, როგორც საზოგადოების, ისე ოფიციალური პირების მხრიდან, ეს საქმე, თეორიული ბრძოლის ფარგლებს მაინც არ გასცილებია. უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი ჯერ კიდევ 1839 წლიდან ჩნდება, როდესაც არსებულმა სიტუაციამ კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია იძულებული გახადა 1839 წელს აღეძრა შუამდგომლობა თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ, მაგრამ ეს შუამდგომლობა მთავრობის მხრიდან არ იქნა დაკმაყოფილებული. 1857 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ განმეორებით დააყენა ეს საკითხი მთავრობის უმაღლესი ორგანოების წინაშე, მაგრამ სამწუხაროდ აქაც ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს. ამ საკითხზე საუბარი არ ნელდებოდა, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ძალისხმევას არ იშურებდა. 1894 წელს ეს საკითხი დაისვა განმეორებით, რომ თბილისში უნდა გახსნილიყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ ეს პროექტი არ მოიწონა ერმოლოვმა, სამაგიეროდ მან წამოაყენა წინადადება ქ. თბილისში საშუალო ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ. სწორედ ამიტომ დაიწყეს ფულის შეგროვება პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლოდ, მაგალითისათვის „ბათუმისა და ქუთაისის ქალაქის თვითმართველობები ამ დანიშნულებისათვის იღებდნენ 3 ათას მანეთს“ [106, გვ. 152]. მაგრამ აქაც გამოავლინა საკუთარი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება რუსეთის მთავრობამ და მალევე აკრძალა თანხის შეგროვება,

რადგანაც, როგორც ირკვევა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეს ფართო ინიციატივა არ შეესაბამებოდა მთავრობის განზრახვას.

რუსეთის მთავრობა ყველანაირად ცდილობდა საქართველოსთვის უმაღლესი სკოლა არ გაეხსნა. XIX საუკუნის მიწურულის რეაქციამ დიდი გავლენა იქონია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერების ურთიერთდამოკიდებულებაზე. მათ შორის განხეთქილების ჩამოვარდნისათვის თვითმპყრობელობა უდიდეს ძალისხმევას იჩენდა. ამ მეცადინეობამ მკაფიო გამოხატულება მიიღო განათლების დარგშიც. ცარიზმი ურთიერთწაკიდების მიზნით, ერებს ერთმანეთისაგან ანსხვავებდა, ზოგიერთს დიდ პრივილეგიებს ანიჭებდა დანარჩენთა ჩაგვრის საფუძველზე. მაგალითად, 60-იანი წლებიდან საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის მასიურად იხსნებოდა სომხურ-გრიგორიანული სახალხო და სამრევლო სკოლები, ხოლო აზერბაიჯანელებისათვის მუსულმანური სასწავლებლები, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოებდა, ეს სწორედ მაშინ როცა ქართულ სკოლებს ხურავდნენ, ან უკიდურეს შემთხვევაში მშობლიური ენის სწავლებას უკრძალავდნენ. ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ რუსეთის მთავრობა სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის განათლებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ მათსა და ქართველებს შორის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის გართულება სურდა, მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და სკოლებშიც მოსწავლეთა კონტიგენტი ძირითადად ქართველებით ივსებოდა. აქედან გამომდინარე სომხური და აზერბაიჯანული სკოლები დახურვის პირველი კანდიდატები იქნებოდნენ და შესაბამისად, სწავლას მოწყურებული ბავშვები სწავლას გარუსებულ ქართულ სკოლებში გააგრძელებდნენ. თვითმპყრობელობა ასეთი მეთოდით ერთდროულად ორ საქმეს აკეთებდა-„დაშალე და იბატონეს“ მეთოდს ნაყოფიერად იყენებდა და მომავალი თაობის უმეცრებაში ცოდნისათვის რუსიფიკატორულ საგანმანათლებლო სისტემას მყარად ნერგავდა განაპირა მხარეებში.

ქართველი სამოციანელები თავიანთ სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ისახავდნენ ქართული უნივერსიტეტის გახსნას და საკუთარი განზრახვის გასამყარებლად დასაბუთებულ არგუმენტებსაც აყენებდნენ. მათ მიემხრო ქართველი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილიც. „1871 წელს თბილისის თავადაზნაურთა ექსტრაორდინალურმა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. სწორედ ამ მიზნით უნდა გამოეყენებინათ ხელმწიფის მოსალოდნელი ჩამოსვლა ამიერკავკასიაში. მაგრამ ბატონ ნიკოლაის რჩევით, უმრავლესობის სურვილის საწინააღმდეგოდ, სტუმრად ჩამოსულ ხელმწიფეს სამხედრო გიმნაზიის გახსნა სთხოვეს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღეს“. [13, გვ. 244]. სწორედ ამას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე და ხალხში ხელნაწერის სახით გაავრცელა „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, სადაც გაქილიკებული ყავს ის ფეოდალური არისტოკრატია, რომლებმაც ი. ჭავჭავაძის თქმით მათ „...ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა, იმათ ფეხებზე კიდია.“ [174, გვ. 80]. ამ არისტოკრატიაში გ.ორბელიანმა, გ.მუხრან-ბატონმა და სხვებმა საკუთარი თავი იცნეს და სწორედ ამიტომ გ. ორბელიანი ილიას „გამოცანებს“ გამოეხმაურა „პასუხი შვილთა“-თი, სადაც გ. ორბელიანი „შვილთა“ თაობას მოიხსენიებს როგორც „უმადლო შვილებს“, რომლებმაც არ დააფასეს „მამათა ღვაწლი“, ის ასევე ადანაშაურებს მათ ენის წაბილწვით: „... მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა, სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი ... “ [78, გვ. 62]. ი.ჭავჭავაძე გამოეხმაურა მას „პასუხის პასუხით“. ასე, რომ „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის გამოძახილი იყო.

მოწინავე ქართული ინტელიგენცია უმაღლესი განათლების პროპაგანდას ახალგაზრ-დობაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ამას საქმის დასაწყისად თვლიდა. ისინი გრძნობდნენ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობაში უმაღლესი განათლების მიღების ინტერესის აღძვრას. ნ. ნიკოლაძე წერდა: „თუ გვსურს კავკასიაში მტკიცე მშვიდობის დამყარება, თუ მართლა გვინდა ჩვენი მხარის „ცივილიზირება“ თუ გვსურს, რომ მზად ვიყოთ წინ აღვუდგეთ სხვათა შემოსევებს, მაშინ აი ესაა პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადავდგათ. რაც შეიძლება ბევრი სასწავლებელი, მაგრამ არა ფორმალური, არამედ ჭეშმარიტად პედაგოგიური, რაც შეიძლება მეტი გიმნაზიები ... და ბოლოს უნივერსიტეტი, რომელიც შეძლებს საშუალო განათლების გაცოცხლებას და დაგვირგვინებას,-აი საშუალება, რომელსაც დროის დაუკარგავად უნდა მოვკიდოთ ხელი.“ [75, გვ. 485].

ქართული პრესის ღვაწლიც დიდია ამ საქმეში. გ. წერეთელი 1893 წელს „კვალში“ წერდა: „უმაღლესი სწავლა არის საჭირო, ადამიანია საჭირო და მეცნიერულად მომზადება ცხოვრებისათვის. მარტო დაბალი ხელოსნები და მებაღეები არ კმარა, მარტო იმათი წყალობით წინ ნაბიჯს ვერ წავდგამთ. ხალხი, რომელსაც არ ჰყავს უმაღლესი სწავლა-მეცნიერებით შეიარაღებული კაცები, სუსტია და თავის მცირე ცოდნით და მცირე განათლებით, მხოლოდ მებაღეობითა და მებოსტნეობით, ვერ დაიცავს თავის არსებობას. მეცნიერება არის უმთავრესი ხელმძღვანელი წარმართველი ხალხის ცხოვრებისა და ყოველი საქმე, ყოველი ხელოსნობა, მოკლებულ ამ ხელმძღვანელობას, საფუძვლიანად არ ჩაითვლება ამ დროში და იგი ვერ წასწევს წინ ხალხის ეკონომიურ და ზნეობრივს მდგომარეობას ... სწავლაა საჭირო, სწავლა და ამისათვის საჭიროა საშუალო სასწავლებელი და შემდეგ უმაღლესის სწავლა.“ [164, გვ. 9]

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მმართველი რეაქციული წრეები უმაღლეს სკოლას თვლიდნენ რევოლუციური მოძრაობის კერად და ამიტომაც ყოველნაირად აფერხებდნენ მათი ქსელის გაფართოვებას. ყურადღება მისაქცევია ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დავალებით მინისტრთა საბჭოს და სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა სენატორმა ნიკოლსკიმ, თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის შესახებ: „შინაგანი წყობის მხრივ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება ის არის, რომ არ შეიძლება დაშვებული იქნას ამ სასწავლო დაწესებულებაში არავითარი სტუდენტთა ორგანიზაციის ან წრის შექმნა, აგრეთვე მოსწავლეთა კრებებისა და შეკრებათა ჩატარება, პროფესორებსა და სტუდენტთა შორისურთიერთობის ერთადერთი საფუძველი მეცნიერება უნდა იყოს“. აქ ჩვენ აშკარად შეგვიძლია დავინახოთ ის შიში, რომელიც რუსეთისთვის მცირე ერების მიმართ განათლების გადაცემით იქნებოდა გამოწვეული და რომელიც მათი აზრით გააერთიანებდა მათ რუსეთის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ისეთი რეჟიმის შექმნას, რომელიც მათი აზრით შეუძლებელს გახდიდა სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობას და გამოსვლებს.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი (ნ.ნიკოლაძე, გ.წერეთელი, ს.მესხი) თბილისში უნივერსიტეტის გახსნას ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მოითხოვდა, მეორე ნაწილი კი (ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე) ამისათვის საჭირო მომზადებას და პირველ რიგში საშუალო სასწავლებლის ქსელის გაფართოვებას მიიჩნევდა აუცილებლად. „საშუალო განათლების ქსელის გაფართოვებისათვის კი საჭირო იყო უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები, რომელთა ნაკლებობას მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში განიცდიდა კავკასია. რუსეთიდან ჩამოსული

ბევრი მასწავლებელი მალე ტოვებდა სამსახურს სხვადასხვა მიზეზის გამო. სწორედ ამიტომ საჭირო იყო საკუთარი ეროვნული კადრი.“ [13, გვ. 248]. „ყოველ ნაბიჯზედ საჭირონი არიან უმაღლესი სწავლით შეჭურვილნი მამულის შვილნი“- [165, გვ. 10] ამბობდა ქართველი ინტელიგენცია და მოწინავე საზოგადოება.

ქართველი ინტელიგენციის მეორე ნაწილი უფრო დიდ სიფრთხილეს იჩენდა და ჯერ უმაღლესი განათლებისათვის ნიადაგის მომზადებას ისახავდნენ მიზნად. მათი აზრით უპირველესი პრობლემა იყო სასწავლებლებში ქართველ ახალგაზრდების სიმცირე, რადგანაც ისინი აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენდნენ სასწავლებლებში. აქედან გამომდინარე იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ ... ვთქვათ გაიხსნა ჩვენს დედაქალაქში უნივერსიტეტი. თუ ჩვენი განათლების მდგომარეობა მანამდის ძირეულად არ შეიცვალა, თუ ქართველების რიცხვმა გიმნაზიებში ათად და მეტად არ იმატა, განა ბევრს მოგვათბობს ჩვენი უნივერსიტეტი? ... ჩვენმა საზოგადოებამ კარგად უნდა შეიგნოს, თუ ამ რამდენისამე წლის განმავლობაში ქართველთა რიცხვს სასწავლებლებში არ მიიყვანს იმ ნორმამდე, იმ ხარისხამდე, რომელიც შეესაბამება ჩვენის ერის რაოდენობას და იმ ადგილს, რომელიც სჭერია და უნდა ეჭიროს, მას კავკასიის ერთა კრებულში, მაშინ უნივერსიტეტის გახსნის დროს სრულიად დავემსგავსებოდით იმ ახირებულ მონადირეს, რომელიც დილით საღამომდინ ერთგულად გაიძახოდა ალალ-ალალსა და მწყერებს-კი, მისივე ფეტვში დასუქებულებს, იჭერდა მისი მეზობელი და ხარობდა“. [32, გვ. 222-224] ამ აზრს იზიარებდა ასევე გაზეთები „ნოვოე ობოზრენიე“ და „კავკაზი“. ცხადია, აზრთა სხვადასხვაობა, თვით კავკასიის საზოგადოების შეუთანხმებლობა ამ საკითხებში საქმის სწრაფ გადაწყვეტას ხელს უშლიდა.

სადაო იყო აგრეთვე ის საკითხიც, თუ რა ტიპის უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასწავლებელი: უნივერსიტეტი თუ პოლიტექნიკური ინსტიტუტი. კომიტეტმა სცადა ამ ორი საწინააღმდეგო ხაზის შეთანხმება და საშუალო გზას დაადგა. „მან საჭიროდ სცნო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება, რომელსაც უნდა ჰქონოდა შემდეგი განყოფილებები: ა) ეკონომიური, რომელიც თავისი სასწავლო გეგმითა და პროგრამით უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან იქნებოდა დაახლოებული; ბ) სამთო; გ) სასოფლო-სამეურნეო და დ) მექანიკური. კომიტეტს არ ჩაუთვლია ეს თავისი მოსაზრება საბოლოოდ და საჭიროდ მიიჩნია ამ საკითხის ფართო განხილვა მეცნიერთა წრეებსა და პრესაში. ამ საკითხის შესახებ 1906 წელს ჩატარდა თათბირი ქ. პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში, სადაც ბევრი სხვადასხვა მოსაზრება იქნა გამოთქმული და მოსმენილი, მაგრამ რაიმე გარკვეული გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.“ [106, გვ. 153]. ამგვარად, არაერთი პროექტი იქნა უარყოფილი ან უვადოდ გადაგებული უმაღლესი განათლების შემოღების შესახებ საქართველოში.

ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი თბილისში მოითხოვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნას. 1894 წელს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრი-ერმოლოვი, რომელსაც თვითმართველობას სთხოვა თბილისში გაეხსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თუმცა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ეს საკითხი 1897 წელს კვლავ აქტუალური გახდა, რადგანაც მსგავსი სასწავლებლები გაიხსნა კიევსა და ვარშავაში. „ქ. თბილისის თვითმართველობა კისრულობდა ინსტიტუტის შენახვის ხარჯების მნიშვნელვან ნაწილს. გარდა ამისა ბაქოს, ქუთაისისა და ბათუმის თვითმართველობები ამ მიზნით ასევე იღებდნენ გარკვეულ თანხებს, მაგრამ მიუხედავად ამდენი ძალისხმევისა არც კავკასიის და არც პეტერბურგის ხელისუფლებას არავითარი ინტერესი არ გამოუჩენიათ ამ საქმისადმი და შესაბამისად

უმაღლესი სკოლის გახსნა კვლავ გადაიდო.“ [13, გვ. 255]. თუმცა 1917 წელს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი მაინც გაიხსნა და მან 1928 წლამდე იარსება. ამის შემდეგ კი ის თბილისის ინდუსტრიალურ ინსტიტუტს შეუერთდა.

ასევე ძალზედ მძიმე იყო ქალთა უმაღლესი განათლების მიღების საკითხი. ოთხმოციანი წლების დასასრულამდე მათთვის დახშული იყო უნივერსიტეტის კარები. ცალკეული ენთუზიასტები კი ევროპაში მიემგზავრებოდნენ და იქ ღებულობდნენ საუნივერსიტეტო განათლებას. ასე მიიღეს უმაღლესი განათლება, მაგალითად, ნიკო ნიკოლაძის დებმა და მეუღლემ და სხვა ერთეულმა ქალებმა.

ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაიხსნა ქალთა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც ქართველი ქალების შესვლა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდათ. გ. ლასხიშვილი 1895 წელს „ივერიაში“ წერდა: „ ... ჩვენს დროს და ჩვენს ქვეყანას სჭირდება კარგად განათლებული და ყოვლად შეიარაღებული შვილი, ხოლო ნამდვილ აღმზრდელს და კარგად განათლებულ თაობას ჩვენ იქამდე ვერ ვეღირსებით, სანამდე ნამდვილად განათლებული დედათა თაობა არ გვეყოლება ... ყოველი საზოგადო დანიშნულების აღსრულებისათვის საჭიროა უმაღლესი სწავლა-განათლება“. [67, გვ. 2]

აღსანიშნავია, რომ მაღალი წრის ქალთა ინიციატივით ქ. თბილისში 1909 წლის 26 სექტემბერს გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები, რომელიც შეზღუდული უფლების მქონე კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების უფლება ადგილზე არ ჰქონდა. მას განცხადებით უნდა მიემართა იმპერიის რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის რექტორატისთვის თხოვნით სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ და მისი ჩაბარების შემდეგ მას ეძლეოდა დიპლომი. სხვა შემთხვევაში ის უნდა დაკმაყოფილებულიყო ამ სასწავლებლის სრული კურსის მოსმენის ცნობით. სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება ასე შორს არსებულ უნივერსიტეტებში ქალიშვილებისათვის დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ, ისინი კმაყოფილდებოდნენ კურსის მოსმენის ცნობით. მხოლოდ თითო ოროლა იღებდა უმაღლესი განათლების დიპლომს მოსკოვის, ოდესის (ნოვოროსიის), კიევის, ხარკოვის და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში.

თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებს თავიდან ჰქონდა ორი განყოფილება- ისტო-რიული და სიტყვიერების და საბუნებისმეტყველო. სწავლების ხანგრძლივობა სამი წლით იყო განსაზღვრული. მაგრამ 1912 წელს ჩატარდა კურსების რეორგანიზაცია, განყოფილებები გადაკეთდა ფაკულტეტებად და სწავლის კურსიც გაიზარდა ოთხ წლამდე. ამ რეორგანიზაციის შემდეგ კურსების ამოცანას შეადგენდა მსმენელების მომზადება გამოცდებისათვის უნივერსიტეტის კურსდამთავრეულთა უფლებების მოსაპოვებლად, თუმცა ასეთი გამოცდა სინამდვილეში მხოლოდ ორმა ჩააბარა. როგორც ვხედავთ, კურსებმა ვერ შეძლო თავისი ერთ-ერთი ამოცანის შესრულება. ამის მიზეზი მრავალი იყო: სწავლების კურსის სირთულე, სასწავლო მუშაობის ნაკლოვანებანი, საყოფაცხოვრებო პირობები და ა.შ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კურსის მსმენელი არისტოკრატული წლის ქალები მაინცდამაინც დიდად არ იწუხებდნენ თავს დაძაბული მეცადინეობით.

რაც შეეხება ამ კურსების სასწავლო გეგმას 1912-1913 წლებში, ის ძალზედ გადატვირთული იყო საგნებით, განსაკუთრებით ენების სიმრავლით. კერძოდ: ისტორიის სპეციალობაზე ოთხი სავალდებულო ენა ისწავლებოდა, სიტყვიერების სპეციალობაზე კი ათი (იხ დანართი N 11). რაც ყოვლად გაუმართლებელი იყო პედაგოგიური თვალსაზრისით. თბილისის ქალთა კურსები 1915 წელს გადაკეთდა

ამიერკავკასიის კერძო ინსტიტუტად და იქ ვაჟთა მიღებაც დაიწყეს. 1920 წელს კი ის რუსული სექტორის სახით შეუერთდა თბილისის უნივერსიტეტს.

კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი პრაქტიკულად არ წყდებოდა, ხოლო ქართველ ახალგაზრდობას არ შეეძლო უბრალოდ ეცადა და არაფერი მოემოქმედებინა, ამიტომ ისინი იყენებდნენ იმ ადგილებს რომელიც სპეციალურად კავკასიელი სტუდენტებისათვის იყო გამოყოფილი რუსეთის უმაღლეს სასწავლებ-ლებში. მაგალითად, 1884 წლის ცნობებით კავკასიის სამეფისნაცვლოს გამოყოფილი ჰქონდა ვაკანსიები პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ეს რიცხვი ძალზედ მცირე იყო იმ მიზნის მისაღწევად რაც ქართველ მოწინავე ინტელიგენციას და მოწინავე საზოგადოებას ჰქონდა დასახული და რაც შეადგენდა ქართველი ახალგაზრდობისთვის უმაღლესი განათლების მიღებას. არსებულ სასაწავლებლებში გამოყოფილ ადგილებს თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ „ყველაზე ბევრი ადგილი გამოყოფილი ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტს და ის შეადგენდა - 45 ადგილს, შემდეგ მოდიოდა პეტერგურგის უნივერსიტეტი 30 ადგილით, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტი-20 ადგილით, მოსკოვის სატყეო ინსიტუტი - 15 ადგილით, პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტი-10 ადგილით და ა. შ.“ [108, ფურც. 3-12]. ეს ადგილები შემდგომ წლებში ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა და აღსანიშნავია, რომ ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში უკვე ორასამდე ქართველი სწავლობდა.

ადგილების სიმცირე არ იყო ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ქართველი სტუდენტებისათვის. ძალზე მძიმე ტვირთად აწვათ მათ ეკონომიური საკითხიც, რადგანაც რუსეთში უმაღლესი განათლების მიღება ნამდვილად არ იყო მცირე ხარჯებთან დაკავშირებული და სწორედ ამ უსახსრობის გამო მრავალმა ნიჭიერმა ქართველმა ახალგაზრდამ უარი თქვა უმაღლესი განათლების მიღებაზე, მაგრამ აქაც, არ შეიძლება დავივიწყოთ ჩვენი წარჩინებული და მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც ძალღონეს არ იშურებდა ქართველი ახალგაზრდობის ხელშესაწყობად, და რომელთა დახმარებითა და დაფინანსებით საქართველოს აჩუქა მრავალი განათლებული ახალგაზრდა. ქართველი საზოგადოებრიობა ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო რუსეთის ქალაქებში მოსწავლე ქართველი სტუდენტებისათვის. ბევრ მათგანს დანიშნული ჰქონდა საზოგადოებრივი თუ კერძო პირების პენსიები.

პრესაც ჩვენი სწავლას მოწყურებული ქართველი ახალგაზრდობის გვერდით იდგა და მოუწოდებდა ყველას ხელი შეეწყო მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი ქართველი სტუდენტებისათვის. აღსანიშნავია „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი შემდეგი განცხადება: „რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიათ შემოწირულება ფოსტის მარკებითაც გამოაგზავნონ, შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული“. [39, გვ. 3]

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მიზეზი, რომლითაც ზოგიერთ ქართველ სტუდენტებს თავიანთი სწავლა განათლება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა იქაური მკაცრი კლიმატი იყო. მრავალი ახალგაზრდა მეორე და მესამე კურსიდან იძულებულნი იყვნენ სწავლა მიეტოვებინათ და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. ასე მოიქცა იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და მრავალი სხვა. ისინი ვერ უძლებდნენ რუსეთის მკაცრ კლიმატს, რომელიც ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიშ ტრამვებსაც კი აყენებდა მათ ჯანმრთელობას. ასევე აღსანიშნავია გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული სტატია ამასთან დაკავშირებით: „რამდენია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც საშუალო

სასწავლებელს ასრულებს ჩვენში, მერე რუსეთში მიდის უმაღლესი სწავლის მისაღებად; მაგრამ იქაური ჰაერი, იქაური ბუნება, იქაური ცხოვრების პირობები ვერ აუტანია და უკან დაბრუნებულა?

რამდენი ჩინებული,ნიჭიერი და საიმედო ახალგაზრდა დაგვეხოცაჩვენ რუსეთის უნივერსიტეტებში მხოლოდ იმის გამო, რომ კავკასიის ჩვილ და ბედნიერ ბუნებას შეჩვეულმა იმათ აგებულებამ ვერ გაუძლო პეტერბურღისა და მოსკოვის სუსხაინ სიცივეებსა? “. [63, გვ. 1]

კიდევ უფრო მძიმე სურათს წარმოგვიდგენს ნიკო ნიკოლაძე რუსეთსა და უცხოეთში მოსწავლე სტუდენტი ახალგაზრდობის შესახებ. „ყოველწლიურად იმ პირთაგან რომლებიც წარმატებით ამთავრებენ მეცნიერების კურსს საშუალო სასწავლებლებში, ორი-სამი პროცენტიც კი, ვერ პოულობს სახსრებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. უმაღლესი სასწავლებლის სიშორე, მოზრდილი თანხის წინასწარ დაგროვება, რაც მას სჭირდება გზაში და იმისათვის, რომ სწავლის დროს შიმშილით არ მოკვდეს, ახალგაზრდობას იძულებულს ხდის ან გადამწერლობა და კანცელარიის მოხელეობა დაიწყოს ანდა უსაქმოდ იხეტიალოს ... მაგრამ იმ ბედნიერთა შორისაც კი, რომელთა მოახერხეს სტიპენდიის მიღება, ან იშოვეს ფული უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელად, ნახევარზე მეტი ხელმოკლეობის, შორეული ჩრდილოების კლიმატის, ჭლექის, დაუძლურების, გამოფიტვის მსხვერპლი ხდება... ამიტომ თბილისში, რომ არსებობდეს უნივერსიტეტი, მაშინ ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც ახლა იღუპებიან, შესაძლებლობა ექნებოდა მიეღო უმაღლესი განათლება და არ განეცადა ჩვენს მიერ აღწერილი ხელმოკლეობა“. [75, გვ. 486]

დიდი მოვლენა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება 1918 წლის 26 იანვარს რომელმაც სათავე დაუდგა ეროვნული კადრების მომზადების საქმეს საქართველოში. თუმცა ამ ყოველივეს წინ უძღვოდა ის ფაქტი რომ 1917 წლის 17 მაისს ივანე ჯავახიშვილმა სწორედ ქუთაისში წაიკითხა მოხსენება ქართული გიმნაზიის შენობაში უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მან ისაუბრა განათლების მნიშვნელობის შესახებ და დასძინა, რომ საჭიროა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, სადაც აღიზრდებიან ქართულად განსწავლული მეცნიერები და პედაგოგები. „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლაც და სამეცნიერო მუშაობის მეთოდების და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელნი მარტო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველეს ყოვლისა მეცნიერნი, მკვლევარნი, რომელნიც თავიანთი ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა ხელს უწყობდნენ და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბაძავ მაგალითადაც იყვნენ მოზარდი თაობისათვის“. [183] უნივერსიტეტის ქონებრივი დახმარების საქმეშიც ქუთაისმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. „1918 წლის 18 იანვარს ქალაქის საზოგადოებრივ საკრებულოში გაიმართა ქართული უნივერსიტეტის სასარგებლო საღამო. მისი შემოსავალი - 5510 მანეთის ოდენობით ჩაირიცხა უნივერსიტეტის ხელშემწყობ ფონდში“. [165, გვ. 12]

თავდაპირველად თბილისის უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი ფაკულტეტი იყო - სიბრძნის მეტყველების, შემდეგ დაემატა საბუნებისმეტყველო, მათემატიკური და აგრონომიული ფაკულტეტები. უნივერსიტეტი თავისი დაარსების პირველ სემესტრში კერძო შემოწირულობათა სახსრებზე არსებობდა. „სწავლის ფასი სემესტრში სტუდენტთა და მსმენელთათვის 10 თუმანი იყო, ხოლო იმ მსმენელთათვის რომელთაც

ერთი ან ორი საგნის მოსმენა სურდათ 5 თუმანი“ [68, გვ. 1] - იუწყებოდა გაზეთი „ერთობა“ უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა საყურადღებოდ.

სტუდენტებად მიიღებოდნენ საშუალო სასწავლებლების, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, სასულიერო სემინარიების, რეალური, კომერციული, საეპარქიო და წმინდა ნინოს სახელობის დედათა სასწავლებლების, საოსტატო ინსტიტუტისა და სემინარიის, კადეტთა კორპუსისა და სხვა სასწავლებლების კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის დაარსებას უდიდესი ამაგი ივანე ჯავახიშვილმა დასდო. გამოჩენილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა: „ივანე ჯავახიშვილმა იტვირთა ყველაზე მძიმე ტვირთი, გუთნისდედობა, თვით ქართული მძიმე ღრმათმხვნელი გუთნისა ... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველგვარი დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ“.[15] თვით უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი ასე აფასებდა ივანე ჯავახიშვილის დამსახურებას: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთად ერთი დამაარსებელი, სულის ჩამდგმელი და ერთად ერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა; აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება.“ [15]

„თბილისის უნივერსიტეტს სხვადასხვა წლებში გამოეყო სხვა უმაღლესი სასწავლებლები. მისი ზოგიერთი ფაკულტეტი იქცა დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი), სამკურნალო ინსტიტუტი (ამჟამად სამედიცინო ინივერსიტეტი), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ამჟამად აგრალური უნივერსიტეტი) და სხვა. შემგდომ პერიოდში დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტები-ქუთაისში, თბილისში, გორში, თელავში, სოხუმში, ბათუმში; თბილისის კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია და სხვ.“ [125, გვ.168-172].

აღსანიშნავია, აგრეთვე ის რომ, გარკვეული როლი მუშა ახალგაზრდობის განათლების საქმეში შეასრულეს მუშაკებმა. რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატმა, 1919 წელს მიიღო დადგენილება უმაღლეს სასწავლებლებთან მუშათა ფაკულტეტების გახსნის შესახებ. ამ სასწავლებლებს ევალებოდათ მუშებისა და გლეხების მომზადება უმაღლესი სკოლისათვის. მსმენელები სარგებლობდნენ სტუდენტთა უფლებებით. „საქართველოში პირველი მუშათა ფაკულტეტი დაარსდა 1921 წელს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, 1922 წელს კი დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, 1922-1923 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტში ირიცხებოდა 307 მსმენელი, ხოლო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში- 370, სულ 677 მსმენელი“ [112, ფურც. 37, 38, 39].

„1924-1925 სასწავლო წლისათვის მუშათა ფაკულტეტში მსმენელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტში იყო - 836 მსმენელი, თბილისის რკინიგზის მუშათა ფაკულტეტში - 472 მსმენელი, სულ - 1482 მსმენელი“. [112, ფურც. 318].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომლის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, სიღარიბის, დუხჭირი ცხოვრებისა და უმძიმესი ეკონომიური პირობების მიუხედავად, ხალხის სიყვარულის ძალამ მთელი სისრულით გვიჩვენა თავისი კეთილმყოფელი შედეგები. უნივერსიტეტის მისამართით დაიწყო ფულადი და ნივთიერი შემოწირულობათა მიღება. იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა.

მიუხედავად ქართველ მოღვაწეთა და საზოგადოებრიობის დიდი მეცადინეობისა, უსახსრობისა და შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა დიდად აძნელებდა ახლადდარსებული უნივერსიტეტის ნორმალურ საქმიანობას, მაგრამ უნივერსიტეტის დამფუძნებელთა, რექტორატის და პროფესურის დაუღალავმა შრომამ თბილისის უნივერსიტეტი მოკლე დროში გადააქცია ქართველი ხალხის პირველ და უმთავრეს ეროვნულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრად, რომელმაც მრავალი ღირსეული თაობა აღუზარდა საქართველოს და არა მარტო მას, რომლებიც უანგაროდ ემსახურენ მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. ეს პროცესი უწყვეტად გრძელდება დღესაც და გაგრძელდება მომავალშიც.

ზოგადი დასკვნები

- XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში დაწყებითი სკოლის ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენდა განათლების სამინისტროს და სასულიერო უწყების ერთკლასიანი სასწავლებლები. ორკლასიანი სასწავლებლები არსებობდა დაბებში, ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და ზოგიერთ დიდ სოფელში. უმეტეს შემთხვევაში სოფლებში და ქალაქებშიც ერთკლასიანი სკოლები იხსნებოდა. ორკლასიანი სასწავლებელი ორი ტიპისა იყო-ნორმალური და ჩვეულებრივი. არსებობდა ასევე უფრო მაღალი ტიპის დაბალ სასწავლებელთა ქსელიც. ამაში შედიოდა საქალაქო სასწავლებლები, რომლებიც ადრე სამაზრო სასწავლებლები იყო და 1872 წელს გადაკეთდა საქალაქო სასწავლებლად, შემდეგში კი უმაღლეს-დაწყებით სასწავლებლებად. საქალაქო სასწავლებლები იყო ექვსკლასიანი, ოთხკლასიანი, სამკლასიანი და სხვ. საქალაქო სასწავლებლიდან საშუალო სკოლაში გადასვლა არ შეიძლებოდა. საქალაქო სასწავლებლები ამზადებდა დაბალი თანამდებობის მოხელეებს, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს, სხვადასხვა დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეებს. ზოგიერთ საქალაქო სასწავლებელთან პროფესიული და აგრეთვე პედაგოგიური კლასებიც არსებობდა. მოსწავლეთა რიცხვი საქალაქო სასწავლებელში საკმაოდ დიდი იყო და მას მზარდი ხასიათი ჰქონდა.
- დაწყებითი და სხვა დაბალი ტიპის სასწავლებელთა ქსელში დიდი ადგილი ეჭირა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეკლესიას დიდი როლი და გავლენა ჰქონდა სახალხო განათლების საქმეში. მეფის ხელისუფლება დაინტერესებული იყო სასულიერო განათლების ქსელის ფართოდ გაშლით. სამრევლო სკოლა და სასულიერო სასწავლებლები ტახტისა და ღვთისადმი ერთგულების აღზრდის უკეთეს საშუალებად იყო მიჩნეული, ვიდრე საერობო და სამონასტრო სკოლები.
- 1864 წელს დამტკიცებული გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდებით აღიარებული იყო ორი ტიპის გიმნაზია: კლასიკური ორი ძველი ენით (ლათინურით და ბერძნულით) და რეალური ძველი ენების გარეშე. წესდება კლასიკურ გიმნაზიას უშვებდა ერთი ძველი ენითაც (ლათინურით). საშუალო სასწავლებლის ძირითად ტიპად კლასიკური გიმნაზია იყო აღიარებული. ორივე ტიპის გიმნაზიაში სწავლება შვიდწლიანი იყო, ამავე წესდებით გიმნაზიები არაწოდებრივ სასწავლებლად ცხადდებოდა, მასში ყველა წოდების ვაჟებს იღებდნენ, იკრძალებოდა ფიზიკური დასჯა, ფართოვდებოდა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს უფლებები, უმჯობესდებოდა საშუალო სასწავლებლების სასწავლო მატერიალური ბაზა, შემოდიოდა ფორმის ტანსაცმელი და ა.შ. პროგიმნაზიები წარმოადგენდნენ არასრულ საშუალო სკოლებს ოთხწლიანი კურსით, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს შეეძლო სწავლა განეგრძო გიმნაზიის მეხუთე კლასში. რაც შეეხება რეალურ და ნახევრად კლასიკურ გიმნაზიებს, მათი უფლებები წესდების მიხედვით არ იყო გათანაბრებული კლასიკური გიმნაზიის უფლებებთან. მხოლოდ კლასიკური გიმნაზია იძლეოდა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას.
- ძალზედ ბევრი პრობლემა არსებობდა საშუალო განათლების მიღებასთნ დაკავშირებით, კერძოდ: მცირე იყო საშუალო სასწავლებლების რიცხვი და ის ვერ უზრუნველყოფდა განათლების მზარდ მოთხოვნებს, ვერ ზრდიდა საკმაო

კონტინგენტს უმაღლესი სკოლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი განათლების ქსელი ასე თუ ისე შედარებით სწრაფად იზრდებოდა, საშუალო განათლების მხრივ კი გაფართოება ნელი ტემპით მიდიოდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მეფის მთავრობა სრულიად არ იყო დაინტერესებული ნაციონალურ უმცირესობათა განათლებით და ამ მიზნით დიდი ხარჯების გაღებით, რაც ნამდვილად სჭირდებოდა საშუალო სასწავლებლებს. საშუალო სკოლები ძირითადად თავმოყრილი იყო თბილისსა და ქუთაისში, ამიტომ ყოველივე ეს სოფლის ახალგაზრდობას ურთულებდა საქმეს საშუალო განათლების მიღების კუთხით. ქართველი მოწინავე საზოგადოება პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს საგიმნაზიო განათლების შესახებ. განსაკუთრებული კრიტიკის საგანი იყო ძველი ენების ესოდენ გაჭიანურებული და უსარგებლო ზუთხვა. აკადემიური მოუსწრებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ ძველ ენებზე მოდიოდა. ჩამორჩენილთა თითქმის ნახევარი ლათინურსა და ძველ ბერძნულში ვერ ასწრებდა.

- 1870 წელს დამტკიცებულ „ქალთა გიმნაზიების დებულების“, მიხედვით არსებობდა ორი უწყების ქალთა გიმნაზია: სამინისტროს და დედოფალ მარიამის სახელობის. სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ქალთა გიმნაზიებს ჰქონდათ შვიდწლიანი ძირითადი კურსი და მერვე დამატებითი პედაგოგიური კლასი. ქალთა გიმნაზიების დამატებითი კლასები დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადებისათვის იყო განკუთვნილი. ორივე უწყების ქალთა გიმნაზიები საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ ჰქონდათ.
- რეალურ სასწავლებლებს ჰქონდათ ექვსი კლასი, თითოეული ერთი წლის ხანგრძლივობით, სასწავლებლებთან იქმნებოდა მოსამზადებელი კლასები, რომელთა ხანგრძლივობა ადგილობრივად ადგენდნენ მოსწავლეთა ასაკისა და მომზადების შესაბამისად. სასწავლებელი შეიძლებოდა კომერციულ და ძირითად განყოფილებებად გამოყოფილიყო. ძირითად განყოფილებას შეიძლებოდა დამატებოდა აგრეთვე ერთი კლასი, რომელიც მოამზადებდა მოსწავლეებს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად. გარდა სახელმწიფო რეალური სასწავლებლებისა, ასეთივე ტიპის კერძო სასწავლებლის დაარსებაც იყო ნებადართული. რომელთაც თანაბარი უფლებები ჰქონდათ.
- მეოცე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში არსებულ გიმნაზიებსა და ზოგიერთი სხვა ტიპის სასწავლებლებში მოსწავლეები ხშირად მიმართავდნენ პროტესტის სხვადასხვა ფორმას: დემონსტრაციას, გაფიცვას, პროკლამაციების გავრცელებას, მასწავლებლებზე და ადმინისტრაციული ხასიათის თანამდე-ბობის პირებზე თავდასხმას, ინდივიდუალური ხასიათის ტერორისტულ აქტებს და ა.შ.
- სასწავლო საგნებიდან საშუალო სკოლის სასწავლო გეგმებში პირველი ადგილი ეჭირა საღვთო სჯულს. მისი სწავლება სავალდებულო იყო ყველა ტიპის და საფეხურის სკოლაში. ეს საგანი ისწავლებოდა ყველა კლასში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საღვთო სჯულის მასწავლებელი დიდი პრივილე-გიით სარგებლობდა სკოლაში. მას ეკისრებოდა კონტროლი და მეთვალყურეობა ყველა სხვა საგნის სწავლებაზე. მაგრამ საბოლოო ჯამში, საშუალო სკოლების

სასწავლო გეგმა მაინც არ პასუხობდა ცხოვრების მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების თანამედროვე დონეს.

- დასავლეთ საქართველოს ინტელიგენცია და მოწინავე საზოგადოება კარგად აცნობიერებდა პროფესიული განათლების აუცილებლობას. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელის გაფართოების იდეას კავკასიის სასწავლო ოლქის მესვეურებიც უჭერდნენ მხარს, მაგრამ არა კეთილი განზრახვით, არამედ იმ მოტივით, რომ დაბალი ფენების ახალგაზრდობის ფართო სარბიელზე გასვლა შეეფერხებინა. კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია, შესაბამისად მთავრობის საერთო პოლიტიკისა, ცდილობდა მშრომელთა წრის ახალგაზრდობა ჩაება პროფესიული განათლების სისტემაში და ამ გზით ჩამოეცილებინა ისინი საშუალო და უმაღლესი სკოლისაგან. დასავლეთ საქართველოში პროფესიული განათლების მხრივ მრავალფეროვნება შეიმჩნევა. აღსანიშნავია ბათუმის ვაჟთა სახელოსნო სასწავლებელი (გაიხსნა 1889 წელს). სასწავლებელი სამკლასიანი იყო, თითოეული კლასი ერთი წლის ხანგრძლივობით. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში პრაქტიკასთან ერთად ისწავლებოდა თეორიული საკითხებიც. პროფესიული განათლების პროპაგანდისათვის და წახალისებისათვის ასევე იმართებოდა გამოფენებიც. მაგალითად, 1899 წელს ქ. სოხუმში მოეწყო ქუთაისის გუბერნიის სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, სადაც მედლები ასე გადანაწილდა: დიდი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა-სამეგრელოს ექვსკლასიანი სასწავლებელი ქ. ფოთში და მუჟალსკის, რომელიც ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა, ნორმალური სასწავლებელი; მცირე ვერცხლის მედალი გადაეცა-ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელს და ბახვისა და ალექსანდროვსკის სკოლებს რომელიც სოხუმის ოლქში შედიოდნენ; რაც შეეხება ბრინჯაოს მედალს, ის გადაეცა-ოჩამჩირის, ჩურუქსუს, ნიკორწმინდის, ილორის, ძველი სენაკის, კვათანის, სოხუმის მთიელთა, მარნისა და საჩხერის სკოლებს. ამავე წელს ქუთაისში მოეწყო სასწავლებლების სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა-ბათუმის საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებელი, მარნის ორკლასიანი სასწავლებელი, ახალსენაკის ნორმალური სასწავლებელი, ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი და დიდი ჯიხაიშის ნორმალური სასწავლებელი; რაც შეეხება ქების სიგელს, ის გადაეცა-ძველი სენაკის, ხობისა და კულაშის სკოლებს. ბევრ პროფესიულ სკოლებში მოსწავლეთა მომზადება საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა. ეწყობოდა აგრეთვე საწარმოო სწავლების მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდური კურსები. გარდა ამისა ასეთივე კურსები ეწყობოდა საინსპექციო რაიონებშიც. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა 1893 წელს და ცხრაასიანი წლების დასაწყისში გადაკეთდა სასწავლებლად. სკოლა ფართო პროფილიანი იყო. მასში ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც. მოსწავლეები უფლებოდნენ მემინდვრეობასა და მეცხოველეობის ძირითად დარგებს, აგრეთვე მეაბრეშუმეობასაც. განსაკუთრებით აღსაანიშნავია, გორის, ოზურგეთის, ზაქათალის, ლეჩხუმის და ზუგდიდის საქალაქო სკოლები. 1898 წელს კი დიდი ჯიხაიშის ქალთა სასწავლებელთან დაარსდა მეაბრეშუმეობის სახელოსნო, სადაც ყოველდღიურად 6 მოსწავლე მუშაობდა 4-4 საათის განმავლობაში. სწავლება უფასო არ იყო, მოსწავლეებს უნდა გადაეხადათ 6 მანეთი წელიწადში. აქ მომუშავენი და მოწაფენი კი მუშაობდნენ ორ საქსოვ, ორ დამხვევ და ორ საჩეჩ დაზგაზე.

- ვაჟთა პროფესიულ განათლებასთან ერთად დასავლეთ საქართველოში ნელნელა ვითარდებოდა ქალთა პროფესიული განათლების ქსელიც. 1896 წელს ჭრა-კერვისა და ქარგვის სკოლა დააარსა ქუთაისში ქეთევან კორძაიამ, რომელიც თბილისის ე. გაბაშვილის სკოლის ანალოგი იყო. ამ სკოლას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, აქ სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და მოსწავლეები პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასაც ღებულობდნენ. 1899 წელს ქ. ფოთში დაარსებული ქალთა კერძო სამკერვალო, რომელიც დაარსებულია ნოტიო ლოლუას მიერ. აქ ახალგაზრდა ქალთა თაობა ეუფლებოდა: ჭრა-კერვას, ქსოვას, ქარგვას, ხატვას, ხაზვას. წლების მანძილზე სკოლას უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ ფოთის ოფიციალური სკოლების მთელი რიგი მასწავლებლები. 1916 წლის მდგომარეობით საქართველოში პროფესიული განათლების კუთხით არსებობდა 24 სკოლა და სასწავლებელი. სასწავლო მუშაობის პედაგოგიურ-მეთოდური მხარე მოუწესრიგებელი იყო, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და ფორმები ვერ პასუხობდა ცხოვრების მოთხოვნებს და ეს სფერო სახალხო განათლების ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა საქართველოში.
- 1867 წლის დებულების საფუძველზე საქართველოში დაიწყო რკინიგზის დაწყებითი სკოლების გახსნაც, რომელსაც ხსნიდა რკინიგზის სამმართველო. ამ სკოლების მიზანი იყო დაწყებითი განათლება მიეცათ იმ მოსწავლეთათვის რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ რკინიგზის სისტემაში მუშაობით. ასეთი სკოლები საქართველოში გაიხსნა მრავლად. კერძოდ: თბილისში-1878 წ., ხაშურსა და სამტრედიაში-1893 წ., ბათუმში-1897 წ. და ა.შ. 1900 წლისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალურ ხაზს მიემატა ჭიათურის, ტყიბულის, ბორჯომისა და ქუთაისის განშტოებები.
- პროფესიულ სკოლებს შორის აღსანიშნავია ქ. ფოთში 1880 წელს დაარსებული საზღვაო სკოლა, რომელიც ამზადებდა შტურმანებსა და შკიპერებს. სკოლაში სულ ორი მასწავლებელი მუშაობდა. ასეთივე სკოლა გაიხსნა 1898 წელს ქ. ბათუმშიც. გარდა ამ სასწავლებლებისა, 1901 წლისათვის დასავლეთ საქართველოში არსებობდა აგრეთვე სანაოსნო სასწავლებელი ქ.ფოთში და 4 დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.
- XX საუკუნის დასაწყისიდან არსებულმა მდგომარეობამ მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო განათლების პროგრესი, რასაც უნდა მოჰყოლოდა დაბალი, საშუალო და უმაღლესი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ქსელის შექმნა. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა, დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი მიწათმზომელთა სასწავლებელი და ხუთი დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა.
- მიუხედავად კონსერვატიული ძალების მხრიდან მრავალი დაბრკოლებისა, ცხოვრებისეულმა მოთხოვნილებებმა აუცილებელი გახადა მასწავლებელთა მომზადების საკითხის მოწესრიგება და ამ მიზნით სასწავლებლების შექმნა. საშუალო სასწავლებლები, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, მასწავლებლობის წოდებასაც ანიჭებდა. გიმნაზიებში ტარდებოდა გამოცდები, რომლის საფუძველზე მასწავლებლის წოდება ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც სათანადო გამოცდებს ჩააბარებდნენ. საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მინიჭებისათვის საჭირო იყო საცდელი გაკვეთილის ჩატარება სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლებში, სასოფლო სკოლების მასწავლებლის წოდების

მოსაპოვებლად კი-სოფლის საერო ან სამრევლო სკოლებში. გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი კურსიდან გამოვიდა მასწავლებლის წოდების მიღების მსურველი. საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მოსაპვებლად დაწესებული იყო სრული და ნაწილობრივი გამოცდები. სრული გამოცდები უტარდებოდათ იმ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია და უნივერსიტეტის რამდენიმე კურსი, აგრეთვე იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდათ უნივერსიტეტი, მაგრამ არა ის ფაკულტეტი, რომელთანაც დაკავშირებულია მასწავლებლობის მსურველის მომავალი სასწავლო საგანი; ნაწილობრივ გამოცდას აბარებდნენ ის პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის სრული კურსი ჰქონდათ დამთავრებული. გამოცდები ტარდებოდა წერითი და ზეპირი ფორმით.

- XIX საუკუნის მიწურულში ცარიზმის რეაქციულმა პოლიტიკამ გავლენა იქონია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერების ურთიერთდამოკიდებულებაზე. 60-იანი წლებიდან საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის მასიურად იხსნებოდა სომხურ-გრიგორიანული სახალხო და სამრევლო სკოლები, ხოლო აზერბაიჯანელებისათვის მუსულმანური სასწავლებლები, სადაც სწავლება მათ მშობლიურ ენაზე წარმოებდა, ეს სწორედ მაშინ, როცა ქართულ სკოლებს ხურავდნენ, ან უკიდურეს შემთხვევაში მშობლიური ენის სწავლებას უკრძალავდნენ.
- რუსეთის მთავრობა ყველანაირად ცდილობდა შეეფერხებინა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. ასევე, კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი პრაქტიკულად არ გადაწყდა. ქართველ ახალგაზრდობა ითვისებდნენ სპეციალურად კავკასიელი სტუდენტებისათვის გამოყოფილ ადგილებს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა, გამოყოფილი ადგილების რაოდენობა ყოველთვის მცირე იყო სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობაზე. ადგილების სიმცირე არ იყო ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ქართველი სტუდენტებისათვის. ძალზე მძიმე ტვირთად აწვათ მათ ეკონომიური საკითხიც, რადგანაც რუსეთში უმაღლესი განათლების მიღება არ იყო მცირე ხარჯებთან დაკავშირებული და სწორედ ამ უსახსრობის გამო მრავალმა ნიჭიერმა ქართველმა ახალგაზრდამ უარი თქვა უმაღლესი განათლების მიღებაზე, მაგრამ აქაც, არ შეიძლება დავივიწყოთ ჩვენი წარჩინებული და მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც ძალღონეს არ იშურებდა ქართველი ახალგაზრდობის ხელშესაწყობად, და რომელთა დახმარებითა და დაფინანსებით საქართველომ მიიღო მრავალი განათლებული ახალგაზრდა. ქართველი საზოგადოებრიობა ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო რუსეთის ქალაქებში მოსწავლე ქართველი სტუდენტებისათვის. ბევრ მათგანს დანიშნული ჰქონდა საზოგადოებრივი თუ კერძო პირების პენსიები. ერთ-ერთი მძიმე მიზეზი, რომლითაც ზოგიერთ ქართველ სტუდენტებს თავიანთი სწავლა განათლება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა იქაური მკაცრი კლიმატი იყო. მრავალი ახალგაზრდა იძულებული იყვნენ კურსის დაუსრულებლად მიეტოვებინათ სწავლა და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.
    - ქართული განათლების ისტორიისათვის დიდი მოვლენა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება 1918 წლის 26 იანვარს, რომელმაც სათავე დაუდგა ეროვნული კადრების მომზადების საქმეს საქართველოში. თუმცა ამ ყოველივეს წინ უძღვოდა ის ფაქტი რომ 1917 წლის 17 მაისს ივანე ჯავახიშვილმა

სწორედ ქუთაისში წაიკითხა მოხსენება ქართული გიმნაზიის შენობაში უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მან ისაუბრა განათლების მნიშვნელობის შესახებ და დასძინა, რომ საჭიროა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, სადაც აღიზრდებიან ქართულად განსწავლული მეცნიერები და პედაგოგები.

- მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს სასწალო დაწესებულებებში გამოიყენებოდა „თავისუფალი აღზრდის“ თეორია, რომელიც ჟან-ჟაკ რუსოდან მომდინარეობს. ის თავისუფალი, ბუნებრივი აღზრდის იდეას იცავდა, თუმცა აღმზრდელის ხელმძღვანელ როლს არ უარყოფდა. საქართველოში „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის პროპაგანდას ლუარსაბ ბოცვაძე ეწეოდა. თავისუფალი აღზრდის“ თეორიის ლუარსაბ ბოცვაძისეული ხედვა დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცისათვისაც აქტუალურია, რადგანაც ისე როგორც ერთი საუკუნის წინ, დღესაც წინა პლანზეა წამოწეული მოსწავლე-როგორც პიროვნება. ლუარსაბ ბოცვაძის აზრით „თავისუფალი აღზრდის“ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა გრძნობებს, მათ თვითმოქმედების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.
- შრომის სკოლას საფუძველი ჩაუყარა გეორგ კერშენშტაინერის სამოქალაქო აღზრდის თეორიამ. მისი შრომის სკოლა იძლევა რა ზოგადი განათლების საგნების მინიმუმს, რაც აუცილებელია კვალიფიციური მუშის მოსამზადებლად. ამ პრინციპებს პრაქტიკულად საქართველოში სათავე მარიამ ყაუხჩიშვილმა დაუდო, რომელმაც თავის კერძო გიმნაზიაში ქუთაისში, კერშენშტაინერის იდეების გავლენით, თავის შეხედულებისამებრ დანერგა შრომითი სწავლებისა და აღზრდის პრინციპები, მან სასწავლებელში მოაწყო ჭრა-კერვის სახელოსნო. გარკვეულ წილად მ. ყაუხჩიშვილის „შრომის სკოლა“ უდევს საფუძვლად დღევანდელ საგანმანათლებლო სფეროში არსებულ პროფესიულ სკოლებს, რომლის თვალსაჩინო მაგალითებია საქართველოში ბოლო წლებში დაარსებული პროფესიული კოლეჯები. პროფესიული განათლების განხორცი-ელებაში აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები.

- ექსპერიმენტული პედაგოგიკა XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ექსპერიმენტული პედაგოგიკის თეორეტიკოსები პრაქტიკაში იყენებდნენ ისეთ მისაღებ მეთოდებს, როგორიცაა დაკვირვება, ბუნებრივი ექსპერიმენტი, პედაგოგიური პროცესის შესწავლა და ა.შ. რომელთა დახმარებითაც მრავალი პრობლემა გადაიჭრა პედაგოგიკაში. საქართველოში ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას სათავე დ. უზნაძემ დაუდო. მან XX საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა შრომები: „აღზრდის მიზნები“, „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტული პედაგოგიკა“ და „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“. სამივე ეს შრომა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს პედაგოგიური აზროვნების განვითარებისათვის. მოსწავლის ცოდნის შემოწმება-შეფასება პედაგოგიური პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია. დიმიტრი უზნაძე პირველი იყო, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში სულ სხვაგვარად დასვა საკითხი ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის. ის შეეცადა დაენერგა შეფასების უნიშნო სისტემა, რომლის განხორციელებაც ქუთაისში, „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლიდან დაიწყო და მისივე თქმით შედეგი მალევე დაინახა

რადგანაც სკოლის სუსტი კონტინგენტი საგრძნობლად გამოსწორდა. დ. უზნაძის აზრით, მთავარი იყო შეგვეფასებინა არა ის, რა იცის მოსწავლემ, არამედ ის, რაც არ იცის, რადგანაც მისი აზრით მოსწავლეს როცა ეცოდინებოდა რა არ იცის, აუცილებლად შეეცდებოდა მიეღწია იმისთვის რაც უნდა იცოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბდალაძე ლ. (ბარბარე)-სასულიერო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება XIX ს-ის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, ქუთაისი, 2014 წელი, 26 გვ.
2. აბრამიძე შ., დანიელ მახარაშვილის 1880-1953 პედაგოგიური მოღვაწეობა, ქუთაისი, 1968 წელი.
3. არიშვილი ს., მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის, თბილისი, 1937 წელი.
4. ახვლედიანი მ., ბასილაძე ი., სოხაძე ნ., ნარკვევეი განათლების ისტორიიდან ქუთაისში XIX საუკუნის და XX საუკუნის 20-იან წლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2007 წელი, 303 გვ.
5. ბასილაძე ი., გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა, 2000 წელი, ქსუ, 144 გვ.
6. ბასილაძე ი., ძოწენიძე ქ., კუპრაშვილი ს., სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი, 2006 წელი, 172 გვ.
7. ბასილაძე ი., ფანჩულიძე ს., განათლების ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის ქუთაისში (1914-1918 წლები), ქუთაისი, 2015 წელი, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, 8-14 გვ.
8. ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, 1967 წელი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 273 გვ.
9. ბოცვაძე ლ., ახალი სკოლა და თავისუფალი აღზრდა, ჟურნ. „განათლება“, 1908 წელი, N2.
10. ბოცვაძე ლ., აკაკის პედაგოგიური აზრების მიმოხილვა, ჟურნ. „განათლება“,1908 წელი, N7-8, 135-155 გვ.
11. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებანი, ტ. II,
12. გაბუნია ლ., ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2006 წელი, 215 გვ.
13. გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, 1974 წელი, 323 გვ.
14. გაზ. „დრო“, 1907 წელი, N30 აპრილი.
15. გაზ. „თბილისი“, 1962 წელი, N1-8.
16. გაზ. „ივერია“ 1888 წელი N149.
17. გაზ. „ივერია“, ახალი ამბავი, პროგიმნაზიის რეალურ სასწავლებლად გადაკეთების საკითხი, 1891 წელი, 5 მაისი, N95.
18. გაზ. „ივერია“, ახალი ამბავი, რეალურ სასწავლებლად დაარსების საკითხი, 1892 წელი, 11 ნოემბერი, N239.
19. გაზ. „ივერია“, 1905 წელი, N8-9 წერილი: „სათავაზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაცია“.
20. გაზ. „კავკაზი“, 1885 წელი, N405.
21. გაზ. „მეურნე“, 1894 წელი, N30.
22. გაზ. „მწყემსი“, 1898 წელი, N14.
23. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წელი, N105.

24. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წელი, N1345.
25. გაზ. „ცნობის ფურცელი“, სწავლა-განათლების მდგომარეობა გურია-სამეგრელოში, 1901 წელი, N1345.
26. განდგომილი, ძველი უკუღმართობის გამეფება სკოლაში (წერილი დასავლეთ საქართველოდან), ჟურ. „განათლება“, 1909 წელი, N1, 125-128 გვ.
27. გენძეხაძე ი., ქუთაისის ვლ. მაიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლა, თბილისი, 1987 წელი.
28. გვანცელაძე-ჯიქია ვ., მოგონებები გარდასულ დღეთა, ქუთაისი, მოწამეთა, 1995 წელი, 81გვ.
29. გოგებაშვილი ი., „ბუნების კარი“, 1900 წელი.
30. გოგებაშვილი ი., „დედა ენა“, 1906 წელი, II ნაწ. წინასიტყვაობა 21-ე გამოცემა.
31. გოგებაშვილი ი., როგორ გავაუმჯობესოთ კავკასიის სახალხო სკოლა.
32. გოგებაშვილი ი., თხზულებანი ათ ტომად, ტ.1 , თბილისი, 1952 წელი, გამომცემლობა საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედ. მეცნიერებათა ინსტიტუტი, 558 გვ.
33. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, 1955 წელი, ტ. IV, საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედ. მეცნიერებათა ინსტიტუტი,579 გვ.
34. გოგებაშვილი ი., რჩ. ნაწერები ოთხ ტომად, პედაგოგიური თხზულებანი ტ. 2, 1940 წელი, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“,554 გვ.
35. გოგებაშვილი ი., თხზ., ტ. II, თბილისი, 1990 წელი, განათლება, 511გვ.
36. გოგებაშვილი ი., ისტორიული მოთხრობები - იავნანამ რა ჰქმნა?.. ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკა, წიგნი ყველა თაობისათვის, თბილისი, ანბანი.
37. გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები, ტ. II, 1954 წელი, საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედ. მეცნიერებათა ინსტიტუტი, 488 გვ.
38. გრძელიშვილი გ.-ს წერილი, ჟურნ. „განათლება“, 1913 წელი, N1.
39. გუნია ვალ., შემოწირულება ქართ. სტუდენტების სასარგებლოდ, „ცნობის ფურცელი“, 1898 წელი, N436.
40. დანელია კ., იოსებ ყიფშიძის ცხოვრება და მემკვიდრეობა, რედ. ა. შანიძე, თბილისი, 1985 წელი, 92 გვ.
41. დოგრაშვილი თ., რაჯდენ ჯაჯანაშვილის პედაგოგიური შეხედულებელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2004 წელი, 188 გვ.
42. დოგრაშვილი თ., „მოძრავი სკოლების იდეა XIX ს-ის ბოლოს ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში“, აკაკი წერეტლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ შრომები, ქუთაისი, აწსუ გამომცემლობა, 2015 წელი, 53-58 გვ.
43. ვაჭრიძე გ., ვაჭრიძე პ., ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში, ქუთაისი, 1995 წელი, 458 გვ.
44. ვაჭრიძე პ., ხონის სამასწავლებლო სემინარია 1881-1921, სტუ-ს სტამბა, თბილისი, 2000 წელი, 241 გვ.
45. ზანდუკელი მიხ., ესთეტიკური აღზრდა მთლიან შრომით სკოლაში, თბილისი, 1922 წელი.
46. ზურაბიშვილი ნ., ძველი და ახალი სკოლა, ჟურნ. „მოამბე“ 1893 წელი, N4.
47. ზურაბიშვილი ნ., ძველი და ახალი სკოლა, ჟურნ. „მოამბე“,1899 წელი, N3, მეორე განყოფილება.

48. თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 2, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, 1977 წელი, 493 გვ.
49. თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 3, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, 1977 წელი, 494 გვ.
50. თავზიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბილისი, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 1948 წელი, 574 გვ.
51. თუმანიშვილი ა., „კვალი“ 1894 წელი, N34.
52. იოსელიანი თ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიაში, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1959 წელი, N1.
53. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1885 წლის ანგარიში.
54. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1890 წლის ანგარიში, ცხრ. N339.
55. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1871 წელი, დამატება N4.
56. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1883 წელი, დამატება N5.
57. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1884 წელი, დამატება N13.
58. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკურალი, 1887 წელი, დამატება N1.
59. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1887 წელი, დამატება N8.
60. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1890 წელი, დამატება N6.
61. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1891 წელი, დამატება N9.
62. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1900 წელი, დამატება N3.
63. კავკასიის უნივერსიტეტი, „დროება“,1880 წელი, N17.
64. კახაბერი, თავისუფალი აღზრდა ბავშვისა, ჟურნ. „განათლება“ 1908 წელი, N7-8, 104-134 გვ.
65. კეკელიძე მიხ., გორის სამასწავლებლო სემინარია, 1955 წელი, თბილისი, საქ.სსრ განათლების სამინისტროს პედაგ. მეცნიერებათა სამეც. საკვლევი ინსტიტუტი, 163 გვ.
66. ლასხიშვილი გ., უსათაურო წერილი, „ივერია“, 1895 წელი, N61.
67. ლასხიშვილი გ., ლალი, თბილისი, „ივერია“, 20 აპრილი, 1895 წელი, N82.
68. მელიქიშვილი ჰ.,ჯავახიშვილი ივ., ქართული უნივერსიტეტი თბილისში გაიხსნება 1918 წლის იანვრის შუა რიცხვებში, გაზ. „ერთობა“, 1918 წელი, N2.
69. მირიანაშვილი ალ., ფიქრები და შენიშვნა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901წელი N1658.
70. მიქაბერიძე ალ., დროა ჩვენი ოჯახი გამოფხიზლდეს, გაზ. „ივერია“, 1901 წელი, N267.
71. მჭედლიძე გ., ქუთაისი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში (1875-1904), საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2011 წელი, 247 გვ.
72. მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921), საგამომცემლო ცენტრი „სარანგი“, ქუთაისი, 1993 წელი, 546 გვ.
73. ნანეიშვილი ალ., სასწავლო დღის რეჟიმის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1889 წელი, N221.
74. ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები სიმონ ხუნდაძის რედ. წინასიტყვაობა და შენიშვნებით, თბილისი, ქართული წიგნი, 1931 წელი.
75. ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. 5, პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბილისი, სახ. უნივერსიტეტი, 1966 წელი, 676 გვ.
76. ნიკოლეიშვილი ა., გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), თბილისი, 1990 წელი, გამომცემლობა „მერანი“, 124 გვ.
77. ობოლაძე უ., ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში (1921-1930), წ. I, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1961წელი, 370 გვ.

78. ორბელიანი გ., პოეზია, პროზა, წერილები, გამომცემლობა პალიტრა, თბილისი, 2013 წელი, 344 გვ.
79. პაატა (მ. ნასიძე), პედაგოგიური შეცდომა, „ივერია“, 1893 წელი, N18.
80. ჟურნ. „განათლება“, 1908 წელი, N2, ნარკვევი მოხსენებიდან, რომელიც წარედგინა წერ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას მომავალ ქართულ სახალხო სკოლების შესახებ, 139-143 გვ.
81. ჟურნ. „განათლება“, 1908 წელი, N5-6, შინაური მიმოხილვა, საღამოობით კურსები ბათუმში, ვაჭრების მონაწილეობა წერა-კითხვის საზოგადოების საქმეში, 112-128 გვ.
82. ჟურნ. „განათლება“, 1908 წელი, N5-6, იაკობ გოგებაშვილი - „რუსკოე სლოვო“, 173-175 გვ.
83. ჟურნ.“განათლება“, 1910 წელი, N9.
84. ჟურნ. „განათლება“, 1912 წელი, N3.
85. ჟურნ. „განათლება“, 1912 წელი, N4, შინაური მიმოხილვა, ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის საქმე, 306-310 გვ.
86. ჟურნ. „განათლება“, 1912 წელი N5.
87. ჟურნ. „განათლება“, 1912 წელი, N5, შინაური მიმოხილვა, რუსული ენის სახელმძღვანელოები და ზოგი ჩვენებური „პედაგოგიჩკები“, 388-392 გვ.
88. ჟურნ. „განათლება“, 1913 წელი, N3, რად მიყვარს დაუვიწყარი იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედა ენა“, 112 გვ.
89. ჟურნ. „განათლება“, 1913 წელი, N3.
90. ჟურნ. „განათლება“, 1914 წელი, N4.
91. ჟურნ. „განათლება“, 1914 წელი, N6.
92. ჟურნ. „განათლება“, 1915 წელი, N4.
93. ჟურნ. „განათლება“, 1917 წელი, N2.
94. ჟურნ. „განათლება“, 1917 წელი, N4-5.
95. ჟურნ. „დილა“, 1912 წელი.
96. ჟურნ. „კვალი“, ზოგიერთი ცნობები სწავლა-განათლების შესახებ კავკასიაში 1900 წელს, 1901 წელი, N35.
97. ჟურნ. „მოამბე“, 1895 წელი, N11, მეორე განყოფილება.
98. ჟურნ. „მოგზაური“, 1902 წელი, N11-12.
99. როსტომაშვილი ი., სასოფლო შკოლები და მისი მნიშვნელობა, „კვალი“, 1815 წელი N3.
100. როსტომაშვილი ი., პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, თბილისი 1920 წელი.
101. სარიშვილი ტ., სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში 1901-1921, თბილისის უნივერსიტეტი, 1986 წელი, 196 გვ.
102. სარიშვილი ტ., „სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში“ სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1956 წელი, 334 გვ.
103. „საქართველოს მოამბე“, 1863 წელი N3.
104. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბილისი, 1953 წელი, საქ. სსრ განათლების სამინისტრო.
105. სახოკია თ., სწავლა-განათლების საქმე, ჟურნ. „მოამბე“, N4 აფხაზეთი, 1894 წელი.
106. სიგუა ს. ,სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში 1907-1917, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1969 წელი, 207 გვ.
107. სსცა, 1933 წ. აღწ.1, საქმე N 2065.

108. სსცა, ფონდი 416, საქმე N 411.
109. სსცა, ფონდი 422, საქმე N 10704.
110. სსცა, ფონდი 422, საქმე N16319.
111. სსცა, ფონდი 422, საქმე N 16559.
112. სცია, ფონდი 300, საქმე N 269.
113. სცია, ფონდი 481, საქმე N 4.
114. სცია, ფონდი 481, საქმე N 42.
115. სცია, ფონდი 481, საქმე N 6960.
116. უზნაძე დ., აღზრდის მიზნები, გაზ. „დროება“, 1910 წელი N2.
117. უზნაძე დ., აღზრდის მიზნები, გაზ. „დროება“ , 1910 წელი N6.
118. უზნაძე დ., აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჟურნ. „განათლება“, 1912 წელი, N6, 428- 438 გვ.
119. უზნაძე დ., მოხსენება სასწავლებლის ორგანიზაციის შესახებ.
120. უზნაძე დ., „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915-1916 სასწავლო წლის ანგარიში.
121. უშინსკი კ.დ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1948 წელი, საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი, 354 გვ.
122. უჩურდია ხაკო (ვლ. გაგუა), სუჯუნა და მისი ორკლასიანი სკოლა, „კვალი“, 1893 წელი, N41.
123. ფრუიძე კ., გიორგი ახვლედიანის პედაგოგიური შეხედულებანი, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1990 წელი.
124. ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1914 წლის ანგარიში.
125. ქართული საბჭოთა ენციკლობედია, სპეციალური ტომი, 1981 წელი.
126. ქინქლაძე ო., დროება და აღზრდის საკითხები, თბილისი, 1963 წელი, საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, 223 გვ.
127. ქცსა, ფონდი 2, სამე N 1.
128. ქცსა, ფონდი 2, საქმე N4.
129. ქცსა, ფონდი 5, საქმე N 1.
130. ქცსა, ფონდი 5, საქმე N 8.
131. ქვსა, ფონდი 5, საქმე N 9.
132. ქცსა, ფონდი 5, საქმე N 287.
133. ქცსა, ფონდი 7, საქმე N 322.
134. ქცსა, ფონდი 7, საქმე N 958.
135. ქცსა, ფონდი 9, საქმე N 163.
136. ქცსა, ფონდი 9, საქმე N 576.
137. ქცსა, ფონდი 15, საქმე N 139.
138. ქცსა, ფონდი 15, საქმე N 167.
139. ქცსა, ფონდი 15 საქმე N 168.
140. ქცსა, ფონდი 19, საქმე N 6.
141. ქცსა, ფონდი 19, საქმე N 31.
142. ქცსა, ფონდი 20, საქმე N 223.
143. ქცსა, ფონდი 20, საქმე N 228.

144. ქცსა, ფონდი 20, საქმე N 403.
145. ქცსა, ფონდი 82, საქმე N 3.
146. ქცსა, ფონდი 82, საქმე N 4.
147. ქცსა, ფონდი 108, საქმე N 48.
148. ქცსა, ფონდი 108, საქმე N 334.
149. ქცსა, ფონდი 108, საქმე N 385.
150. ქცსა, ფონდი 108, საქმე N 481.
151. ქცსა, ფონდი 108, საქმე N 520.
152. ქცსა, ფონდი 108, საქმე N 775.
153. ქცსა, ფონდი 121, საქმე N1.
154. ქცსა, ფონდი 121, საქმე N 1114.
155. ქცსა. ფონდი 130, საქმე N159.
156. ქცსა. ფონდი 130, საქმე N 175.
157. ქცსა, ფონდი 137, საქმე N3.
158. ქცსა, ფონდი 447, საქმე N 25522.
159. ცაიშვილი ს., ნოტიო ბახვას ასული ლოლუა, კრებული სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, ტ. III, თბილისი, საქ. სსრ განათლების სამინისტრო, 1953 წელი.
160. ცხვედაძე ნ., ქვემო ქართლი, ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა, თბილისი, 1903 წელი.
161. წერეთელი ა., თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1960 წელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 381 გვ.
162. წერეთელი ა., თხზ., ტ. XI, თბილისი, 1960 წელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 455 გვ.
163. წერეთელი ა., თხზ., ტ. XII, თბილისი, 1960 წელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 657გვ.
164. წერეთელი გ., „კვალი“, 1893 წელი, N8.
165. წერეთელი გ., სწავლის საქმე ჩვენში, „კვალი“, 1893 წელი, N2.
166. წყალტუბელი გ. (გ. იოსელიანი), ბედი ჩვენი ბავშვებისა, „კვალი“, 1893 წელი N7.
167. წყალტუბელი (გ. იოსელიანი), კიდევ მოძრავი სკოლები და ბატონი პეტრე უმიკაშვილი, „ივერია“, 1888 წელი, N168.
168. ჭავჭავაძე ი. , თხზულებანი, 1927 წელი, ტ VI, „ქართული წიგნის“ გამოცემა, 303 გვ.
169. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, 1928 წელი, ტ VII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, 515 გვ.
170. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, 1928 წელი, ტ. VIII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, 362 გვ.
171. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1955 წელი, გამომცემლობა „სახელგამი“, 405 გვ.
172. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, 1928 წელი, ტ. VIII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, 362 გვ.
173. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1955 წელი, გამომცემლობა „სახელგამი“,405 გვ.
174. ჭავჭავაძე ი., ჩემი რჩეული, ექვს ტომეული, ტომი I, პოეზია, გამომცემლობა „პალიტრა“, თბილისი, 2012 წელი, 280 გვ.
175. ჭიჭინაძე ა., „რიჟრაჟზე სათქმელი“, ჟურნ. „განთლება“, 1915 წელი, N8-9.

176. ჭოლაძე ა., ბალანჩივაძე ნ., ქუთაისის ბოტანიკური ბაღი (მოკლე ისტორია), თბილისი, 1979 წელი, 101 გვ.
177. ხაბურძანია ვ., კომერციული ცოდნის კერა, გაზ. „ქუთაისი“ , 1989 წელი, 8 თებერვალი.
178. ხატიშვილი ი., დაღესტნის იმამები და შამილი, ჟურნ. „მოგზაური“, 1903 წელი, N7-8, 192-208 გვ.
179. ხუნდაძე არკ. - ლუარსაბ ბოცვაძე, ნ. კეცხოველის მოგონება ლუარსაბ ბოცვაძეზე, 1944 წელი.
180. ხუნდაძე ტ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879-1927), სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1960 წელი, 161 გვ.
181. ხუნდაძე ტ., ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბილისი, 1976 წელი, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი", 103 გვ.
182. ხუნდაძე ტ., ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იან წლებში), თბილისი, 1939 წელი, თბილისის ინსტიტუტის გამომცემლობა, 163 გვ.
183. ჯავახიშვილი ივ. -ის ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაში წაკითხული 12 მაისს 1917 წ. ტფილისში და 17 მაისს ქუთაისში, გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წელი N68.
184. ჯანაშია ნ., კავკასიაში სწავლა-განათლების მდგომარეობა, ჟურნ. „მოამბე“, N3, მეორე განყოფილება, 1900 წელი.
185. ჯაჯანაშვილი რ., მოძრავი სკოლები, „ დროება“, 1881 წელი, N256.
186. ჯაჯანაშვილი რ., „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებზე“, გაზეთი „დროება“, 1881 წელი, N67.
187. ჯაჯანაშვილი რ., ცოტა რამ პედაგოგიიდამ, გაზ. „დროება“, 1881 წელი, N79.
188. ჯორბენაძე ს., შინაური მიმოხილვა, მაჰმადიან ქართველების უნუგეშო მდგომარეობა განათლების მხრით, ჟურნ. „განათლება“, 1911 წელი, N10, 634-637 გვ.
189. ჭკუასელი ი., ჟურნალი „განათლება“ და მისი ადგილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1981 წელი.
190. www.kutais-gaenati.ge/ganatleba/seminaria.html
191. www.nateba.net/index.php/biographies/95-1866-1939

დანართები

<u>დანართი N1</u>

გიმნაზიების, პროგიმნაზიების, რეალური სასწავლებლებისა და სემინარიების მოსწავლეთა განთესვის მაჩვენებელი 1890 წელს

დასავლეთ საქართველო		
N	სასწავლებლის დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა
1.	ქუთაისის გიმნაზიიდან	68 მოსწავლე
2.	ქუთაისის პროგიმნაზიიდან	50 მოსწავლე
3.	ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლიდან	73 მოსწავლე
4.	ხონის საოსტატო სემინარიიდან	18 მოსწავლე
	სულ:	209 მოსწავლე

აღმოსავლეთ საქართველო		
N	სასწავლებლის დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა
1.	თბილისის I გიმნაზიიდან	104 მოსწავლე
2.	თბილისის I I გიმნაზიიდან	74 მოსწავლე
3.	თბილისის პროგიმნაზიიდან	26 მოსწავლე
4.	თბილისის რეალური სასწავლებლიდან	98 მოსწავლე
5.	თბილისის ქალთა გიმნაზიიდან	196 მოსწავლე
6.	თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლიდან	80 მოსწავლე
7.	თბილისის პროგიმნაზიიდან	92 მოსწავლე
8.	გორის სამასწავლებლო სემინარიიდან	21 მოსწავლე
	სულ:	691 მოსწავლე

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1890 წლის ანგარიში, ცხრილი N2

<u>დანართი N2</u>

მოსწავლეთა რაოდენობის შეფარდება სკოლის პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალთან 1890 წლის მონაცემებით

N	სასწავლებლის დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა	მასწავლებელ - აღმზრდელთა რაოდენობა	ტექნიკური თანამშრომლების რაოდენობა
1.	ვაჟთა პირველი გიმნაზია	641 მოსწ.	48	7
2.	თბილისის ოლღას სახელობის ქალთა გიმნაზია	772 მოსწ.	30	20
3.	თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი	404 მოსწ.	49	23
4.	ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი	352 მოსწ.	34	15

ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974, გვ. 152

<u>დანართი N3</u>

ქართველ მასწავლებელთა რაოდენობა სკოლებში

N	სასწავლებლის დასახელება	მასწავლებელთა რაოდენობა (სულ)	ქართველი მასწავლებლები	ქართველ პედაგოგთა გვარები
1.	თბილისის ვაჟთა გიმნაზია	29	5	გ. ხელიძე მ. თუმანიშვილი ო. ხევცურიანი მ. მიქელაძე პ. უმიკაშვილი
2.	ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია	23	4	მაჭავარიანი შავლაძე ღოღობერიძე მაისურაძე
3.	თბილისის რეალური სასწავლებელი	18	1	ახალშელიშვილი
4.	თბილისის ვაჟთა პროგიმნაზია		2	გამყრელიძე ტატიშვილი
5.	ქუთაისის ვაჟთა პროგიმნაზია		2	მაჭავარიანი ჩიმაკიძე
6.	თბილისის ოლღას სახელობის ქალთა გიმნაზია	35	3	ხევცურიანი გამყრელიძე იმნაძე

ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974, გვ. 152

<u>დანართი N4</u>

საშუალო სასწავლებლები საქართველოში 1916 წლის მონაცემებით

ვაჟთა გიმნაზიები			
N	სასწავლებლის დასახელება	დაარსების წელი	მოსწავლეთა რაოდენობა
1.	თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია	1831	697 მოსწ.
2.	თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია	1881	681 მოსწ.
3.	თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზია	1892	664 მოსწ.
4.	თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზია	1906	424 მოსწ.
5.	თბილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზია	1910	435 მოსწ.
6.	თბილისის ვაჟთა მეექვსე გიმნაზია	1912	376 მოსწ.
7.	ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია	1850	750 მოსწ.
8.	ბათუმის ვაჟთა გიმნაზია	1894	514 მოსწ.
9.	ფოთის ვაჟთა გიმნაზია	1906	237 მოსწ.
10.	ხონის ვაჟთა გიმნაზია	1910	246 მოსწ.
11.	გორის ვაჟთა გიმნაზია	1912	308 მოსწ.
12.	ხაშურის ვაჟთა გიმნაზია	1916	368 მოსწ.
	სულ:	5621 მოსწავლით	
რეალური სასწავლებლები			
1.	თბილისის რეალური სასწავლებელი	1865	578 მოსწ.
2.	ქუთაისის რეალური სასწავლებელი	1902	420 მოსწ.
3.	სოხუმის რეალური სასწავლებელი	1904	231 მოსწ.
	სულ:	1929 მოსწავლით	

კომერციული სასწავლებლები			
1.	თბილისის I კომერციული სასწავლებელი		696 მოსწ.
2.	თბილისის II კომერციული სასწავლებელი		108 მოსწ.
	სულ:	804 მოსწავლით	
ქალთა გიმნაზიები			
1.	თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია	1865	809 მოსწ.
2.	თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია	1891	851 მოსწ.
3.	თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია	1894	850 მოსწ.
4.	თბილისის ქალთა მეოთხე გიმნაზია	1903	452 მოსწ.
5.	თბილისის ქალთა მეხუთე გიმნაზია	1905	384 მოსწ.
6.	თბილისის ქალთა მეექვსე გიმნაზია	1916	348 მოსწ.
7.	ქუთაისის ქალთა გიმნაზია	1903	380 მოსწ.
8.	ფოთის ქალთა გიმნაზია	1912	223 მოსწ.
9.	სოხუმის ქალთა გიმნაზია	1910	308 მოსწ.
10.	ბათუმის ქალთა გიმნაზია	1900	353 მოსწ.
11.	გორის ქალთა გიმნაზია	1905	383 მოსწ.
	სულ:	5341 მოსწავლით	
წმინდა ნინოს სასულიერო სასწავლებლები			
1.	თბილისის წმ. ნინოს სასულიერო სასწავლებელი	1883	570 მოსწ.
2.	ქუთაისის წმ. ნინოს სასულიერო სასწავლებელი	1889	739 მოსწ.
3.	თელავის წმ. ნინოს სასულიერო სასწავლებელი	1911	379 მოსწ.
	სულ:	1688 მოსწავლით	
ეპარქიული ქალთა სასწავლებლები			
1.	თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი	1901	416 მოსწ.
2.	ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი	1901	531 მოსწ.

	სულ:	947 მოსწავლით	
ვაჟთა სხვა საშუალო სასწავლებლები			
1.	თბილისის კადეტთა კორპუსი	1871	451 მოსწ.
2.	თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია	1809	791 მოსწ.
3.	ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია	1900	886 მოსწ.
4.	თბილისის სასულიერო სემინარა	1817	244 მოსწ.
5.	სომხურ-გრიგორიანული სემინარია	1825	320 მოსწ.
	სულ:	2692 მოსწავლით	
სხვა სხვა სასწავლებლები			
1.	ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი	1840	264 მოსწ.
2.	თბილისის ქალთა კომერციული სასწავლებელი		246 მოსწ.
3.	მ.ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზია	1916	290 ამდე მოსწ.
4.	ქუთაისის ქალთა საშუალო სკოლა	1916	
5.	თბილისის ლევანდოვსკის ქალ-ვაჟთა კერძო გიმნაზია	1911	275 მოსწ.
6.	ზუგდიდის კერძო საშუალო სკოლა		205 მოსწ.
7.	ვაჟთა პროგიმნაზია ახალციხეში		
8.	ვაჟთა პროგიმნაზია თელავში		
9.	ქალთა კერძო პროგიმნაზია ლანჩხუთში		
10.	თბილისის დისიციანის პროგიმნაზია		
11.	ბათუმის არნოლდის კერძო შერეული პროგიმნაზია		

ციური ბაქრაძე, პედაგოგიური აზროვნება 1900-1931 წლების საქართველოში, დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1996 წელი, გვ. 37-39.

<u>დანართი N5</u>

ბათუმის ვაჟთა სახელოსნო სასწავლებლის
მასწავლებელთა ხელფასი

- ინსპექტორ მასწავლებელს წელიწადში ეძლეოდა - 1000 მანეთი (ხოლო თუ დამატებით პრაქტიკულ მეცადინეობას ჩაატარებდა 450 მანეთი ემატებოდა)
- მასწავლებელს ეძლეოდა - 450 მანეთი (რაც იყო ორი საშტატო ერთეული)
- საღვთო სჯულის მასწავლებელს კი - 90 მანეთი.

ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკინის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974 წ., გვ. 156.

ბათუმის ვაჟთა სახელოსნო სასწავლებლის
სასწავლო გეგმა

N	საგნები	კვირეული საათების რაოდენობა
1.	საღვთო სჯული	3 სთ.
2.	რუსული ენა (სლავური კითხვა და მართლწერა)	7 სთ.
3.	ცნობები სამამულო ისტორიიდან	2 სთ.
4.	ცნობები გეოგრაფიიდან	2 სთ.
5.	არითმეტიკა	8 სთ.
6.	პრაქტიკული ცნობები გეომეტრიიდან	6 სთ.
7.	ანგარიშგება	1 სთ.
8.	ცნობები ფიზიკიდან	4 სთ.
9.	ცნობები ხისა და ლითონის ტექნოლოგიიდან	3 სთ.
10.	ხატვა	8 სთ.
11.	ხაზვა	10 სთ.
12.	სიმღერა	4 სთ.
13.	პრაქტიკული მეცადინეობა	97 სთ.
სულ სამივე კლასში კვირეული საათების რაოდენოდა შეადგენდა - 155 საათს, აქედან:		
პირველ კლასში - 48 სთ.	მეორე კლასში- 53 სთ.	მესამე კლასში - 54 სთ.

კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1894 წელი. N2. გვ. 62-63

<u>დანართი N6</u>

კავკასიის სასწავლო ოლქისა და რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიერ მოწყოფილი მოკლევადიანი კურსების სასწავლო გეგმა

N.	საგნები	საათები
1.	ჰიგიენა და პირველი დახმარების აღმოჩენა	30 სთ.
2.	პედაგოგიკა	24 სთ.
3.	საანგარიშო საქმე	24 სთ.
4.	საქონელმცოდნეობა	20 სთ.
5.	გაკერვა, ამოკემსვა, შეკეთება	12 სთ.
6.	თეთრეულის გამოჭრა და კერვა	36 სთ.
7.	კაბის გამოჭრა და შეკერვა	36 სთ.
8.	ხელსაწყოთმცოდნეობა	12 სთ.
9.	ხორცის კერძების დამზადება	12 სთ.
10.	საოჯახო სუფრის მომზადება	42 სთ.
11.	მეოჯახეობის სხვა დარგები	150 სთ.
	სულ:	398 საათი

ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკინის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974 წ., გვ. 159.

<u>დარანთი N7</u>

სასწავებლების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები

სამეგრელოს საქალაქო სასწავლებელი ქ. ფოთში

ამ სასწავლებელს 1899 წელს ჰქონდა: 1) 2 ათასამდე კვ. საჟენი ფართობის ბაღი;
2) 5132 ძირი ნაყოფის მომცემი ხე; აქედან:
3) 84 ძირი თუთა
4) 314 ძირი დეკორატიული ხე
5) 84 ნაყოფიერი ბუჩქი
6) 648 დეკორატიული ბუჩქი
7) 15 ძირი ვაზი და ა.შ.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი

ამ სასწავლებელს ჰქონდა: 1) 668 კვ. საჟენის მოცულობის ბაღი
2) ათასამდე ძირი მცენარე და ა.შ.

სოხუმის მთიელთა სკოლა

ამ სასწავლებელს ჰქონდა: 1) 1318 კვ. საჟენი მიწის ფართობი
2) 800ზე მეტი ნაყოფიერი მცენარე
3) დეკორატიული მცენარეები.

<u>სოფლის სკოლებიდან კარგად მოწყობილი მიწის ნაკვეთი ჰქონდსა ასევე:</u>

- კვათანის (სენაკის მაზრა) სკოლას
- ხობის სკოლას
- ხეთის სკოლას
- წალენჯიხის (ზუგდიდის მაზრა) სკოლას

ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974, გვ. 172

<u>**დანართი N8**</u>

პროფტექნიკური და სასოფლო სამეურნეო სკოლები 1901-1915 წლის საქართველოში

N	უწყება და სკოლის ტიპები	1901 წ.		1915 წ.	
		სკოლ. რაოდ.	მოსწ. რაოდ.	სკოლ. რაოდ.	მოსწ. რაოდ.
I განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლებლები					
1.	სახელოსნო სასწავლებლები	2	299	2	330
2.	სახელოსნო მოწაფეობის სკოლები	2	67	2	149
3.	დაბალი სახელოსნო სასწავლებლები	-	-	1	39
II სხვადასხვა უწყებათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სკოლები					
1.	რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლები	1	97	1	145
2.	მიწისმზომელთა საწავლებელი	1	66	1	184
3.	დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები	5	222	5	210

ს. სიგუა, სახალხო განათლება რევოლიციამდელ საქართველოში 1907-1917 წწ., თბილისი, 1969. გვ.119

<u>დანართი N9</u>

ხონის საოსტატო სემინარიაში მოსწავლეთა რიცხობრივი, ეროვნული და წოდებრივი შემადგენლობის მიხედვით 1901-1908-1915 წლებში

N	მოსწავლეები	1901 წელი	1908 წელი	1915 წელი
	მოსწავლეები სულ	**50**	**93**	**84**
1.	რუსი	9	17	8
2.	ქართველი	33	70	66
3.	სომეხი	-	-	5
4.	აზერბაიჯანელი	-	-	-
5.	მთიელი	-	-	5
6.	სხვა	8	6	-
	აქედან:			
1.	თავადაზნაურთა შვილები	7	15	4
2.	მოხელეთა შვილები	-	-	-
3.	სასულიერო პირთა შვილები	2	3	2
4.	ვაჭრებისა და საპატიო მოქალაქეების შვილები	-	-	-
5.	მოქალაქეებისა და ხელოსნების შვილები	2	1	-
6.	გლეხები	34	62	78
7.	სხვა	5	12	-

ს.სიგუა, სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში 1907-1917 წწ, თბილისი, 1969 წ. გვ.136

<u>დანართი N10</u>

რუსეთის საოსტატო სემინარიების 1910 წლის

სასწავლო გეგმა

N	ს ა გ ნ ე ბ ი	კლასები				
		I	II	III	IV	სულ
1.	საღვთო სჯული საეკლესიო სლოვარი კითხვით	3	3	3	3	12
2.	რუსული და საეკლესიო სლოვური ენა სიტყვიერების მოკლე კურსით და მეთოდიკით	5	5	4	3	17
3.	პედაგოგიკა	-	-	3	3	6
4.	არითმეტიკა და გეომეტრია ამ საგნების მეთოდიკებით	5	4	4	4	17
5.	რუსეთის ისტორია და მსოფლიო ისტორიის მოკლე კურსი	2	2	2	2	8
6.	რუსეთისა და მსოფლიო გეოგრაფია მეთოდიკით	2	2	2	1	7
7.	ბუნებისმეტყველება და ცნობები ჰიგიენიდან	3	3	2	2	10
8.	ფიზიკა	2	2	2	-	6
9.	სუფთა წერა	2	2	2	-	6
10.	გალობა	2	2	2	2	8
11.	ხელგარჯილობა	4	4	3	3	14
12.	ხაზვა და ხატვა	2	2	2	2	8
13.	გიმნასტიკა და ფიზიკური ვარჯიში	2	2	2	1	7
14.	პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლებელში	-	-	-	12	12
	სულ:	**34**	**33**	**33**	**38**	**138**

ს.სიგუა, სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში 1907-1917 წწ, თბილისი, 1969 წ. გვ.139

<u>დანართი N11</u>

თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების ისტორიისა და სიტყვიერების ფაკულტეტის სასწავლო გეგმა 1912-1913 სასწავლო წელს

I საერთო სავალდებულო საგნები *<u>ორივე</u>* **განყოფილებისათვის**
1. ფსიქოლოგია 2. ფილოსოფიის შესავალი 3. ენათმეცნიერების შესავალი 4. ლათინური ენა 5. ფრანგული ენა 6. გერმანული ენა 7. ინგლისური ენა
II სავალდებულო საგნები *<u>ისტორიის</u>* **განყოფილებისათვის**
1. ისტორიის ფილოსოფია და მეთოდოლოგია 2. ძველი აღმოსავლეთის ისტორია 3. რომის ისტორია 4. შუა საუკუნეების ისტორია 5. ახალი ისტორია 6. რუსეთის ისტორია 7. ბიზანტიის ისტორია 8. სლავიანთა ისტორია 9. ეკლესიის ისტორია 10. რუსული სიტყვიერების ისტორია 11. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია 12. ახალი ფილოსოფიის ისტორია 13. ხელოვნების ისტორია
III სავალდებულო საგნები *<u>სიტყვიერების</u>* **განყოფილებისათვის**
1. სლავიანომცოდნეობის შესავალი 2. სლავიანური ლიტერატურის ისტორია 3. სლავიანურ ენათა შედარებითი გრამატიკა 4. ძველი სლავური ენა 5. პელეოგრაფია 6. ბულგარული ენა 7. ჩეხური ენა 8. რუსული სიტყვიერების ისტორია 9. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია 10. ინდო-ევროპული ენნების შედარებითი გრამატიკა

11. რუსული ენა დიალექტოლოგიით 12. რუსეთის ისტორია 13. ახალი ფილოსოფიის ისტორია 14. რომის ლიტერატურის ისტორია 15. ბერძნულინ ლიტერატურის ისტორია
IV არასავალდებულო საგნები *ორივე* **განყოფილებისათვის**
1. რუსული ლიტერატურის სპეციალურინკურსი (პუშკინის ეპოქა) 2. პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხები 3. ძველი სომხური ენა 4. საქართველოს ისტორია 5. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 6. არაბული ენა

ს. სიგუა, სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში 1907-1917 წწ.; თბილისი, 1969, გვ. 161-162

<u>დანართი N12</u>

სასწავლებლების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 1900 წლის მონაცემებით და მათში მოსწავლეთა რანჟირება სწესის მიხედვით

N	სასწავლებელი	ბიჭი	გოგო	სულ	სასწ. რაოდ.
1.	ქუთაისის კლასიკური გიმნაზია	689	-	689	1
2.	ბათუმის კლასიკური გიმნაზია	393	-	393	1
3.	ქუთაისის რეალური სასწავლებელი	420	-	420	1
4.	ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია დაბა ხონში	51	-	51	1
5.	ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლა	59	-	59	1
6.	წმ. ნინოს ქუთაისის სასწავლებელი	-	704	704	1
7.	სოხუმის ქალთა პროგიმნაზია	-	116	116	1
8.	საქალაქო სასწავლებლები 1872 წლის მდგომარეობით	2749	-	2749	7
9.	მარიამის ქალთა სასწავლებელი	-	330	330	2
10.	სოხუმის საქალაქო სკოლა	117	-	117	1
11.	რიტორიკის სკოლა	77	-	77	1
12.	დაწყებითი სასწავლებელი	16968	2577	19545	222
13.	მეორე თანრიგის კერძო	472	384	856	4

	სასწავლებელი				
14.	მესამე თანრიგის კერძო სასწავლებელი	699	151	850	15
15.	ქუთაისის სასულიერო სემინარია	238	-	238	1
16.	ახალი სენაკის სასწავლებელი	258	-	258	1
17.	ოზურგეთის სასწავლებელი	218	-	218	1
18.	ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი	-	278	278	1
19.	სოხუმის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლა	1226	165	1391	33
20.	სოხუმის ეპარქიის საგანმანათლებლო სასწავლებლები	1061	127	1188	29
21.	იმერეთის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლა	4321	677	4998	99
22.	იმერეთის ეპარქიის საგანმანათლებლო სასწავლებლები	810	165	975	29
23.	ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები	557	-	557	1

ქცსა, ფონდი 130, საქმე N196, ფურც: 59-60

<u>დანართი N13</u>

სასწავლებლების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 1907 წლის მონაცემებით და მათში მოსწავლეთა რანჟირება წოდების, სქესისა და რელიგიის მიხედვით

N	სასწავლებლები	ბიჭი	გოგო	სულ	სასწ. რაოდ.
	ქუთაისი				
1.	კლასიკური გიმნაზია	698	-	698	1
2.	რეალური სასწავლებელი	763	-	763	1
3.	სათავაზნაურო გიმნაზია	1115	-	1115	1
4.	წმ. ნინოს ნქალთა სასწავლებელი	-	799	799	1
5.	ქალთა გიმნაზია	-	178	178	1
6.	საქალაქო 6 კლასიანი სასწავლებელი	517	-	517	2
7.	საქალაქო დაწყებითი და ქალთა უფასო სკოლა	303	549	852	7
8.	ქალთა კერძო პროგიმნაზია	-	600	600	2
9.	მესამე თანრიგის კერძო სასწავლებელი	54	10	64	7
10.	ქალთა პროფესიული სკოლა	-	80	80	1
11.	საეკლესიო-სამრევლო სკოლა	170	35	205	4
12.	ქალთა ეპარქიული სასწავლებელი	-	347	347	1
13.	სასულიერო სასწავლებელი	274	-	274	1
14.	სასოფლო-სამეურნეო სკოლა	62	-	62	1
15.	სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო სკოლა	27	24	51	1
16.	რომის კათოლიკური საეკლესიო სკოლა	41	26	67	1
	სულ:	4024 ბიჭი	2651 გოგო	6675 მოსწ.	33 სასწ.

	ფოთი				
1.	ვაჟთა გიმნაზია	129	-	129	1
2.	ქალთა გიმნაზია	-	150	150	1
3.	წმინდა ოლღას ქალთა სასწავლებელი	-	118	118	1
4.	საქალაქო 6 კლასიანი სასწავლებელი	190	-	190	1
5.	დაწყებითი სასწავლებელი	258	153	411	4
6.	საეკლესიო-სამრევლო სკოლა	140	139	279	3
7.	საზღვაო 2 კლასიანი სკოლა	7	-	7	1
8.	სხვა სახის სკოლები	56	-	56	1
	სულ:	780 ბიჭი	560 გოგო	1340 მოსწ.	13 სასწ.
	ოზურგეთის				
1.	საქალაქო სამკლასიანი სასწავლებელი	189	-	189	1
2.	ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი	-	145	145	1
3.	სასულიერო სასწავლებელი	64	-	64	1
	სულ:	253 ბიჭი	145 გოგო	398 მოსწ.	3 სასწ.
	ქუთაისის გუბერნიის				
1.	ხონის სამასწავლებლო სემინარია	87	-	87	1
2.	საქალაქო 6 კლასიანი სასწავლებელი	119	-	119	1
3.	მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელი	-	245	245	1
4.	პირველი თანრიგის ქალთა გიმნაზია	-	22	22	1
5.	პროფესიული სკოლა	-	38	38	1
6.	მესამე თანრიგის ხონის და ბაღდადის	11	30	41	2

	დაწყებითი სასწავლებელი				
7.	დაწყებითი სასწავლებლები	4047	1015	5062	54
8.	საეკლესიო-სამრევლო სკოლა	1020	200	1220	30
9.	სხვა	48	-	48	1
	სულ:	5332 ბიჭი	1550 გოგო	6880 მოსწ.	92 სასწ.
სულ გუბერნიაში აღნიშნულ წელს სწავლობდა:		32881 ბიჭი	9745 გოგო	42626 მოსწავლე	544 სასწ.

ქცსა, ფონდი 130, საქმე N 241 ფურც: 35-36

სულ გუბერნიაში 42 626 მოსწავლწ იყო, აქედან:

N	ეროვნება	მოსწავლეთა რაოდენობა
1.	რუსი	640
2.	ქართველი	41 179
3.	სომეხი	314
4.	თათარი	24
5.	მთიელი	27
6.	ებრაელი	318
7.	სხვები	124
	სულ:	42 626 მოსწავლე
N	**სარწმუნოება**	**მოსწავლეთა რაოდენობა**
1.	მართლმადიდებელი	41 609

2.	სომხურ გრიგორიანელი	314
3.	კათოლიკური	212
4.	პროტესტანტი	98
5.	იუდეველი	318
6.	მუსულმანი	51
7.	სხვა	24
	სულ:	42 626 მოსწავლე

ქცსა, ფონდი 130, საქმე N 241, ფურც: 36, 37

<u>დანართი N14</u>

სასწავლებლების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 1913 წლის მონაცემებით და მათში მოსწავლეთა რანჟირება წოდების, სქესისა და რელიგიის მიხედვით

N	სასწავლებლები	ბიჭი	გოგო	სულ	სასწ. რაოდ.
	ქუთაისი				
1.	რეალური სასწავლებელი	601	-	601	1
2.	კლასიკური გიმნაზია	728	-	728	1
3.	სათავაზნაურო გიმნაზია	871	-	871	1
4.	წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი	-	776	776	1
5.	ქალთა გიმნაზია	-	297	297	1
6.	საქალაქო 6 კლასიანი სასწავლებელი	753	-	753	2
7.	საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი	97	14	111	1
8.	უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი	100	-	100	1
9.	ჭომის დაწყებითი სასწავლებელი	95	17	112	1
10.	ქალთა ეპარქიული სასწავლებელი	-	506	506	1
11.	ქალთა კერძო სკოლა	-	414	414	1
12.	პირველი თანრიგის ქალთა კერძო სასწავლებელი	-	400	400	1
13.	სასულიერო სასწავლებელი	288	-	288	1
14.	სასოფლო-სამეურნეო სკოლა	99	-	99	1
15.	საეკლესიო-სამრევლო სკოლა	281	306	587	6
16.	რომის კათოლიკური საეკლესიო სკოლა	28	20	48	1
17.	სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო სკოლა	17	21	38	1

	სულ:	3958 ბიჭი	3145 გოგო	7103 მოსწ.	24 სასწ.
	ფოთი				
1.	ვაჟთა გიმნაზია	269	-	269	1
2.	ქალთა გიმნაზია	-	205	205	1
3.	სამეგრელოს 6 კლასიანი სასწავლებელი	213	-	213	1
4.	წმინდა ოლღას ქალთა სასწავლებელი	-	115	115	1
5.	დაწყებითი სკოლა	205	-	205	1
6.	ბერნული სასწავლებელი	25	20	45	1
7.	სომხური სკოლა	13	12	25	1
8.	კერძო პროფესიული სკოლა	-	88	88	1
9.	სამრევლო სკოლა	151	39	190	2
10.	სხვა	-	115	115	1
	სულ:	926 ბიჭი	479 გოგო	1405 მოსწ.	11 სასწ.
	ოზურგეთის				
1.	საქალაქო სასწავლებელი	303	-	303	1
2.	ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი	-	180	180	1
3.	სასულიერო სასწავლებელი	187	-	187	1
	სულ:	490 ბიჭი	180 გოგო	670 მოსწ.	3 სასწ.
	სულ ქალაქებში:	5374	3804	9178	38
	ქუთაისის გუბერნიის				
1.	სამასწავლებლო სემინარია	102	-	102	1

2.	ვაჟთა პროგიმნაზია	175	-	175	1
3.	საქალაქო სასწავლებელი	270	-	270	2
4.	დაწყებითი 2 კლასიანი სასწავლებელი	3093	896	3989	26
5.	დაწყებითი 1 კლასიანი სასწავლებელი	2880	1096	3976	53
6.	ვაჟთა ნორმალური სასწავლებელი	240	-	240	1
7.	მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელი	-	220	220	1
8.	ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი	-	50	50	1
9.	ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი	-	62	62	2
10.	ორკლასიანი სასწავლებელი	201	139	340	5
11.	ერთკლასიანი სასწავლებელი	5650	1519	7169	64
12.	ებრაული სკოლები	244	-	244	5
13.	სხვა	871	291	1162	28
	სულ:	13726 ბიჭი	4273 გოგო	17998 მოსწ.	190 სასწ.
სულ გუბერნიაში აღნიშნულ წელს სწავლობდა:		56479 ბიჭი	19140 გოგო	75619 მოსწავლე	793 სასწ.

ქცსა, ფონდი 130, საქმე N 269 ფურც: 33-35

სულ გუბერნიაში 75 619 მოსწავლწ იყო, აქედან:

N	ეროვნება	მოსწავლეთა რაოდენობა
1.	რუსი	917
2.	ქართველი	73 767

3.	სომეხი	338
4.	თათარი	113
5.	მთიელი	35
6.	ებრაელი	314
7.	სხვები	135
	სულ:	75 619 მოსწავლე
N	**სარწმუნოება**	**მოსწავლეთა რაოდენობა**
1.	მართლმადიდებელი	74 118
2.	სომხურ გრიგორიანელი	430
3.	კათოლიკური	447
4.	პროტესტანტი	8
5.	იუდეველი	537
6.	მუსულმანი	70
7.	სხვა	9
	სულ:	75 619 მოსწავლე

ქცსა, ფონდი 130, საქმე N 269, ფურც: 35